01/2010

ძველი ხელოვნება დღეს

ANCIENT ART TODAY

ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი

არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (2006-2010 წლები)

გონიოს მუზეუმის

ექსპოზიცია

გელათის აკადემია ალდგენამდე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA

www.heritagesites.ge

UDC(უაკ)72+73/76](479.22)(051.2)
d-493

ძეგლთა დაცვითი პროფილის რეგულარული ჟურნალის გამოცემას დიდი ტრადიცია აქვს ჩვენში. ასეთი ჟურნალის ხსენებისას ყველას ძალზე ნაყოფიერი, საქმიანი, ბევრისთვის საყვარელი, სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა "ძეგლის მეგობარი" გვახსენდება. ჟურნალი, რომელსაც ჩვენი დიდი მასწავლებლები, ჩვენში ამ დარგის ფუძემდებლები გამოსცემდნენ. ვინღა არ წერდა აქ – ისტორიკოსები, არქიტექტორები, ისტორიკოს-გეოგრაფები, რესტავრატორები, ქიმიკოსები... გამოცდილ და ტიტულოვანი მეცნიერთა გვერდით კი სტუდენტები, ხშირადაც ქვეყნის წარსულისა და სიძველეების მოყვარული მოხალისეები. იმ დროისათვის უჩვეულოდ მაღალპოლიგრაფიული და უხვადილუსტრირებული გამოცემის გარეშე წარმოუდგენელი იყო სტუდენტის მეცადინეობა თუ ახალი მეცნიერული მასალის გაცნობა, აქ ვკითხულობდით არა რომელიმე ერთ სფეროს ღირებულ პუბლიკაციებს, არამედ მთელ სპექტრს, რომელში მონაწილეობასაც ყველა თაობისა და სფეროს "სიძველეთდამცველი" იღებდა. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა რეალობაში ეს ჟურნალი ჩვენს ნივთიერ კულტურაზე ორიენტირებულ, იდეოლოგიისგან დიდწილად თავისუფალ, ყველასათვის საყვარელ გამოცემას წარმოადგენდა.

დიდი ხანია ეს გამოცემა აღარ არსებობს. მიმდინარე სარესტავრაციო-საკონსერვაციო საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაციისა და განხორციელებული სამუშაოების გამომზეურების ფუნქციას, ეს უკანასკნელი წლებია, საქართველოს კულ - ტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდ - რეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საანგარიშო კრებულები ასრულებენ, მაგრამ ვფიქრობთ, დადგა დრო აწ უკვე თვალი გავადევნოთ არა მხოლოდ განხორციელებულ სამუშაოებს, არამედ თავად "სიძველეთა ბიოგრაფიას", მათ ინტერპრეტაციას, დღევანდელობაში მათი "ცხოვრების" ნაირგვარ მიმართულებებს. ამიტომაც ამჯერად ჟურნალს ახალი სათაური – "ძველი ხელოვნება – დღეს" დავარქვით, ჟურნალი შემაჯამებელი სტატიების გარდა, ყოველმხრივი კვლევებისთვის აუცილებელ დოკუმენტაციასაც დაბეჭდავს, მიმდინარე სამუშაოებსა და წარმოქმნილ სიახლეებს გააცნობს მკითხველს, ამ წლების მანძილზე გადარჩენილი სიძველეებისა და ახლა უკვე, მათი თანამედროვე ცხოვრებაში "ჩართვის" საგულისხმო წახნაგებს გამოამზეურებს, მიმდინარე და დაგეგმილ საკითხებზეც შეაჩერებს მკითხველის ყურადღებას.

ასეთი ჟურნალის გამოცემა, დამეთანხმებით, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ეროვნული სააგენტოს გამოცდილება, მომიჯნავე ინსტიტუციების თანადგომა, სახელმწიფოში ამ სფეროს პრიორიტეტულობა, გვაძლევს უფლებასა და საფუძველს, დავიწყოთ მისი გამოცემა.

ამგვარი ჟურნალის არსებობა დღესაც, ეჭვი არაა, გადაუდებელი და საშური საქმეა. ■

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს გენერალური დირექტორი

გამოცემის რედაქტორი:
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
სარედაქციო ჯგუფი:
გიორგი გაგოშიძე
ირმა დოლიძე
ეკატერინე თაბუკაშვილი
ქეთევან ჯიშიაშვილი
ზურაბ ცერცვაძე
ქეთევან იმედაშვილი
თარგმანი: **ელენე ტატიშვილი**
დიზაინი: **ჩხაიძე**

Editor of the volume:
Nikoloz Vacheishvili
Editorial Board:
Giorgi Gagoshidze
Irma Dolidze
Eka Tabukashvili
Ketevan Jishiashvili
Zurab Tsertsvadze
Translator: **Elene Tatishvili**
Designer: **Chkhaidze**

ათონელის ქ. 27ა, თბილისი
ტელ. +995 (32) 983923
27a Atoneli Str., Tbilisi, Georgia
Tel. +995 (32) 983923
www.heritagesites.ge

არქეოლოგია
არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში. 4
არქეოლოგიური კვლევები გელათსა და მოწამეთაში. 14
გონიო-აფსაროსი, ბოლო დროს აღმოჩენილი
რომაული ეპოქის ძეგლები. 21

რესტავრაცია, კონსერვაცია
ნეკრესის მონასტერი, ე.წ. "საფლავს ზედა
ეკლესიის" რეაბილიტაცია. 31
წმინდა კვირიკესა და ივლიტის სახელობის ტაძარი
ნასოფლარ დრანეთთან. 41

სიახლე
საბავშვო არქეოლოგია. 51
გამოფენა, მცხეთა – საქართველოს
ძველი დედაქალაქი. 54
კონფერენცია და გამოფენა სტეფანწმინდის
ისტორიულ მუზეუმში. 56

ძეგლი და თანამედროვეობა
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო,
სიახლე სააგენტოს ძეგლებზე. 58
უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი,
ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია. 62

ქართული ძეგლები საგლვარგარეთ
ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი არქეოლოგიური
გათხრების ანგარიში (2006-2010 წლები). 64

საერთაშორისო ურთიერთობები
თანამშრომლობა ევროსაბჭოსთან. 90

მსოფლიო კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლები
ბაგრატის ტაძრის სრული აღდგენის საკითხისთვის. 94
გელათის სამონასტრო კომპლექსი,
რეაბილიტაციის პროექტი. 104

მუზეუმები, კოლექციები
ქუთაისის ისტორიული მუზეუმი,
ქართული ინტელექტუალური საგანძური. 113
გონიოს მუზეუმის ექსპოზიცია. 116
კულტურული მემკვიდრეობის საიტების მართვის მოდელი
ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური
მუზეუმ-ნაკრძალის მენეჯმენტ-გეგმა. 121

კვლევა
ოშკის ტაძარი, მოსაზრებები გეგმარებითი
კონცეფციის შესახებ. 127

ლვაწლი, დაჯილდოება, მეცნიერები
წარმატებულ რესტავრატორთა დაჯილდოება. 137

ახალი გამოცემები
სააგენტოს ახალი გამოცემები. 138

4

არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე

21

გონიო-აფსაროსი

ბოლო დროს აღმოჩენილი რომაული ეპოქის ძეგლები

შოთა მამულაძე

51

საბავშვო არქეოლოგია

ნანა კვიციანი

64

ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი

არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (2006–2010 წლები)

იულონ გაგოშიძე, დავით მინდორაშვილი, გიორგი გაგოშიძე

94

ბაგრატის ტაძრის

სრული აღდგენის საკითხისათვის

გია ჭანიშვილი

არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ციხეში

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე



1

ქუთაისისა და მისი მიდამოების (სურ. 1) არქეოლოგიური ძეგლები თითქმის საუკუნე-ნახევარია, რაც მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა[1].

ამ რეგიონის ძველი ისტორიის კვლევის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. პროფ. ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით 1963-1965 წლებში ფართომასშტაბიანი დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა და სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები, რის საფუძველზეც შეიქმნა მიკრორეგიონის არქეოლოგიური ძეგლების რუკა[2].

ქალაქის ძველი და უძველესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა სრულიად ახალი და უცნობი მასალებით შეივსო იმ გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც ქუთაისსა და მის შემოგარენში 1984 წლიდან დღემდე ახორციელებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი (2003 წლიდან) არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის მიერ მოპოვებულმა მასალებმა თითქმის მთლიანად შეავსო ქუთაისის ისტორიის ის ქრონოლოგიური წყვეტილები, რაც მცირერიცხოვანი და ნაკლებინფორმაციული წერილობითი წყაროებით იყო გამოწვეული.

მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულიად ახლებული წარმოდგენა შეგვიქმნეს ქალაქის ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე.

განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-აღმოცენების ეტაპის (ადრერკინის ხანა) დადგენა; ადრეანტიკური ხანის მასშტაბური დასახლებისა და ელინისტური ეპოქის სამაროვნის მიკვლევა; ადრეშუასაუკუნეების მონუმენტური საფორტიფიკაციო, საერო, საკულტო, საზოგადოებრივი და საკომუნიკაციო დანიშნულების ნაგებობათა გამოვლენა-შესწავლა; განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ქუთაისის სტრატიგრაფიის დადგენა; კულტურული

1 Fr. Dubois de Montpereux,Voyage autour du Caucase, I. Paris 1839, გვ. 15 და შემდეგ., А. Берже, Кавказ в археологическом отношении, «зариски обшества любителей Кавказской археологии», I. Тифлис, 1879, стр. 17., Г. Церетели, Заметки о курганах и раскорках по Рионской долине, «Протоколы подготовителъного комитета V Археологического съезда в Тифлисе», М. 1882, с. 337., დაწვრილებით იხ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII ს-მდე, თბილისი-ქუთაისი, 1994, გვ. 6-13;

2 ექსპედიციის წინასწარი მოკლე ანგარიშები, იხ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი საველე კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა ანოტაციები), 1963 წ. გვ. 26-30; 1964 წ. გვ. 27-29; 1965 წ. გვ. 19-21; ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ. 1966, გვ. 41-44;

3 იხ. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII ს-მდე, თბილისი-ქუთაისი, 1994; ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთ. 1996., ა. გაბრიაძე, ქუთაისი X-XV სს-ში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი, ქუთ. 1999., რ. ისაკაძე, ქუთაისი XV-XVIII სს-ში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2006; ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთ. 2007.

ფენებისა და სამშენებლო ეტაპების ქრონოლოგიური გამიჯვნა და წერილობით წყაროებთან შესაბამისობაში მოყვანა[3].

2005 წლიდან არქეოლოგიური კვლევები ჩართულ იქნა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პატრონაჟით დაწყებულ ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტში.

დღეისათვის ყველაზე მასშტაბური არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულია ბაგრატის ტაძარზე, რომლის ინტერიერსა და ექსტერიერში 2005-2006-2007-2009 წლებში გამოვლენილ იქნა ტაძრამდელი სამშენებლო ფენები, დადგინდა ძეგლის სტრატიგრაფია და ქრონოლოგია[4].

დღევანდელი ბაგრატის ტაძრის ადგილზე უძველესი დასახლება ზოგადად ენეოლითადრებრინჯაოს ხანით თარიღდება. მოყვითალო თიხნარ გრუნტსა და კლდოვან მასაზე დალექილი ამდროინდელი კულტურული ფენა ტაძრის სამხრეთის კარიბჭის აღმოსავლეთის კედლის ექსტერიერში გაჭრილ სადაზვერვო შურფში მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 4,5 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. ინვენტარი წარმოდგენილია რიყის ქვის იარაღებითა და სქელკედლიანი, ხელით ნაძერწი, უსახო კერამიკის ფრაგმენტებით (სურ. 2-3)[4].



2



3

4 ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის ინტერიერში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთ. 2004, გვ. 136-140.
ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, დ. ბერძენიშვილი, მ. ჭუმბურიძე, ნ. ქარციძე, ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის საველე სამუშაოების წინასწარი ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2006., ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგრატის ტაძრის ინტერიერში 2006 წლის ივლის-ოქტომბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2006.
ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში 2007 წელს (15 ივნისი–30 აგვისტო) ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2007.
ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთ. 2007, გვ. 112-113, 150-151.
ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, 2009 წელს ბაგრატის ტაძრის ფუნდამენტების გამაგრებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2010.
რ. ისაკაძე, ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთ. 2010, გვ. 136-153;

5 ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში 2007 წელს (15 ივნისი–30 აგვისტო) ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2007, გვ. 16-19.

4

5

ისევე როგორც ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე, ტაძრის ინტერიერსა და ექსტერიერში in situ მდგომარეობაში მიკვლეულია ძვ. წ. VIII-VII სს-ის კულტურული ფენა, რომლის სიმძლავრე ზოგ ადგილებში სამ მეტრამდე აღწევს. ფენაში ფიქსირებულია ხის ძელური და წნული ნაგებობების ანაბეჭდებიანი თიხის ბათქაშების კომპაქტური გროვები (მაქსიმალური სიმძლავრე ორ მეტრამდე. სურ. 4). ორ შემთხვევაში დადასტურდა ქვის ერთრიგა ცოკოლზე აღმართული -ხის ნაგებობათა ნაშთები, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა ამ ეპოქის კოლხური ნამოსახლარებისათვის და შესაძლოა მათ განსაკუთრებულ (საკულტო)



6

დანიშულებაზეც მიუთითებდეს.

ამ კონტექსტში სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბათქაშების გროვაში აღმოჩენილი თიხის მუქად გამომწვარი ცხვრის მინიატურული ქანდაკებისა და თიხისავე საბეჭდავის ნაშთები (სურ. 5). კულტურულ ფენაში და ბათქაშების გროვებშიც მრავლად აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული ზოომორფულყურებიანი და კანელურებიანი ჭურჭლების ნატეხები (სურ. 6).

ენეოლით-ადრებრინჯაოსა ფენა და წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარი სამომავლოდ ცალკე პროექტით კვლევას საჭიროებს. არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე („არქიელის გორა“) საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ახალი ეტაპი იწყება ახ. წ. III-IV საუკუნეებიდან.

ახ. წ. IV ს-ში ორ ეტაპად აგებული ციხე-ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იქ, სადაც დღეს ბაგრატის ტაძარი დგას, შენდება დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა (სურ. 7). მიუხედავად იმისა, რომ ბაზილიკის ადრევე დაზიანებული კედლების ქსოვილი მომდევნო ეპოქების სამშენებლო ფენებითაა გადაფარული, მოხერხდა მისი გეგმის შეკვრა და ინტერიერის მოწყობის ცალკეული ელემენტების გამოკვეთა.

ბაზილიკა გეგმაში წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეზე ფიქსირებულია თანადროული სწორკუთხა მინაშენები. ჩრდილოეთის მინაშენი ორნაწილიანია: სანათლავი (8,8X5,2 მ.) და მასზე დასავლეთიდან მიდგმული დამხმარე სათავსი (5,4X5,2). სანათლავის ინტერიერში დადასტურებულია აგურებით შედგენილი არხი, რომელიც დასავლეთ ნაწილში ჰიდრავლიკური ხსნარით მოპირკეთებულ აუზში იხსნება (სურ. 8). სამხრეთის სათავსის (7,4X5,8 მ.) ფუნქციის გარკვევა კვლევის ამ ეტაპზე არ ხერხდება.

ნაოსის დასავლეთის კედელზე მიშენებული ყოფილა ბაზილიკის თანადროული ნართექსიც (10,6X6,4 მ.). მისი დასავლეთის კედლის ცენტრში კირხსნარით მოლესილი კარის ზღურბლი დადასტურდა (რომლის სიგანეც 2 მეტრამდე იზომება). ზღურბლის ჩრდილოეთის მხარეს ხის ჩარჩოს მასიური ძელის ჩასასმელი ცილინდრული ღრმული დადასტურდა. მისი მდებარეობის მიხედვით ნართექსის კარი ინტერიერისკენ იღებოდა (სურ. 9). კიდევ ერთი კარის ზღურბლი დაფიქსირდა ბაზილიკის ჩრდილოეთის კედელში, რომლის მეშვეობითაც დამხმარე სათავსის გავლით სანათლავში შეიძლებოდა მოხვედრა (სურ. 10).

ამ მომენტისათვის მიმდინარე სამუშაოებმა გამოავლინა სწორკუთხა ფორმის საკურთხეველი ცენტრალური ნავის აღმოსავლეთ ნაწილში, რომლის ორივე მხარეს, გვერდითა ნავების გაყოლებაზე ასევე სწორკუთხა მოხაზულობის მცირე ზომის სათავსების (პირობითად პასტოფორიუმები) გეგმა იკითხება. ანალოგიურადაა მოწყობილი ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი IV ს-ის ბაზილიკის საკურთხევლის მონაკვეთი[6]. საკურთხევლის მონაკვეთის ასეთი მოწყობა ხშირად დასტურდება ჩრდილოეთ სირიისა და პალესტინის, იშვიათად მესო - პოტამიისა და ეგვიპტის ადრინდელ ბაზილიკებზე[7].

8

6 ნ. ბახტაძე, ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ეკლესიის დათარიღებისათვის, ძიებანი, №19, თბ. 2010, გვ. 202-220;
7 ნ. ბახტაძე...დას. ნაშრომი, გვ. 203.



7

10

9

11

12

კვლევის ამ ეტაპზე გაურკვეველია ნაოსის (27X10,6 მ.) ნავების გამყოფი სვეტების რაოდენობა. ჯერჯერობით მოხერხდა ზედა სამშენებლო დონეებით გადაფარული მხოლოდ ორი სწორკუთხა სვეტის ფუნდამენტის გამოვლენა.

ბაზილიკის ფუნდამენტები ჩაშვებულია წინარეანტიკური ხანის კულტურულ ფენაში. მათი სიმაღლე მერყეობს რელიეფისა და გრუნტის სიმკვრივის შესაბამისად და ნაგებია რიყის ქვითა და ჭარბკირიანი, მაღალი ხარისხის დუღაბით. კედლების ფასადები ფუნდამენტისაგან 20-30 სმ-ის სიგანის ცოკოლით გამოიყოფა და ამოყვანილია მყიფე ჯიშის თეთრი კირქვის მცირე ზომის, შუბლგამოყვანილი ქვებით, შიდა სივრცე კი შევსებულია ნატეხი ქვითა და ჭარბკირიანი დუღაბით. წყობაში „შეძლებისდაგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალობა, რითაც იგი წააგავს რომაულ ხუროთმოძღვრებაში კარგად ცნობილ Oopus incertum-ს“ (სურ. 11-12) კედლების სიგანე 1,4 მ-ია, მინაშენებში 1,1 მ.

ანალოგიური ტექნიკითაა ნაგები ახ. წ. IV ს-ით დათარიღებული ვარდციხის, ნოქალაქევისა და საკუთრივ ქუთაისის საფორტიფიკაციო და საერო ნაგებობები[8].

ბაზილიკის ნაოსსა და ნართექსში დაფიქსირდა სამშენებლო ანატკეცებზე დაფენილი კირხსნარიანი იატაკის თხელი (10 სმ-დე) შრე. სანათლავის კედლები, იატაკი და არხი კი ჰიდრავლიკური ხსნარითაა შელესილი.

2009 წლის სამუშაოებმა უჩვენა, რომ მომდევნო ეტაპზე ბაზილიკა საფუძვლიანად გადაუკეთებიათ, მანამდე კი დროის რაღაც მონაკვეთში, როგორც ჩანს მისი ფუნქციონირება შეფერხებულია, რისი დასტურიცაა თავდაპირველ იატაკზე დაფენილი 0,4 მ-დე სიმძლავრის მიწის ფენა, რომელშიც იკითხება ნგრევისა და ნახანძრალი შრეები.

ბაზილიკის ინტერიერში ფიქსირდება ბაგრატის ტაძრის მშენებლობის დროს ძლიერ დაზიანებული, სახელდახელოდ ნაშენები, ერთმანეთის პარალელურად განლაგებული სხვადასხვა ზომის სულ ცოტა 4 სათავსოსგან შემდგარი ნაგებობის ნაშთები, რომლის ძირითადი ნაწილებიც გაუთხრელ ფართობებში გადის. ერთი სათავსის ინტერიერში დაფიქსირებულია ლოკალური, ხანგრძლივი ცეცხლის ანთებისგან გადაწითლებული თიხატკეპნილი იატაკის დონე. მეორე სათავსში სამხრეთის კედელთან დაფიქსირებულია ფართო, ბრტყელძირიანი, სადაზედაპირიანი ქვევრი. არცერთი მათგანი ქრისტიანულ მსახურებას არ უკავშირდება და ფრთხილი ვარაუდის დონეზე არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ყველაფერი V ს-ის 70-80-იანი წლებიდან 523 წლამდე (ბიზანტიაში ჩასული წათეს გაქრისტიანება და შესაბამისად პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა) ეგრისში ირანის გააქტიურების, მეფე წათეს „...წარმართთა სარწმუნოებაზე...“ გადასვლის და შესაბამისად ცეცხლის კულტის არსებობის გამოძახილიც იყოს[9]. ამ კონტექსტში (ირანის გაბატონება ეგრისში) უნდა განვიხილოთ თერჯოლის რაიონის სოფ. ღვანკითში „დედაღვთისაზე“ გათხრილი ეკლესიაც, რომლის მშენებლობაც ფუნდამენტის დონეზეა შეწყვეტილი[10].

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით დაახლოებით VI ს-ის II მეოთხედში ბაზილიკა საფუძვლიანად ჩანს განახლებული: აღდგენილია ჩრდილოეთის კედლის ნაწილი., შენდება ახალი, NS ხაზზე რამდენადმე დავიწროვებული ნართექსი და მისი სახურავის თაღების გადასაყვანად გაჩენილია ორი სწორკუთხა სვეტი., ნაოსში ჩნდება კარგად დამუშავებული ქვებით ამოყვანილი ნავების გამყოფი სწორკუთხა სვეტები, რომელთა ბაზების ძირა საფეხურები VIII საუკუნეში ახალი, ჯვრის ფორმის სვეტების საყრდენებად გამოუყენებიათ, ნაოსისა და ნართექსის იატაკები მოპირკეთებულია საგანგებო მომზადებაზე დაფენილი მაღალი ხარისხის ჰიდრავლიკური ხსნარით.

სანათლავის იატაკსა და არხში ჩალექილ ნგრევის ფენაში in situ დაფიქსირებული სამშენებლო (მაღალბორტიანი [h=7 სმ.] კრამიტები და სხვადასხვა ზომის აგურები) და საყოფაცხოვრებო (პირქედიანი, ფართოძირიანი დერგები, თხელკედლიანი, მოჩალისფროკეციანი, ვიწროდ ტანდაღარული ამფორა) კერამიკის ფრაგმენტები VI ს-ით თარიღდება. ბაზილიკის მეორე და საბოლოო ნგრევა VI ს-ის შუახანებში ეგრისში „დიდ ომიანობას“ უკავშირდება.

VII ს-ში, სავარაუდოდ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებიდან (VII ს. 20-იანი წლების ბოლო) სერგი ბარნუკის ძის აჯანყებამდე (697 წ.), ამ ადგილზე ახალი ბაზილიკა აუგიათ, რომლის აღმოსავლეთის ნაწილი იმდენადაა დაზიანებული, რომ ამ ეტაპზე გეგმის აღდგენაც კი ვერ ხერხდება (სურ. 7, 10). დასავლეთის კედლის ცენტრალურ და სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში კარის ღიობები ფიქსირდება. კედლების სიგანე 1,4 მ-ია და ნაგებია საშუალო ზომის ზედაპირდაკეჭნილი, უხეშად დამუშავებული კვადრებით. სამხრეთის კედლის (კედლების მაქსიმალურად შემორჩენილი სიმაღლე 0,5 მ.) დასავლეთ ნაწილში ერთსაფეხურიანი ცოკოლი გამოიყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერიერის ელემენტები კვლევის ამ ეტაპზე უცნობია, ძეგლის მოცულობა (რაც თითქმის ბაგრატის ტაძრის ტოლია) გვაძლევს საფუძველს, წარმოვიდგინოთ სამნავიანი ბაზილიკა, რომლის საკურთხევლის მონაკვეთი მომდევნო ეტაპების მშენებლობაშია ჩართული და კვლევის ამ ეტაპზე არ იკითხება სწორედ ეს არის ქართულ წყაროში მოხსენიებული „ქუთათისის საყდარი,“ რომელშიც უნდა დაეკრძალათ ქართლის ერისთავი სტეფანოზი[11].

მურვან-ყრუს ლაშქრობის შედეგად დაზიანებული „საყდარი“ საფუძვლიანადაა გადაკეთებული ლეონ II მიერ VIII ს-ის მეორე ნახევარში: გაფართოებულია ინტერიერი, რომელსაც სამ ნავად ყოფდა ჯვრის ფორმის სვეტები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს ჩნდება სწორკუთხა მკლავები, სამხრეთის სწორკუთხა მკლავში სანათლავია მოწყობილი, რისი დასტურიცაა ღარიანი კრამიტებით შედგენილი არხები; დასავ-

8 ვ. ჯაფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი, თბ. 1989, გვ. 112, პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, თბ. 1991, გვ. 17, და შემდეგ., ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთ. 1996, გვ. 79-98, სურ. 5-6-11-12., ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთ. 2007, გვ. 109-115, სურ. 95-97-98-100-101;

9 რ.ისაკაძე, ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთ. 2009, გვ. 139-140;

10 ზ. ბრაგვაძე, არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში, იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), №5, თბ. 2009. გვ. 5-13;

11 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ. 1955, გვ. 241.

ლეთიდან მიშენებულია შესანიშნავად დამუშავებული საფასადო ქვებით აგებული ნართექსი (სურ. 15), რომლის ცენტრში ორდამატებით პარალელურ საყრდენ კედელზე ფიქსირებული ჯვრის ფორმის სვეტებზე გადაყვანილი თაღებით ნართექსის სივრცე სამ არათანაბარ ნაწილად ყოფილა გაყოფილი, ნალისებური აბსიდები გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი.

VIII ს-ის განახლება-გადაკეთების კვალი „საყდრის“ ინტერიერშიც კარგად ჩანს. გათხრილ მონაკვეთებში აღმოჩნდა ნავების გამყოფი ჯვრის ფორმის სვეტების ნაშთები. ერთი მათგანის საფეხურებრივი ბაზა თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი (სურ. 13). დანარჩენები მომდევნო მშენებლობის დროსაა დაზიანებული ან გადაფარული და მათი რაოდენობის დადგენა ამ ეტაპზე გაძნელებულია. ამ ფენის კუთვნილია ასომთავრულწარწერიანი ანტეფიქსიც, რომელზეც ქარაგმის გახსნით იკითხება „გაბრიელი“ (სურ. 14). ანალოგიური ანტეფიქსი ცნობილია გუდაუთიდან, სადაც იკითხება „მიქაელი.“

ამ ეპოქის კედლების ქსოვილი (ასევე სარკმლების, სართულის გამყოფი თაღების, ნალისებური სამი აფსიდის, აფსიდისწინა მრგვალი სვეტების ნაშთები) ორგანულადაა ჩართული X—XI სს-თა მიჯნაზე აგებული ბაგრატის ტაძრის სტრუქტურაში და

13

სართულნახევრის სიმაღლეზე დღემდე კარგად იკითხება, ინტერიერის ელემენტები კი ბაგრატის ტაძრის იატაკის დონეზეა ნიველირებული.

ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარმა ძველი „საყდრის“ სწორკუთხა მკლავები ნახევარწრიულით, ჯვრისებური სვეტები კი მრგვალი და წახნაგოვანი სვეტებით შეცვალა, რომელთაც გუმბათი ეყრდნობა., ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს გაჩნდა ღია გალერეები., XI ს-ის I მეოთხედში (გიორგი I დროს) აიგო კარიბჭეები, XIV ს-ში კი დასავ - ლეთის კარიბჭეს ჩრდილოეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი მიაშენეს. 1985 წლიდან დღემდე ტაძრის ინტერიერისა და ექსტერიერის გათხრებისას 100-მდე სამარხი აღმოჩნდა. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო V-XIX სს-ით იფარგლება. სამარხთა ძირითადი ტიპებია: ორმოსამარხები, ქვაყუთსამარხები, აგურით ამოშენებული სამარხები, კირხსნარითა და ნატეხი ქვებით ამოშენებული სამარხები, აკლდამები, კირხსნარიანი სამარხები, სარკოფაგი. განსაკუთრებით საინტერესოდ ადრეული შუასაუკუნეების სამარხებში ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა:

14

15

17

1. უინვენტარო ორმოსამარხები, რომელთაც ფარავს VI ს-ის დასაწყისის ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი. მათ ჩაჭრილი აქვთ IV ს-ის ბაზილიკის იატაკის დონე.

2. VIII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული ორმოსამარხები და კირხსნარიანი სამარხები. ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩევა №50-ე მდიდრული სამარხი, რომლის კამერა მოწყობილი იყო ლეონ II მიერ განახლებული VII ს-ის ბაზილიკის ნართექსში.

№50-ე სამარხის კონსტრუქცია რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ზედა ნაწილი წარმოადგენს w-o ხაზზე დამხრობილ, კარგად დამუშავებული საშულო ზომის ქვის ფილების ერთი რიგით შედგენილ ყუთს, რომლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში ოთხ-ოთხი ფილა დევს, თავსა და ბოლოში კი თითო(სურ. 16). ამგვარად შეკრული ყუთის გარე ზომებია 2,3X0,68 მ., სიმაღლე 0,4 მ-დე. ფილები ერთმანეთთან დაკავშირებულია სუსტი დუღაბის ხსნარით. ასეთივე ხსნარის თხელი შრით გადალესილი შიდა სივრცე ქვის ფილებით ყოფილა გადახურული, რომელთაგან უძრავად აღმოსავლეთის ნაწილში მხოლოდ ერთი ფილა იყო შემორჩენილი (ქვაყუთის სახურავი თავის დროზე ნიველირებული იყო VIII ს-ის ნართექსის იატაკის დონეზე, რითაც შემსვლელთათვის მონიშნული იყო საფლავის ადგილი). დანარჩენები, როგორც ჩანს, ბაგრატის ტაძრის მშენებლებმა ააცალეს, მაგრამ საბედნიეროდ სიღრმეში აღარ ჩავიდნენ და ზემოდან სამშენებლო ანატკეცებით გადაფარეს.

18

ეს სტრუქტურა აზის 0,2-0,3 მ-ის სიმძლავრის ღორღიანი მიწის შრეს, რომელიც დაფენილია სამარხის კამერაზე.

მართკუთხედის ფორმის კამერის კედლები (სიფართე 5-10 სმ.) შედგენილია ადვილად შლადი დუღაბით და შიგნიდან კარგად ეტყობა ხის ფიცრების კვალი (სურ. 18). ამგვარად მოწყობილ კამერაში მიცვალებული დაკრძალულია პირდაპირ მიწაზე, ხის ფიცრებით შემოზღუდულ ტრაპეციის ფორმის (ფეხებისკენ დავიწროებული) სივრცეში და ზემოდან მთელ ტანზე გადავლებული აქვს სილისა და კირხსნარის თხელი შრე ისე, რომ მხოლოდ სახის ნაწილი არ არის დაფარული (სურ. 17). დუღაბის შრემ ძლიერ გაართულა ჩონჩხის პრეპარაცია და ზოგიერთი ნივთის გამოცალკევება მხოლოდ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ლაბორატორიაში მოხერხდა, თუმცა ინვენტარის ძირითადი ნაწილი in situ მდგომარეობაში დაფიქსირდა.

მიცვალებულის დამხრობა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში კი წარმართული მიკროდეტალები ჩანს. მარჯვენა ხელი ედო მკერდზე, მარცხენა კი მენჯზე. მარჯვენა ფეხის მუხლს ქვემოთა ძვლები გადაჯვარედინებული (გადალაგებული) იყო მარცხენა ფეხზე (სურ. 18). ფეხის თითები ნაკლული და გაბნეულია.

ფეხების ასეთი პოზა ხშირად დასტურდება სამხრეთ რუსეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის სტეპებისა და ჩრდილო კავკასიის იმ რეგიონების ძეგლებზე, რომლებიც სალტოვო-მაიაცკის (ხაზართა ხაკანატის) კულტურის არეალშია მოქცეული.

ფეხების გადაჯვარედინება (შეკვრა), ძვლების საგანგებოდ არევა, ან ფეხის თი-


24

თების ნაწილობრივი ამოცლა ამ კულტურის ძეგლებზე სავარაუდოდ ქურუმი ქალების სამარხებშია დაფიქსირებული[12]. მკვლევართა ერთი ნაწილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ასეთი პოზა გვხვდება ყუბანისპირეთში მეოტებთან ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ში (სამარხების 11 %), სარმატებთან მხოლოდ II-III სს-ში (7 %, 366 სამარხიდან[13]), X-XIV სს-ით დათარიღებულ დაღესტნის ქრისტიანულ სამარხებში (ურადის სამაროვნის №2-3-5 სამარხები[14]), არ განეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურას და მით უმეტეს არ წარმოადგენს ეთნიკურ მახასიათებელს[15]. ფეხებგადაჯვარედინებული სამარხები დადასტურებულია წებელდაშიც, აბგიძრახუს სამაროვანზე (№9 და 54 სამარხები). მ. თრაპში მათში სარმატული დაკრძალვის წესს ხედავს[16].

ანთროპოლოგის წინასწარი დასკვნით 25 წლამდე ასაკის გარდაცვლილი ქალბატონი იყო 1,5 მ-დე სიმაღლის, 30-35 კგ. წონის და რაქიტით იყო დაავადებული, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი არ გამხდარა.

როგორც ცნობილია, ლეონ II დედა ხაზართა მეფის ასული იყო. ლეონ II სამეფო კარს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხაზარეთთან და კვლევის ამ ეტაპზე ფრთხილი ვარაუდის დონეზე არ გამოირიცხება გარდაცლილის, რომელიც უთუოდ სამეფო ოჯახის წევრი იყო, ამ სამყაროდან წარმომავლობა.

№50-ე სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, მინის და ძვირფასი ქვებისაგან შედგენილი სამკაულებით: ოქროს სასაფეთქლეები, ლალისა და ფი-

19

20

25

12 С.А. Плетнева, "Амазонки" как социально-политическое явление, "Культура славян и Русь". М., 1998 г., стр. 529-537;
13 М. Г. Мошкова, К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе, История и культура сарматов. Саратов, 1983, стр. 30-31;

14 П. Тахнаева, Христианская культура средневековой Аварии (VII-XVI вв.) в контексте реконструкции политической истории, Махачкала, 2001, стр. 243-2454;
15 М. Г. Мошкова, К вопросу....стр. 529-537;
16 М. Трапш, Култура Цебелъдигнских некрополей, Труди, Т. 3, ТБ. 1971. стр. 121.

რუზისთვლიანი ოქროს ბეჭდები, ოქროს შედგენილი სამაჯურები, ოქროს მთლიანადსხმული სამაჯური გრავირებული ზედაპირით, ვერცხლის მთლიანადსხმული, ჭვირულგამოსახულებიანი სამაჯური, ტრაპეციის ფორმის ოქროს საკიდები ცენტრში ცისფერი მინანქრით, შავი და ფერადი მინის სამაჯურები, პირამიდული ფორმის ოქროს ფირფიტებითა და ტყავით შედგენილი სამაჯური (სურ. 19-26)[17].

აღნიშნული ნივთების ჭედურობის ტექნოლოგიაში შეინიშნება გარკვეული მსგავსება ბიზანტიური სამყაროს ოქრომჭედლობასთან და ცალკეული ანალოგები ეძებნე - ბათ VII-VIII სს. აღმოსავლეთ ევროპის მომთაბარე ტომების (ავარები, ხაზარები, ბულგარები) კულტურების ძეგლებთან.

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსა - ხურებს ტაძრის სამხრეთის ნალში აღმოჩენილი №24-ე სამარხი. შიდა მხრიდან შესანიშნავად დამუშავებული ფილებით შეკრულ ქვაყუთში ორი მიცვალებული ესვენა. ქრისტიანული კანონიკით დაკრძალულ ძირითად მიცვალებულს (ქალი) მარჯვენა ბეჭის ორივე მხარეზე გადაფენილი ჰქონია წვრილი ძაფებით ნაქსოვი ოქრომკედი, ხოლო ბავშვის (გოგონა) თავთან აღმოჩნდა ოქროს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან დამზადებული წყვილი საყურე (სურ. 30).

სტრატიგრაფიის გათვალისწინებით №24-ე სამარხი IX-X სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

2010 წლისთვის ტაძრის ინტერიერში და - გეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები სტრატიგრაფია-ქრონოლოგიის დაზუსტებისა და ცალკეული სამშენებლო ფენების გეგმის კორექტირების საშუალებას მოგვცემს. ■

22

23



21

26

17 ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, ნ. ქარციძე, ქალის მდიდრული სამარხი „ქუთათისის საყდრიდან“ (ახალი აღმოჩენა), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX, ქუთ. 2009, გვ. 17-20.

THE SUMMARY

ARCHEOLOGICAL RESEARCHES AT BAGRATI CATHEDRAL

OMAR LANCHAVA, ROLAND ISAKADZE

More then one and a half century has passed since the time when archeological sites and monuments located in Kutaisi and its surroundings came under the special interest of scholars. As a result of archaeological excavations carried out in 1963-1965 and 1984-2009 several sites of Eneolithic, Early Bronze, Early Antique, Hellenistic pre-Christian and medieval epochs were revealed within the area.

The remains of the ancient settlement of Kutaisi, central section of which was excavated throughout the period of 2003-2009 within the scope of the Project for Reconstruction of Bagrati cathedral, heave revealed that the territories of the interior and exterior of the monument contained rich archeological material indicating to the existence of the first settlements as early as in the Eneolithic and Early Bronze Ages. The following 3 meter-strong cultural layer dated back to the 8-7-th centuries BC contained remains of timber architecture plastered with clay,shreds of Colchic pottery, a small statue of some domestic animal (ram?) and an ancient seal.

A rectangular in shape large basilica of the 4-th century was the first Christian cult structure built on the plot of late time Bagrati cathedral. It had three annexes, two of which - a baptizing room and another space were attached from the north and on more room was added from the south. The structure had a rectangular narthex on the west. Both the altar and pastophoriums have rectangular configuration. It seems that sometime in the turn of 5-6-th centuries, when the west Georgian Kingdome of Egrisi was subjugated to the almighty Iranian Empire a structure comprising either four or five rooms was built within the basilica interior. One of those rooms apparently was used for fire worshiping – it still bears the trace of perpetual fire. In the second quarter of the 6-th century the basilica underwent considerable alterations: northern wall and narthex were rebuilt, rectangular stone columns were included in the naos/nave and basilica floor was added made of high quality hydraulic solution. The structure was destructed sometime in the second half of the 6-th century, apparently as a part of costs paid during the Great War between Iran and Byzantium.

New basilica was constructed on the foundation of an old one. This event should have taken place in the 7-th century, during or soon after the ride of the Byzantine emperor Heracles. However this structure was also destructed in the 30-es of the 8-th century as a result of punitive ride of the Arabs. Some time later, in the second half of the 8-th century the basilica was restored under the King of Abkhazs Leon II, when the naves were widened and divided by the cross-shaped columns, rectangular arms were attached to the main building from the north and south, a narthex was renewed by the neatly hewn masonry and the horseshoe-shaped apses were inscribed into the external rectangle. Bagrati Cathedral, built in the turn of 10-11-th centuries, in fact is a structure obtained thorough the fundamental reconstruction of its predecessor- the basilica rebuilt and reconstructed by King Leon II.

Up to one hundred graves of different periods were found during the excavations. The 50-th tomb plastered with lime solution is the most interesting of all of them. This grave was cut sometime at the fall of the 8-th century, when a 25-30 years old lady was buried in Kutaisi church. She was lain stretched, face up, with the left upper extremity located at the neck area and the right one at the area of pelvis, legs crossed; right over the left one. Numerous grave goods found there are as follows: golden and silver bracelets adorned with different gemstones, golden temple-rings, golden pendants with plique-a-jour ornamentation, golden rings with turquoise and garnet gemstones, etc.

The final stage of excavations planned for the nearest future will be helpful in understanding of all details related to the most accurate specification of startigraphy of construction layers and their exact dating. ■

არქეოლოგიური კვლევები
გელათსა და მოწამეთაში

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე

XII საუკუნეში დაარსებული გელათის მონასტრის (სურ. 1) რეაბილიტაციის პროექტის დამუშავების პროცესში 2007 წელს კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარდა სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები,[1] 2008 წელს კი არქეოლოგიური მეთვალყურეობა განხორციელდა 33 გეოლოგიურ შურფზე.[2] დასახული მიზნებიდან გამომდინარე, სადაზვერვო-არქეოლოგიური და გეოლოგიური შურფები დაიდო მთავარი ტაძრის გარშემო, წმ. გიორგის ეკლესიასთან, აკადემიის ინტერიერში, მთავარი ტაძრის დასავლეთ ეზოში, დავით აღმაშენებლის საფლავთან დაკავშირებული ნაგებობებისა და გალავნის კედლების გარშემო (სურ. 2). №1 შურფში (სურ. 3) გამოვლინდა XII საუკუნეზე ადრეული ფენები. მასიურკედლე-

1 ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008;

2 რ. ისაკაძე, გელათის კომპლექსის ტერიტორიაზე გაჭრილ გეოლოგიურ შურფებზე ჩატარებული არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008.

ლოგია

ბიანი სწორკუთხა ნაგებობის დასავლეთ ნაწილის ინტერიერში ერთ მეტრზე დაღრმავებისას გამოიკვეთა XII საუკუნემდელი ნაგებობა, რომელიც სულ ცოტა ორჯერ მაინცაა გადაკეთებული და ფუნქციაშეცვლილი.

თავდაპირველი ნაგებობა დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე (სიგანე 10 მ., შემორჩენილი სიგრძე 11 მ.). დასავლეთის კედლის ცენტრში 1,4 მ-ის სიგანის კარია. 1,35 მ-ის სიგანის კარი ფიქსირდება სამხრეთის კედელშიც (სურ. 3). კედლების სიგანე 1,3-1,4 მეტრია. ფასადები შემოსილია მთავარ ტაძართან შედარებით უხეშად დამუშავებული მასიური კვადრებით, მათ შორის დარჩენილი მცირე სივრცე კი ამოვსებულია ნატეხი ქვებითა და მტკიცე დუღაბით. ექსტერიერში ცოკოლის დონე 1,8 მეტრით დაბლაა XII ს-ის ეზოს დონესთან შედარებით და ეს სხვაობა შევსებულია თავისივე ნგრევის ორი ფენით. პირველი

3

ნგრევის ფენიდან ამოსული თხელკედლიანი, ნატიფი, წნეხვით ნაპრიალები კერამიკა ქუთაისის ნაქალაქარზე X-XI სს-ით თარიღდება.[3]

თავდაპირველი იატაკის დონე ინტერიერის გადაკეთების დროსაა მოშლილი და გათხრილ მონაკვეთში არ ფიქსირდება, ზღურბლის დონე კი ორივე კარებშია შემორჩენილი.

ნაგებობის სწორკუთხა, დასავლეთიდან აღმოსავლეთით წაგრძელებული ფორმა, ეზოსკენ გახსნილი კარის ღიობები დასავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილსა და სამხრეთის კედელში გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა საქმე საკულტო ნაგებობასთან გვაქვს, რისი შემოწმების საშუალებას კვლევის ამ ეტაზე არ იძლევა გაუთხრელ ფართობში გასული ნაგებობის ძირითადი ნაწილი.

X-XI სს-ით დათარიღებულ პირველი ნგრევის ფენას, ფასადების მთავარ ტაძართან განსხვავებულ დამუშავებას და ადრეული ძეგლებისათვის დამახასიათებელ მშენებლობის ტექნიკას (მაგ. პერანგის ქვებს შორის დატოვებული მცირე სივრცე) ნაგებობის აგება-ფუნქციონირების პირველი ეტაპის თარიღი, ვფიქრობთ, ადრეულ შუასაუკუნეებში გადააქვს.

ამ კონტექსტში საყურადღებოა რამდენიმე გარემოება:

1) მთავარი ტაძრის ამბიონისწინა სვეტზე XVIII საუკუნეში მიდგმული კათალიკოსის ტახტის კედლებში ჩაშენებულია ადრეული შუასაუკუნეებით დათარიღებული მონაცრისფრო მარმარილოს კანკელის ქვები.,
2) იმერეთის მეფე ბაგრატ III მიერ სეფეჯვარის მტვირთველ ფანჩულიძის სახელზე 1527 წელს გაცემული წყალობის წიგნით, მეფეს გელათისთვის განუახლებია არაბთა სარდალ მურვან ყრუს სადამსჯელო ექსპედიციის შედეგად „...დაქცეული და აოხრებული მთავარანგელო- ზისა ეკლესია...,“[4]
3) მონასტრის გალავნის სამხრეთით, კლდოვან ქედზე არსებულ საბას საყდარს რ. მეფისაშვილი X ს-ით ათარიღებს.[5] აქედან გამომდინარე, XII საუკუნემდელი ეკლესიის (ეკლესიების) არსებობა გელათში დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.,
4) თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ XIX ს-ის II ნახევარში გ. წერეთელს მონასტერში გაუთხრია ანტიკური მონეტებით დათარიღებული სამარხები,[6] არქეოლოგიურ კვლევას გელათში დიდი პერსპექტივა აქვს.

პირველი გადაკეთება-განახლების შემდეგ ნაგებობის ფუნქცია შეუცვლიათ. ამ ეტაპზე მთლიანად ამოქოლილია სამხრეთის,

3 ა. გაბრიაძე, ქუთაისი X-XV სს–ში. საკანდიდატო დისერტაცია, ქუთ. 1999. ხელნაბეჭდი;
4 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. ტფ. 1921. გვ. 8-9;
5 Р. меписашвили, Архитектурный ансамвлъ Гелати, Тб., 1966, стр. 162;
6 Г. Церетели, О некоторых древностиах в Гелатском монастыре, Пятый археологический съезд в Тифлисе, М. 1882 г. стр. 430. тавл. 43 (предварителъное сообщение о результатах поездки в Гелати.

ხოლო 0,5 მ-ის სიმაღლეზე დასავლეთის კარები, რომლის ჩრდილო ნაწილში კედლის ინტერიერის გაყოლებით 3,5 მ. სიგრძის, 0,4 მ. სიმაღლისა და 0,5 მ. სიგანის ქვიტკირის მერხია ამოყვანილი. ნაგებობის ინტერიერს მთელ სიგანეზე კვეთს სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული, სავარაუდოდ ნახმარი წყლის არხი (სურ. 3). არხის ფსკერი შედგენილია მიწაში პირაღმა ჩასმული 38 სმ-ის სიგრძის, თეთრ ანგობზე მწვანედ მოჭიქული ღარიანი კრამიტებით (სურ. 4) და გადახურულია ბრტყელი, ფლეთილი ქვის ფილებით.

4

არხის აღმოსავლეთით გაიწმინდა ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი ავზების ფრაგმენტები. მათი ძირითადი ნაწილი გაუთხრელ ფართობში გადის. არხი, რომელიც საგრძნობლადაა დახრილი ჩრდილოეთისაკენ, რათა წყალს თავისუფლად ედინა, გატარებულია თავდაპირველი ნაგებობის ჩრდილოეთის კედელში ფლატეს მიმართულებით და ასევე გაუთხრელ ფართობში გადის.

არხის შევსების ფენაში ვერცხლის ორი ტრაპიზონული მონეტა აღმოჩნდა. ისინი მოჭრილია მანუილ I და იოვანეს სახელზე და XIII ს-ის ბოლო და XIV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან.[7] ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ ნაგებობის ფუნქციონირების მეორე ეტაპის ზედა ზღვრად.

ფუნქციონირების მესამე ეტაპზე (გვიანი შუასაუკუნეები) ინტერიერში შეიმჩნევა ალიზის იატაკის დონეები, ხოლო დასავლეთ ექსტერიერში ფიქსირდება სავარაუდოდ მე-2 და მე-3 ეტაპის დროინდელი მინაშენები, სადაც გაირჩევა ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილი დონეები.

№1 შურფში გამოვლენილი ნაგებობის სამშენებლო ეტაპების, ფუნქციისა და ქრონოლოგიის დაზუსტებისათვის აუცილებელია თხრილის გაფართოება ექსტერიერსა და ინტერიერში.

№2 შურფში დაიზვერა XIX ს-ის ბოლოს აგებული „საწინამძღვრო სახლის“ ძირა სართულში არსებული თაღოვანი ნაგებობის ინტერიერი, რომლის რეაბილიტაციის

5

6

7

დაწყებამდე აუცილებელია ძეგლის სრული არქეოლოგიური გამოკვლევა.

№№11, 15, 16 შურფებში დაფიქსირდა მთავარი ტაძრის გადასახურავად გამოყენებული სხვადასხვა ფერად მოჭიქული კრამიტების, გაჭედილი ლურსმნებისა და სარკმლის მინის ფრაგმენტები.

№№4, 13 შურფებში სტრატიგრაფიული თანმიმდევრობით დადასტურდა თურქთა (1510 წ.) და ლეკთა (1759 წ.) ლაშქრობების ამსახველი ნახანძრალი ფენები.

№№5, 12, 14 შურფებში გამოვლინდა ნატეხი ქვებით ნაგები ეზოს სადრენაჟე არხის მონაკვეთები. №№12, 14 შურფებში არხი შედგენილია თიხნარ გრუნტში ჩასმული ნატეხი ქვის ფილებით (სურ. 5), №5 შურფში ქვის ფილებით გადახურულ კლდოვან ნაპრალს მიუყვება (სურ. 6) და გალავნის დასავლეთის კედელში ფიქსირებული, ქვაში გამოკვეთილი ღარით (სურ. 7) ფერდობზე გაედინება. ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად:

1. კომპლექსის ტერიტორიაზე გამოიყო არქეოლოგიურად აქტიური ზონები და, რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, შეირჩა გასათხრელი მონაკვეთები.,
2. გამოიკვეთა კომპლექსის დაარსებამდელი სამშენებლი ფენები.,
3. დაზუსტდა სამშენებლო ფენების სტრატიგრაფია-ქრონოლოგია.

საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ კომპლექსის ტერიტორიაზე პირველ რიგში დაიგეგმა აკადემიის შენობის რეაბილიტაცია, რომლის წინმსწრები არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2008 წელს, 2009 წელს კი სამუშაოები გაგრძელდა აკადემიის შენობის ჩრდილოეთის ექსტერიერში, სადაც შესწავლილ იქნა 400 კვ. მ-მდე ფართობი.[8]

როგორც სადაზვერვო სამუშაოებმა უჩვენა:

1. აკადემიის შენობაზე გამოიყოფა რამდენიმე სამშენებლო ეტაპი.,

7 მონეტები განსაზღვრეს საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა, ისტორიულ.მეცნიერებათა დოქტორებმა ი. ჯალაღანიამ და ნ. უგრეხელიძემ;

8 რ. ისაკაძე, ო. ლანჩავა, გელათის აკადემიის 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008., რ. ისაკაძე, ო. ლანჩავა, გელათის აკადემიის ჩრდილოეთის ექსტერიერში 2009 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2010.

8

2. აკადემიის ინტერიერის ჩრდილოეთის მონაკვეთში დასტურდება ნანგრევებით ამოვსებული ძირა სართულის სარკმლიანი სათავსი.,
3. ინტერიერში არსებული ფართო (1,7 მ-დან 2 მეტრამდე), გვიანდელი მერხებით გადაფარულია ავთენტური მერხები.

გათხრების ძირითადი ამოცანა იყო ძირა სართულის სათავსის, მასში შესასვლელი კარის, ავთენტური მერხების გამოვლენა,

9

მათი მეშვეობით ძეგლის სამშენებლო ფენების ქრონოლოგიური გამიჯვნა და მეტად მწირ წერილობით წყაროებთან სინქრონიზაცია.

2008 წელს სამუშაოები პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ინტერიერსა და ექსტერიერის ჩრდილოეთის მცირე მონაკვეთში, სადაც სავარაუდოდ ძირა სართულში შესასვლელი კარი უნდა ყოფილიყო. ინტერიერში თანამედროვე მერხების ალაგების შემდეგ კედლების გაყოლებაზე დაფიქსირდა თავდაპირველი მერხები (სურ. 8, 10), რომლებიც ორჯერ მაინც ჩანს გადაკეთებული. მერხების სიმაღლე 0,4 მ-ია, სიგანე 0,5 მ. ნაგებია კარგად დამუშავებლი ქვებით და შელესილია კირხსნარის თხელი ფენით. მერხების გასწვრივ მთელ პერიმეტრზე ფიქსირდება კირხსნარიანი იატაკის დონე. ნაგებობის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში იატაკი თიხნარ გრუნტსა და კარგად ნიველირებულ კლდოვან მასაზეა მოწყობილი. ჩრდილოეთ ნაწილში კი, სადაც რელიეფი თავიდანვე მკვეთრად ჩაღრმავებული იყო, ძირა სართულის სათავსი მოუწყვიათ. მისი დასავლეთის კედლის წყობაში დაფიქსირდა სართულების გამყოფი ხის იატაკის სწორკუთხა კოჭების ბუდეები.

ძირა სართულის სათავსის (11,6x6,3 მ.) დასავლეთის კედლის ცენტრში შიგნით გაფართოებული ორი სარკმელია გაჭრილი. სათავსში შესვლა ჩრდილოეთის კედელში გაჭრილი კარით (1.95x1.5 მ.) შეიძლებოდა (სურ. 9-10-11), რომელზედაც გარედან ფერდობზე ამოყვანილი თაღოვანი ტალანი ყოფილა მიშენებული. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ორსავე მხარეს გამოვლენილ სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების სათავსებს და აღმოსავლეთ ნაწილში მოწყობილი კიბითა და ქვაფენილით წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას, სამრეკლოსა და აკადემიის შენობას



10

11

12

14

შორის მოქცეულ ეზოს მონაკვეთში იხსნებოდა (სურ. 10-11-12-13).

სათავსში ორი სხვადასხვა დროის მარნის ნაშთი დაფიქსირდა. თავდაპირველ მარანში დაუკირავი, შედარებით თხელკედლიანი ქვევრები ყოფილა.

13

1510 წლის შემდეგ, როცა ტრაპიზონის მხრიდან შემოჭრილმა თურქთა მარბიელმა ლაშქარმა დაარბია იმერეთი და „...დასწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ“[9] იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.) დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა გელათში.

გათხრებმა ცხადყო, რომ ამ ეტაპზე აკადემიის კედლები გამაგრებულია სწორკუთხა კონტრფორსებით, დაკირული ქვევრებით განახლებულია ძირა სართულის მარანი, მთლიანად განახლებულია თაღოვანი ტალანი, გადაკეთებულია ტალანთან დაკავშირებული სათავსები და მათთვის ატმოსფერული ნალექების ასარიდებელი პირვანდელი ღვარსადენები (სურ. 11).

მომდევნო ეტაპზე (დაახლ. XVII-XVIII სს.) ძირა სართულის მარანი გაუქმებულია და მის აღმოსავლეთ ნაწილში ჩადგმულია თაღოვანი სათავსი-„მაცივარი.,“ ამოქოლილია მარანში შესასვლელი ძირა სართულის კარი და „მაცივარში“ ჩასვლა აკადემიის ინტერიერიდან ასახდელი ლუკის მეშვეობით ხდებოდა (სურ. 9-10, 14)., თაღოვან ტალანთან დაკავშირებული ზოგიერთი სათავსი სახეცვლილია, ან საერთოდ გაუქმებულია და მათ ადგილზე დიდი ზომის დაკირული ქვევრებით წარმოდგენილი ღია მარანი ჩნდება (სურ. 11, 13). ამ ეტაპზე აკადემიის შენობა დიდი ხანია მონასტრის სატრაპეზოდაა გადაკეთებილი, რასაც 1650-1652 წლებში იმერეთში მყოფი რუსი ელჩები და სხვა ავტორებიც ადასტურებენ.[10]

სატრაპეზოს სახურავი XIX ს-ის 40-იან წლებში ჩამოინგრა და მისი ფუნქციონირებაც შეწყდა.

2009 წელს გათხრილ მონაკვეთში დაფიქსირდა ნატეხი ქვებითა და ალიზის ხსნარით ნაგები XIX ს-ის შუახანების სამი შენობის ნაშთები და მათი თანადროული მარანი, 1903 წელს გერმანიიდან ჩამოტანილი მოჭიქული მილებით განახლებული მონასტრის წყალსადენის შიდა ქსელის ერთი მონაკვეთი და აიზომა 1915 წელს აგებული წყლის წისქვილის არხი (სურ. 11, 13).

სამი საველე ექსპედიციის შედეგად გამოვლენილია განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული და მოუჭიქავი სამშენებლო (კრამიტები), სუფრისა და სამზარეულო დანიშნულების თიხის ჭურჭლების, სარკმლის მინის, სამშენებლო მასალების (რკინის ლურსმნები), ვერცხლის ტრაპიზონული (XII ს-ის ბოლო, XIV ს-ის I ნახევრის) და სპილენძის ქართული (რუსუდან მეფის, XIII ს.) მონეტების საინტერესო კოლექცია.

2009 წელს მოწამეთის მონასტრის რეაბილიტაციის პროექტის დამუშავების პროცესში ჩატარდა მცირე მასშტაბის სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები.

მონასტერი მდ. წყალწითელას ხეობაში ღრმად შეჭრილ, სამი მხრიდან ციცაბო,

16



17

კლდოვანი ფერდობებით დაცულ ნახევარკუნძულზეა გაშენებული (სურ. 16-17). ქართული საისტორიო ტრადიციით, ამ ადგილს ქვია „ციხე-ქალაქი წყალწითელი," რომელიც VIII ს-ის 30-იან წლებში არაბებს დაუნგრევიათ. აქვე დანგრეული ეკლესიის

18

ქვეშ არსებულ აკლდამაში დაუკრძალავთ არაბთა მიერ ნაწამები ძმები, დავით და კონსტანტინე მხეიძეები.[11]

მონასტრის კარიბჭეში შემორჩენილი ტოლმკლავა ჯვრის (სურ. 19), გალავნის კედლებზე ფიქსირებული იზოდომური და დიდკვადროვანი წყობის საფუძველზე „ციხე-ქალაქი წყალწითელი"-გვიანდელი „მოწამეთა," დათარიღებულია ახ. წ. VI-ს-ით და გაიგივებულია პროკოფი კესარიელთან მოხსენიებულ „უქიმერიონის" ციხესთან.[12] სადაზვერვო სამუშაოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აღნიშნული დათარიღების სისწორე. მიუხედავად იმისა, რომ, კლდოვანი რელიეფის გამო, კულტურული ფენები გადარეცხილია, მოხერხდა V-VI სს-ით დათარიღებული სამშენებლო მასალის (კრამიტები) in situ ფიქსირება., დიდ მონაკვეთებზე გამოვლინდა იზოდომური და დიდკვადროვანი წყობით ნაგები გალავნის, კოშკების, კარიბჭის, აკლდამის კედლები და საჭაპანო ტრანსპორტისთვის განკუთვნილი, კლდოვან ქარაფზე გაყვანილი თავდაპირველი გზა (სურ. 18, 20,21,23).

19

რაც მთავარია, გაირკვა, რომ ადრეშუასაუკუნეების ციხე-ქალაქი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლირებული იყვნენ რთული, ძნელად დასაძლევი რელიეფით და კლდეში ჩაკაფული ღრმა და ფართო ხევებით (სურ. 17). მტრისათვის სრულიად მიუვალი შუა სიმაგრე-ციტადელი დანარჩენებს აღნიშნულ ხევებზე გადებული ხის ხიდებით უკავშირდებოდა. გარკვეულწილად მოდერნიზებული ეს სისტემა XIX საუკუნეშიც მოქმედებდა, რასაც მოგზაურებიც აღწერენ და საარქივო ფოტო და გრაფიკული მასალაც ადასტურებს.

სადაზვერვო გათხრებით გამოვლენილი XIX ს-ის კელიების ერთი ნაწილი თანამედროვე საჭიროების მიხედვით იქნა რეაბილიტირებული. სარეაბილიტაციო სამუშაოები ქუთაისსა და მის შემოგარენში გრძელდება და ყოველი მომდევნო სეზონი ახალი აღმოჩენებით ამდიდრებს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. ■

21

20

23

9 თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნი II, ტფ. 1897, გვ. 326;

10 ნ. ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. იასე ცინცაძის გამოცემა, თბ. 1970, გვ. 116;
ალექსი იევლევის 1651-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, იასე ცინცაძის გამოცემა, თბ. 1969, გვ. 135;
გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, ტ. I, თბ. 1962, გვ. 145;
მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ, „ანალები," თბ. 2000, გვ. 83;
ედუარდ აიხვალდი, საქართველოს შესახებ, თბ., 2005, გვ. 153;

11 მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 323-330., გ. გეგეჭკორი, მოწამეთა, ქუთ. 1991;

12 ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთ. 2007, გვ. 141-143;
ო. ლანჩავა, ნ. ქარციძე, უქიმერიონი „ციხე-ქალაქი წყალწითელია," ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX, ქუთ. 2009, გვ. 9-16.

THE SUMMARY

ARCHEOLOGICAL RESEARCHES
AT GELATI AND MOTSAMETA MONASTERIES

OMAR LANCHAVA, ROLAND ISAKADZE

Within the scope of preparation of Gelati Monastery Rehabilitation Project archaeological and geological exploratory trenches were cut on the territory of the 12-th century monastery during 2007 and 2008 field seasons. They particularly were applied around the main temple, next to St. George church, in the interior of the Academy building, in the western yard of the main temple, around the structures located next to King David the Builder's tomb and along the stone wall. As a result, several construction layers earlier then the monastery itself were revealed, their stratigraphy and chronology cleared out, all archaeologically sensitive areas defined and the sections of possible future excavations selected.

Following completion of the monastery rehabilitation design the interior of the academy building and a plot adjoining to its exterior from the north were excavated in 2008 and 2009. Most part of the academy interior was designed as a classroom with wide authentic desks arranged in rows. Its floor was made of lame mortar applied over the smoothed rocky surface and clay ground. A room was excavated in the northern part of the basement level of the building, apparently used as a storage or a vine cellar. The wooden floor separated this space from the upper floor- the academy classroom. A door cut through the northern wall of the wine cellar lead to the arched corridor excavated in the exterior of the academy building. It connected the wine cellar with several other auxiliary facilities. In the 16-th century the academy complex underwent considerable changes. Its initial destination was altered by that time and it was transformed into the refectory. In the following century the wine cellar and the arched corridor were abolished. A new vine storing area was arranged outdoors and a vaulted space had appeared instead of the earlier store room. This new one was apparently used as a cool-box with the only access through the round in shape manhole covered with lid. Remains of the 19-th century mud- brick and timber constructions were revealed at the upper layers of the excavated area, coupled with some leftovers a mill and of an ancient potable water supply system one section of which was renewed in the first decade of the 20-th century.

An early medieval fortified settlement containing there major sections was discovered during the small scale archeological excavations carried out in 2009 on the territory of Motsamenta Monastery. Bolnisi- type cross with even arms and huge cube masonry revealed on the excavated territory made possible to preliminary date the remains back to the 5-6-th centuries AD. This should be the very place referred to in original Georgian annals as "the fortified settlement of Tskaltsiteli" (Motsameta of later times) that apparently can be equated with the "Ukimerioni Fortress" mentioned in the narration of Procopius of Caesarea. ■

გონიო-აფსაროსი

ბოლო დროს აღმოჩენილი რომაული ეპოქის ძეგლები

შოთა მამულაძე

ციხის საერთო ხედი

აბანოების საერთო ხედი

ყაზარმის ნაშთების საერთო ხედი

წარმოდგენილ ნაშრომში მოკლედ გავამახვილებთ ყურადღებას რომაული ეპოქის ზოგიერთ იმ არქიტექტურულ ნაგებობებსა თუ არქეოლოგიურ მასალებზე, რომლებიც აღმოჩნდა ბოლო წლებში გონიო-აფსაროსში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (სურ. 1).

რომაული ხანის შენობა-ნაგებობებიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს აბანოების, ე.წ. თერმების ნაშთები (სურ. 2). ჯერჯერობით მიკვლეულია ორი აბანოს საძირკვლისა და კედლების გარკვეული ნაწილი, ერთი მათგანი პატარა ზომისაა, ჰქონია მხოლოდ საქვაბე და ცხელი განყოფილებები. უფრო მონუმენტურია მეორე აბანო, რომელიც მეციხოვნეებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. აბანოს სამხრეთ ნაწილში განლაგებულია საქვაბე განყოფილება, სადაც სპილენძის ქვაბის ნაკვალევი ახლაცაა შემორჩენილი. საქვაბე განყოფილება წვრილი გვირაბით დაკავშირებულია ცხელი აბანოს სარდაფთან, საიდანაც ჰაერის ცხელი ნაკადი ვრცელდებოდა და ათბობდა აბანოს იატაკ - სა და კედლებს, რომლებშიც დატანებული იყო თიხის მილები. აბანოს პირველი განყოფილება, ე.წ. კალდარიუმი სიმხურვალეს მაქსიმალურად შეიწოვდა. ცხელი აბანო ორი განყოფილებისაგან შედგება და იგი დაკავშირებული ჩანს თბილ აბანოსთან, ე..წ ტეპიდარიუმთან, რომელიც ასევე ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. აქვე აღ - მოჩნდა იატაკის საყრდენი ქვის გათლილი სვეტები, გამოვლენილია ცივი აბანოს, ე.წ. ფრიგიდარიუმის კედლის კონტური, აბა-ზანები. აქვე იყო მოსაცდელი განყოფილება ე.წ. აპოდიტერიუმი. ძველი აბანოს ნანგრევებზე ოსმალებს აღმოსავლური სტილის აბანო დაუშენებიათ. ამ უბანზე გათხრები ამჟამადაც გრძელდება.

აბანოთუბანთან ახლოს, ციხის სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩნდა რომაული ხანის (II-III სს.) მონუმენტური ნაგებობის ნაშთებიც (სურ. 3). მისთვის ძირითადად დამახასიათებელია საკმაოდ ფართე (1,1-1,20 მ) და მიწაში ღრმად ჩაშვებული საძირკვლები. ისინი მოზრდილი ქვათლილებისაგანაა ამოყვანილი. ზოგიერთის სიგრძე 1,5 მ-ია. მათზე გამავალი ქვის წყობის როგორც გარე, ისე შიდა ზედაპირი თიხის ხსნარითაა შელესილი. კედლებთან შედარებით კვადრები 20 სმ-ით წინაა გამოზიდული. შემორჩენილია ცოკოლზე დაშენებული ქვის წყობის სამი, ზოგჯერ ოთხი რიგი. საპირე ქვებად გვერდებჩამოსწორებული თუ სწორზედაპირიანი ნიმუშებია შერჩეუ - ლი. მათ შორის არსებული სივრცე შევსილია საშუალო და მოზრდილი ქვებისა და ტალახის ნარევით. ჰიდრავლიკური ხსნარის გამოყენების შემთხვევები ცოტა მოგვიანო პერიოდის (III ს.) ნაგებობებშიც გვხვდება. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,35-1,40 მ-ს აღწევს, ხოლო სიგანე 0,90-0,95 სმ. კედლების ძირითადი ნაწილი როგორც ადგილობრივ,

ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, გათხრების საერთო ხედი

ისე რომაულ ნაგებობებშიც კვლავინდებურად ხის კონტრუქციისაა.

ნაგებობა ორფერდა სახურავიანი უნდა ყოფილიყო. გადასახურავ მასალად, ძირითადად, გვხვდება სოლენის ტიპის კრამიტი, თუმცა შედარებით მოგვიანო პერიოდის ნაგებობებში, როგორც ადგილობრივში, ისე რომაულში, მატულობს ღარიანი ტიპის კრამიტის გამოყენების შემთხვევებიც. In situ შემორჩენილი ქვის ბაზები იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ზოგიერთ შენობას ჰქონია სვეტებიანი დარბაზი. მაგალითად, ყაზარმისათვის განკუთვნილ შენობას აღმოსავლეთით მთელს სიგრძეზე გალერეა მიუყვებოდა. საკუთრივ შენობის შიგნით გვხვდება სამზარეულო და სასადილო ოთახები, ღარიანი კრამიტით გამართული კოლექტორები, გათბობის სისტემები[1]. ზოგჯერ გამტიხრავი შიდა კედლები სოლენის ტიპის კრამიტების წყობითაა ნაშენები. გვხვდება ჰიდრავლიკურხსნარიანი, მოკირწყლული, კერამიკული ფილებით თუ აგურით გამართული იატაკი და ა.შ.

ციხის ცენტრალური მონაკვეთი. პრეტორიუმის ნაშთები

ეს ნაგებობა გარნიზონის ყაზარმადაა მიჩნეული. იგი ე.წ. ორფოსტატური ტექნიკითაა აშენებული. მსგავსი, თიხის ხსნარით ნაგები რომაული ხანის შენობები აღმოჩენილია ნიკონიაში (როქსალანთან ახლოს)[2], სოფ. დობროვში (ყირიმის ნახევარკუნძული)[3], ხარაკსის ხუროთმოძღვრებაში[4], ქერსონესში[5] და სხვ. მსგავსი ტექნიკით ნაგები ყაზარმის ნაშთები აღმოჩენილია ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც, კერძოდ ტირში. აქაც ფიქსირებულია ჩაქცეული სახურავის ნაწილი. კედლები შედგება ფუნდამენტ-ცოკოლისაგან, ნაგებია თიხის ხსნარით. აფსაროსის მსგავსად საძირკვლის ამოყვანისას გამოყენებულია დიდი ზომის ქვის ფილები. ნაგებია რთული ორფოსტატური სისტემით. ყაზარმა ფუნქციონირებდა III ს-ის შუა ხანებამდე[6]. შეიძლება სხვა პარალელების მოტანაც, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ახ. წ. II ს-ის დასაწყისიდან გონიო-აფსაროსის ციხის შიგნით არსებული ნაგებობების უმრავლესობა უკვე რომაული საფორტიფიკაციო ნაგებობებისათვის დამახასიათებელი სტილით შენდება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იღებენ იმ ელემენტებს, რაც აქ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრდა და პრაქტიკული თვალსაზრისით მისაღები დარჩა.

ციხის სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე, კერძოდ, 22-ე კოშკის წინ აღმოჩნდა რომაული ხანის ოთხკუთხა მოყვანილობის წყლის ცისტერნა, რომელიც ქვის კვადრში გამართული გამანაწილებლით წყალსადენთან ყოფილა შეერთებული. აქვე აღმოჩნდა ჭა.

მრავალმხრივ საინტერესო მასალაა გამოვლენილი შიდაციხის სამხრეთ-დასავ-

1 კახიძე, მამულაძე, 2004:10;
2 Кузменко, 1976, 219;
3 Пуздровский, 1988, 158;
4 Фирсов, 1975;
5 Белов, Стржелецкий, 1958, 83; Белов, Стржелецкий, Якобсон, 1953,171;
6 Клейман, 1976, 109-119.

6

წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები

ლეთ კუთხეში (სურ. 4). დედაციხის ეს ნაწილი რომაულ ხანაში ერთგვარ სამეურნეო-სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მოკვლეულია 30-მდე ქვის ხელწისქვილი, ამფორების გამოსაწვავი ქურისა და წარმოების ნაშთები, აგრეთვე რომაული ვერცხლის მონეტების განძი. აქვე გაითხარა ბავშვის სამარხი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნაკეთობანი, მათ შორის რომის იმპერატორების მონეტები[7]. ამ უბანზე გათხრები ამჟამადაც გრძელდება.

მნიშვნელოვანი საველე სამუშაოები განხორციელდა ციხის ცენტრალურ ნაწილში (უფრო ჩრდილო კედელთან ახლოს). აქაც შეისწავლება რომაული ხანის მონუმენტური ნაგებობის ნანგრევები. ჯერჯერობით გამოვლენილია კედლებისა და საძირკვლის ნაწილი: შენობის სიგრძე 28 მ ყოფილა, სიგანე-24 მ, იგი გარნიზონის უფროსის რეზიდენციად, ე.წ. პრეტორიუმადაა მიჩნეული (სურ. 5). გამოიყოფა 9 სათავსო; მათ შორის დარბაზი, სადაც ხდებოდა ელჩების მიღება და სადღესასწაულო ცერემონიალების ჩატარება. ამავე კომპლექსს ეკუთვნის დიდი ზომის ქვის ბაზები (2x1,2 მ, 1,4x1,3 მ და 1,2x1 მ-ზე). კედლების სიგანე 1,2-1,5 მ-ია; მათგან აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები პილონებითაა გამაგრებული, ხოლო ზოგან რუსტირებული კვადრებიცაა გამოყენებული. პრეტორიუმის ნანგრევებზე ადრეშუასაუკუნეებში ახალი ნაგებობა აღუმართავთ. ამ დროის უნდა იყოს შედგენილი დიდი ბაზები. მას ჰქონია გალერეა და ჩაუვლიდა ქვის ფილებითა და ბრტყელი კრამიტით მოპირკეთებული ქუჩა. ამ ნაგებობის ზუსტი გეგმა ჯერ არაა დადგენილი.

განვითარებული შუასაუკუნეების ნაგებობები ჯერ არაა მიკვლეული. ისინი, როგორც ჩანს, მთლიანად ხის კონსტრუქციის იყო.

გვიანშუასაუკუნეებით (ოსმალთა ბატონობის ხანა) თარიღდება კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი ქურა, მრგვალკოშკიანი ნაგებობის ნანგრევები, მეჩეთი, ზემოაღნიშნული აბანო, ქვაფენილიანი ქუჩები და ა.შ. (კახიძე, მამულაძე..., 2005; მამულაძე, კახიძე, კახიძე, 2007, 5-30)

სრულიად განსხვავებულია და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა გამართული რომაული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა(სურ. 6), რომელიც ციხის მშენებლობის საერთო დაგეგმარებაში ზის. სასმელ წყლად გამოუყენებიათ ციხის სამხრეთით გამომდინარე მსხვილი დებეტის მქონე შესანიშნავი წყარო. პირველ რიგში აუგიათ დიდი ზომის აუზი, რომლის საფასადო ნაწილი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო შიგა სივრცე დუღაბითაა შელესილი. ამ პერიოდის მსგავსი წყალსაცავი მეორე არცაა ცნობილი საქართველოში. სათავე ნაგებობიდან გაუყვანიათ მსხვილი მილების სამი რიგი, რომელიც შედიოდა ციხის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე. წყლის მილებით დატოტვილი ჩანს როგორც შიდაციხის, ისე

7 კახიძე, მამულაძე, მინდორაშვილი, ებრალიძე, 2005.

8 I-III საუკუნეების მინის ნაწარმი; სერაპისის ქანდაკება

გარექალაქის ტერიტორია[8]. აღსანიშნავია ისიც, რომ წყალმომარაგების სისტემები შესანიშნავად, პირვანდელ მდგომარეობაშია შემონახული. ამ მიმართებით შეიძლება ითქვას ანალოგი არც ეძებნება. საერთოდ, აფსაროსის წყალმომარაგების სისტემები ეხმაურება ანტიკური სამყაროს რიგ მსხვილ ცენტრებს[9]. თანადროული წყალმომარაგების სისტემების ნაშთები აღმოჩენილია ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზეც: ოლბიაში, ქერსონესში, ხარაკსში, პანტიკაპეონში, მირმეკიონში, ნოვაში და ა.შ.[10] უნდა აღი - ნიშნოს ისიც, რომ რომაელები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად იყენებენ არტეზიულ ჭებსაც.

რომაელებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოუწყვიათ ახ.წ. II-III სს. კანალიზაციების სისტემებიც. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საინტერესო მონაცემები დაგროვდა სამხრეთი კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე. ჯერჯერობით გამოიკვეთა ქვის ფილების მონუმენტურად ნაგები ოთხკუთხაგანივკვეთიანი კოლექტორის ნაშთები. ისინი დამზადებულია საგანგებოდ გათლილი მოთეთრო-მოყვითალო ქვისაგან. ეს სტანდარტული ფილები ადგილობრივი ჯიშის ქვას არ უნდა წარმოადგენდეს. კოლექტორის კედლებიც ასევე დამუშავებული ქვებითაა ამოშენებული, ხოლო ძირზე ქვის ფილებია დაგებული. არხის სიგანე 32 სმ-ია, სიმაღლე 45 სმ. კანალიზაციის მსგავსი სისტემა ფიქსირებულია ბიჭვინტაში, რომელიც აფსაროსის სისტემებთან შედარებით ერთი საუკუნით უფრო გვიანდელია[11]. აფსაროსის მსგავსი ოთხკუთხა ფილებითაა გადახურული ათენის აკროპოლის კანალიზაციის სისტემაც[12]. ასევე მსგავსი სისტემა ცნობილია პოტაისადან (რუმინეთი)[13].

აფსაროსის ბოლო წლების არქეოლოგიურ მონაპოვარში წამყვან ადგილს ახ.წ. I-III სს ამფორები იკავებს (სურ. 7). მათდამი ინტერესი დიდია, რადგან ისინი შესაძლებლობას გვაძლევს ასწლეულების მანძილზე თვალი გავადევნოთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ უნმიშვნელოვანესი ცენტრის ურთიერთობებს დანარჩენ სამყაროსთან. მათში სახეობრივად ჭარბობს შემოტანილი ნაკეთობანი. რაოდენობრივი თვალსაზრისით კი წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი. ახალი აღმოჩენების მიხედვით ცალკე გამოიყოფა თვით გონიო-აფსაროსში წარმოებული პროდუქციაც. გონიო-აფსაროსის სახით ანტიკური საწარმოო ცენტრების ფართო არეალს კერამიკული ტარის დამამზადებელი ახალი ცენტრი შეემატა. ადგილობრივი წარმოების შესახებ უდავოდ მრავლისმთქმელია აფსაროსში აღმოჩენილი ქურა-სახელოსნო, რომელიც ახ.წ. II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში ფუნქციონირებდა, აქ ძირითადად ყელწიბოიან და შედარებით მცირე ზომის ყავისფერკეციან ამფორებს ამზადებდნენ.

დღეისათვის აფსაროსის მასალებში გამოიყოფა რომაული პერიოდის ამფორების 20-მდე ტიპი, რომლებიც თავის მხრივ ცალკეულ სახეობებად იყოფიან[14]. დასტურდება, რომ ციხე-ქალაქის ცხოვრების პირველ ეტაპზე, ახ. წ. I ს მიწურულსა და II ს-ის დასაწყისისათვის წამყვანია იმპორტული კერამიკული ტარა; ესაა იტალიკური, კოსური და როდოსული ამფორები, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის იშვიათობას წარმოადგენს. ახ. წ. II საუკუნის შუა ხანებიდან მდგომარეობა არსები-

8 კახიძე, მამულაძე..., 2005,38-40; კახიძე, მამულაძე, ებრალიძე, 2002:44-50; მამულაძე, კახიძე, კახიძე, 2007, 5-30;
9 Robinson, 1938, 310;
10 Карасев, 1941, 129; Карасев, 1975, 42-43; Карасев, Леви, 1958:131; Блаваткий, 1951, 254; Блаваткий, 1960; Гайдукевич, 1959, 68; Маевский, 1961;
11 თოლორდავა, 1977, 151, 155-157;
12 Frantz, 1988, 71;
13 Barbulescu, 1990, 821-8თა32;
14 ხალვაში, 2002, 10; Khalvashi, 2006; კახიძე, მამულაძე,ხალვაში, ებრალიძე, მინდორაშვილი, შალიკაძე, 2009.



7

რომაული ეპოქის ამფორები

თად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადებული ამფორები. როგორც ჩანს აფსაროსში განლაგებული რომაელთა ჯარების მომარაგების საქმეში მთავარ როლს უკვე სამხრეთი შავიზღვისპირეთი, კერძოდ სინოპი, ამოსო, ტრაპეზუნტი და ჰერაკლეა ასრულებდა.

გონიო-აფსაროსის ბოლო პერიოდის მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია წითელლაკიან კერამიკას. აქაც მცირე რაოდენობით გვხვდება ახ.წ. I საუკუნის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრში დამზადებული წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები[15]. ამ ტიპის კერამიკა იტალიკური ნაწარმის ტიპშია გაერთიანებული და ახ.წ. I საუკუნით თარიღდება[16]. ამავე ეპოქის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ცენტრალურ გალიაში აღმოჩენილ ნიმუშებს ემსგავსება და ფართოდ ჩანს გავრცელებული ევროპულ ნაწილში. ისინი ახ. წ. I საუკუნით თარიღდება[17]. გონიო-აფსაროსში ამავე ეპოქის დასვლეთ ევროპის საწარმოო ცენტრში დამზადებული რამდენიმე ჭრაქიც აღმოჩნდა[18]. აფსაროსში ასევე გვხვდება წითელლაკიანი კერამიკის პერგამული წარმოშობის ადრეული ნიმუშებიც, რომლებიც ასევე ახ. წ. I ს-ით თარიღდებიან. აქაური ნაწარმი ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან თანდათანობით მატულობს და II-III სს კულტურულ ფენებში კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახ.წ. I ს სინოპური ლუთერიები საქართველოს ზღვისპირეთში მხოლოდ აფსაროსშია აღმოჩენილი. მათი რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს ახ. წ. II-III სს. გვხვდება სხვა საწარმოო ცენტრებიდან შემოტანილი ნაწარმიც. მათზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს საუკუნეების მანძილზე მჭიდრო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან, განსაკუთრებით კი სამხრეთ შავიზღვისპირეთთან.

ბოლო წლების გათხრების შედეგად გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი მინის ნაწარმიც აღმოჩნდა (სურ. 8, 1-2). მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რომაული ხანის მინის ჭურჭლის მსგავსი ნაირსახეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ძეგლებისათვის ჯერ-ჯერობით არაა დადასტურებული. აქ მო-

9

რომაული ეპოქის მონეტები

15 ებრალიძე, 2005, 29-32; ებრალიძე, 2009, 147-165; შალიკაძე, ებრალიძე, 2009, 169;
16 Mikl-Curk, 1954: taf. I/1;
17 Hofman,1986, 48-49;
18 ებრალიძე, 2009, 162; მამულაძე, ებალიძე, 2008, 32-39.

ლითონის და თიხის ჭრაქები I-III საუკუნეები

პოვებული მინის ნაწარმი უპირატესად ახ.წ. I-III საუკუნეების სხვადასხვა საფეხურით თარიღდება[19]. ჩანს, რომ გონიო-აფსაროსში ახ.წ. I საუკუნეში უპირატესად გავრცელებული იყო დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში წარმოებული პროდუქცია (განსაკუთრებით მოზაიკური და ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალები). რაც შეეხება ახ.წ. II-III საუკუნეების მინის ნაწარმს, ისინი ძირითადად აღმოსავლეთ-შავიზღვისპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდანაა შემოტანილი.

ბოლო წლების მონაპოვრებს შორის ასევე ყურადღებას იქცევს ციხის ტერიტორიის სხვადასხვა უბანზე აღმოჩენილი დამღიანი აგურებისა თუ კრამიტების ფრაგმენტები. წერილობითი წყაროებისა და დამღებზე დაცული წარწერების მიხედვით დასტურდება, რომ აფსაროსში იდგა შემდეგი დასახელების რომაული კოჰორტები: აბელას წარწერაში მოხსენიებული დამხმარე საგუშაგო რაზმები, ე.წ. "numer"-ები, იმპერატორ კლავდიუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტა, მოისართა კოჰორტა – "Sagittarius" და იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა[20]. არსებული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არიანეს "Periplus"-ში დასახელებული აფსაროსში მდგარი ხუთი კოჰორტა დამხმარე კოჰორტებია და არა ლეგიონური.

გონიო-აფსაროსის ბოლო წლების მრავალრიცხოვან მონაპოვრებს შორის ასევე ყურადღებას იქცევს სერაპისის ქანდაკება (სურ. 8, 3), რომელიც სამხრეთი კარიბჭის გარეთ SW-III სექტორის მე-80 კვადრატში მინის ნაწარმთან თუ მონეტებთან ერთად აღმოჩნდა. იგი ახ.წ. II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით თარიღდება და სევერიუსის (193-211 წწ.) მმართველობის ეპოქის თანადროულ ნიმუშებს მიეკუთვნება[21]. მსგავსი ნიმუშები საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი რომის იმპერიის რეგიონებში და ისინი თავმოყრილია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში[22].

ბოლო წლების მონაპოვრებში ასევე საკმაოდ მრავალრიცხოვანია ლითონის ნაკეთობანი, მათ შორის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულები: საყურეები, ბეჭდები, რგოლები, გულსაკიდები, მძივები, სამაჯურები, ქინძისთავები, ძეწკვები. ასევე სხვადასხვა დანიშნულების ნივთები-კოვზები, მახათები, დანები, ჭრაქები, სამფეხები, ბულა, კანდელაბრი, ყალიბები და ა.შ. ბევრია ქვის ჭურვები, შურდულის ქვები, სალესები, საპრიალებლები, მორგვი და სხვა. ასევე ითქმის რკინის იარაღების შესახებაც და ა.შ.[23] მათ შესახებ ამჯერად ვრცლად აღარ შევჩერდებით.

19 კახიძე, შალიკაძე, 2009, 54-89; შალიკაძე, 2004, 15-74;
20 მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, 91-94; Мамуладзе Ш. Халваши М. Асланишвили; ასლანიშვილი, 2008, 83-105;
21 მამულაძე, 2009; 131-146;
22 Hornbostel, 1973, fig 82, 244, 245, 248, 250-255;
23 კახიძე, მამულაძე, ხალვაში, ებრალიძე, მინდორაშვილი, სულავა, შალიკაძე, 2009.

გონიო-აფსაროსის ბოლო პერიოდის აღმოჩენებს შორის ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნუმიზმატიკური მასალები (სურ. 9). მათგან ყველაზე ადრეულია ტიბერიუსის სახელით ქ. ლუგდენუმში (გალია) მოჭრილი დენარი[24]. ამ ზარაფხანაში მოჭრილი I საუკუნის მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული კასტელუმებისათვის თითქმის უცნობია. უნიკალურ მონაპოვართა შორის უნდა ჩაითვალოს იუდეის მეფის აგრიპა I (37-44 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტის აღმოჩენა. გონიო-აფსაროსში მოპოვებული რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფებს შეადგენს ქ. ანტიოქიის მონეტები. სირიული მონეტების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ტიტუსის სახელით ქ. გადარაში მოჭრილი სპილენძის მონეტა[25]. ეს მონაპოვარი ერთადერთია არა მარტო აფსაროსისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისაა კაპადოკიის ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. აფსაროსის ნუმიზმატიკურ მასალებში გვაქვს დენარებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქ.ტრაპეზუნტის მონეტები. გონიოს ბოლო დროის მონაპოვრებს შორის გვაქვს გორდიანე III სახელით ქ. სინოპში მოჭრილი სპილენძის მონეტაც. აფსაროსში აღმოჩენილი II საუკუნის მონეტების უმრავლესობა რომშია მოჭრილი. გვხვდება კესარიაში, აღმოსავლეთის ზარაფხანაში, ტრაპეზუნტში და ნეოკესარიაში მოჭრილი მონეტებიც (ვარშალომიძე, 2009, 60). რაც შეეხება III საუკუნის მონეტებს, მათი უმრავლესობა ვერცხლისგანაა დამზადებული. ისინი ძირითადად მოჭრილია კესარიაში, რომში, ტრაპეზუნტში, თესალონიკში და სინოპში[26]. II-III საუკუნეების აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ჩანს, რომ აფსაროსი მცირე აზიის გავლენის სფეროა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად მიმართულია კაპადოკიის პროვინციისა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქალაქებისაკენ.

აფსაროსში ადრე და განსაკუთრებით ბოლო წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ ახ.წ. I საუკუნეში აქ დაბანაკებული რომაული გარნიზონები ძირითადად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილებიდან მარაგდებოდა. ეს კარგად ჩანს, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ყველა ტიპის კერამიკული მასალის (ამფორები, წითელლაკიანი კერამიკა და ა.შ.), ისე მინის ნაწარმის, ნუმიზმატიკური მონაცემების თუ სხვა ტიპის მონაპოვრების მიხედვითაც. ბოლო წლების მონაპოვრებზე დაყრდნობით ასევე ჩანს, რომ ახ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ სინოპი, ამისო, ტრაპეზუნტი, ჰერაკლეა და სხვა. ურთიერთობა არ წყდება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთანაც. არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მიხედვით ასევე ჩანს, რომ რომაული გარნიზონები გონიო-აფსაროსში IV საუკუნის მეორე ნახევრიდან აღარ დგანან. შეიძლება ითქვას, რომ აფსაროსის ციხესიმაგრე აქედან მოკიდებული ვიდრე VI ს-ის 30-იან წლებამდე უბრალოდ მიტოვებულია. ამ მოსაზრებას წერილობით წყაროებთან ერთად მხარს უჭერს არქეოლოგიური მონაცემებიც. აფსაროსში მოპოვებული მრავალრიცხოვანი წითელლაკიანი ნაწარმის თითქმის არც ერთი ეგზემპლარი არაა შემკული რელიეფური დეკორით. მაშინ, როცა IV საუკუნის და განსაკუთრებით V საუკუნის წითელლაკიანი ნაწარმი საკმაოდ უხვადაა ორნამენტირებული, რელიეფური, გეომეტრიული თუ მცენარეული მოტივებით. აქ არ გვხვდება ე.წ. ლურჯხალიანი მინის ერთი ფრაგმენტიც კი, რომელიც სპეციალისტთა აზრით ჩნდება დაახლოებით IV საუკუნის მეორე ნახევარში და არსებობს V საუკუნის დასაწყისამდე. აქ აღმოჩენილ მდიდარ ნუმიზმატიკურ მასალაში არც ერთი მონეტა არ თარიღდება IV საუკუნის მეორე ნახევრით, V საუკუნითა და VI საუკუნის ოცდაათიანი წლებით. ციხე-ქალაქ აფსაროსში ცხოვრების გამოცოცხლება VI საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან იწყება. ამაზე კი ვრცლად ჩვენ სხვა დროს შევჩერდებით. ■

სანელსაცხებლე, I ს.
Glass perfume, I c.

24 ვარშალომიძე, 2009, 51;
25 ვარშალომიძე, 2009, 52;
26 ვარშალომიძე, 2009:61.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 ლ. ასლანიშვილი, რომაული გარნიზონები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში (გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი. ბათუმი, 2008.
2 ტ. ებრალიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით). გონიო-აფსაროსი VI, ბათუმი, 2005.
3 ტ. ებრალიძე, აფსაროსი ახ.წ. I საუკუნეში. გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი, 2009.
4 ი. ვარშალომიძე, მონეტები გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი VII, ბათუმი, 2009.
5 ვ. თოლორდავა, ბიჭვინტის ნაქალაქარის IV უბანი. დიდი პიტიუნტი, II, თბილისი, 1977.
6 ა. კახიძე, შ. მამულაძე, ტ. ებრალიძე, 2000წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. გონიო-აფსაროსი III, თბილისი,2002.
7 ა. კახიძე, შ. მამულაძე, სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. გონიო-აფსროსი IV, ბათუმი, 2004.
8 ა. კახიძე, შ. მამულაძე, მ. ხალვაში, დ. მინდორაშვილი, ტ. ებრალიძე, გონიო-აფსაროსში 2004 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, ბათუმი, 2005, ხელნაწერი.
9 ა. კახიძე, შ. მამულაძე, მ. ხალვაში, დ. მინდორაშვილი, ტ. ებრალიძე, თ.შალიკაძე, გონიო-აფსაროსში 2008 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, ბათუმი 2009, ხელნაწერი
10 ა. კახიძე, შ.მამულაძე, მ.ხალვაში, ტ. ებრალიძე, დ.მინდორაშვილი, ნ.სულავა, თ.შალიკაძე, გონიო-აფსაროსში 2006, 2007, 2008, 2009 წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, ხელნაწერები, ინახება გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში.
11 ა. კახიძე, თ. შალიკაძე, მინის ჭურჭელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ფიჭვნარი IV, გონიო-აფსაროსი IX, ბათუმი-ოქსფორდი, 2009.
12 შ. მამულაძე, მ.ხალვაში, ლ.ასლანიშვილი, აფსაროსის რომაული გარნიზონები. კავკასიის მაცნე №2, თბილისი, 2000.
13 შ. მამულაძე, ა.კახიძე, ე. კახიძე. გონიო-აფსაროსი, თბილისი 2007
14 შ. მამულაძე, ტ.ებრალიძე, ჭრაქები გონიო-აფსაროსიდან. იბერია-კოლხეთი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ.ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის გამოცემის – "ძიებანი არქეოლოგიაში" დამატება 4, თბილისი, 2008.
15 შ. მამულაძე, სარაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი, 2009.
16 თ. შალიკაძე, გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. გონიო-აფსაროსი V, ბათუმი, 2004.
17 თ. შალიკაძე. ტ. ებრალიძე, დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპორტული ნაკეთობის ზოგიერთი სახეობანი გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი, 2009.
18 მ. ხალვაში, კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი II, ბათუმი 2002
19 Белов П.Д., Стржелецкий С.Ф., Кварталы XV и XVI (раскопки 1937). – МИА, 34, 1953
20 Белов Т.Д., Стржелецкий С.Ф., Якобсон А.Л., Квартал XVIII. – МИА, 34, 1953: 171.
21 Блаваткий В.Д. ,Харакс. – МИА, 19, 1951
22 Блаваткий В.Д., Раскопки Пантикапея в 1954-1958 гг. – СА, 2, 1960
23 Гайдукевич В.Ф., Мирмекий, Варшава, 1959
24 Карасев А.Н., К вопросу о водоснабжении Ольвии. – СА, 7, 1941
25 Карасев А.Н., К вопросу водоснабжении Ольвийской гимнасии. – КСИА, 143, 1975
26 Карасев А.Н., Леви Е.И. Ольвийская агора. – СА, 4, 1958
27 Клейман И.Б., К Стратиграфии напластований римского времени в Тире. – МСАСП, 8, Киев, 1976
28 Кузменко В.И. Исследование римских слоев Никония. – МАСП, 8, Киев, 1976
29 Маевский К. Археологические исследования римского народа города Новы (Болгария) в 1960 г . – СА, 4, 1961
30 Мамуладзе Ш., Халваши М., Асланишвили Л., Римские гарнизони Апсара. ВДИ 1 (240), М. 2002
31 Пуздровский А.Е. Мегарион позднескифского поселения у с. Доброе. – ААИК, Киев, 1988
32 Фирсов Л.В. Известковый вяжущий раствор в обороне тельных стенах Харакса (Крым). – СА, 1, 1975
33 Frantz A., Late Antiquity: 267-700, The Athenian Agora, 24, 1988.
34 Hofman B., La ceramigue sigilloe, Pariz, 1986
35 Hornbostel W.Sarapis, Leiden,1973
36 Mihai Barbulescu. Les principia du Camp Legionnaire de Potaissa.-Akten des 14.internationalen limeskongresses 1986 in Carnuntum. Teil 2, wien 1990.
37 Mikl-Curk L.Terra sigillata in soronde v-ste keramike iz Poetovija, ADJ IX, Beograd, 1954
38 Khalvashi. Roman amphorae from Gonio-apsarus, International Rouvd-Table Conference Batumi-Trapzon, 27th--29-th April, 2006, list of Abstracts
39 Robinson D.M. Cralaw J.M. The Hellenic House, Olynthus, 8, 1938
40 Waterworks in the Athenian Agora, Prinecton/New jersey, 1968
41 The Athenian Agora, 1984.

THE SUMMARY

ANCIENT ROMAN MONUMENTS EXCAVATED AT GONIO-APSARUS IN RESENT YEARS

SHOTA MAMULADZE

The article deals with the remains of the Ancient Roman structures dated back to the I-III cc AD and with the artifacts revealed during the archeological excavations at Goio-Apsarus Fortress undertaken during the recent years.

Remains of a bath house – therma, a military barrack of the garrison, a praetorium, several residential and public houses and storing facilities unearthed inside the fortress, coupled with well preserved pipe-work used for potable water supply and sewage systems are the discoveries of Roman architecture being most accurately considered in the article. The associated and supporting artifacts, such as pottery shreds, several samples of red-polished ceramics, glassware, metal produce and currency discovered during the archaeological excavations carried out in the recent field seasons are also considered within the paper.

Based on those finds and the notes preserved in chronicles it became obvious that the Roman garrisons detached to the Gonio-Apsarus fortress to serve their dusted during the first century AD were basically supplied from the eastern Mediterranean regions and western provinces of the Roman Empire. However, from the early second century AD the channels of supply were altered fundamentally and southern black sea cities of Sinop, Amos, Trabzon, Heraclea and others became the basic points of supply for the Roman units based in Gonio-Apasrus, though historical contacts with the eastern Mediterranean were being maintained as well, but they became less intense.

It is a proven fact that in the second half of fourth century AD the Romans had abandoned the fortress and most probably it had been remaining empty for around the following two centuries, until the period when the Byzantine troops have seized the legacy of their ancestors in the 30-ies of the sixth century AD. ■

ნეკრესის მონასტერი

ე.წ. „საფლავს ზედა ეკლესიის“ რეაბილიტაცია

ხელოვნებათმცოდნე: **გია ჭანიშვილი**
არქეოლოგი: **ნოდარ ბახტაძე**
არქიტექტორ-რესტავრატორი: **მიხეილ გელაშვილი**

2009 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დავალებით დავიწყეთ ნეკრესის მონასტრის ე.წ. **„საფლავს ზედა ეკლესიის“** შესწავლა და შევადგინეთ ამ ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტი (არქიტექტორ-რესტავრატორი მიხეილ გელაშვილი, ხელოვნებათმცოდნე გია ჭანიშვილი, არქეოლოგი ნოდარ ბახტაძე).

ვინაიდან პროექტირების დანიშნულება სამლოცველოს რეაბილიტაცია და მისთვის თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნება იყო, ჩვენი კვლევის მიზანს ამ ნაგებობის დაზიანებული, გადაკეთებული და აღარარსებული ნაწილების თავდაპირველი სახის დადგენა წარმოადგენდა.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო კომპლექსური ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, რაც ითვალისწინებდა ძეგლის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ, არქიტექტურულ, სახელოვნებათმცოდნეო და არქეოლოგიურ შესწავლას.

სარესტავრაციო სამუშაოები აქ ადრეც ჩატარებულა და გარკვეულწილად, ჩვენი მიზანი, ამ სამუშაოთა შეფასება და ხარვეზების აღმოფხვრაც იყო.

ადგილმდებარეობა – ნეკრესის მონასტერი მდებარეობს სოფ. შილდასა და ყვარელს შორის კავკასიონიდან ჩამოზრდილ ქედზე და გადაჰყურებს ალაზნის ველს. გრემი-ყვარელის სამანქანო ტრასიდან ჩრდილოეთით მონასტრამდე სამნახევარი კმ-ის მანძილია. მთის ძირას ნეკრესის ნაქალაქარია, მაღლა სერზე კი – ნეკრესის მონასტერი.

ნეკრესის სამონასტერო კომპლექსი ეროვნული მნიშვნელობის ხუროთმოძღვრული ძეგლია. დამტკიცებულია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს 2006წ. 07. 11. № 3/133 და საქართველოს პრეზიდენტის № 665 ბრძანებულებით.

მონასტერი ორ დახრამულ ფერდობს შორის მოქცეულ დამრეც სერზეა შეფენილი. სამონასტრო ნაგებობები დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზეა მიმართული. **„საფლავს ზედა ეკლესია“** მონასტრის ცენტრში



ნეკრესის აკლდამები და ჭრილი

დასავლეთ ფასადი და ჭრილი

ხელოვნურად მოწყობილ სუბსტრუქციაზე დგას. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში **„მცირე ბაზილიკად“** მოიხსენიებოდა და მიჩნეული იყო IV საუკუნის ნაგებობად. **„საფლავს ზედა ეკლესიის“** აღმოსავლეთით, ზედა ტერასაზე **ღმრთისმშობლის სამეკლესიიანი ბაზილიკაა** (VI-VII სს).; იქვე, სამხრეთით **საეპისკოპოსო სასახლეა** (გარდამავალი ხანა – VIII-IX სს) **სათავდაცვო კოშკითურთ** (გვიანი შუა საუკუნეები); დასავლეთით დაბლა, **სატრაპეზო** და სხვა სამონასტრო ნაგებობებია; მონასტრის ქვედა ტერასაზე, უკიდურეს დასავლეთ ნაწილში ასევე გარდამავალი ხანის **გუმბათიანი ეკლესიაა**; მონასტერი შემოფარგლული ყოფილა **გალავნის კედლით**, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად განადგურებულია; ფერდობზე ირგვლივ, ბევრგან არის შემორჩენილი **სამონასტრო ნაგებობათა ნაშთები.**

ისტორიული ცნობები – ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით ქალაქი ნეკრესი იბერიის მეფე ფარნაჯომის დაარსებულია ძვ. წ. II საუკუნეში: „იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“ [10. 29,33].

ლეონტი მროველთან და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცულია ქალაქ ნეკრესში **იბერიის მეფე თრდატის მიერ IV საუკუნეში ეკლესიის აგების ცნობა** [10. 137], [11. 325]. დღემდე თრდატის მიერ აგებული ეკლესია გაიგივებული იყო ნეკრესის „მცირე ბაზილიკასთან“, თუმცა უკანასკნელი ხანის აღმოჩენებმა ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა. კერძოდ, **მეფე თრდატის** მიერ აგებულ ეკლესიად ზოგი მკვლევარი არა მონასტრის ნაგებობას, არამედ მონასტრის ქვევით, ნეკრესის ნაქალაქარში განათხარ სამნავიან, დიდი ზომის „ჭაბუკაურის“ ბაზილიკას მიიჩნევს (არქეოლოგები ლ. ჭილაშვილი, ნ. ბახტაძე) [2. 209]; ისტორიულ წყაროებში შემორჩენილია, ასევე, ცნობა აბიბოს ნეკრესელის მიერ ნეკრესში მონასტრის დაარსების შესახებ VI ს-ში [13. 207].

საფლავს ზედა ეკლესია

ნეკრესის მონასტრის **„საფლავს ზედა ეკლესია“** ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებით ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ადრეული და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი ბაზილიკურ ფორმას მიახლოვებული, ოთხივე მხრიდან თაღოვანი ღიობებით გახსნილი, ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ე.წ. „საფლავს ზედა ეკლესიაა“ – ეს არის განივ ღერძზე განვითარებული სამნავიანი სტრუქტურა, მცირე აბსიდიანი ცენტრალური მაღალი მოცულობით და დაბალი გვერდითი ნავებით.

დღევანდელი სამლოცველო რამდენიმე სამშენებლო პერიოდის ნაყოფია. თავდაპირველი, ადრე შუასაუკუნეების ნაგებობის დაზიანების შემდეგ პირველი ცვლილება გარდამავალ ხანაში (IXს.) ხდება, შემდეგ კი გვიან შუა საუკუნეებში.

თავდაპირველია დასავლეთისკენ დამრეც კლდოვან რელიეფზე ხელოვნურ სუბსტრუქციაში მოწყობილი, კამარულგადახურვიანი კრიპტა და მასზე აღმართული სამლოცველოს გეგმარებითი სტრუქტურა და კედლების ძირითადი მასა, ოთხივე მხრივ გახსნილი საფასადო თაღოვანი ღიობებით.

გარდამავალ ხანაში უნდა მომხდარიყო სამლოცველოს სამხრეთი ნავის დასავლეთი კედლის გრადუსის შეცვლა და მიმართვა იმავე დროს აგებულ საეპისკოპოსო სასახლისკენ, სადაც მოეწყო თაღოვანი კარიბჭე-გასასვლელი მონასტრის ზემო ნაწილისკენ; ამავე ხანაში უნდა იყოს მოწყობილი თაღით გახსნილი სტრუქტურა სამლოცველოს ჩრდილოეთი ნავის სახურავზე, რის შედეგადაც გაგანიერდა ცენტრალური დარბაზის ზედა მოცულობა.

გვიან შუასაუკუნეებში მოხდა საფასადო თაღოვანი ღიობების ამოშენება. ასევე თაღოვანი ღიობის ამოშენება ცენტრალურ დარბაზსა და სამხრეთ ნავს შორის. გ. ჩუ-

ბინაშვილს აღნიშნული აქვს, რომ ამ დროს ჩრდილოეთ ნავზე აუშენებიათ მეორე სართული. ამ კედლის ფრაგმენტი აღბეჭდილია გ. ჩუბინაშვილის „კახეთის არქიტექტურის“ II ტომში. ილ. 2ა და 3ა [15]. ამავე დროს ხდება სამხრეთი ნავის სამხრეთი საყრდენი კედლის გადაკეთება და ახალი კრამიტის სახურავის მოწყობა.

XX საუკუნის ბოლო მესამედში, მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს, მოიხსნა ზედა სართულის კედლის ნაშთი სამლოცველოს ჩრდილოეთ ნავის სახურავზე. ნაგებობა გასუფთავდა მცენარეებისგან (გარდა ჩრდილოეთ ნავზე ამოსული ხისა). ცენტრალურ ნავზე გამაგრდა მორყეული წყობა და მოეწყო კრამიტის სახურავი.

2000 წელს აღდგა სამლოცველოს ცენტრალური ნავის კამარა და კონქის ზედა მონაკვეთი, ჩრდილოეთი ნავის კამარა და ჩრდილო-დასავლეთის გაგლეჯილი კუთხე. მოიხსნა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ამოსული ხე; გაიხსნა ჩრდილოეთ ნავის ჩრდილოეთი ღიობი და გადაეწყო ნალისებური თაღი; მოეწყო ლავგარდანი ჩრდილოეთ ნავზე; შეკეთდა და გადაეწყო კრიპტაში ჩასასვლელი ქვის საფეხურებიანი კიბე; ამაღლდა ცენტრალური დარბაზისა და ჩრდილოეთ ნავის იატაკი; მოეწყო კრამიტის ახალი საბურავი.

2009 წ. გაიზომა სამლოცველო და ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები სამლოცველოში და მის ირგვლივ. ასევე სატრაპეზოს ჩრდილოეთ კუთხესთან ათიოდე მეტრში გაითხარა განვითარებული შუა საუკუნეების **წყარო** და **ბერთა სენაკები** (არქეოლოგი ნ. ბახტაძე);

სამლოცველოს გეგმარება, ფასადები და სტრუქტურა

ეკლესიას გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსი ასახულობა აქვს. იგი აგებულია ხელოვნურად მოწყობილ სუბსტრუქციაზე, რომელშიც განთავსებულია ნახევარწრიულ კამარიანი კრიპტა (ჩრდილო მონაკვეთში) და ქვაყუთი სამარხები (სამხრეთ და ცენტრალურ მონაკვეთებში); ნაგებობა დაგეგმარებულია სამხრეთ-ჩრდილოეთის გრძივი მიმართულებით. აქ ერთმანეთს ერწყმის სამი დამოუკიდებელი კომპონენტი:

- ცენტრში მაღალი და ვიწრო დარბაზია კამარული გადახურვით და საკურთხევლის მცირე ნალისებრი აბსიდით აღმოსავლეთისკენ;
- ცენტრალურ დარბაზს ნალისებური, ოდნავ შეისრული ღიობით ემიჯნება ჩრდილოეთის ცალქანობიანი ნავი მრუდე ნახევარწრიული კამარით, რომელიც დანარჩენი სამი მხრიდანაც გახსნილია ნალისებური ფორმის სხვადასხვა ზომის თაღოვანი ღიობებით (დასავლეთი ღიობი ამოშენებულია. მასში დატანილია მცირე სარკმელი. აღმოსავლეთის ღიობი გადაკეთებულია თარაზულ ზედანიან შესასვლელად. ჩრდილოეთის უფრო მოზრდილი ღიობი რამდენიმე წლის წინ არის რესტავრირებული); ჩრდილოეთ ნავის ქანობზე, ცენტრალური დარბაზის მაღალ მოცულობაზე მიშენებულია შუაში თაღით გახსნილი სტრუქტურა, რომელიც აგანიერებს ცენტრალური დარბაზის ვიწრო ფასადს;
- სამხრეთით ცენტრალურ დარბაზს, ასევე ნალისებური ოდნავ შეისრული ღიობით, სამხრეთი ნავის მოცულობა ემიჯნებოდა, რომელიც ამჟამად თითქმის სრულად მონგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ მისი დასავლეთი ფასადის თაღოვანი ღიობის ჩრდილო ნაწიბური (რომელიც დანარჩენ საფასადო ღიობების მსგავსად მოგვიანებით ამოუშენებიათ) და კამარის მცირე მონაკვეთი. კამარა დანარჩენი ნავებისგან განსხვავებით, ამ ნავის ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე იყო მიმართული.

სამხრეთის ფასადი და ჭრილი

სამლოცველოს ცენტრალური დარბაზის ზედა ნაწილი აბსიდთან ერთად წარმოადგენს აზიდული პროპორციების მქონე ერთიან

ხედი დასავლეთიდან

სივრცეს. აბსიდში დატანილია ვიწრო და მაღალი, ნალის ფორმის კლიტისებური სარკმელი. ვიწრო მართკუთხა სარკმელია დატანილი ცენტრალური დარბაზის სამხრეთ ფასადის ზედა მონაკვეთშიც. ცენტრალური დარბაზი თაღოვანი ღიობებით სივრცობრივად გაერთიანებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნავებთან. ეს ნავები დასახსრულია მომცრო არქიტექტურული ფორმებით – თაღოვანი ღიობებით. ცენტრალური დარბაზის აზიდულ პროპორციებს ექსპრესიულობას მატებს კამარისა და კონქის ნალისებური მოხაზულობები. ასევე ნალისებური მცირე ღიობები და მოზრდილ ღიობთა შეისრული ფორმები (მცირე ღიობები და ცენტრალური დარბაზიდან

ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

სამხრეთისკენ გამავალი შეისრული ღიობი მოგვიანებით ამოაშენეს).

ნაგებობას ერთგვარ ხიბლს სძენს ფასადე - ბის არქაული მხატვრული წყობა. ეკლესია ძირითადად ნაგებია ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ოდნავ დამუშავებული ქვა გამოყენებულია საფასადო კედლების წიბოებისა და ლავგარდანებისათვის. ქვები სხვადასხვა ზომისაა, ოღონდ ქვების წყობა გარკვეული, ერთგვარი მხატვრული უწეს-

ტანისამოსის
აქსესუარები

რიგობით, წინასწარდასახული ქარგით არის განაწილებული. ქვებს შორის არე გამოლესილია. ანალოგიური მასალა გამო-

ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ყენებულ ინტერიერშიც, თუმცა ქვების წყობას შორის არეები მეტად არის გამოლესილი და ქვის ფაქტურას ნაკლები ყურადღება ექცევა. ნარჩევი ქვები გამოყენებულია აბსიდის მხრებისათვის.

თაღოვანი ღიობები ნაგებობას ოთხივე მხრიდან აქვს. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ღიობები შესასვლელებად გამოიყენებოდა (შესაძლოა თავდაპირველად სამხრეთისაც). დასავლეთისა კი მაღალი სუბსტრუქციის გამო მხოლოდ ღიობებად რჩებოდა. ღიობები ერთნაირი სტრუქტურისაა. ნალისებურ ღიობებს ნარჩევი ფლეთილი ფილების ქუსლები აქვთ. თაღების ნალისებური ფორმა კი ოდნავ მრუდწრეთარგიანია

სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დაზიანებები

სამლოცველოს საფასადო და ინტერიერის ფლეთილ ქვას შორის წვრილი ქვა და ღორღია დადუღაბებული კირის მკვიდრ ხსნარზე.

საძირკველში – ფლეთილი ქვის მკვიდრი წყობა კირდუღაბზე;

ფასადებზე – ფლეთილი ქვის სხვადასხვა ზომის ქვები;

ინტერიერში – ფლეთილი ქვა. ნარჩევი ქვა აბსიდის მხრებში;

კონსტრუქციული ნაწილები – (თაღები, კონქი, აბსიდის მხრები და სხვ.) ნარჩევი ფლეთილი ქვა;

სახურავის საბურავი – კრამიტი, თავდაპირველად ბრტყელი;

კონსტრუქციები – კამარები ეფუძნებოდა უშუალოდ კედლებს და თაღოვან ღიობებს; თაღების ფორმა ნალისებურია, ზოგან ოდნავ შეისრული. კრიპტაში ჩასასვლელი ქვის საფეხურებიანი კიბეა.

დაზიანებები – ამჟამად სამლოცველოს ჩრდილოეთ ნავის და ცენტრალური დარბაზის ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

- დაზიანებულია სამლოცველოს გადახურვის კრამიტის საფარი;
- ჩამოქცეულია სამხრეთი ნავი თითქმის მთლიანად;
- დაზიანებულია ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის გარე მონაკვეთი, გვიან ჩაჭრილი სამარხებით, რაც საფრთხეს უქმნის კრიპტას.

პროექტირების მიზანი და მოსაზრებები

პროექტირების დანიშნულებაა სამლოცველოს რეაბილიტაცია, რათა მას დაუბრუნდეს თავისი ფუნქცია. ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანია სამლოცველოს დაზიანებული და ჩამონგრეული ნაწილების თავდაპირველი სახის დადგენა.

უნდა გაირკვეს, თუ რა უტყუარი მონაცემები შეგვიძლია მოვიპოვოთ საარქივო მასალებითა და ადგილზე არსებული მონაცემების კვლევით და რა უნდა დადგინდეს პროპორციული ანალიზისა და ანალოგიების მოშველიებით. ამის შემდეგ უნდა დადგინდეს რეაბილიტაციის მეთოდი. მეთოდის დადგენა ბევრად იქნება დამოკიდებული ნაგებობის არსებულ მონაცემებზე.

სამლოცველოს სრული აღდგენის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, თუ რომელი სამშენებლო ეტაპის მიხედვით უნდა აღდგეს სამლოცველოს ესა თუ ის მონაკვეთი.

გარდამავალი ხანის აღდგენა-გადაკეთების პერიოდს ეკუთვნის:

- ჩრდ. ნავის სახურავზე მოწყობილი თაღიანი სრუქტურა;
- სამხრეთ ნავის დასავლეთ კედლის გამრუდება და მიმართვა საეპისკოპოსო სასახლისკენ;
- ამავე პერიოდიდან იწყება სამლოცველოს გარე პერიმეტრზე, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლებთან ქვაყუთი სამარხების მოწყობა.

გვიანი შუა საუკუნეების პერიოდს ეკუთვნის:

- საფასადო და ინტერიერის თაღოვანი ღიობების ამოშენება. მეორე სართულის მოწყობა ჩრდილოეთ ნავზე. სამხრეთი ნავის სამხრეთი კედლის გადაწყობა. ახალი კრამიტის სახურავის მოწყობა.

მოსაზრებები – ამ სამლოცველოს შესახებ დიდძალი სამეცნიერო-ლიტერატურული მასალა არსებობს. პირველად იგი გამოიკვლია აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა 1920-იან წლებში. იმავე დროს გაიზომა ძეგლი (არქიტ. ნ. სევეროვი) და მოხდა ფოტოფიქსაცია (ფოტოგრ. ტ. კიუნე). 1949 წ. სამლოცველო აზომა არქიტექტორ-რესტავრატორმა, პროფესორმა ვახტანგ ცინცაძემ. მას შემდეგ ამ ნაგებობას ბევრი მეცნიერი შეეხო და ამ უკანასკნელ დრომდე მას „მცირე ბაზილიკად“ მოიხსენიებდნენ.

- ეკლესიის დათარიღება IV ს-ით გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. ეკლესიის ადრეულობა მან სტილისტურ ნიშნებთან ერთად კრიპტის არსებობითაც განსაზღვრა. შემდგომში ყველა მკვლევარი იზიარებდა გ. ჩუბინაშვილისეულ დათარიღებას, ხოლო ამ სამლოცველოს მსგავსი ტიპის ნაგებობებთან ერთად, ბოლო ხანს, „საფლავს ზედა ეკლესიად“ მოიხსენიებენ, ანუ ისეთ ნაგებობებად, რომლებიც საქართველოსა და სხვა ადრექრისტიანულ ქვეყნებში საგანგებოდ სამარხებზე იყო აღმართული.
- ამგვარ სამლოცველოთა პროტოტიპი დაზუსტებული არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტიპის ნაგებობები რომაული და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მარტირიუმებისა და ბაპტისტერიუმების მაგალითებზე წარმოიშვა და მყარი კავშირი აქვს სულის მოსახსენიებელ წარმართულ ტაძრებთან (გ. ჩუბინაშვილი [15. 44], ნ. სილაგაძე [8. 209]).
- ამგვარ ნაგებობათა შექმნის იმპულსი, ხელოვნებათმცოდნე ნ. ვაჩეიშვილის აზრით, კონსტანტინე იმპერატორის მიერ



კრიპტის გეგმა



კრიპტის ჭრილი ჩრდილოეთიდან

ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



ჭრილი, სამხრეთი

იერუსალიმში, უფლის საფლავზე აგებული სვეტებითა და თაღებით ყველა მხრიდან გახსნილი როტონდა უნდა იყოს ცენტრში ღია აბსიდიან კუბიკულათი [6. 34].

- ასევე არ გამოირიცხება მათი კავშირი ირანის ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრებთან (გ. ჩუბინაშვილი [16. 36], ნ. სილაგაძე [9. 135]).
- ანალოგიური ფუნქციის მქონე ნაგებობებად არის მიჩნეული საქართველოს სხვა მემორიალური ძეგლებიც – რამდენიმე მხრიდან გახსნილი ნაგებობები აგებული წმ. ნინოს, წმ. იოანე ზედაზნელის, წმ. სტეფანე ხირსელის სამარხზე და შემდეგ ჩართული მოგვიანებით აგებულ მოზრდილ ეკლესიებში. ასევე კრიპტაზეა აგებული უჯარმის სამლოცველო, აზმანა, თოკის მცირე ეკლესია, ურაველის აგარა.

ეს ძეგლები სხვადასხვა ეპოქის ნაგებობებია და განსხვავებული არქიტექტურული სტილისაა. მათი გამაერთიანებელია ერთი აუცილებელი გარემოება – ყველა ეს ნაგებობა კრიპტაზეა აგებული და მათი ფასადები რამდენიმე ან ყველა მხრიდან გახსნილია თაღებით.

ნეკრესის „საფლავს ზედა ეკლესია“ მრავალშრიანი, რთულად საკვლევი ძეგლია და საფუძვლიანდ არის შესასწავლი. კვლევის პროცესში ვლინდება ახალი მოცემულობები, რაც საგულდაგულო დამუშავებას, დასკვნების გამოტანასა და მათ შეჯერებას მოითხოვს. კვლევა კვლავ გრძელდება ნაგებობის თარიღისა და თავდაპირველი სახის დასაზუსტებლად. ამჯერად კი იმ მონაცემთა გათვალისწინებით, რაც მოვიპოვეთ არქეოლოგიური, ისტორიულ-არქიტექტურული და საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევის შედეგად, შევადგინეთ რეაბილიტაციის პროექტის სამი ვარიანტი, რომელთა თეორიულ დასაბუთებასაც აქ გთავაზობთ.

არქეოლოგიური გათხრის შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოებები:

არქეოლოგიური გათხრების ვრცელი სამეცნიერო ანგარიში ცალკე გამოქვეყნდება არქეოლოგ ნ. ბახტაძის მიერ. ამჯერად კი აქ მოცემულია გათხრების მოკლე ანგარიში და სათანადო დასკვნები, რაც აუცილებელ ინფორმაციას გვაწვდის ამ ნაგებობის ავთენტური სახის, შექმნის თარიღისა და დანიშნულების ობიექტურად გასააზრებლად.

საგულისხმო შედეგები მოგვცა სამლოცველოს ჩრდილოეთ ნავის ქვეშ არსებული კრიპტის გათხრამ. ამ სათავსის გათხრისას აღმოჩნდა კირით მოლესილი იატაკის სიღრმეში ჩაჭრილი, მართკუთხა გეგმის, ქვის ფილებით გადახურული, ასევე კირით მთლიანად შელესილი სპეციალური კამერები: კრიპტის აღმოსავლეთ-დასავლეთის წაგრძელებულ ღერძზე ორი აკლდამაა ჩაჭრილი ერთმანეთის გაგრძელებაზე, რომლებიც ერთმანეთისგან ვიწრო ტიხრითაა გამოყოფილი (№1 190X80-88X90სმ; №2 194x83x90სმ). აღმოსავლეთის კამერა ნაწილობრივ კრიპტის კედლის ქვეშ შედის – სათავსის აღმოსავლეთის კედელი, რომელიც თავის მხრივ სხვა კედლების თანადროულია, კამერის თავზე თაღურად ამოყვანილ კონსტრუქციაზე დგას და კამერის გადამხურავი ერთი ქვის ფილა ამ კედლის ორგანული ნაწილია. როგორც გათხრისას გამოირკვა, ჩვენთვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი, ადრეული შუა საუკუნეების ამ მასშტაბის სხვა აკლდამებისგან განსხვავებით, ამ კრიპტაში მოწყობილ კამერებში ცალკეული ან რამდენიმე მიცვალებულის ნეშტი გაშოტილ პოზაში კი არ იკრძალებოდა, არამედ ხდებოდა მიცვალებულთა ძვლების ხელმეორედ ჩასვენება (პირველადი დაკრძალვის ადგილებში რამდენიმე წლის განმავლობაში მიცვალებულთა რბილი ქსოვილების ხრწნის პროცესის დასრულების შემდეგ). ამ ძვლოვანი მასით კამერები პირამდე იყო ამოვსებული. ამ კამერათა კიდეებთან დატანილი იყო კამერაში მოწყობილი ხელის შესაყოფი მართკუთხა ხვრელები, რაც იძლეოდა წმინდა ნაწილებთან ხელის შეხებისა და პილიგრიმთათვის ევლოგიის – წმ. რელიქვიის მისაღებ საშუალებას, კამერათა სახურავი ფილების მოუხსნელად.

ამ კამერებში სხვადასხვა ჰორიზონტზე აღმოჩენილი პრაქტიკულად მთელი ნივთიერი მასალა VI-IX სს-ის ქრონოლოგიური შუალედით თარიღდება. ამასთან, ნაკეთობათა სტრატიგრაფიული განფენა შეესაბამება დროის მსვლელობას ამ პერიოდში – VI–VII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მასალა უფრო ქვედა ფენებში გვხვდება, VIII-IX საუკუნის კერამიკის ფრაგმენტები კი სულ ზედა შრეებში. უნდა ითქვას, რომ კამერებში, ტანისამოსის დანამდვილებით VI-VII საუკუნის რამდენიმე აქსესუართან (აბზინდები, ბალთები) ერთად, იმავე სტრატიგრაფიულ ვითარებაში აღმოჩნდა ორიოდე ბრინჯაოს ბალთა, რომელთა ანალოგიების დამზადებას რამდენიმე ცნობილი ქართველი მეცნიერი V საუკუნეში და ოდნავ უფრო ადრეც კი ვარაუდობს. ამ ნივთების მოხვედრას აკლდამაში ორნაირი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: ან მსგავს ნაკეთობებს VI-VII სს-ში კვლავ ამზადებდნენ, ანდა ეს ნივთები 1-2 საუკუნის განმავლობაში იყო მოხმარებაში (უფრო ადრეული პერიოდისა და შემდგომი დაკრძალული ნეშტების აღრევა ამ აკლდამებში ნაკლებად სავარაუდოა – ისინი თანდათან ივსებოდა).

ეკლესიის ჩრდილოეთ ნავის ქვეშ არსებული სამლოცველოს გარე პერიმეტრის გარეთ გასული კედლებით მოზღუდული, კამარით გადახურული კრიპტის გარდა, მის სამხრეთით, ნაგებობის საძირკველშივე მდებარეობდა ქვითკირის კედლებით ერთიმეორის გვერდით გამოყვანილი ქვაყუთის მოყვანილობის, უხეშად ნათალი ქვის რამდენიმე ბრტყელი ფილით გადახურული ხუთი აკლდამა, რომლებიც სამლოცველოს კედლების მაღალ საძირკვლებს შორის მოქცეულ სივრცეში იყო „ჩაწერილი“. სამლოცველოს ცენტრალური სათავსის იატაკქვეშ აღმოჩენილი ორი ასეთი აკლდამა მეტად ღრმად შედის საკურთხევლის ქვეშ და სამლოცველოს აღმოსავლეთ კედელი საკურთხევლითურთ, აშკარად მათ სახურავი ქვის ფილებზეა დაშენებული. ამ კოლექტიური სამარხებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალაც, აგრეთვე VI-IX სს-ის ქრონოლოგიური შუალედით თარიღდება.

ამგვარად, მნიშვნელოვანია ის, რომ უკვე არქეოლოგიურად დასაბუთდა კრიპტისა და დანარჩენი სამარხების თანადროულობა ნაგებობასთან. ანუ ის გარემოება, რომ ეს სამლოცველო „საფლავს ზედა ეკლესიას“ წარმოადგენს და საგანგებოდ არის მშენებლობის თანადროულ სამარხებზე აგებული. ამასთან, “კრიპტაში მოწყობილი, მეორადად დაკრძალული მიცვალებულის ნეშტებით პირთამდე სავსე საძმო საძვალეებისა და პილიგრიმთათვის ევლოგიის მისაღებად მოწყობილი ხვრელების დადასტურებით დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს კამერები მხოლოდ მონასტერში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწე ბერ-მონაზვნების ძვალშესალაგებს შეიძლება წარმოადგენდეს – ამგვარი საერთო საძვალეები მთელ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ სამონასტრო ორგანიზაციებში გამოიყენებოდა ბერების ნეშტების დასაკრძალად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ როგორც კრიპტის დასაკრძალავი კამერების, ისე დანარჩენი იატაკქვეშა აკლდამების არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილ კერამიკულ ნაკეთობათა მრავალ ფრაგმენტს შორის არც ერთი არ აღმოჩნდა VI საუკუნეზე ადრეული – ტიპოლოგიურად იმ თიხის ჭურჭლის მსგავსი, რაც მრავლად აღმოჩნდა ნეკრესის ნაქალაქარზე ჩვენ მიერვე შესწავლილი და IV საუკუნით დათარიღებული „ჭაბუკაურის“ ბაზილიკის უძველესი ფენების გათხრისას“ [2]. V საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს ეს ნაგებობა ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარეც. მონასტრების არსებობა საქართველოში, ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად ვახტანგ გორგასლის დროს, V საუკუნეში არის ნახსენები. ვახტანგ გორგასალმა „მოუწოდა არტავაზს, ძუძუს-მტესა მისსა, და დაადგინა იგი ერის-თავად; და უბრძანა, რათა



ნეკრესის გეგმები

ააგოს ციხე არტანუჯისა; და უბრძანა, რათა გამონახოს ჴევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი” [10. ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“]. ნეკრესში კი მონასტრის დაარსება ისტორიული ტრადიციით, წმინდა აბიბოს ნეკრესელს მიეწერება VI საუკუნეში [13. 207]. ეს ისტორიული ფაქტები თეორიულად არ გამორიცხავს, რომ მონასტრები საქართველოში ვახტანგ გორგასლის ეპოქამდეც არსებულიყო და ნეკრესშიც წმ. აბიბოს მოსვლამდეც ყოფილიყო სამონასტრო ცხოვრება და წმ. მამა ნეკრესში სამონასტრო

ცხოვრების განმაახლებელი და ამღორძინებელი იყოს. თუმცა ნეკრესის „საფლავს ზედა ეკლესიის“ კრიპტა-საძვალეთა მძლავრი სისტემის არსებობა და სამლოცველოს კონსტრუქციულ სტრუქტურაში ამ სისტემის სამშენებლო ფენის თავდაპირველობა, როგორც აღვნიშნეთ, უცილობლად **მონასტერში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწე ბერ-მონაზვნების ძვალშესალაგებს უნდა წარმოადგენდეს.** აქედან გამომდინარე კი ძნელი წარმოსადგენია IV საუკუნის 70-80-იან წლებში, ქართლის მეფე თრდატის ზეობის დროს, აქ დიდი რაოდენობით მოღვაწე ბერ-მონაზონთა მონასტრის დაფუძნება მაშინ, როდესაც ამგვარი მრავალრიცხოვანი საძმო-მონასტრები ჯერ კიდევ ქრისტიანულ მონასტერთა ფუძემდებელ კოპტურ ეგვიპტესა და სირიაშიც არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული.

საპროექტო წინადადება

ამგვარად, კომპლექსური კვლევის შედეგად შევეცადეთ, დაგვედგინა ნაგებობის სახე, რომელიც მან მიიღო გარდამავალ ხანაში გადაკეთებების შედეგად და სამლოცველოს რეაბილიტაციის პროექტის I ვარიანტად წარმოვადგინეთ ამ დროის ნაგებობის **გრაფიკული რეკონსტრუქცია**. ასევე ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია პროექტის კიდევ ორი ვარიანტის დამუშავება: **II კონსერვაცია** და **III აღდგენა-კონსერვაცია.** ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია სამხრეთი ნავის გვიან შეკეთებული სამხრეთი საყრდენი კედლის და დასავლეთ კუთხის მონაკვეთის დაშლა, რადგან ეს ნაწილი იმდენად დაზიანებულია, რომ მისი კონსტრუქციის აღდგენა დაუშლელად შეუძლებელია;

I ვარიანტი გრაფიკული რეკონსტრუქცია

ვფიქრობთ, რომ სამლოცველოს გრაფიკული რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს მშენებლობის მეორე ეტაპის, ანუ იმ დროის მიხედვით, როდესაც უკვე მოტრიალებულია სამხრეთი ნავის დასავლეთი კედელი საეპისკოპოსო სასახლისკენ და დასავლეთ კედელს ტეხილი ფორმა აქვს. ასევე ამ დროს უკვე არსებობს თაღოვანი სტრუქტურა ჩრდილოეთ ნავის სახურავზე.

პირველ რიგში გასარკვევია სამხრეთი ნავის გადახურვისა და სამხრეთი კედლის თაღოვანი ღიობის ფორმა. სამლოცველოს სამხრეთ ნავის შემორჩენილი კამარის მიმართულება, რომელიც პერპენდიკულარულია სამლოცველოს დანარჩენი კამარების ვექტორებისა, არ იძლევა ცალქანობიანი სახურავის მოწყობის შესაძლებლობას. აქ შესაძლებელია მხოლოდ დაბალგრადუსიანი ორქანობიანი სახურავის არსებობა, რისი კვალიც ჩანს კიდეც ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელზე. ეს აღნიშნული აქვს გ. ჩუბინაშვილსაც. იგი პირდაპირ წერს: „სახურავი უნდა ყოფილიყო ან თარაზულის მსგავსი ან ორქანობიანი“ [15, 41]. გრაფიკული რეკონსტრუქციისას ორქანობიან სახურავს ვიყენებთ, თუმცა ვთვლით, რომ თავდაპირველი გადახურვის ზუსტი დახრის დადგენა შესაძლებელი იქნება სამლოცველოს რეაბილიტაციის პროცესში, როდესაც ამ ნაწილში ხარაჩო გაიმართება და ღრმა ზონდაჟების გაკეთება სახიფათო აღარ იქნება.

მნიშვნელოვანია ასევე სამხრეთი ნავის სამხრეთი კედლის თაღოვანი ღიობის ზომა და ფორმა. ღიობის წირთხლების ქვედა ნიშნულები გამოიკვეთა არქეოლოგიური გათხრის შემდეგ, როდესაც სამხრეთ კედელის შუა ნაწილში გამოვლინდა ქვის ბრტყელი ფილები ნავის იატაკის ანალოგიური ფილების დონეზე. ფილების გვერდებზე კი, თუ მათ ღიობის წირთხლებს შორის მოწყობილ იატაკად ჩავთვლით, მონგრეული კედლების კირდუღაბის წყობა ჩანს. აქ წირთხლების სიგანე დაახლოებით ცენტრალური დარბაზის გამმიჯნავი თაღოვანი ღიობის სიგანისაა და ვფიქრობთ, რომ თაღის ფორმაც ანალოგიური იქნებოდა, ანუ ნალისებური და ოდნავ შეისრული. დასავლეთის და აღმოსავლეთის თაღოვანი ღიობების აღდგენა კი შესაძლებელია, დასავლეთისა – შემორჩენილი ფრაგმენტით, ხოლო აღმოსავლეთისა – ამავე ფასადის თაღის ანალოგიით, რადგან მისი მხოლოდ უეჭველი არსებობის კვალია შემორჩენილი ცენტრალური დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზე.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. აქამდე თითქმის ყველა მკვლევარი ნაგებობის თავდაპირველ სახეს ბაზილიკური გარეგნული ფორმით მოიაზრებდა და ეს სამლოცველო დიდი ხნის მანძილზე „მცირე ბაზილიკად“ მოიხსენიებოდა. სხვადასხვა მკვლევართა და ჩვენ მიერ სამლოცველოს ფუნქციის გამოვლენის და მისი ფორმების კვლევის შემდეგ კი გაირკვა, რომ სამხრეთი ნავი ამ სამლოცველოსათვის ორი ქანობით გადახურულ ერთგვარ ღია კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა. ამ არქიტექტურულ ფორმას ახსნა შეიძლება მოეძებნოს, უფლის საფლავის შიდა ეკლესიის სტრუქტურით. მისი თავდაპირველი სახე არ შემორჩენილა, თუმცა არსებობს მისი ადრეული – VI საუკუნის ლითონის მოდელები – ჭურჭლები წმ. ადგილებიდან ევლოგიად ზეთის წამოსაღებად, სადაც ზოგ მათგანზე, მთავარ თაღედებიან მოცულობის წინ ორქანობიანი კარიბჭეა გამოსახული [17. 59]. მსგავსი მოდელები კი კარგად იყო ცნობილი V-VI საუკუნეების ქართლში, რაც აშკარად ჩანს იმდროინდელ ქვაჯვართა უფლის საფლავის გამოსახულებიანი სტილიზებული სვეტისთავების მრავალრიცხოვან მაგალითზე.

აღსანიშნავია სამლოცველოს მდებარეობის ტოპოგრაფიაც. უფლის საფლავის მსგავსად აქაც დასავლეთისკენ დამრეცი რელიეფია და კრიპტა კლდოვან ქანშია ჩასმული. შესაძლოა დამთხვევაა, თუმცა მაინც აღსანიშნავია, რომ კრიპტის აკლდამების სიგრძე 193 სმ-ია, რაც ზუსტად ემთხვევა უფლის აკლდამის ზომას. ასევე ნეკრესის სამლოცველოს კარიბჭის სიგანე 4.91 მ-ია, უფლის საფლავის რეკონსტრუირებული კარიბჭისა კი 5.08მ. [17. 67].

სამლოცველოს აღდგენის II ვარიანტი კონსერვაცია

ჩრდილოეთ ნავში

პრაქტიკულად შენარჩუნებულია ყველა კონსტრუქციული ელემენტი. მოიხსნება აღმოსავლეთ კედლის თაღოვანი ღიობის ჩაშენება. დასავლეთ კედლის თაღოვან ღიობში შენარჩუნდება ჩაშენება. ნავის ინტერიერში შეკეთდება ბოლო აღდგენის დროს არასწორად ამოყვანილი ჩრდილო-დასავლეთი კუთხის წყობა. ასევე, მოიხსნება აღდგენის დროს გასქელებული იატაკის ფენა და აღმოსავლეთ შესასვლელის ზღურბლის ზედა საფეხური.

ცენტრალურ დარბაზში

მოიხსნება ბოლო აღდგენის დროს გასქელებული იატაკის ფენა, რის შედეგად საკურთხევლის აბსიდს გაუჩნდება თავდაპირველი სიმაღლის საფეხური და გამოჩნდება სამარხთა სარქველები.

სამხრეთ ნავში

რადგან ვერ ხერხდება სამხრეთ ნავის გადახურვის და მისი თავდაპირველი საფასადო სახის ყველა კვანძის სრულად დადგენა და გრაფიკული რეკონსტრუქცია მინდობილია მხოლოდ არსებულ მონაცემთა ანალიზსა და ფორმალურ ლოგიკაზე, რეაბილიტაციის ერთ-ერთ ვარიანტად მიგვაჩნია სამხრეთ ნავის კედლების გეგმის დონეზე ამოყვანა და დაკონსერვება. გადაეწყობა და აღდგება სამხრეთი საყრდენი კედელი.

სამლოცველოს აღდგენის III ვარიანტი აღდგენა-კონსერვაცია

ჩრდილოეთ ნავში

პრაქტიკულად შენარჩუნებულია ყველა კონსტრუქციული ელემენტი. მოიხსნება აღმოსავლეთისა და დასავლეთის თაღოვანი ღიობების ჩაშენება. დასავლეთ კედლის თაღოვან ღიობში ინტერიერის მხრიდან სასურველია მოეწყოს მინის საფარი (რაც არ გამოჩნდება საფასადო მხრიდან), რათა ატმოსფერული ნალექისგან დავიცვათ კრიპტაში ჩასასვლელი კიბე. ნავის ინტერიერში შეკეთდება ბოლო აღდგენის დროს არასწორად ამოყვანილი ჩრდილო დასავლეთი კუთხის წყობა. მოიხსნება ბოლო აღდგენის დროს გასქელებული იატაკის ფენა და აღმოსავლეთ შესასვლელის ზღურბლის ზედა საფეხური.

ცენტრალურ დარბაზში

მოიხსნება სამხრეთ ნავის გამმიჯნავი თაღოვანი ღიობის ჩაშენებული კედელი სარკმლითურთ. მოიხსნება აღდგენის დროს გასქელებული იატაკის ფენა, რის შედეგად საკურთხევლის აბსიდს გაუჩნდება თავდაპირველი სიმაღლის საფეხური და გამოჩნდება სამარხთა სარქველები.

სამხრეთ ნავში

აღდგება სამხრეთი ნავის კედლები კამარის გარეშე. მოიხსნება ჩაშენება და აღდგება დასავლეთი თაღოვანი ღიობი არსებული ნაშთის მიხედვით. აღდგება აღმოსავლეთი და სამხრეთი თაღოვანი ღიობები ნაგებობაზე არსებული ღიობების ანალოგიური ფორმის გამეორებით. გადაეწყობა სამხრეთი საყრდენი კედელი. ხის კონსტრუქციაზე მოეწყობა კრამიტის ორქანობიანი სახურავი.

აუცილებლად უნდა გამოსწორდეს არასწორი და უხარისხოდ ჩატარებული რესტავრაციის შედეგები. მოიხსნას სხვადასხვა ადგილას ძველ წყობასთან შეუსაბამოდ ჩასმული ქვები და ნალესობა.

ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული პროექტით გათვალისწინებული აღდგენითი სამუშაოების წარმოების მიმდინარეობა და იგი უნდა განიხილებოდეს სამლოცველოს რეაბილიტაციის პროცესის ერთიან პროექტში.

დასკვნა:

ამგვარად, ჩვენ მიერ წარმოდგენილია სამლოცველოს რეაბილიტაციის რამდენიმე ვარიანტი, რაც ეფუძნება ძეგლის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ, არქიტექტურულ, სახელოვნებათმცოდნეო და არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს. **მიგვაჩნია, რომ ეს შედეგები და ფაქტობრივი მასალა საკმარისია ძეგლის რეაბილიტაციისათვის. ხოლო რაც შეეხება ნაგებობის თარიღისა და ფუნქციის დაზუსტებას, კვლევა კვლავ გრძელდება.** ■

ბიბლიოგრაფია:

1 **შ. ამირანაშვილი,** ქართული ხელოვნების ისტორია, თბ, 1971წ. გვ.112;
2 **ნ. ბახტაძე**. ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 19, თბ., 2010, გვ. 209-220;
3 **ზ. ბრეგაძე,** სტრაბონის ერთი ცნობის გაგებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992წ., №4, გვ. 100;
4 **მ. გრიგოლია,** უძველესი ეკლესიები საქართველოში, „კლიო“, 2001წ. №11, გვ. 38;
5 **დ. ვაჩნაძე,** ეპისკოპოსის სასახლე ნეკრესში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989წ., №4, გვ. 111;
6 **ნ. ვაჩეიშვილი,** ერთი უცნობი მოვლენის შესახებ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, საქართველოს სიძველენი, №1, 2002წ, გვ. 24;
7 **დ. თუმანიშვილი,** უძველესი ქართული საეკლესიო ნაგებობების გამო, „გზაჯვარედინზე“, თბ., 2008, გვ. 144;
8 **ნ. სილაგაძე,** მარტირიუმებისა და „საფლავს ზედა“ ეკლესიების ფორმის ზოგიერთი თავისებურების შესახებ, „აღმოსავლეთი და კავკასია“, 2005, №3, გვ. 209;
9 **ნ. სილაგაძე,** ქართული „საფლავს ზედა“ ეკლესიები და მათი პარალელები ახლო აღმოსავლეთში, სამეცნიერო შრომების კრებული, ხელოვნებათმცოდნეობა, №5, 2003, გვ. 135;
10 **„ქართლის ცხოვრება“,** I, თბ., 1955წ. გვ. 137;
11 **„შატბერდის კრებული“,** თბ., 1979წ. გვ. 354;
12 **ვ. ცინცაძე,** ადრექრისტიანული (IV,V სს.) ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგი საკითხი (სვეტიცხოველი), ქართული ხელოვნება, 2001წ. №11;
13 **„ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“**, I. თბ., 1964;
14 **R. Mepisascvili, W. Zinzadze,** Die Kunst dezalten Georgien, Leipzig, 1977, gv. 60;
15 **Г. Н.Чубинашвили,** Архитектура Кахетии, 1,2. Тб., 1953, с. 37 – 45;
16 **Г. Чубинашвили,** К вопросу о начальных формах Христианского Храма. Вопросы истории искусства. Тб., 1970, с. 36-43;
17 **John Wilkinson,** Tomb of Christ: Jerusalem and Mtskheta, საქართველოს სიძველენი, №1, 2002წ, გვ. 59.

THE SUMMARY

ON REHABILITATION OF SO-CALLED "SAPLAVZEDA" CHURCH OF NEKRESY MONASTERY COMPLEX

GIA CHANISHVILI • NODAR BAKHTADZE • MIKHEIL GELASHVILI

The Nekresi Monastery is situated in Georgia, Kvareli area. According to the historical sources it was founded in the 6th century by St. Abibos Nekreseli, who had come from Siria and was the follower of early Christian ascetic ideas.

This monastic ensemble includes miniature building which visually resembles basilica. Several decades ago famous Georgian art historians, taking into consideration the archaic planning of this building, came to conclusion that it was one of the oldest Georgian Church and was dated from 4th- century, though the time of building and its function are still being discussed by the Georgian scientists.

Archaeological researches have revealed the ancient foundation of the building that stands on the pedestal with the complicated system of the tombs. The largest and the most important of these tombs is the crypta, where there are chambers cut in the floor, wich are full of remains of deceased monks.

Buildings of such structure have a lot of parallels with the architecture of the Eastern Christian monasteries, where they are known as Memorial Chapels. Nekresi Chapel might have had the same function and it couldn't have been built earlier than the 6th- century, when the monastery itself was founded. Such dating coincides with the materials that belong to the 6th-9th- centuries and were revealed by the archaeological researches.

Now Nekresi Monastery is being restored. Besides the chapel mentioned previously, the complex consists of a 6th century three-nave basilica, an 8th 9th century domed church, an Episcopal mansion and other structures belonging to it. ■

წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი

ნასოფლარ დრანეთთან

გიორგი ლაღიაშვილი, გიორგი პატაშური

ნასოფლარი დრანეთი მდებარეობს თრიალეთის ზეგნის მისადგომებთან, ალგეთისა და ქციის წყალგამყოფ ბედენის მთის სამხრეთ ფერდობის დავაკებაზე, მდ. ირაგის ხეობაში, დღევანდელ სოფელ ალექსეევკის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 1 კმ-ში, ტორნეს[1] ხევის მარჯვენა ნაპირზე. „...ერთვის ქციას ხევი ტორნე, ირაგის ხეობის მდინარე. გამოსდის ბენდერის მთას, მოდის სამხრით. არამედ ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირ-ფრინვლიანი, მოსავლიანი...“[2] XX საუკუნის 40-50-იან წლებში ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი) მნიშვნელოვანი სამუშაოები აწარმოა თრიალეთში. გათხრის შედეგად მოსინჯული და ფიქსირებულ იქნა არაერთი ნასოფლარი, ტაძარი თუ სამაროვანი[3]. საკვლევი ძეგლის პირველი მეცნიერული პუბლიკაცია და ნასოფლარ დრანეთის

იდენტიფიკაცია-ლოკალიზაციაც სწორედ ამ ექსპედიციის სახელთან არის დაკავშირებული. 1701-1711 წლების აღწერაში ეს სოფელი მოხსენიებულია, როგორც „დრანეთი“, ხოლო 1721 წლისაში – „დრიანეთი“[4]. ვახუშტის გეოგრაფიაშიც ეს სოფელი „დრანეთის“ სახელს ატარებს.

ეკლესია[5] დგას ნასოფლარის აღმოსავლეთით ხუთასიოდე მეტრის დაშორებით, გაშლილ ველზე. 1949 წლის დაზვერვის დროს ისტორიკოსთა პირველადი დაკვირვების შედეგად გამოითქვა ვარაუდი, რომ იგი XI-XII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. მოგვიანებით ამ ტაძარს საგანგებო სტა-

1 „ტორნე“ ამ მდინარის ძველი, ქართული სახელწოდებაა, თუმცა XIX საუკუნეში აქ ჩასახლებული რუსები მას „ასლანკას“ უწოდებდნენ;
2 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV თბ., 1973, გვ. 32;
3 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა; ი. გრძელიშვილი, თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, №5. 1954;
4 ი. ციციშვილი, ალექსეევკა-დრანეთის ძველი ეკლესია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.XII, №5, თბ. 1951 გვ. 313-319;
5 ეკლესიის სახელობა დაკარგული იყო და სამეცნიერო ლიტერატურაში ის იწოდებოდა, როგორც დრანეთის, ან ალექსეევკა-დრანეთის ეკლესია [გ. ლომთათიძე, 1989:70]. ჩვენს მიერ წარმოებული სამუშაოებისას გაირკვა, რომ ტაძარი წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობაზეა აგებული. – იხ. ქვემოთ.

ტია მიუძღვნა ირ. ციციშვილმა. მკვლევარი მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მას VIII-IX, ხოლო ფასადების რესტავრაციას XI საუკუნით ათარიღებს[6]. როგორც ჩანს, ტაძარს გარს უვლიდა კლდის ნატეხი ქვით ნაგები გალავანი. იგი ამჟამად მიწის პირამდეა დანგრეული, თუმცა მისი კონფიგურაცია ნათლად იკითხება. ეკლესიის ეზოში გვხვდება საფლავის ქვები, მათ შორის ბრტყელი და შეკაზმული ცხენის გამომსახველიც.

ტაძარი წარმოადგენს ორსაფეხურიან ცოკოლზე აღმართულ, მოზრდილ დარბაზულ ნაგებობას, მინაშენით სამხრეთი ფასადის მთელ სიგრძეზე. ის ნაგებია კლდის ნატეხი ქვით, დუღაბზე. ფასადები მოპირკეთებულია ყვითელი (ე.წ. „ალგეთის“) ტუფით. ალაგ-ალაგ პერანგში ჩართულია შავი ბაზალტის თლილი ქვებიც.

ეკლესიის ინტერიერი დანაწევრებულია ერთი წყვილი ძლიერ შვერილი, სამსაფეხურიანი პილასტრით, საიდანაც გადადის როგორც კამარის საბრჯენი ორსაფეხურიანი თაღი, ისე თითო-თითო თაღი გრძივ კედლებზე – დასავლეთით და აღმოსავლეთით. დასავლეთი კედლის კუთხეებზე ეკლესიას ასევე სამსაფეხურიანი პილასტრი აუყვება. ნახევარწრიული აფსიდის კუთხეებთან ორი მაღალი და ღრმა სწორკუთხა ნიშაა მოთავსებული (სამხრეთი ნიშა ნახევრად ამოქოლილია). ეკლესია ნათდება ოთხი თაღოვანი სარკმლით. მათგან ორი განთავსებულია სამხრეთ კედელზე, ერთი დასავლეთ კედელზე და ერთიც აღმოსავლეთით აფსიდის შუა ღერძზე. შესასვლელები ეკლესიას სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონია, მოგვიანებით ეს უკანასკნელი კლდის ნატეხი ქვითა და დუღაბით ამოუქოლავთ. ინტერიერში კარგად დამუშავებულ-გათლილი კვადრები გამოყენებულია მხოლოდ პილასტრებისა და კუთხეებისათვის, ხოლო კედლის მონაკვეთებში ნახმარია ნახევრად დამუშავებული მოზრდილი კლდის ქვა.

ეკლესიაზე მკაფიოდ განირჩევა ორი სამშენებლო ფენა. დასავლეთ ფასადზე თავდაპირველი წყობიდან შემორჩენილი უნდა

ეკლესიის ინტერიერი

6 ი. ციციშვილი, ალექსეევკა-დრანეთის... გვ. 313-319.

ორსაფეხურიანი ცოკოლი

იყოს მიწის დონიდან კვადრების ოთხი რიგი. ეს წყობა გამოირჩევა დიდი ზომის კვადრების შედარებით მწყობრი და სწორი რიგებით, საიდანაც ამ რიგის სამხრეთი მხარე ასევე მთლიანად უნდა იყოს გამოცვლილი. ნაგებობის ჩრდილოეთი ფასადის პერანგი თითქმის სრულიად ჩამოცვენილია, წყობა ნაწილობრივ შემორჩენილია ფასადის კუთხეებსა და ქვედა პირველ ორ რიგზე. ყველაზე უკეთ თავდაპირველი წყობა აღმოსავლეთ ფასადზეა შემორჩენილი. კარგად ნათალი, მოზრდილი, მართკუთხა კვადრების სწორი რიგები აქ თითქმის ფასადის შუა ნაწილამდე ადის, თავის თავში აქცევს სარკმელს და მის საპირეს. მინაშენის გამო სამხრეთ ფასადზე წყობის განშრევა თითქმის შეუძლებელია.

ტაძრის მეორე სამშენებლო ფენა განსხვავებულია თავისი სამშენებლო ხარისხით: შედარებით მცირე ზომის კვადრების უსწორმასწორო რიგები ძალზე მოუხეშავ და უსიამოვნო წყობას ქმნის. ამ ფენის ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსება საკმაოდ გართულდებოდა, რომ არა ამ ფენაში მოქცეული დასავლეთი ფასადის სარკმელი. იგი წარმოადგენს სადა წყვილი ლილვებით მოჩარჩოებულ განიერ საპირეს, რომელიც მთლიანად "ხალიჩისებურად" დაფარულია რომბებში ჩასმული ვარსკვლავისებური ორნამენტით. საპირე კედლის წყობის ზედაპირს არ სცდება. მომაჩარჩოებელი ლილვები დაბრეცილია, ჩუქურთმის კვეთა დუნეა და უსიცოცხლო. ეს ყველა ნიშანი ამ საპირეს და, თავისთავად, ამ სამშენებლო ფენას არაუადრეს XIV საუკუნეში ათავსებს, თუმცა შესაძლოა იგი XV საუკუნისაც კი იყოს.

რაც შეეხება ეკლესიის თავდაპირველ ფენას მისი თარიღის დადგენა შედარებით მარტივია, რადგან მასზე მრავალი ელემენტი მიგვანიშნებს. უპირველეს ყოვლისა ეს არის თავად კედლის წყობის ხასიათი: დიდი ზომის კარგად ნათალი კვადრების სწორი რიგები სწორედ რომ X საუკუნის ნიშნად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო ამ რეგიონში – ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. ამგვარ წყობას X-XI საუკუნეების მრავალ ნაგებობაზე ვხედავთ. ჩვენი ეკლესიის თარიღს კიდევ უფრო აზუსტებს აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის საპირე და მისი ორნამენტული მორთულობა. სარკმლის განიერი საპირე მოჩარჩოებულია გრეხილი წყვილედი ლილვით. ამგვარ ლილვს ყველაზე ადრე X საუკუნის ოთხთა ეკლესიის მთავარი ნავის სარკმელთა მოჩარჩოებაზე და შატბერდის ტაძარზე ვხედავთ, ხშირი გამოყენება აქვს მას ტაო-კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში XI საუკუნის დასაწყისში – იშხანი, ხცისი, ნიკორწმინდა, კაცხი, სავანე. რაც შეეხება საპირის ორნამენტს, იგი შედგება ორი სახისგან, თუმცა ორივე წარმოადგენს XI საუკუნეში ფართოდ გავრცელებული S-

ისებური ორნამენტის ერთგვარ წინასახეს. საპირის ზედა ნაწილი შედარებით გრაფიკული ხასიათისაა და ბოლოში "მოკაუჭებული" წვრილი ხაზებისგან შედგება, ხოლო ქვედა ნაწილი გაცილებით პლასტიკურია და უფრო ფოთლოვან ორნამენტს წააგავს. ორნამენტის ამგვარი სახე გვხვდება X-XI საუკუნეების მიჯნის ისეთ ძეგლებში როგორიცაა: სათხე, მუშევანი, ზემო ყარაბულახი, სამღერეთი. X-XI საუკუნეების მიჯნაზე მიგვითითებს ასევე ინტერიერში მასიური პილასტრების კაპიტელები, რომლებიც შემკულია ორრიგად დალაგებული მოზრდილი, სადა წრეებით, რომელთა შიგნით ბურთულებია ჩასმული. ამ ორნამენტითაა გაფორმებული ინტერიერის ყველა კაპიტელი. ორნამენტის ეს სახე და მისი სხვადასხვა მოტივები ფართოდ არის გავრცელებული სწორედ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე.

გეგმის მიხედვით ტაძარი უფრო X საუკუნის ძეგლების რიგში თუ მოექცევა. მძლავრი სამსაფეხურიანი პილასტრებით დანაწევრებული, ძლიერ პლასტიკური სივრცე მას ისეთი ძეგლების გვერდით ათავსებს, როგორიცაა X საუკუნის ურავლის აგარის მთავარი ტაძარი, ხურვალეთის წმ. გიორგის ეკლესია, ჩოჩეთის წმ. გიორგის ეკლესია, ხცისი (1002 წ). ამრიგად, ტაძრის თარიღად თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ X საუკუნის ბოლო ან X-XI საუკუნეთა მიჯნა.

ძეგლზე არქეოლოგიური შესწავლის ძირითად ობიექტს ტაძრის მინაშენი წარმოადგენდა.[7] მისი აღმოსავლეთი მხარე მთლიანად დანგრეულია. დარჩენილია შესასვლელი მონაკვეთი და დასავლეთი ნაწილი, რომლებიც გადახურულია ნახევარწრიული კამარით. შემორჩენილი კამარა ეყრდნობა ორ საბრჯენ თაღს ტაძარში შესასვლელი კარის ორივე მხარეს. თვით თაღები კი კონსოლებზეა შეკიდული. მინაშენის დასავლეთი ნაწილი, მოგვიანებით მშრალი წყობით ნაგები ტიხარით გამოუყვიათ მისი დანგრეული (აღმოსავლეთი) ნაწილისაგან. საინტერესოა ამ ტიხარში გამოყენებული სარკმლის თავსართი (მეორადი გამოყენება). იგი ამჟამად გადმობრუნებულია. ვიწრო, თაღოვან სარკმელს გადაევლება სადა და ბრტყელი წარბი გადანაკეცებით. წარბის ზემოთ, მარჯვენა მხარეს, გადანაკეცთან გამოსახულია მედალიონში მოთავსებული ბოლნური ჯვარი. სავარაუდოდ, ეს თავსართიც X საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა ამ ტაძარზე მისი ადგილის განსაზღვრა რთულია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი იყო მინაშენის აღმოსავლეთი სარკმლის თავსართი.

ჩრდილოეთ მხარეს მინაშენი ეკლესიის კედლისკენ გახსნილია სწორკუთხა ბურჯებზე დაყრდნობილი თაღებით. ეკლესიის შესასვლელთან თაღი დანარჩენებთან შედარებით განიერი და მაღალია. კარის მარცხენა მხარეს ბურჯის კაპიტელზე მოთავსებულია რელიეფური ბოლნური ჯვარი, რომელიც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მის მოპირდაპირედ, შესასვლელის მეორე მხარეს, ბურჯზე ამოკაწრულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ი. ციციშვილის წაკითხვით იგი ასეთი შინაარსისაა:

ქრისტე შეიწყალე . . .
გალატოზი იოანე
და მისნი
ძენი ამინ.

მკვლევარი ამ წარწერას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და მას XVII-XVIII საუკუნეებს აკუთვნებს[8]. თუმცა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ გიორგი გაგოშიძეს იგი არაუგვიანეს X-XI საუკუნისად მიაჩნია (ეს მოსაზრება ბატონმა გიორგიმ გაგვიზიარა პირად საუბარში). არქეოლოგიური სამუშაოებისას ეკლესიის ფასადებთან და ინტერიერში გაიჭრა სადაზვერვო შურფები და გაითხარა მინაშენის დანგრეული (აღმოსავლეთი) ნაწილი. იგი მოქცეული იყო კამარისა და კედლების ნგრევისაგან წარმოქმნილ მოზრდილ ბორცვს შორის და მისი კედლების კონფიგურაციაც კი არ იკითხებოდა. სამხრეთი კედლის გამოსავლენად მინაშენის გადარჩენილი ნაწილის სამხრეთი ფასადიდან, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გავავლეთ თხრილი. ამ უბანზე მიწის თანამედროვე

სტელა ბოლნური ჯვრით კვარცხლბეკზე

7 ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება განაპირობა სარესტავრაციო-საპროექტო სამუშაოების (ხელმძღვანელი: ნინო ნოზაძე) წარმოებამ. სამუშაოები მიმდინარეობდა 8.VI.2010-13.VI.2010. ექსპედიციის შემადგენლობა: ნინო ნოზაძე, თამარ ითაშვილი, კობა მორგოშია – არქიტექტორ-რესტავრატორები; გიორგი პატაშური – ხელოვნებათმცოდნე; გიორგი ლაღიაშვილი – არქეოლოგი და ოთხი ადგილობრივი მუშა.

8 ი. ციციშვილი, დასახ. ნაშრ.

ზედაპირიდან 0,7-0,8 მ. სიღრმემდე ვრცელდებოდა ნანგრევი ქვა-ღორღის ფენა, რომელიც შეიცავდა კლდის ნატეხი ქვისა და ბაზალტის სამშენებლო ლოდებს, ღარიანი და გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტებს, მოუჭიქავი სასუფრე და საოჯახო დანიშნულების (ჯამები, დოქები, ქილები, ჭრაქი) ჭურჭლის ნატეხებს. ყურადღებას იპყრობს ამ კონგლომერატში დადასტურებული მოგრძო, სამკუთხაგანივკვეთიანი კლდის ქვა, რომელსაც მხოლოდ ერთი სიბრტყე აქვს დამუშავებულ-გათლილი. ამ სიბრტყეზე რელიეფურად გამოსახულია კვარცხლბეკზე მდგომი ტოლმკლავა ჯვარი. რადგან თხრილში სამხრეთი კედელი არ დაფიქსირდა, მინაშენის აღმოსავლეთ მონაკვეთზე, ინტერიერის სავარაუდო ფართობზე დავიწყეთ მიწის ფენა-ფენა აღება. ამ უბანზე ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ დადასტურდა 0,3-0,4 მ. სისქის სტერილური შრე, რომელიც წარმოქმნილი იყო კირის ნაფხვენითა და ნაშალი მიწით. ამ ფენის აღების შემდეგ ჩაქცეული კრამიტის (ღარიანი და გვერდებაკეცილი) სახურავზე დავდექით. მის ქვეშ კი იატაკის დონემდე, უშუალოდ კამარისა და კედლების ნგრევისაგან წარმოქმნილი ქვა-ღორღის ფენა იდო, რომელიც შეიცავდა კლდის ნატეხ ქვასა და მოჩუქურთმებულ კონსტრუქციულ დეტალებს, აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების მოუჭიქავი ჯამებისა და დოქების ფრაგმენტებს, ობსიდიანის უფორმო ნატეხებს, ირმის, შვლისა და არჩვის ძირგადახერხილ რქებს. ნანგრევი ქვა-ღორღის კონგლომერატში გვხვდებოდა ნახშირიც (ნახანძრალი). განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ამ უბანზე მოპოვებული კანდელი, (ინვ.№35) რომელიც ჩაქცეული სახურავის ფენასა და კამარის ნანგრევს შუა, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,6 მ. სიღრმეზე იქნა დადასტურებული. იგი დამზადებულია ვერცხლის თხელი, მთლიანი ფირფიტისაგან. მისი ტანი ორნამენტირებულია, ხოლო მხარზე შემოუყვება ასომთავრული წარწერა (ვრცლად იხ. ქვემოთ).

არქეოლოგიური გათხრებისას ასევე გამოჩნდა მინაშენის ჩრდილოეთი თაღნარის ბოლო, მეშვიდე სვეტი და აფსიდის ჩრდილოეთი კუთხე, რომლებშიც გამოყენებული იყო ადრეული ქვაჯვარების ორნამენტული სვეტები. კვადრატული განივკვეთის მქონე სვეტის კუთხეები მომრგვალებულია, ხოლო ყოველი წახნაგის ორნამენტი შემოფარგლულია წვრილი ხაზებით. სვეტის წინა პირზე სამხრეთ სიბრტყეზე გამოსახულია ერთმანეთის გადამკვეთი რომბები, ხოლო მათ მიერ შექმნილ ცარიელ მონაკვეთებში პატარა ბურთულებია მოთავსებული. რომბები შექმნილია ერთი ღარით გაყოფილი ორი წვრილი ხაზისაგან. სვეტის დასავლეთ სიბრტყეზე გამოსახული ორნამენტი ცუდად განირჩევა, როგორც ჩანს, აქ ფოთლოვანი მოტივი უნდა იყოს წარმოდგენილი. აღმოსავლეთ სიბრტყეზე გამოსახულია ერთგვარად გოლგოთის ჯვრის სახე: სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართულია მაღალი გაფოთლილი ღერო, რომელიც სრულდება წრეში ჩასმული ბოლნური ჯვრის გამოსახულებით. ასეთივე გამოსახულება მეორდებოდა სვეტის ქვედა ნაწილში, რომელზეც ახლა მხოლოდ ჯვარი და მისი ღეროს ფოთლებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, სვეტი აქ გაკეთების დროს იყო გადატეხილი და მშენებელმა მისი ერთი ფრაგმენტი ერთგვარად სვეტისთავის მაგივრად მას გვერდულად, ზემოდან დაადო. მის წინა პირზე კი ანალოგიური წრეში ჩასმული ჯვარი, ფოთლები და მომდევნო გოლგოთის ჯვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტი მოჩანს. აფსიდის ჩრდილოეთ კუთხესთანაც ძველი ქვაჯვარის სვეტია ჩასმული. წინასთან შედარებით იგი ოდნავ ვიწროა და გრეხილ

ვერცხლის კანდელი

ღეროზე ასხმული ვაზის ორნამენტი აქ მხოლოდ სამხრეთ სიბრტყეზე იკითხება. სვეტის კუთხეები აქაც მომრგვალებულია და ორნამენტს, წინა სვეტის მსგავსად, ვიწრო ხაზი შემოფარგლავს. ორივე ქვაჯვარის სვეტი არაუგვიანეს VI-VII საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს. პარალელისთვის საინტერესოა ქვეშის ეკლესიის კედელში ჩატანებული VI საუკუნის ქვაჯვარის სვეტი, სადაც ერთ მხარეს ვაზის ორნამენტია, ხოლო მეორეზე დრანეთის ეკლესიის ქვაჯვარის მსგავსი გოლგოთის ჯვრებია გამოსახული. ქვეშში ეს ორივე ორნამენტი შედარებით გრაფიკული და მოუხეშავი ხასიათისაა, ხოლო დრანეთის ორნამენტები უფრო პლასტიკურია და შედარებით უკეთესი ხარისხის. ამიტომაც, შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ ისინი VII საუკუნეს განეკუთვნება. ამრიგად, როგორც ჩანს, X საუკუნეში ამ ადგილას ეკლესიის აგებამდე, სოფელს სალოცავად ქვაჯვარები ჰქონდა აღმართული.

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ვერცხლის კანდელი, დამზადებული თხელი, მთლიანი ფირფიტისაგან. პირი ოდნავ გა -

ხედი აღმოსავლეთიდან

დაშლილია, ყელი გამოყვანილი; აქვს გამობერილი მუცელი და პატარა, გამოყვანილი ქუსლი ბრტყელი ძირით. ნივთის ყელი, ტანი და ძირი დაჩხვლეტილია. მუცელზე განლაგებულია სამი რგოლი (საკიდი). კანდელი მთლიანად ორნამენტირებულია, მხარზე შემოუყვება დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა. კანდელის სიმაღლე – 9,5 სმ; პირის დმ. – 8 სმ; მუცლის დმ. – 8,5 სმ; ძირის დმ. – 4 სმ; ქუსლის სიმაღლე – 0,5 სმ. ის აღმოჩნდა ეკლესიის მინაშენის აღმოსავლეთ მონაკვეთზე, ჩაქცეული კრამიტისა (სახურავის) და ნანგრევი ქვა-ღორღის (კამარის) ფენებს შორის, მიწის

ტაძრის ექსტერიერის დეტალები

თანამედროვე ზედაპირიდან 0,6 მ. სიღრმეზე. წარწერიდან სადღეისოდ იკითხება: „წმინდაო კვირიკე და ივლიტე დრანეთისაო მეოხ ეყავ შემწირველსა...“ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, კანდელი XIII, არაუგვიანეს XIV საუკუნით თარიღდება[9]. კანდელი მრავალმხრივ საინტერესო მონაპოვარია. მისი ანალოგიები არ არის ცნობილი, არც სამეცნიერო პუბლიკაციებში და მასთან მეტ-ნაკლებად ახლომდგომ ნივთს მუზეუმის ფონდებშიაც ვერ მივაკვლიეთ. დრანეთის კანდელი შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშია და ამ ეტაპზე უნიკალურადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. კანდელი სხვა მხრივაც არის საყურადღებო; როგორც აღინიშნა, ტაძრის სახელწოდება დაკარგულია და იგი სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად იწოდებოდა „ალექსეევკა-დრანეთის ეკლესია“-დ[10]. ამოკითხული წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, თითქმის აღარ რჩება საფუძველი დაეჭვებისა, რომ ე.წ. „ალექსეევკა-დრანეთის ეკლესია“ წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობაზეა აგებული.

ჩვენი აზრით, ეს კანდელი ტაძრის (ანდა მინაშენის) ერთ-ერთი განახლებისას უნდა იყოს შეწირული. როგორც აღინიშნა, კანდელი გვიანი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაშია მოპოვებული. აღინიშნა ისიც, რომ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მისი თარიღი XIII, XIV საუკუნის დამდეგით შეიძლება განისაზღვროს. ეს ორი დებულება კი, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. თუმცაღა მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ცნობილია, რომ საეკლესიო ნივთები თუ სიწმინდეები დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა ეკლესიებში. აქედან გამომდინარე, ვერანაირ წინააღმდეგობად ვერ ჩავთვლით, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში შეწირული ნივთი გვიან შუა საუკუნეებშიც ყოფი-

ლიყო ხმარებაში (ან შენახული) ეკლესიაში. რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია ტაძრის სრული აღდგენა, ამისათვის ტაძარს შერჩენილი აქვს ყველა არქიტექტურული დეტალი და შესაძლებელია მისი სრულად აღდგენა. (აღსანიშნავია, რომ ეს არ იქნება X-XI სს-დროინდელი პირვანდელი სახის აღდგენა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაძარი მრავალჯერ არის გადაკეთებული. ამიტომ დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოხდება იმ წყობის აღდგენა, რომლის კვალიც დღეს გვაქვს და ასევე იმ კარნიზის აღდგენა, რომელიც ადგილზე გამოჩნდა. ეს კარნიზიც ერთ-ერთი აღდგენის ფენას მიეკუთვნება.)

რესტავრაციის პროექტით გათვალისწინებულია საპირე წყობისა და კარნიზის აღდგენა იმავე ჯიშის ალგეთის ტუფით. რესტავრაციის დროს ტაძარზე საპირე ქვები აუცილებლად ხელით უნდა იყოს გათლილი, რადგან არსებული წყობა კარგად ნათალი ქვით არის ნაშენი. ამ მეთოდის გამოყენებით, სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალა თავისთავად თავსებადია ძეგლზე არსებულ მასალასთან. რაც შეეხება მინაშენს, მოხდება მისი ნაწილობრივი რესტავრაცია, აღდგება მხოლოდ მინაშენის დასავლეთი ნაწილი, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი გამაგრდება, დაედება საკონსერვაციო ფენა და გადაიხურება ხის მსუბუქი დროებითი გადახურვით. ■

9 წარწერა განსაზღვრა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ფონდის კურატორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ელენე კავლელაშვილმა. ნივთი გადაცემულია აღნიშნული მუზეუმის საგანძურის ფონდში.

10 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, თბ., 1989, გვ. 70; ი.ციციშვილი, ალექსეევკა-დრანეთის.

THE SUMMARY

SAINT KVIRIKE AND IVLITA'S CHURCH IN DRANETI VILAGE

GIORGI LAGHIASHVILI • GIORGI PATASHURI

The abandoned village of Draneti is located on the right bank of Trone ravine that is the part of Iriga River Gorge, in a close proximity of the modern village of Alrxeevka, (Tetritskaro Municipality), on the plane located on the southern slope of Bedeni Mountain, watersheds of Algeti and Ktsia river catchments basins, at the approaches to Trialeti plateau. The church located in the village is the focal point of our interest. Apparently its initial layers can be dated back to the 10-th century, however considerable restoration and refurbishment of the church was carried out sometime in the turn of the 14-th century.

Nowadays the church is heavily damaged. The current year has been devoted to preliminary activities that included preparation of restoration project documentation. As a result of archaeological excavations eastern part of the church annex was cleaned. Two of the finds were the most valuable – the cross-stone column adorned with ornamentation dated back to the 6-7- th centuries AD and a silver icon–lamp produced in the 13-th century AD. The inscription engraved on the icon-lamp reads that the church has been built in the name of St. Kvirike and Ivlita.

The prepared project envisages full-scale restoration and rehabilitation of the church. This intention is relatively easy to fulfill as far as all essential details of the church have fortunately been spared. It should be highlighted that the restored church will not replicate initial features of the 10-th century structure. As it has already been mentioned the building underwent several rounds of restoration and the latest of construction layers will serve as a sample to be followed. Despite the cornice masonry revealed in place is of later times it still will be regarded as the original.

According to the project documentation the church coating and cornice masonry will be restored by the authentic rock – the Algeti tuff. The facing stone should necessarily be hand-hewn as far as all the survived slabs are neatly hewn. Application of this methodology will assure full compatibility of the restored sections with the original parts of the church.

As for the annex, it will be restored only partially, meaning its western section in particular, while the eastern section will be consolidated, conservation layer will be applied and finally the whole annex will be covered with temporary roofing. ■

საბავშვო არქეოლოგია

ნანა კვიციანი

მცხეთა ხანგრძლივი ისტორიის ქალაქია. აქ უძველესი დროიდან – ჯერ კიდევ ძვ. წ. III-II ათასწლეულებში დასტურდება სამოსახლოების არსებობა. ძალზე მნიშვნელოვანია სამთავროს ველზე გათხრილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი, სადაც პურის საცხობი ღუმელების გარდა ანტროპომორფული ფიგურებით შემკული საკურთხეველიცაა აღმოჩენილი. ბოლო დროს გაითხარა საკულტო დანიშნულების ნაგებობის ნაშთები; არქეოლოგები მას "მზის ტაძრად" მიიჩნევენ. განსაკუთრებით მრავლადაა დიდი მცხეთის მიდამოებში გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და გვიანანტიკური, ასევე ფეოდალური ხანის სამარხები, და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი – არმაზციხის (ბაგინეთი) სამეფო და არმაზისხევის პიტიახშთა რეზიდენციები (ექსპონატები საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული). ძალიან საინტერესო მასალაა დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმშიც.

სწორედ ყოველივე ამან მისცა ბიძგი სამთავროს ველზე საბავშვო არქეოლოგიური პროგრამის ამოქმედების იდეას.

პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისათვისაა განკუთვნილი. ამ პროგრამაში, როგორც თვით არქეოლოგიაში, ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინა იყრის თავს. რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიასა და მშობლიურ ლიტერატურაზე, არქეოლოგების საქმიანობა

წარმოუდგენელია გეოგრაფიის, მათემატიკის – გეომეტრიის, ქიმიის, ფიზიკის, ხატვის გარეშე. "საბავშვო არქეოლოგიაშიც", ასევე, ერწყმის ერთმანეთს ამ დისციპლინათა ელემენტარული საწყისები. მართალია, მოსწავლეები ადგილზე ვერ ჩაატარებენ ქიმიურ თუ ფიზიკურ ანალიზებს, მაგრამ გაიგებენ ასეთი კვლევის არსებობის და მისი მნიშვნელობის შესახებ, შეიტყობენ, როგორ ეხმარება არქეოლოგს ისტორიის, ლიტერატურის (წყაროების) და გეოგრაფიის ცოდნა ადგილის შერჩევაში, როგორ ხდება ველის დაკვადრატება, როგორ მიმდინარეობს თვით გათხრები და ა. შ. პროგრამას გამოცდილი და ახალგაზრდა არქეოლოგები გაუძღვებიან.

პროგრამის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

- არქეოლოგიასა და არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ მოკლე შესავალი საუბრის შემდეგ, მოსწავლეები არქეოლოგიური იარაღით "აღიჭურვებიან" და ხელმძღვანელის დახმარებითა და მეთვალყურეობით ებმებიან "გათხრებში";

- პროგრამის მსვლელობისას ხდება გათხრილი ინვენტარის ფიქსაცია (ჩახატვა, გადაღება), მსჯელობა; სპეციალურად მომზადდა "ნორჩი არქეოლოგის საველე დღიური".

- შემდეგი ეტაპი გათხრილი კერამიკის რესტავრაციას გულისხმობს. მოსწავლეები აკვირდებიან და თავად მონაწილეობენ თიხის ნივთების აღდგენაში;

- პროგრამის დასასრულს მონაწილეებს "ნორჩი არქეოლოგის" სერთიფიკატები და სამახსოვრო ტრიპლეტები გადაცემათ. მომზადებულია კომპაქტდისკი დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატების შესახებ, რომელიც დაეხმარება პედაგოგებს, პროგრამის დამთავრების შემდეგ კლასშიც გააგრძელონ მუშაობა მასალაზე.

საგანგებოდ შეირჩა და მომზადდა ხუთი არქეოლოგიური მოედანი – სხვადასხვა პერიოდის, ქალისა და მამაკაცის ინვენტარით აღჭურვილი.

დამზადდა არქეოლოგიური ექსპონატების მინაბაძები, მოეწყო ველი. (შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამეთუნეო ნაწარმის იმიტაცია კერამიკოსმა – ბ-ნმა გიორგი პაჭკორიამ მოგვაწოდა, ლითონის ნივთები შ.პ.ს. "ლეგენდაში" ბ-ნმა მამუკა ჭოხონელიძემ დაგვიმზადა. დიდ მადლობას მოვახსენებთ შ.პ.ს. "ნექსოფს" – ბატონებს სერგო ობოლაშვილს და რამაზ ობოლაშვილს, რომლებიც ყოველმხრივ მხარში ამოგვიდგნენ, რათა ამ ჩვენი უჩვეულო და არაორდინალური ჩანაფიქრისათვის ხორცი შეგვესხა).

პროგრამაში მონაწილეობა მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით არის შესაძლებელი. დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდს www.heritagesites.ge

იმედია, პროგრამაში მონაწილეობა სახალისო და შემეცნებითი იქნება ბავშვებისათვის; მოსწავლეები ბევრს ახალს და საინტერესოს შეიტყობენ და სამთავროს ველზე გატარებული დრო დიდხანს, ძალიან დიდხანს გაყვებათ ლამაზ მოგონებად. ■

THE SUMMARY

ARCHAEOLOGY FOR SCHOOLS

NANA KHVITSIANI

History of the town of Mtskheta counts more then 23 centuries, but the earliest traces of human activities within the area can be traced down to the early 3-rd millennium BC. The place called "Samtavro" bears doubtless proofs of the prehistoric past – thanks to the burial ground with the earliest graves dated by the Middle Bronze Age and the remains of the Late-Bronze – Early Iron Age ancient settlement it is one of the most important and interesting sites of country's cultural heritage. On this very place – Samtavro Valley a special educational programme for high school students has been launch recently called "Archaeology for Schools". The experienced professional archaeologists and their young assistants lead the Programme the first dozen sessions of which was successful beyond the expectations.

Five "archaeological fields" have been prepared within the programme scope, two of which are arranged for mails and two for fe - males each "containing" grave goods common for different prehistoric and historical periods. The Programme crew would like to take an opportunity and express special acknowledgements to Mr. Giorgi Pachkoria, a professional ceramist who prepared and produced all imitations of ancient pottery; to Mr. Mamuka Chokhonelidze of "Legend " Ltd where all metal item copies and imitations were made; to Mr. Sergo and Ramaz Obolashvili of "Nexofi" Ltd, who were very helpful throughout the whole process of implementation of our cherished "child."

On this stage participation in the Programme requires advance booking. For details please visit the website of the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia - www.heritagesites.ge ■

გამოფენა
მცხეთა – საქართველოს ძველი დედაქალაქი

ნიკოლოზ მაისურაშვილი

გამოფენაზე წარმოდგენილია ისტორიული "დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით მონაპოვარი და შეძენილი არტეფაქტები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოებია: ძვ.წ. IV ათასწლეულიდან-ახ.წ. X-XII სს.

ძვ.წ. IV ათასწლეული გამოფენაზე წარმოდგენილია: ობსიდიანის, კაჟის, ქვისა და ძვლის იარაღები.

ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდი გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი, სხვადასხვა დანიშნულების კერამიკით, ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-საჭურველით, სარიტუალო დანიშნულების ნივთებით, ტანსაცმელთან დაკავშირებული აქსესუარებით, მძივ-სამკაულითა და ა.შ.

ანტიკური ხანა გამოფენაზე წარმოდგენილია აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი კერამიკით, მინის ნაწარმით, სარიტუალო ნივთებით, სხვადასხვა მძივ-სამკაულით, აქსესუარებით და ა.შ.

ადრეშუასაუკუნეები წარმოდგენილია ძირითადად საყოფაცხოვრებო და სამეურნეო კერამიკული ნაწარმით.

ჩვენი მუზეუმ-ნაკრძალის საექსპოზიციო-საგამოფენო სივრცეში გამოფენილია ისეთი უნიკალური არტეფაქტები, როგორიცაა: ძვ.წ. XIV-XIIIსს. ბავშვის თიხის სათამაშოები (ბორბლებზე შემდგარი ცხენის ფიგურები წეროვანის თანადროული სამაროვანიდან); ძვ.წ. VIII-VIIსს. ანთროპომორფული ფიგურებით შემკული საკურთხეველი (სამთავროს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარიდან); ძვ.წ. VIII-VIIსს. თიხის საბეჭდავების საკმაოდ დიდი კოლექცია (ნარეკვავის თანადროული ნამოსახლარიდან); ახ.წ. I ს-ის ე.წ. "ანთროპოსის" თიხის ქანდაკება (შემთხვევით მონაპოვარი წიწამურიდან); ახ.წ. II-IIIსს. ტყვიისაგან დამზადებული ე.წ. "მლოცველის" ფიგურა (კარსნისხევის თანადროული ნამოსახლარიდან); ახ.წ. IIIს-ის საფერუმარილე ნიჟარა ე.წ. "მზის ტაძრის" გამოსახულებით (ბაიათხევის თანადროული სამაროვანიდან; ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ისეთი იშვიათი და მაღალმხატვრული ნიმუშები როგორიცაა: ძვ.წ. XVIII-XVI სს. მესოპოტამური ტიპის ცული (შემთხვევით მონაპოვარი ნატახტარიდან.); ძვ.წ. VIII-VII სს. ბრინჯაოს ორნამენტირებული სარიტუალო სარტყელი (სათოვლე-ნაბაღრების თანადროული სამაროვანიდან); ახ.წ. Iს-ის ბრინჯაოს ბატილუმი (შემთხვევით მონაპოვარი წიწამურიდან); გამოფენაზე წარმოდგენილია ასევე ახ.წ. IIIს-ის არქიტექტურული ნიმუშები: სვეტისთავები, კვარცხლბეკი, ბერძნულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები (არმაზციხიდან). ■

ბატილუმი. I საუკუნე

ბავშვის სათამაშო ცხენი ძვ.წ. 14-13 სს.

კერპებიანი სამსხვერპლო ძვ.წ. 8-7 სს.

THE SUMMARY

THE EXHIBITION AT THE GREAT MTSKHETA STATE ARCHAEOLOGICAL MUSEUM-RESERVE
"MTSKHETA – THE ANCIENT CAPITAL OF GEORGIA"

NICKOLOZ MAISURASHVILI

All important artifacts coming from the territory of the Great Mtskheta, weather excavated, found by chance during ground works or purchased are presented on the exhibition that coves vast period of time from Forth Millennium BC till the 10-12-th centuries AD.

The section devoted to the earliest period of the history, that is to the Forth Millennium BC is presented by obsidian, flint, stone and bone tools.

The sections, devoted to Early, Middle and Late Bronze Ages as well as the transitional Late Bronze-Early Iron Age are rich in different pottery produce of various use, bronze and iron tools and armor, several items of ritual destination, items of clothes, necklaces and adornment/jewelry, etc.

The Antique Era section is presented by the items common for the period – various and numerous pottery, glassware, ritual items, beautiful adornment and jewelry, other artifacts, etc.

Daily used pottery and clay vessels necessary for economic activities are the basic artifacts presented at the Early Middle Ages section of the exhibition.

The Museum-Reserve is very proud of some really unique artifacts presented in the exhibition halls. The most noteworthy of them are clay toy-horses on wheels dated back to the 15-14-th cc BC coming from one of the tombs of Tse - rovani burial ground, a hearth with anthropomorphic figures dated back to the 8-7-th centuries BC found on the Late-Bronze-Early-Iron Age ancient settlement of Samtavro; rather numerous collection of the clay seals of the 8-7-th centuries BC found within the remains of Narekvavi ancient settlement; a clay sculpture of "anthropos"- a chance find from Tsitsamuri dated back to 1-st century AD; tin figurine of a praying man from Karsniskhevi ancient settlement (2-3 centuries AD); a shell cosmetics tray with an engraved image of the sun temple found on Baiatkhevi burial ground (III c AD), several samples of small bronze plastics of highest artistic value, such as Mesopotamian-type bronze axe of the 18-16-th centuries BC –an accidental find from Natakhtari, an ornamented bronze ritual belt coming from Satovle-Nabaghrebi burial ground of the 8-7-th century BC; a bathilum accidentally found in Tsitsamuri dated back to the 1-st century BC and others. The exhibition offers details of ancient architecture – column bases and capitals of the 3-rd century AD and samples of epigraphic monuments in Ancient Greek coming from Armaztsikhe. ■

კონფერენცია და გამოფენა

სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში

2010 წლის 18 მაისს სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კონფერენცია თემაზე – ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება და ხევის ეთნოგრაფია. აგრეთვე მოეწყო გამოფენა მოხევე შემოქმედთა ნამუშევრებისა, რომელიც ხევის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ნიმუშებს ასახავს.

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, აგრეთვე წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის პედაგოგები და მოსწავლეები.

კონფერენციაზე ზემოაღნიშნული თემა წაიკითხა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ლელა ხულელიძემ. შემდეგ გაიმართა ფართო დისკუსია, რაც მოსწავლეებში გამოწვეულმა დიდმა ინტერესმა განაპირობა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოხევე ხელოვანების: ლოზი ჩქარეულის, დონარი წიკლაურის, თამარ სუჯაშვილის, გიული მაისურაძის და მანანა ხულელიძის ნამუშევრები. ეს ნამუშევრები იყო ძირითადად ნაქარგობა და თექა.

ბოლოს ღონისძიება მოხევური სიმღერებით სტეფანწმინდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა გაგვილამაზა. ■

THE SUMMARY

STEPANTSMINDA HISTORICAL MUSEUM

A conference named "Alexandre Kazbegi's Original Works and Ethnology of the Historical Province of Khevi", organized by Stepantsminda Historical Museum was held on 18-th of May – the International Museum's Day. In parallel to the main speech delivered by the museum staff member, Ms Leila Khulelidze, a temporary exhibition of original works of modern artists – residents of Khevi was opened that day. Works of Lozi Chkareulki, Donari Tsiklauri, Tamar Sujashvili, Giuli Maisuradze and Manana Khulelidze reflecting different aspects of history and ethnology of our region were exhibited.

Active participation of secondary school students and teachers in discussions related to several local rights and customs considered in the main speech was regarded as the essential success of our undertaking and as the doubtless proof of the interest the basic speech has been meat with.

A concert of folk songs was organized as well, given in the evening as the final part of the conference. Public was deeply touched by the high class of performance of the girls chorus of the purples house of Stepantsminda. ■

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

სიახლე სააგენტოს ძეგლებზე

პეტრე დგებუაძე

ჟურნალის განაკვეთი, რომელსაც "ძეგლი და თანამედროვეობა" ჰქვია, თავისთავად მკაფიო მიმართულებას აძლევს ნებისმიერს, ვინც ამ რუბრიკაში რაიმეს დაწერას გადაწყვეტს. მთავარია დასაწერი და სათქმელი იყოს ისეთი, რომ მკითხველმა საყურადღებოდ ჩათვალოს.

ერთიც არის – ეს ჩვენი ჟურნალის პირველი ნომერია და, წესისამებრ, ყოველივე პირველს უფრო საზეიმო ელფერი დაჰკრავს ხოლმე. ალბათ ეს წესი ჩვენს შემთხვევაზეც იმოქმედებს, თუმცა ეჭვგარეშეა, სასიამოვნო სიახლეები ნამდვილად გვაქვს და გვსურს კიდეც, რომ მოგახსენოთ.

მათგან პირველი ისაა, რომ 2010 წლის 13 მარტს დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობაში გაიხსნა ტურისტულ-საინფორმაციო და მარკეტინგული სივრცე. ასეთი რამ პირველად ხდება საქართველოს ტერიტორიაზე. პროფესიონალებს რომ თავი დავანებოთ, ვფიქრობ, ამ ფაქტის მნიშვნელობა სამუზეუმო საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისათვისაც ნათელია. სწორედ ეს აღნიშნა კიდეც UNESCO-ს დელეგაციამ, რომელიც იმ დღეს სტუმრობდა მცხეთას. ქართულ და ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს ტურისტული რუკებისა და სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების საინფორმაციო სამახსოვრო ფურცლების წყალობით, რომლებიც მსურველთათვის უფასოა, ამიერიდან ნებისმიერი სტუმარი მიიღებს დაწვრილებით ინფორმაციას როგორც კერძოდ მცხეთისა და მისი შემოგარენის კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე, ისე ზოგადად, საქართველოს ტურისტულ მარშრუტებსა და მათზე განლაგებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. დამთვალიერებლის განკარგულებაშია აქვე დადგმული ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სენსორული მონიტორიც, სადაც შეტანილია როგორც ტექსტური ინფორმაცია, ისე ფოტომასალა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. დამთვალიერებლებს ასევე შეუძლიათ შეიძინონ ღია ბარათები და სუვენირები, რაც ორმხრივ სასარგებლოა-მყიდველისათვის კეთილი მოსაგონარი და სამახსოვროა, მუზეუმისათვის კი შემოსავლის დამატებითი წყარო, რაც ისევ და ისევ მის განვითარებას მოხმარდება.

კიდევ ერთი სიახლე, რაც იმედია ასევე გაახარებს ჩვენ საზოგადოებას, ისაა, რომ სამთავროს ველი, თუ სწორად ვიტყვით, მისი ერთი ნაწილი – ის, რომელიც დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის შემადგენლობაშია, ტურისტულ ობიექტად გამოცხადდა და ამდენად, ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის.

მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურის განვითარება სააგენტოსათვის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რაც საქმით პირველად სამთავროს ველზე დადასტურდა. ტერიტორია საკმაოდ დიდია და ამდენად მისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ეტაპობრივად მოხდება, დღეისათვის კი აღსანიშნავია, რომ შეკეთდა სამაროვნის ადრე გათხრილი მონაკვეთის გადახურვა, ასევე გადაიხურა ტერასულ ფერდობზე ადრე გათხრილი ნამოსახლარი. გადახურვის ქვეშ მოექცა ნამოსახლარის ჯერ კიდევ გაუთხრელი ტერიტორიის ნაწილიც, რაც მომავალი გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნაშთების უკეთ კონსერვაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამის გარდა, ადგილობრივი მასალით დაიგო ფეხით მოსიარულეთა ბილიკები, რომლებსაც მთელ სიგრძეზე მოაჯირები დაუყვავა. ძეგლზე დაიდგა საინფორმაციო აბრები-ბანერები, სადაც მოკლე, მაგრამ ტევადი ინფორმაციაა მოცემული ძეგლის შესახებ. უშუალოდ ნამოსახლარზე კი ერთი სტენდია, სადაც ასევე ლაკონურად და ამომწურავადაა აღწერილი ძეგლი და მოცემულია შენობის ინტერპრეტაციისა და რეკონსტრუქციის მოდელი. ასე რომ, თუ დამთვალიერებელი ექსკურსიამძღოლის მომსახურებით არ ისარგებლებს, მაინც შეიტყობს, რა ძეგლზე იმყოფება.

ამასთან, არის კიდევ ერთი, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, სამთავროს სამაროვნის დათვალიერება მუზეუმში შეუსვლელადაც შეიძლება. ბილეთის აღება აქვეა შესაძლებელი, ამ მიზნისათვის

ROVEOBA

საგანგებოდ აშენებულ პატარა სახლში, რომელიც ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობის პირველ ეტაპზე აიგო. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აქვე, სამთავროს ველზე მოეწყო საბავშვო არქეოლოგიური მოედანი, სადაც სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ უშუალოდ ნახონ, თუ რა არის არქეოლოგიური გათხრები. მცხეთის მუზეუმისა და სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახურის ერთობლივი საბავშვო-საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში შემუშავდა გასვლითი გაკვეთილის ტიპის 90-წუთიანი პროგრამა, რომლის დროსაც საექსკურსიო ჯგუფები საველე არქეოლოგიაში პირველდაწყებით განათლებას მიიღებენ, შინ კი ნორჩი არქეოლოგის სამახსოვრო სერთიფიკატით დაბრუნდებიან. და ეს ყველაფერი – მინიმალურ ფასად.

თუმცა, ხომ ოდითგან ცნობილია, რომ გაგონილს ნანახი სჯობს. გვეწვიეთ და გვჯერა, რომ კვლავ და კვლავ მოსვლა მოგინდებათ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მისი ჩამოყალიბებისთანავე მსჯელობდნენ და ამუშავებდნენ საკითხთა იმ ფართო წრეს,

სამთავროს ველი, თუ სწორად ვიტყვით, მისი ერთი ნაწილი – ის, რომელიც დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის შემადგენლობაშია, ტურისტულ ობიექტად გამოცხადდა და ამდენად, ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის.

რომელიც სააგენტოში შემავალი მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების ახალი მოთხოვნების შესაბამისად მოწყობას შეეხებოდა. შემოთავაზებულ მოსაზრებებს გონებრივი გაცხრილვა მოსდევდა, გამოვლენილ რისკებს კი შესაბამის გამაბათილებელ ან შემარბილებელ საშუალებებს მიუსადაგებდნენ და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იკვალებოდა გზა. მოგეხსენებათ, სააგენტო თოთხმეტ მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალს აერთიანებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ყოველ მათგანს თავისი მახასიათებელი და თავისებურება აქვს და ზოგად მიდგომას ადგილზე მორგება სჭირდება. სწორედ ამ პრინციპებით და ადრინდელი უზუსტობების გათვალისწინებით შემუშავდა ტექნიკური დავალება გონიო-აფსაროსში და პეტრა-ციხეზე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო პროექტისათვის, რომელიც ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციებმა ამ ცოტა ხნის წინ წარმოადგინეს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში. ალბათ ამ ზაფხულს აჭარაში დამსვენებელთა ერთი ნაწილი მაინც ნახავდა, თუ რა გაკეთდა, ხოლო ისინი, ვინც ხსენებულ ძეგლებზე ვერ მოხვდნენ, ამ რუბრიკაში გამოქვეყნებულ მომავალ წერილს დაელოდონ, სადაც დაწვრილებით აღვწერთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს. ■

ძეგლზე დაიდგა საინფორმაციო აბრეები-ბანერები, სადაც მოკლე, მაგრამ ტევადი ინფორმაციაა მოცემული ძეგლის შესახებ. უშუალოდ ნამოსახლარზე კი ერთი სტენდია, სადაც ასევე ლაკონურად და ამომწურავადაა აღწერილი ძეგლი და მოცემულია შენობის ინტერპრეტაციისა და რეკონსტრუქციის მოდელი.

THE SUMMARY

NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA
INNOVATIONS ON THE AGENCY'S SITES

PETRE DGEBUADZE

Following the reforms carried out in the country in the sphere of cultural heritage management, several museums and museum-reserves became subjects to the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia. Assurance of their compatibility with new requirements and realities has become one of the major aspects of the Agency's agenda .

Increase of openness and accessibility of the museums for broader public and shift of the main focus towards educational and social programs is one of the basic features of that new approach in the management of the establishments in charge of preservation of cultural heritage. Arrangement of a new tourist information and marketing centre at the Great Mtskheta State Archaeological Museum-Reserve and its equipment with touch screens – those easy means of getting information on all more or less important monuments of cultural heritage throughout the country including notices on who to get to them, inclusion of Samtavro Burial Ground in tourist itinerary and launch of Children Archaeology Programme there are direct outcomes of that striving for innovations. So every visitor, weather local or foreigner is more then welcome to get all necessary information about our sites. We have also planned a good deal of work to be carried out the next year basically focused on provision of new infrastructural elements at Gonio and Petra Museum-Reserves that hopefully will be both educative and entertaining for the tourists. We also expect that the newly opened marketing space at Mtskheta Museum that offers several souvenirs and new publications will hopefully return some nice memories in our guests of visiting Georgia's museums and museum-resorts we try to make more interesting and attractive for them. ■

უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი
ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია

ნანა კვიციანი

უფლისციხე საოცარი და იდუმალი ნაქალაქარია. აბა რომელ ძეგლს გამოუწვევია მეცნიერთა შორის ისეთი აზრთა სხვადასხვაობა და ვნებათა ღელვა, როგორიც უფლისციხის გამო ტრიალებს. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე გაურკვეველია ქალაქის რაობა და ცალკეულ ქვაბულ-ნაგებობათა დანიშნულება, ის საექსკურსიო მარშრუტების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ძეგლია. უფლისციხე ყოველწლიურად ათასობით ქართველ თუ უცხოელ დამთვალიერებელს მასპინძლობს. ამითაა ნაკარნახევი მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტირის განვითარების აუცილებლობა. საუკუნოვანი ნაქალაქარის გარდა დღეს აქ მხოლოდ მუზეუმის მომცრო შენობაა, სადაც ძეგლზე აღმოჩენილი ექსპონატებია გამოფენილი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით შეიქმნა პროექტი (შ.პ.ს ,,დემარკი"), რომლის განხორციელების შემდეგ უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი მნახველებს საინტერესო ძეგლის გარდა სასიამოვნო დასასვენებელ თუ შემეცნებით გარემოს შესთავაზებს. კომპლექსის შესასვლელში ვიზიტორთა ცენტრისა და საკონფერენციო დარბაზის მშენებლობაა დაგეგმილი. კეთილმოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, დამონტაჟდება მოაჯირები და კიბეები, რომლებიც რთული რელიეფის მქონე მონაკვეთებზე გადაადგილებას მოსახერხებელსა და უსაფრთხოს გახდის.

მთავარი საფეხმავლო გზის გასწვრივ განთავსებულ ვიზიტორთა ცენტრს სტუმართა შემომავალი და გამავალი ნაკადების მაორგანიზებელი ფუნქცია ენიჭება. აქ სალარო და გამყოლთა სერვისი მოემსახურება ძეგლისკენ მიმავალ მნახველებს; აქვეა დაცვის სამსახური, კაფე და სუვენირების მაღაზია. უკან მობრუნებულ სტუმრებს შეეძლებათ დაათვალიერონ არქეოლოგიური მუზეუმი და მის წინ მოწყობილ ამფითეატრში განთავსებული ლაპიდარიუმი, რის შემდეგ მათ კაფე და სუვენირების მაღაზია უმასპინძლებს. ■

უფლისციხის მუზეუმის პროექტი

THE SUMMARY

UPLISTSIKHE HISTORICAL-ARCHITECTURAL MUSEUM-RESERVE

RECONSTRUCTION OF THE INFRASTRUCTURE

NANA KHVITSIANI



Uplistsikhe is one of the most popular sites throughout the country with nearly the highest number of visitors coming up to several tenths of thousands of either local tourists or guests from abroad visiting the site all the year round. This circumstance makes upgrading of infrastructural elements of the site the extremely topical issue. Except the centuries-old monument itself only a small museum building exists nowadays that offers the exhibition of items found on-site.

Following the order of the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia a Project has been drawn that will assure creation of an attractive environment after its implementation and will provide pleasant conditions for visitors looking for relaxation, entertainments and knowledge improvement. According to the Project the visitor centre and conference hall will be constructed close to the entrance on the site territory, the network of walkways will cover the entire territory of the complex, handrails and stairs will be provided wherever necessary, etc.

The Visitors Centre located across the main walkway contains the box-office, the guide/docent centre, security post, snack-bar/cafeteria and souvenir/gift shop. On their way back visitors will be able to get in the museum and see the exposition that contains the most important items found during the archaeological excavations carried out on the territory of the site. After walking through the exhibition of stone artifacts and inscriptions on stone slabs arranged on the amphitheater scene in front of the museum entrance all who wishes to support further development of the site are more then welcome to visit gift/souvenir shop and cafeteria. ■

ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი

არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (2006–2010 წლები)

იულონ გაგოშიძე, დავით მინდორაშვილი, გიორგი გაგოშიძე

ინტერესი კვიპროსში არსებული ღალიას ქართული მონასტრის მიმართ საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა. 1962 წლის 28 ნოემბერს გაზეთში "Вечерний Тбилиси" დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტის ოთარ გიგინეიშვილის წერილი "Кипрские находки"[1]. ვრცელი ამონარიდი ამ სტატიიდან ფრანგულად თარგმნა და 1963 წელს ჟურნალში „ბედი ქართლისა" გამოაქვეყნა ნინო სალიამ[2]. ოდნავ სახეცვლილი იგივე სტატია, სახელწოდებით „კვალი კვიპროსისა - კენ მიდის", ო.გიგინეიშვილმა 1963 წლის 6 იანვარს უკვე გაზეთში „კომუნისტი" გამოაქვეყნა[3]. ავტორი კვიპროსზე სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა და სტატიებში აღწერა იქ მიღებული შთაბეჭდილებები. მივლინების მიზანს არ წარმოადგენდა ღალიას მონასტრის მოძიება, მაგრამ მან ისარგებლა კუნძულზე ყოფნით და შეეცადა ქართული მონასტრის კვალისათვის მიეგნო. თავდაპირველად მკვლევარი ძირითადად ხელმძღვანელობდა 1580 წელს პარიზში გამოცემული კვიპროსის აღწერით, რომელიც ეკუთვნოდა კუნძულის

1 Гигинеишвили, 1962;
2 Salia, 1963, 82-87;
3 გიგინეიშვილი, 1963.

ჯგუფრეთ

ყოფილ მმართველს ეტიენ ლუზინიანს. წიგნის ავტორი აღწერდა იმას, რაც საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი. ეტიენ ლუზინიანი აღნიშნავდა, რომ ქართველებს კუნძულზე რამდენიმე მონასტერი ჰქონიათ, უმთავრესად ალამინის რაიონში (ლარნაკასთან ახლოს). ცნობა თავისთავად ანგარიშგასაწევი იყო, ამიტომ მონასტრის ადგილმდებარობის ძიებისას ძირითადი ყურადღება ალამინსა და მის შემოგარენს დაეთმო. ძებნამ ამაოდ ჩაიარა. ველზე გაშენებულ ალამინში, იმჟამად მხოლოდ ერთი მიზგითი იდგა. ალამინის ტოპონიმიკაშიც არ მოიძებნებოდა სახელი, ოდნავ მაინც რომ მიმსგავსებოდა ღალიას. მკვლევარი დარწმუნდა, რომ ღალია სხვაგან იყო მოსაძებნი, მაგრამ ამასობაში მისი კუნძულზე ყოფნის დრო იწურებოდა. ერთხელ, ნიქოზიის ბიბლიოთეკის დირექტორ კონსტანტინე ჰაჯიფსალიტისთან სტუმრობისას, მასპინძელმა მის თვალწინ გახსნა ახლადმიღებული ფოსტა. კ. ჰაჯიფსალიტისს თავის წიგნს უგზავნიდა ბიზანტიოლოგი ჟან რიშარი. ორივემ გადაათვალიერეს წიგნი. ნაშრომი ეხებოდა ვატიკანის არქივის XIV-XV სს-ის მასალებს. მათგან ქართველი მკვლევარისათვის ყველაზე საყურადღებო აღმოჩნდა 1306 წლით დათარიღებული №1298 საბუთი. საბუთში ლაპარაკი იყო კვიპროსის სამი მონასტრის შესახებ, რომელთა ხელში ჩაგდება, როგორც ჩანს, უნდოდა რომის პაპ კლიმენტი V-ს. საბუთის თანახმად, ორ მათგანში წინამძღვრებად ბერძნები იყვნენ, ერთში – ქართველი. ერთი ამ მონასტერთაგანი ჰირზოფუს (ხრისოხუს) ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, იალეში ანუ იაილეში მდებარეობდა. „არც ერთ ჩვენთაგანს აღარ ჰქონდა ეჭვი – წერდა ო. გიგინეიშვილი, რომ საქმე ეხებოდა ქართველთა მონასტერს ღალიას. ვინაიდან საბუთში ნახსენები იალია წარმოიქმნა ბერძნული სიტყვა გიალოსიდან, რაც ნიშნავს ზღვის ნაპირს. ხოლო ბგერა გ ქართულად გაისმა როგორც ღ და ჟ.“ (პ. ინგოროყვა თვლიდა, რომ ტერმინი „ღალია“ ქართული წარმოშობისაა და მომდინარეობს „ღელეს“ მეგრული შესატყვისიდან, „ღალი“[4]). მივყვეთ ისევ მკვლევარის მონათხრობს: „ზღვის ნაპირიდან დაახლოებით ორი მილის მანძილზე მდებარეობს სოფელი იალია. სოფლის იქით იწყება ტყეებით დაფარული მთები, საიდანაც ჩამოდის ამავე სახელწოდების მდინარე. მეკავა ხელში ჟან რიშარის წიგნი და სინანულის გრძნობა არ მასვენებდა, სულ რამდენიმე დღის წინ თავს ვადექი იალიას ხეობას ... სწორედ აქ, სოფელ იალიასა და ფინეკლეს შორის უნდა ვეძებოთ ღალიას მონასტრის ნანგრევები.“ ო.გიგინეიშვილი ძალზე ახლოს იდგა მონასტრის აღმოჩენასთან, მაგრამ უდროობამ მას ამის საშუალება არ მისცა. მკვლევარმა ისე დატოვა კუნძული, რომ მონასტერი არ უნახავს. წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც ეს იყო პირველი მცდელობა კვიპროსზე ღალიას ქართული მონასტრის მიგნებისა.

„ვეჩერნი ტბილისში“ გამოქვეყნებულ სტატიას ახლდა პროფ. აკაკი შანიძის მცირე კომენტარი, სადაც აღნიშნულია, რომ „საჭირო იქნებოდა სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა კვიპროსზე, რათა იქ ჩატარდეს კვლევა-ძიება ქართული სიძველეებისა“.

ო. გიგინეიშვილის ამ სტატიებს მალე გამოხმაურებები მოჰყვა. აკად. შალვა ამირანაშვილი, ეხებოდა რა საკითხის ისტორიას, წერდა: „სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ქართველთა ძირითადი კოლონია იყო თვით ქალაქ ნიქოზიაში, ალამინში კი რამდენიმე მონასტერი. დიდი ხანია დადგენილია, რომ ქრიზოფუს ყურის სანაპიროდან დაახლოებით 1 მილის დაშორებით მდებარეობს ქართველთა ძველი მონასტრის ღალიას ნანგრევები. ამჟამად დაცულია მხოლოდ ერთი სამლოცველო.“ მანვე მიუთითა ღალიას მონასტრის შესახებ არსებული სათანადო ლიტერატურაც: ჰაკეტ ჯ., კვიპროსის მართლმადიდებელთა ეკლესიის ისტორია, ლონდონი, 1901, გვ. 523; გიუსტონ ფ., კუნძულ კვიპროსის ქრონიკა, პარიზი, 1884, გვ. 401; მენარდუ ს., კვიპროსის ტოპონიმიკა, ათენი, 1905, გვ. 377; კირიაზისი ნ., კვიპროსის მონასტრები, ნიქოზია, 1950, გვ. 161[5]. გამოდის, რომ ქართველთა მონასტრის მდ. ღალიას (იალიას) ხეობაში არსებობა ადრეც ყოფილა ცნობილი, მაგრამ ამ ცნობებს აკლდა კონკრეტულობა – მონასტრის ზუსტი იდენტიფიცირება ხეობაში არსებულ რომელიმე მონასტერთან.

სულ მალე პრესაში გამოჩნდა პოეტ გიორგი ლეონიძის სტატია, რომელიც ო. გიგინეიშვილისა და შ. ამირანაშვილის სტატიების გამოძახილი იყო. „დროა გამოვიჩინოთ შესაფერისი ენერგია, გულის შეტკივება, სიყვარული და გავიცნოთ ჩვენი დანგრეული ძეგლები, შემოვკრიფოთ ჩვენი

4 ინგოროყვა, 1954,165;
5 ამირანაშვილი, 1963.



ტაბ. I. 1. ღალიას მონასტრის ღვთისმშობლის სახ. ტაძრის გეგმა. I-VI – ორმოები. 1-17 სამარხები (ნახაზები შესრულებულია თენგიზ გაბუნიას მიერ). 2. კვიპროსი. ღალიას ქართული მონასტერი.

მიმოფანტული ეროვნული საუნჯენი და მით ჩვენი უწმინდესი მოვალეობა მოვიხადოთ“ – წერდა პოეტი. სტატიაში ყურადღება, რა თქმა უნდა, ღალიას ქართულ მონასტერსაც ეთმობოდა, მაგრამ ძირითადი აქცენტი უფრო თემურ-ლენგისა და სხვა დამპყრობლების მიერ საქართველოდან გატაცებული ხელნაწერების მოძიებაზე კეთდებოდა[6]. ინტელიგენციის ავტორიტეტული წარმომადგენლების – ა. შანიძის, შ. ამირანაშვილის, გ. ლეონიძის – პრესაში გამოთქმულ მოწოდებებს კვიპროსზე სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობისა, რომელიც პირველ რიგში ხელისუფლების გასაგონად იყო გამოთქმული, ამ უკანასკნელის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია. ათი წლის შემდეგ, კვიპროსის ქართულ ეკლესია-მონასტრებთან და მათ შორის ღალიასთან დაკავშირებით, პრესაში კიდევ ორი სტატია დაიბეჭდა[7]. ისინი, ვინც კარგად იცნობდა 1962-1963 წლების საგაზეთო სტატიებს ღალიას მონასტრის შესახებ, ამ პუბლიკაციებში ახალ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას ვერ ამოიკითხავდნენ (თუმცა ერთ-ერთ სტატიაში მოყვანილია საინტერესო ცნობა, რომ კვიპროსში მომუშავე კ. გველესიანს, პროფესიით მეღვინეს, რომელიც დაინტერესებული ყოფილა ქართული ძეგლების მოძიებით, ალამინში უნახავს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის ნიშში წმ. გიორგის ხატთან ეწყო ადამიანის თავის ქალა და ხელის მტევნის ძვლები, რომლებსაც იქაური მლოცველები ქართველი მღვდელ-მთავრების კუთვნილად მიიჩნევდნენ თურმე[8]). სტატიების გამოჩენას უფრო ის მიზანი ჰქონდა, რომ ათი წლის წინ წამოჭრილი პრობლემა გაეხსენებინა მმართველობაში ახლად მოსული პირებისათვის, რომელთათვისაც ექსპედიციის მოწყობა თუ არა, რამდენიმე მკვლევარის სამეცნიერო მივლინებით კვიპროსზე გაგზავნა დიდი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ საკითხისადმი არც ახალ ხელისუფალთ მიუქცევიათ ყურადღება. ღალიას ქართველთა მონასტრის აღმოჩენის პატივი წილად ხვდა ოკეანესგაღმა მცხოვრებ ქართველს, პროფ. ვახტანგ ჯობაძეს (1917-2007), რომლის ღვაწლი უცხოეთში არსებული ქართული სამონასტრო კერების გამომზეურებისა და მათი შესწავლის საქმეში განუზომლად დიდია. 1962-1967 წლებში ის არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ქრისტიანული კულტურის

6 ლეონიძე, 1963;
7 ჯავახიშვილი, 1973, 1973ა, 1973ბ;
8 ჯავახიშვილი, 1973ა.



ტაბ. II. ღალიას ქართული მონასტერი. 1. წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესია (ა. გეგმა, ბ. ჭრილი). 2. მონასტრის წისქვილი (ა. აღმოსავლეთის ფასადი, ბ. ბელღარის ზედხედი). 3. მარტომყოფელი ბერის სენაკი (ა. გეგმა, ბ. ჭრილი).

უძველეს ცენტრში – ანტიოქიაში, სადაც წერილობითი წყაროების თანახმად, ადრიდანვე მოღვაწეობდნენ ქართველები. იქ მან შეისწავლა X-XIII სს-ის 14 მონასტერი. 1965 წლიდან მოყოლებული ვ.ჯობაძე იკვლევდა ტაო-კლარჯეთის ძეგლებს და კვლევის შედეგებს სისტემატურად აქვეყნებდა უცხოეთის ავტორიტეტულ ჟურნალებში, რაც ბუნებრივია, დიდად უწყობდა ხელს ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ.

1981 წელს კვიპროსზე საგანგებოდ ჩასულმა ვ. ჯობაძემ მიაკვლია ფიჭვნარის ტყეში ჩაფლულ იმ მონასტრის ნანგრევებს, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში ღალიას ან ჟალიას სახელწოდებით იყო მოხსენიებული. „მონასტერი ნანგრევებადაა ქცეული, თუმცა ეკლესიის აბსიდის სამი ნაწილი, ისევე როგორც ორივე ნაწილი სამხრეთის კარიბჭისა, ჯერ კიდევ სამი მეტრის სიმაღლეზეა აღმართული“ – წერდა ვ. ჯობაძე. იმას, რომ ნანგრევები მართლაც ქართულ მონასტერს ეკუთვნოდა, სამი გარემოება ამტკიცებდა: 1. სოფლისა და მდინარის სახელწოდება ზუსტად ემთხვეოდა ქართულ წყაროებში მოხსენიებული მონასტრის სახელწოდებას (ბერძნული – იალია, ქართული ღალია-ჟალია); 2. ნანგრევების მიხედვითაც კარგად ჩანდა, რომ ეკლესია იყო ტრიკონქი, რაც უჩვეულოდ გამოიყურებოდა კვიპროსისათვის, სამაგიეროდ, ძალზე დამახასიათებელი იყო ტაო-კლარჯეთის IX-X სს-ის საეკლესიო არქიტექტურისათვის; 3. მთავარი არგუმენტი მონასტრის ქართველებისადმი კუთვნილებისა გახლდათ ის, რომ ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთ სვეტზე შემორჩენილი იყო ოთხ მწკრივად განლაგებული ქართული ასომთავრულით შესრულებული სავედრებელი წარწერების ფრაგმენტები. დაზიანების გამო წარწერების სრულად წაკითხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ დაქარაგმებულ სიტყვებში ვ.ჯობაძემ ამოიკითხა რამდენიმე სახელი: **კე** (კვირიკე, კირილე თუ კონსტანტინე), **ნიკოლოზი** და **მათე.** პრობლემა გადაწყდა! ახლა უკვე ზუსტად იყო განსაზღვრული ღალიას ქართული მონასტრის ადგილმდებარეობა[9].

მონასტრისათვის ყველანაირად შემკული, ლამაზი, მყუდრო და მოხერხებული ადგილი შეერჩიათ ქართველ ბერებს. მონასტერს გარშემო ფიჭვნარით დაფარული მთები აკრავს და სულ ახლოს თუ არ მიხვედი, ის შორიდან არ ჩანს. საკმარისია, მონასტრიდან ოდნავ ზემოთ, ფერდობზე ახვიდე და თვალწინ იშლება ხეობისა და ზღვის სანაპიროს თვალწარმტაცი ხედი. კვიპროსში სასმელი წყლის დიდი ნაკლებობაა. აქ კი, მონასტრის ცოტა ქვემოთ, მოედინება პატარა მდინარე, რომელიც დიდი გვალვის დროსაც არ შრება. მონასტრის დასავლეთით, ზღვის სანაპიროსა და მთებს შორის, არსებობდა სახნავ-სათესი მიწების მოზრდილი ფართობები. არაა გამორიცხული და წერილობითი წყაროებიც იმაზე მიგვანიშნებენ, რომ მიწების გარკვეულ ნაწილს შესაძლოა მონასტერი ფლობდა. ასე რომ, თავის დროზე მონასტერს არც სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობა უნდა განეცადა.

ღალიას მონასტერი კი აღმოჩნდა, მაგრამ ნანგრევებად ქცეული ტაძარი უცილობლად მოითხოვდა შემდგომ კვლევას, პირველ რიგში კი არქეოლოგიურ გათხრებს. ის, რომ ღალია არქეოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ძეგლი იყო, ტაძრის ნანგრევებზე თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანდა.

ჯერ კიდევ 1963 წელს ღალიასთან დაკავშირებით აკად. შ.ამირანაშვილი წერდა: „ის რაც ჩვენ ვიცით უცხო ქვეყნებში არსე-

9 ჯობაძე, 1987, 167-179.

ტაბ. III. 1. ღალიას მონასტრის ღვთისმშობლის სახ. ტაძარი არქეოლოგიურ სამუშაოთა დაწყებამდე. ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. III. 2. ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. III. 3. გათხრების პროცესი (ფოტოები გიორგი გაგოშიძისა).

ბული ქართული კულტურის კერების შესახებ, დღეს უკვე არ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებას. აუცილებლად საჭიროა გაიგზავნოს საგანგებო ექსპედიციები სათანადო სპეციალისტების შემადგენლობით, რათა ჩვენი ერის სახელოვანი წარსული იყოს შესწავლილი, როგორც ამას ისტორიული მეცნიერება მოითხოვს“[10]. ამ სიტყვებს მხოლოდ 43 წლის შემდეგ ეწერა განხორციელება.

2000 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით ნიქოზიაში ჩავიდა დეკანოზი ზაქარია ფერაძე, როგორც საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი კვიპროსსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში. მის მისიას შეადგენდა კვიპროსის ეკლესიასთან ოდითგანვე არსებული კავშირების აღორძინება, ქართული ეკლესია-მონასტრებისა და ქართული ნაკვალევის მოძიება, კვიპროსში მცხოვრებ ქართველთა სულიერ გაძლიერებაზე ზრუნვა.

მონასტრის სრულმასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლის იდეა დაიბადა 2001 წლის ივნისში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის კვიპროსში ვიზიტის დროს. ამ ვიზიტით განახლდა საუკუნის წინ შეწყვეტილი კავშირი ორ მართლმადიდებელ ერს შორის. სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად, პატრიარქმა მოილოცა ღალიას ქართული მონასტერიც, სადაც მონასტერში მოღვაწე ბერების სულთა საოხად პანაშვიდი გადაიხადა. კვიპროსის მხარემ სიამოვნებით მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადადება, არქეოლოგიურად გამოკვლეულიყო სამონასტრო კომპლექსი და მიმდებარე ტერიტორიაზე აგებულიყო მცირე ტაძარი, როგორც სიმბოლო ორი ქვეყნის ეკლესიების მეგობრობისა. მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელებას მამა ზაქარია შეუდგა[11].

10 ამირანაშვილი, 1963;
11 ლაჭყეპიანი, 2009, 415-416.

2004 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტთან მიღებაზე მყოფმა მამა ზაქარიამ მიხეილ სააკაშვილს გააცნო კვიპროსზე ქართული მონასტრის კვლევისა და დაცვის პრობლემები და პერსპექტივები. საქმე დაიძრა. ორიოდე კვირაში კვიპროსში ჩავიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კოტე ქავთარაძე, რომელიც ვითარებას ადგილზე გაეცნო.

2005 წლის ზაფხულში კვიპროსში გაიხსნა საქართველოს საკონსულო. პრეზიდენტმა ისრაელსა და კვიპროსში საქართველოს ელჩს, ლაშა ჟვანიასა და კონსულს, პეტრე კანკავას დაავალა აქტიურად დახმარებოდნენ კვიპროსში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლობას ღალიას ქართული მონასტრის არქეოლოგიური კვლევის დაწყების ორგანიზაციაში[12].

დაიწყო მოლაპარაკება კვიპროსის კომუნიკაციებისა და სამუშაოთა სამინისტროს სიძველეთა დეპარტამენტის დირექტორთან პავლოს ფლორენცოსთან გათხრებზე ლიცენზიის მისაღებად. ამ იდეისადმი კვიპროსული მხარის კეთილგანწყობის მიუხედავად, საქმის ბოლომდე მისაყვანად საჭირო გახდა უამრავი პრობლემის გადაჭრა, სანამ ყველა იურიდიული საბუთი მოგროვდებოდა. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ მონასტრის გარშემო არსებულ ტერიტორიებს ფლობდნენ კერძო პირები, რომელთაგან ზოგიერთი სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. მამა ზაქარიასა და საქართველოს საელჩოს თავდაუზოგავმა მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო. ექსპედიციის მოსამზადებელი ეს ურთულესი ეტაპი წარმატებით დასრულდა.

2006 წლის მაისში კვიპროსში ჩასულმა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა საბოლოოდ შეათანხმა პროექტის პირველი ეტაპის – არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ვადები და პირობები.

2006 წლის 7 ივლისს კვიპროსის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახელზე გასცა ლიცენზია (კვიპროსი, პლანშეტი XXVI/32, ნაკვეთი 11) ღალიას მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად. ლიცენზიის მიღების შემდეგ სამინისტრომ და სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრმა შეადგინეს ექსპედიცია იულონ გაგოშიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის დაფინანსებაში სამინისტროსთან ერთად მონაწილეობა მიიღო „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა“.

ტაბ. IV. 1. ღვთისმშობლის სახ. ტაძარი. ქართული ასომთავრული წარწერები სამხრეთ პორტიკის დასავლეთ ბურჯზე (ფოტო გიორგი გაგოშიძისა).

და ბოლოს, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2006 წლის 5 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია კვიპროსს გაემგზავრა.

2006-2010 წლებში ექსპედიციამ კვიპროსზე ექვსი საველე კამპანია (2007 წელს – ორი) ჩაატარა, 2006-2007 და 2010 წლებში ი. გაგოშიძის, 2008-2009 წლებში კი დ.მინდორაშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: როლანდ ისაკაძე (არქეოლოგი), გიორგი გაგოშიძე (ხელოვნებათმცოდნე), თენგიზ გაბუნია (არქიტექტორი), დავით

ტაბ. IV. 2. ღვთისმშობლის სახ. ტაძარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

12 ლაჭყეპიანი, 2009, 421.

ტაბ. V. მონასტრის წისქვილის ნანგრევები. 1. ხედი აღმოსავლეთიდან.

გაგოშიძე (მხატვარი-რესტავრატორი), ლია ბითაძე, შორენა ლალიაშვილი (ანთროპოლოგები), არჩილ კონიაშვილი (ტოპოგრაფი), გიორგი გორდელაძე (კონსტრუქტორი), სერგო გოგმაჩიძე (გეოლოგი); ექსპედიციის წევრები: ნინო პატარიძე, ლევან ქობალია, ლევან კორინთელი, ლაშა მამაგეიშვილი, ბერიკა მაისურაძე, გიორგი შონია, რამაზ მღებრიშვილი, პაპუნა კაციტაძე, იმედა ბერულიძე, გიორგი გუდამათიაშვილი, პაატა ლეჟავა, ლევან მინდორაშვილი, გიორგი ლაღიაშვილი, ჯუმბერ ჩოხელი, ლევან გოშაძე, შოთა დაბრუნდაშვილი, გიორგი პატაშური, ვახტანგ პატაშური, სულხან ხარაბაძე, შალვა ბუაძე, ვაჟა შატბერაშვილი, დავით ტყეშელაშვილი, გიორგი წურწუმია, ალექსანდრე იობაშვილი. კვიპროსის მხრიდან ექსპედიციაში მუდმივად მუშაობდა ნიქოზიის მუზეუმის თანამშრომელი, არქეოლოგი გეორგიოს ფილოთეოსი. ექსპედიციისათვის ზრუნვა არ მოუკლიათ საქართველოს ელჩებს ლ.ჟვანიას, ვლ. კონსტანტინიდს, კონსულებს პ.კანკავასა და ეკ.ლორთქიფანიძეს. მამა ზაქარიას ორგანიზებული იყო კვიპროსის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჯგუფები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობდნენ საველე მუშაობაში და არა მარტო ფიზიკურად, მატერიალურადაც კი ეხმარებოდნენ ექსპედიციას.

ტაბ. V. მონასტრის წისქვილის ნანგრევები. 2. ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. V. მონასტრის წისქვილის ნანგრევები. 3. ხედი სამხრეთიდან.

ღალიას ღვთისმშობლის (*პანაგია ხრისოიალიოტისა*) მონასტერი მდებარეობს კვიპროსის რესპუბლიკის პაფოსის ეპარქიაში, კუნძულის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ხრისოხუს ყურის სანაპიროდან აღმოსავლეთით 9 კმ მანძილზე, მთაში, სოფელ იალიას (იალია) ზემოთ 5 კმ-ში ტყიან გორაკზე, ზღვის დონიდან 280 მ-ის სიმაღლეზე, სოფლის მოსახელე ღელის მარჯვენა ნაპირას (ტაბ. I 2).

ეს მონასტერი, *ღალიას* ან *ჟალიას* სახელწოდებით, რამდენჯერმეა მოხსენიებული ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, რომელთა შორის უძველესი XI-XII სს-თა მიჯნით თარიღდება. ეს არის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული №H-18 ქართული ხელნაწერი, რომლის ანდერძი გვამცნობს, რომ ის დაუწერიათ „კვიპრეს ქართველთა მონასტერსა ჟალიას, არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორ მონასტრისაგან“[13].

XII ს-ის მეორე ნახევრით – XIII ს-ის დასაწყისით თარიღდება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკის №85 ქართული ხელნაწერის ანდერძი, საიდანაც ვიგებთ, რომ გარეჯის დოდოს რქის მონასტრის ბერმა რომანოზმა ეს ხელნაწერი შესწირა „წმიდა ღმრთისმშობელისა საყოფელს ჟალიას ქართველთა მონასტერს“ და ეს მოიმოქმედა მონასტრის წინამძღვრის, იოანე

13 ქრონიკები, 1892, 128;
14 ცერაძე, 2002, 246-262;
15 ქც, 1959, 91.

მწიგნობრისა და მონასტრის ძმათა თხოვნით[14].

XIII ს-ის მეორე დეკადაში დაწერილ საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანი“ ნათქვამია, რომ თამარ მეფემ „კვიპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისა“[15].

სხვა პირდაპირი ცნობა ღალიას/ჟალიას მონასტრის შესახებ ქართულ წყაროებში არ ჩანს, თუმცა კვიპროსზე არსებული ქართული მონასტერი თუ მონასტრები მოხსენიებულია „ლავრათა, საკრებულოთა და მონასტერთა“ იმ ჩამონათვალში, რომელნიც დავით აღმაშენებელმა (1089-1125) „აღავსნა კეთილითა“[16]. თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარიც ახსენებს „კვიპრისა ჭალაკით“ მოსულ ბერებს, რომლებიც მეფემ „აღავსნა ყოვლითა სახმარითა“[17].

კვიპროსზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ ირიბ ცნობას გვაწვდის იერუსალიმელი ქართველი მოწამის, ნიკოლოზ დვალის „წამება“, რომელიც XIV ს-ის პირველ ნახევარშია შექმნილი (ნიკოლოზ დვალი ეწამა 1314 წელს იერუსალიმში). „წამების“ ტექსტიდან ვიგებთ, რომ იერუსალიმელ ძმებს ნიკოლოზი კონფლიქტური სიტუაციისაგან გაურიდებიათ და კვიპროსზე გაუგზავნიათ[18], სადაც მისთვის, როგორც ჩანს, იქ არსებულ ქართულ საკრებულოს უნდა გაეწია მასპინძლობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს საკრებულო, შესაძლებელია, ყოფილიყო სწორედ ღალიას მონასტერი, რომლის ერთ-ერთ ბურჯზე ამოკვეთილ წარწერაში იხსენიება ნიკოლოზი[19]. წარწერა თარიღდება XIII-XIV ს-თა მიჯნით, რაც ემთხვევა ნიკოლოზ დვალის კვიპროსზე ყოფნის პერიოდს.

XIV ს-ის დასაწყისში ღალიას მონასტერში ქართველების ყოფნას ადასტურებს ვატიკანის 1306 წლის 3 დეკემბერს შედგენილი №1298 დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ კვიპროსზე, „ხრისოხუს უბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქების Yailia-ს და Finekli-ს შორის“ მდებარე Yail-ის მონასტრის იღუმენი ქართველი იყო[20].

ტაბ. VI. 1. წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესიის ნანგრევები ღალიას მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 200 მ-ის დაშორებით. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

ღალიას მონასტრის უკანასკნელი მოხსენიება წერილობით წყაროში 1460 წლის მოვლენებს უკავშირდება. გეორგიოს ვუსტრონიუსი თავის „ქრონიკებში“ მოგვითხრობს, რომ მეფე იაკობის (1460-1473) ოფიცრებმა დედოფალ შარლოტას (1458-1460) მომხრეების დევნისას დაარბიეს იალიას მონასტერი (*monastero de Giaglia*): „წავიდნენ ხრისოხუს მხარეს, იალიას მონასტერს და შეამთხვიეს ერთ ბერს ბევრი ბოროტი“[21]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ XV ს-ში ღალიას მონასტერი ჯერ კიდევ მოქმედი იყო. როდის შეწყვიტა ღალიას მონასტერმა არსებობა და როდის დაინგრა იგი, არ არის

ტაბ. VI. 2. მარტომყოფელი მონაზვნის კლდოვანი სენაკი ღალიას მონასტრის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კმ-ის მანძილზე.

16 ქც 1955: 353;
17 ქც 1959: 142;
18 უცნობი, 1988, 326-328;
19 ჯობაძე, 1987, 167-179;
20 ლაჭყეპიანი, 2009ა, 258-259;
21 ლაჭყეპიანი, 2009ა, 255.

ტაბ. VII. კედლის მხატვრობა. 1. ბერძნული წარწერა.

ტაბ. VII. კედლის მხატვრობა. 2. წმინდანის პორტრეტის ფრაგმენტი.

ტაბ. VII. კედლის მხატვრობა. 3. წმინდა მამები. ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთი აფსიდის სამხრეთი ბემის ნიში.

ტაბ. VII. კედლის მხატვრობა. 4. გარდამოხსნა. ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილო აფსიდი.

ცნობილი. ქართველი პილიგრიმები – ტ. გაბაშვილი და გ.ავალიშვილი, რომლებმაც შესაბამისად, 1758 და 1820 წლებში მოილოცეს კვიპროსის სიწმინდეები და თავის მოგზაურობათა აღწერებიც დაგვიტოვეს, არაფერს ამბობენ კვიპროსზე ქართველთა ყოფნის ან იქ ოდესღაც არსებული ქართული მონასტრების შესახებ[22]. როგორც ჩანს, XVIII ს-ის შუახანებში ეს მონასტრები უკვე კარგა ხნის მიტოვებული, ხოლო კვიპროსზე ქართველთა ოდინდელი მოღვაწეობის ხსოვნა დაკარგული ყოფილა.

თუმცა პაფოსის მიტროპოლიტ გენადის ხარჯით 1971 წელს იოანე პ. ციკნოპულოს მიერ ნიქოზიაში გამოცემულ „პაფოსის ეკლესიის ისტორიაში“, 270-ე გვერდზე, №40-ით აღწერილია მონასტერი *ხრისოიალიოტისა*: „იალიასაგან ერთი მილით დაშორებული ქართული მონასტერი, ძალიან დიდი, მოქმედებდა 1935 წლამდე. ახლა დგას მხოლოდ კედლები ძალიან დაზიანებული ფრესკებით. ამ მონასტერს ჰქონდა შემოსავალი სამასი დუკატი, იმდენივე, რამდენიც კიკოს“[23].

უაღრესად საინტერესო ცნობაა. ცხადია, „ისტორიის“ შემდგენელს ხელთ ჰქონია რომელიღაც სხვებისათვის უცნობი წყარო ღალიას მონასტრის შესახებ, რადგანაც უკლებლივ ყველა სხვა თანამედროვე გამოცემა, რომელიც ახსენებს ღალიას ქართველთა მონასტერს, ეყრდნობა პროფ. ვ.ჯობაძის 1984 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევას[24], „პაფოსის ეკლესიის ისტორია“ კი 10 წლით უსწრებს წინ პროფ. ვ. ჯობაძის 1981 წლის ექსპედიციას კვიპროსზე, როცა მან აღმოაჩინა ღალიას მონასტრის ნანგრევები და მოახდინა მისი იდენტიფიცირება.

მაგრამ ღალიას მონასტრის არქეოლოგიური გათხრების პირველივე კამპანიის დასრულების შემდეგ (2006 წ.) აშკარა გახდა, რომ აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგანაც მონასტრის ნანგრევების ქვეშ სამონასტრო ცხოვრების XVI ს-ზე უფრო გვიანი ხანის არანაირი კვალი არ შეგვხვედრია, რაც წარმოუდგენელია, მონასტერი XX საუკუნემდე მოქმედი რომ ყოფილიყო. შესაძლებელია, ეს უბრალოდ კორექტურული შეცდომაა (1635 ხომ არ უნდა ეწეროს 1935-ის ნაცვლად?).

არქეოლოგიურ მონაცემებს უკეთ ეხმაურება თქმულება, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვიამბეს: ოსმალების მიერ კვიპროსის დაპყრობის (1571 წ.) შემდეგ თურქების რაზმს დაუკავებია ღალიაც, სადაც მათ 7 ქართველი ბერი დახვედრია; ექვსი მათგანი წამებით დაუხოცავთ, მეშვიდე კი მომხდურებს გაჰქცევია; გაქცეულს მდევარი გამოჰკიდებია, მაგრამ ბერი ფრიალო კლდიდან გადამხტარა და

22 გაბაშვილი, 1956; ავალიშვილი, 1967;
23 ლაჭყეპიანი, 2009ა, 250;
24 ჯობადზე, 1984.

ტაბ. VIII. გათხრებისას აღმოჩენილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. 1-2. წმინდანების პორტრეტები. 3-6. მოხატულობის ცალკეული დეტალები. 7-8. კანკელის მოხატული სვეტების ფრაგმენტები.

უვნებლად დაშვებულა ძირს. ბერის სასწაულებრივ გადარჩენას მდევრები ისე შეუშინებია, რომ მათ დევნას თავი დაანებეს და უკან დაბრუნდნენ. ბერმა კი ქოხი აიშენა და იქ ღრმა სიბერემდე იცხოვრა. მთხრობელები გვიჩვენებენ ამ სასწაულის კონკრეტულ ადგილს, რომელსაც „ბერის ნახტომი“ ეწოდება.

არქეოლოგიურმა გათხრებმაც ცხადჰყო, რომ ღალიას მონასტერში მისი არსებობის დასასრულამდე ქართველი ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ. ამის დასტურია ღალიის მონასტრის ნანგრევებში აღმოჩენილი XVI ს-ის მოჭიქული ჯამი, რომლის ძირზე ამოკვეთილია ქართული წარწერა: „შემეწიე“.

ქართველები რომ ოსმალთა შემოსევამდე ისევ ცხოვრობდნენ კვიპროსზე, ირკვევა ეტიენ ლუზინიანის მიერ XVI ს-ში შედგენილი „კვიპროსის აღწერიდან“, რომელშიც, მართალია კონკრეტულად ღალია არ იხსენიება, მაგრამ ნათქვამია, რომ ქართველებს კვიპროსზე აქვთ მონასტრები, ძირითადად ალამინის რაიონში. ეს არის ყველაზე გვიანდელი ცნობა ქართული მონასტრების შესახებ კვიპროსზე.

ამრიგად, როგორც წერილობითი წყაროების ცნობები, ისე არქეოლოგიური მონაცემები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ღალიას მონასტერმა არსებობა შეწყვიტა XVI ს-ის ბოლოს, ოსმალთა მიერ კვიპროსის ოკუპაციის შემდეგ. რაც შეეხება საკითხს, თუ როდის და ვისი ინიციატივით დაარსდა ღალიას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ ერთი ცნობა, კვიპროსზე ქართველთა ყოფნას რომ შეეხება. სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში ახლახან აღმოჩენილი ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის (Sin. Geo. №19) ანდერძ-მინაწერში, რომელიც 980 წელს შეუსრულებია ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწესა და ჰიმნოგრაფს იოანე ზოსიმეს, საუბარია კვიპროსიდან სინას მონასტერში ქართულ ენაზე ახლადნათარგმნი ხელნაწერი წიგნების მიტანის თაობაზე: „რომელი ახლად გამოვიდა ჩვენდა ენად კვიპრით სინაზე“, წერს იოანე ზოსიმე[25]. ღალიას მონასტრის არქეოლოგიური გათხრების შედეგების გააზრება კვიპროსის ქართული დიასპორის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები, შუა საუკუნეების ქართული და ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ისტორიისა და საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის მონაცემთა გათვალისწინებით, უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ იოანე ზოსიმეს მიერ მოხსენიებული ქართული თარგმანები შესრულებული უნდა ყოფილიყო სწორედ ღალიას ქართულ მონასტერში, სადაც სკრიპტორი-

25 ალექსიძე და სხვ., 2005, 265.

ტაბ. IX. წმ. გიორგის ეკლესია გათხრების შემდეგ. 1. ეკლესიის კარი. ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. IX. წმ. გიორგის ეკლესია გათხრების შემდეგ. 2. აფსიდა. ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. IX. წმ. გიორგის ეკლესია გათხრების შემდეგ. 3. კარი. ხედი აღმოსავლეთიდან.

უმი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, შემდგომშიც, XI-XII საუკუნეებშიც მოქმედებდა და რომლის ერთ-ერთი წინამძღვარი XIII ს-ში, იოანე „მწიგნობრად“ იწოდებოდა.

მაგრამ თუ კი სარწმუნოა მოსაზრება, რომ იოანე ზოსიმეს მიერ ნახსენები თარგმანები ღალიაშია შესრულებული, მაშინ გამოდის, რომ ღალიას მონასტერი უკვე არსებულა 980 წელს. მართლაც, ღალიას მონასტრის შესწავლის ზოგიერთი შედეგი გვაფიქრებინებს, რომ მონასტერი X ს-ში უნდა იყოს დაარსებული და, რომ ქართული მონასტრის კვიპროსზე დაარსების ინიციატივა მოდიოდა უშუალოდ ტაო-კლარჯეთიდან, რომელიც X ს-ში განსაკუთრებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას განიცდიდა და, სადაც იმ დროისათვის სამონასტრო ცხოვრებას უკვე ხანგრძლივი და ნაყოფიერი ტრადიცია ჰქონდა. ტრიკონქიც ხომ სატაძრო ნაგებობათა ყველაზე უფრო პოპულარული ტიპი იყო IX-X სს-ის ტაო-კლარჯეთში, ხოლო ღალიას მონასტრის მთავარი და უძველესი ნაგებობა, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ერთადერთი ტრიკონქია მთელ კვიპროსზე, მაშინ როცა მისი (ღალიას ღვთისმშობლის ტაძრის) მშენებლობის ტექნიკა მთლიანად ადგილობრივი, კვიპროსულია. როგორც ჩანს, მშენებლობის დამკვეთებმა, ტაო-კლარჯეთიდან მოსულმა ქართველმა ბერებმა, თავისთვის ჩვეული და სასურველი გეგმარებითი კონსტრუქციის ტაძარი ააშენებინეს ადგილობრივ, კვიპროსელ მშენებლებს.

ღალიას მონასტრის ნანგრევები ექსპედიციას დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში დახვდა, როგორიც პროფ. ვ. ჯობაძეს 1981 წელს: იალიას ღელის მარჯვენა (ჩრდილო) ნაპირას აღმართული, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე წაგრძელებული გორაკის თხემზე მონასტრის ნანგრევები ქმნიდნენ 2-3 მეტრი სიმაღლისა და 40-ოდე მეტრი სიგრძე-სიგანის მცირე ბორცვს, რომლიდანაც ამოშვერილი იყო ეკლესიის

ტაბ. X. 1. წმ. გიორგის ფრესკული გამოსახულება. 2. ამოკაწრული ქართული წარწერები. 3-5. წმ. გიორგის ეკლესია. ქართული ფრესკული წარწერები.

სამხრეთი და ჩრდილო აბსიდების კედლები და სამხრეთი კარიბჭის ორი ოთხწახნაგა ბურჯი, რომელთაგანაც ერთ-ერთზე ქართული ასომთავრული წარწერებია ამოკვეთილი (ტაბ. III, IV 1).

ბორცვს სამხრეთიდან ჩამოუდის სოფლის მოსახელე მცირე ღელე, რომელიც ზაფხულობითაც კი არ შრება. ამ წყალზე ღალიას მონასტერს წისქვილიც ჰქონია, რომლის ნანგრევები შემორჩენილია მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 200-ოდე მეტრში (ტაბ. V, II 2).

მონასტრის ნანგრევების ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მ მანძილზე შემორჩენილია ნანგრევები წმ. ნიკოლოზის სახელობის პატარა ზომის დარბაზული ეკლესიისა შვერილი წრიული აფსიდით, რომელიც, როგორც გათხების შედეგად გაირკვა, ღალიას მონასტრის მონაზონთა განსასვენებელ მიწისქვეშა თაღოვან აკლდამაზე დადგმული სამლოცველო ყოფილა (ტაბ. VI 1, II 1).

ტყის მცველებმა გვაჩვენეს ქვითკირის კედლით ამოშენებული კლდოვანი ეხი მონასტრიდან აღმოსავლეთით, დაახ. 1 კმ მანძილზე, რომელიც ძალიან ჰგავდა მარტომყოფელი ბერის სენაკს (ტაბ. VI 2, II 3). გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც XI ს-ში შეიქმნა ფსალმუნთა თარგმანის ზემოთ ნახსენები №H-18 ხელნაწერი, რომელიც ღალიადან ჯერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოხვდა, და რომლის გადამწერი თავის ანდერძ-მინაწერში საყვედურობს, რომ მუშაობის დროს მარტო იყო, ღვთისმშობლისა და უფლის გარდა მას არავინ დახმარებია[26].

ღალიას მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია (13.5x9.5მ) დაგრძელებული ტრიკონქია, რომლის აღმოსავლეთის (საკურთხევლის) აფსიდი უფრო ღრმაც არის (ბემის ხარჯზე), ვიდრე სამხრეთი და ჩრდილო აფსიდები და მათზე უფრო განიერიც (ტაბ. I 1). ამიტომ ტრიკონქის გუმბათქვეშა სივრცე კვადრატი კი არ არის, არამედ ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე მცირედ წაგრძელებული მართკუთხედია. გუმბათი ეყრდნობოდა ჩრდილო და სამხრეთი აბსიდების პილასტრებად შვერილ ბოლოებზე გადაყვანილ თაღებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან (მართკუთხედიდან) გუმბათის ყელის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხორციელდებოდა: ერთი ამ აფრათაგანი აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევში (აფრაში შერჩენილია კედლის მხატვრობა – ექვსფრთედის გამოსახულება). ტრიკონქის დასავლეთის მკლავი მოკლეა, რაც საერთოდ დამახასიათე-

26 შანიძე, 1971.

ტაბ. XI. 1. ღვთისმშობლის სახ. ტაძრის სამხრეთი აფსიდი. ჩანს მძარცველების მიერ გათხრილი ორმო.

ბელია სამონასტრო ეკლესიებისათვის. მაგრამ ამ მკლავის დასავლეთ ბოლოში, ორივე კუთხეში არსებული პილასტრი, რომლებსაც თაღი ეყრდნობოდა, გვაფიქრებინებს, რომ ეს მკლავი თავდაპირველად, შესაძლებელია, უფრო გრძელი იყო და მას ეს თაღი ორად ჰყოფდა, ხოლო მკლავის დამოკლება ერთ-ერთი ადრეული რემონტის დროს უნდა მომხდარიყო. ტაძრის დასავლეთი კედელი აშკარად გვიან არის ჩაშენებული (ტაბ. I 1).

ღვთისმშობლის ტაძრის სოლეა დაბალია (25 სმ), ერთსაფეხურიანი. საკურთხევლის ბემაში, ჩრდილოეთით, სამკვეთლოში გასასვლელი კარია. ჩრდილოეთ აფსიდში შერჩენილია სარკმლის დასავლეთი წირთხლი. ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონდა: ერთი კარი ეკლესიის დასავლეთ კედელშია გაჭრილი, მეორე კი სამხრეთ აბსიდში (ტაბ. I 1). მძარცველებისგან დათხრილ-დაზიანებული იატაკი თავის დროზე კირხსნარით მოლესილი და თეთრი მარმარილოს ფილებით ყოფილა მოგებული. ნალესობა ნაწილობრივ შერჩენილია სოლეის წინ და საკურთხევლის სამხრეთ ნაწილში, მარმარილოს ფილის ნატეხები კი სამხრეთ აფსიდში.

ეკლესიის ინტერიერი მთლიანად მოხატული ყოფილა. ჩრდილო აფსიდში შემორჩენილია გარდამოხსნის სცენა, სამხრეთ აფსიდში – ნათლისღება, საკურთხევლის სამხრეთი ბემის ნიშში კი წმინდა მამათა ნახევარფიგურები სამ რეგისტრად (ტაბ. VII 3, 4). ეკლესია გარედანაც მოხატული ყოფილა: ტრიკონქის ჩრდილო კედელზე, გარედან შერჩენილია მხატვრობის კვალი; ჩრდილო აფსიდის გარე კედელზე კი ჩანს დახატული ჯვარი. გათხრების დროს ნანგრევში, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე გარეთაც დიდი რაოდენობით გვხვდებოდა კირის ნალესობის ფრაგმენტები კედლის მხატვრობით, რომლებიც ექსპედიციის მოპოვებულ სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად დასაცავად გადაეცა პოლისის მუზეუმს (ტაბ. VIII).

ტრიკონქის კანკელიც მოხატული ყოფილა. ნანგრევებში შეგვხვდა კანკელის სვეტების ოთხმხრივ მოხატული ნაწილები და კანკელისავე თაღები, შიგნით მოხატული. კანკელის მხატვრობა ცოტა უფრო მოგვიანო ხანისა ჩანს, ვიდრე ეკლესიის კედლის მხატვრობაა. ღალიას მონასტრის კედლის მხატვრობის ძირითადი ფენა შესრულებული უნდა იყოს განსწავლული ბიზანტიელი ფერმწერის მიერ, ალბათ, კომნენოსების დროს, XII ს-ში და ბიზანტიური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება. ფერწერაში ნახმარია ისეთი ძვირფასი პიგმენტები, როგორიცაა სინგური და ლაზურიტი, ხოლო ფიგურათა ნიმბები ოქროს ფურცლითაა შესრულებული (ტაბ. VIII). ფრესკული წარწერები ბერძნულია (ტაბ. VII 1).

ტრიკონქი აშენებულია კირდუღაბში ჩაფლული ნატეხი ქვით (გარდა დასავლეთი

ტაბ. XI. 2. ნიში სამხრეთ აფსიდში, რომელიც გათხრების დაწყებამდე თითქმის მიწის პირზე იყო.

ტაბ. XI. 3. ჩრდილო მინაშენის (სამკვეთლოს) დასავლეთი ნაწილი. ფილაქვებით მოგებული იატაკი.

კედლისა, რომელიც თლილი ქვითაა ნაგები) და მას პრაქტიკულად საძირკველი არ გააჩნია, მხოლოდ ჩრდილო აფსიდს აქვს ერთსაფეხურიანი ცოკოლი (რელიეფი დაქანებულია ჩრდილოეთისკენ), რომელიც შეიმჩნევა სამკვეთლოში. ასე რომ, ღალიას მონასტრის მთავარი ტაძრის კედლები საძირკვლის გარეშე უშუალოდ ეყრდნობა მკვრივ თიხნარ გრუნტს. ნაგებობათა, მათ შორის ეკლესიების, უსაძირკვლო მშენებლობა ჩვეულებრივი წესია კვიპროსისათვის, რადგანაც უსაძირკვლო შენობა ნაკლებად ზიანდება მიწისძვრისაგან, რაც ძალიან ხშირია კვიპროსზე, სადაც ძლიერი მიწისძვრა თითქმის ყოველწლიურად ხდება, ხოლო დამანგრეველი – საუკუნეში ერთხელ მაინც. ღალიას მონასტრის მესვეურებს, ალბათ, ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ მოუხდათ ტაძრის მთავარი, აღმოსავლეთი აფსიდის კედლის გამაგრება სეგმენტის ფორმის ორი ბურჯი-კონტრფორსით, რომელთაგანაც სამხრეთისა გათხრებამდე ჩანდა, ჩრდილო კონტრფორსი კი გათხრის შედეგად გამოჩნდა (ტაბ. I 1).

ღვთისმშობლის ტაძარს დასავლეთიდან ეკვრის ვრცელი პორტიკი (6.75x6.5მ), რომელიც, ისევე როგორც ტაძრისა და ამ პორტიკის გამყოფი კედელი, თლილი ქვითაა ნაგები (ტაბ. I 1). პორტიკიდან ტაძარში შესასვლელი კარი ზუსტად კედლის შუაშია გაჭრილი. კარგადაა შემორჩენილი კარის ამყოლები, სამხრეთი ამყოლის ძირში კი ჩანს კარის ღერძის ჩასასმელი ფოსო. კარიბჭე ორადაა გაყოფილი სამხრეთ და ჩრდილო კედლებზე მიყრდნობილი პილასტრებით, რომლებზეც თაღი გადადიოდა, დასავლეთით კი მთლიანად გახსნილია მძლავრ ოთხკუთხა ბურჯებზე დაყრდნობილი ფარ - თო თაღით, რომელიც ხურავს ასევე ფართო კიბის ხუთ განიერ საფეხურს (ტაბ. I 1).

ტაძარს და კარიბჭეს ჩრდილოეთიდან ეკვ - რის აბსიდიანი სამლოცველო (7,5X4,5მ), რომელიც, როგორც გაირკვა, წმ. გიორგის სახელობაზე იყო ნაკურთხი (ტაბ. IX). ამის



ტაბ. XII. 1. წყლის ცისტერნაში მოგვიანებით გამართული საცხოვრებელი ნაგებობა სამეურნეო ორმოთი. 2. წყლის ცისტერნა გაწმენდის შემდეგ. 3-4. ცისტერნიდან ჭარბი წყლის გადმოსადენი სარკმელი და ქვის ღარი. 5. წყალსადენის ტრასის ერთი მონაკვეთი. 6. ორმოები, რომლებიც წყლის რეზერვუარებად გამოიყენებოდა დიდი ცისტერნის აგებამდე.

თქმის უფლებას გვაძლევს სამლოცველოს კედლებზე არსებული ქართული ფრესკული წარწერები, რომლებშიც წმ. გიორგია მოხსენიებული (ტაბ. X), და ის ფაქტი, რომ ამ სამლოცველოს პორტიკის (კარიბჭის) სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთ სიბრტყეზე, სამლოცველოში შესასვლელი კარის მარჯვნივ, გამოსახულია გველეშაპის მსახვრელი შუბოსანი მხედარი წმ. გიორგი (ტაბ. X 1).

ტაბ. XIII. 1.

წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ კედლად მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის ჩრდილო კედელია გამოყენებული, ხოლო აფსიდს, რომელიც გარედან ეკვრის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილო აფსიდის დასავლეთ კალთას, მთლად სწორი ნახევარი წრის ფორმა არა აქვს. ეკლესია კირდუღაბში ჩაფლული ნატეხი ქვითაა ნაგები, ისევე როგორც მთავარი ტაძარი, მაგრამ, ცხადია, რომ იგი მთავარ ტაძართან ერთად კი არ არის აგებული, არამედ უკვე აშენებულ ტაძარზეა მიდგმული, შეიძლება ძალიან მალეც კი, მშენებლობის დასრულების შემდეგ. მოგვიანებით წმ. გიორგის ეკლესიის გადახურვის კონსტრუქცია შეუცვლიათ: დარბაზის ოთხივე კუთხეში თლილი ქვით ამოუყვანიათ პილასტრები და ეკლესია ამ პილასტრებზე გადაყვანილ თაღებზე დაყრდნობილი გუმბათით გადაუხურავთ. ნანგრევში, რომლითაც

ტაბ. XIII. 2.

ტაბ. XIII. 1-2. ტაძრის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გამოვლენილი გვიანდელი ნაგებობები.

მთლიანად იყო დაფარული წმ. გიორგის ეკლესია, გამოირჩა გუმბათქვეშა წრიული კარნიზის პროფილირებული ქვები. ამ რემონტის დროს ამოიქოლა წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ ბოლოში არსებული კარი, რომლითაც ეს ეკლესია უკავშირდებოდა მთავარ ეკლესიას. იმავე დროს მიუშენებიათ წმ. გიორგის ეკლესიაზე დასავლეთიდან თაღოვანი პორტიკი, რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს და რომელსაც, შესაძლებელია, მეორე სართულად სამრეკლოს ფანჩატური ედგა (ტაბ. I 1). პორტიკის იატაკი კერამიკული ფილებით (აგურით) არის მოგებული და თითქმის დაუზიანებლად შემორჩა, მაშინ როცა მარმარილოს ფილებით მოგებული წმ. გიორგის ეკლესიის იატაკი მთლიანად გადათხრილია.

წმ. გიორგის ეკლესიაც და პორტიკიც შიგნიდან მოხატული იყო. კირით შელესილი და მოხატული იყო ეკლესიის ქვის კანკელიც. ეკლესიის შემავსებელ ნანგრევში ნაპოვნ კანკელის სვეტის ერთ-ერთ ფრაგმენტზე ქართული ასომთავრული გრაფიტოები – ნაკაწრი წარწერებია შემორჩენილი (ტაბ. X 2). ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის პილასტრის აღმოსავლეთ წახნაგზე, იატაკის დონიდან 1,58 მ სიმაღლეზე შერჩენილია თეთრი ფერის კირის პრიალა ნალესობაზე შავი ტუშით შესრულებული ულამაზესი ქართული ასოთავრული წარწერა, დიდი ზომის ურთიერთჩაწნული ასოებით (ტაბ. X 4). პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XIV ს-ს განეკუთვნება და ეს არის წმ. გიორგის ეკლესიისა და მთავარი ეკლესიის ნარტექსის ხსენებული რემონტის terminus ante quem.

წმ. გიორგის ეკლესიას აღმოსავლეთიდან და ღვთისმშობლის ტაძარს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს აფსიდით დაბოლოებული გრძელი სათავსო, რომელშიც მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ მთავარი ტაძრის საკურთხევლიდან (ტაბ. XI 3). ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს სათავსო-ეკვდერი სამკვეთლოს ფუნქციასაც ასრულებდა. იმ მიზნით, რომ სამკვეთლოს იატაკი სა-



ტაბ. XIV. 1-2. მოჭიქული ჯამები ქართული ასო-ნიშანით „წ“. 3. ჯამზე ამოკაწრული ქართული წარწერა „შემეწიე“. 4-5. სეფისკვერის საბეჭდავები. 6. სპილენძის გულსაკიდი ჯვარი. 7. კელაპტრის ბრინჯაოს ჩასამაგრებელი. 8-10. კარის ანჯამები. ბრინჯაოსი. 11-12. ბრინჯაოს ჭაღის ფრაგმენტები. 13. ბრინჯაოს დისკო. 14. ქვის საღესი. 15. ბრინჯაოს ნივთის ძვლის ტარი. 16. მარმარილოს სამელნე. 17. კუნძულის ლუზინიან მმართველთა მონეტები – დენიები. 18. მონეტების განძი. 19. სტეატიტის ქვის მძივები. 20-21. ბრინჯაოს საცეცხლურები. 22. სარკმლის მინა. 23. მინის ლამპრების ძირები. 24-26. მინის ჭურჭლების ნატეხები.

კურთხევლის იატაკის დონემდე აემაღლებინათ, მშენებლებს მოუხდათ სუბსტრუქციის ამოშენება, რომელსაც ეყრდნობა სამკვეთლოს სუფთად ნათალი ქვით და აგურით ნაგები ჩრდილო კედელი. კედელი ჩრდილოეთისკენ გადაწვენილი დაგვხვდა ისე, რომ ქვების წყობა არ იყო დარღვეული, განსხვავებით მონასტრის სხვა ნაგებობებისაგან, რომელთა კედლების ნანგრევები სხვადასხვა მხარეს უსისტემოდ იყო გაფანტული. სამკვეთლოს იატაკი ქვის ფილებით არის მოგებული და მონასტრის სხვა სათავსებისაგან განსხვავებით თითქმის დაუზიანებლად შემორჩა. იატაკზე მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩნდა ნივთიერი არქეოლოგიური მასალა: მინის ლამპრისა და ბოთლის ფრაგმენტები, თიხის ფიალა, ბრინჯაოს ჯვარი და საცეცხლურის ნაწილები, კვიპროსის მეფის ჯეიმს II-ის 1323 წელს მოჭრილი ვერცხლის მონეტა – დენიე[27] და სხვ. (ტაბ. XIV 17). ყველაფერმა ამან გვაფიქრებინა, რომ ეს ეკვდერი-სამკვეთლო დანგრეულა მიწისძვრით XIV ან XV ს-ში და იგი აღარ აღუდგენიათ. მონასტრის საბოლოო გაძარცვისა და ნგრევის დროს ის ისევ დანგრეული ყოფილა. ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ აფსიდაზე მიშენებულია თაღოვანი პორტიკი, რომლის ორი სამხრეთი ბურჯი გათხრებამდეც ჩანდა. ერთ მათგანზე ქართული წარწერებია ამოკვეთილი (ტაბ. IV 1), ჩრდილო ბურჯები კი, რომლებიც ტაძრის კედელზეა მიშენებული, გათხრის შედეგად გამოჩნდა. პორტიკი ჯვრული კამარით იყო გადახურული. ასომთავრული წარწერები ამ პორტიკის აგებას XIII-XIV სს მიჯნით ან ცოტა უფრო ადრეული ხანით ათარიღებენ. პორტიკის სამხრეთი ბურჯები ზღვის სანაპიროდან ამოტანილი ქვიშაქვის კვადრებით არის აგებული.

პორტიკის აღმოსავლეთით, მთავარი ტაძრის საკურთხევლიანი აფსიდის გარე კედელთან გამოვლინდა სათავსი (შემორჩა კირხსნარით მოლესილი იატაკის ფრაგმენტი), რომელიც თავდაპირველად თით-ქოს ერთ-ერთი პასტოფორიუმი, სადიაკვნე უნდა ყოფილიყო (ტაბ. I 1).

პორტიკის ქვეშ, მის დასავლეთ ნაწილში გაითხარა უფრო ადრეული აფსიდის მაგვარი კონსტრუქცია, რომელიც გახსნილია დასავლეთით და აქ უერთდება კარგად მოლესილ მართკუთხა აუზს. ეს აფსიდიანი აუზი მიდგმულია მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელსა და სამხრეთი აფსიდის დასავლეთ ნახევარზე. აუზის აფსიდა შუაში გაჭრილია და ამ ღიობში შედის კერამიკული წყალსადენის დასავლეთი ბოლო. აშკარაა, ეს უნდა ყოფილიყო კონქით დახურული წყარო, მიმდებარე წყალშემკრები აუზით (ტაბ. I 1).

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მი-

27 Metealf 2006, ტაბ. 33,7



ტაბ. XV. ღვთისმშობლის სახ. ტაძრის გათხრებისას აღმოჩენილი XII-XVI სს-ის მოჭიქული კერამიკა.

მართული წყალსადენის კერამიკული მილები კირის დუღაბშია ჩასმული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წყალი მასში წნევით მიდი - ოდა. წყალსადენს 15 მ-ის მანძილზე გავყევით აღმოსავლეთისკენ (ტაბ. I 1, XII 5).

ამ წყალსადენთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დიდი ზომის ცისტერნაც (10x3x6მ), რომელიც გაითხარა სამონასტრო კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, წყაროს აუზის სამხრეთით. მისი ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ იყო მოქცეული. ცისტერნის კედლები საგულდაგულოდ ნაშენია კლდის ქვით კირის ხსნარზე და ჰიდრავლიკური ხსნარით იყო შელესილი. ასევეა მოლესილი ცისტერნის იატაკიც (ტაბ. XII 2). ცისტერნის აღმოსავლეთი კედლის ზედა ნაწილში, რომელიც თავიდანვე მიწის ზემოთ ყოფილა, გაჭრილია ორი ვიწრო სარკმელი (ტაბ. XII 3), კედელს კი სარკმლების ძირის დონეზე (ე.ი. მიწის ძველ ზედაპირზე) მიუყვება კირქვის ბლოკებში ამოკვეთილი ღარი-სადინარი (ტაბ. XII 4), რაც გვაფიქრებინებს, რომ ზემოხსენებული სარკმლები, ცისტერნის განიავების გარდა, ტრაპის ფუნქციასაც ასრულებდა და მათში გადმოედინებოდა წყალი, როცა ცისტერნა ივსებოდა. ცისტერნა ღალიას მონასტრის ერთ-ერთი ადრეული ნაგებობაა, აშენებული წყალსადენის გაყვანისთანავე, არა უგვიანეს XII-XIII ს-თა მიჯნისა. ღალიას მონასტრის არსებობის საწყის ეტაპზე მონაზვნები სახმარ წყალს ინახავდნენ ჰიდრავლიკური ხსნარით კედლებმოლესილ ორმოებში, რომლებიც ზამთრის წვიმების წყლით ივსებოდა. ხუთი ასეთი ორმო გაითხარა ტაძრის სამხრეთით, ერთი – აღმოსავლეთით (ტაბ. I 1, XII 6). წყალსადენის გაყვანისა და ცისტერნის აგების შემდეგ ეს ორმო-წყალსატევები ნანგრევითა და ნაგვით ამოივსო.

ღალიას მონასტრის არსებობის რომელიღაც ბოლო ეტაპზე ცისტერნა, ისევე როგორც წყარო და აუზი (ალბათ, წყალსადენიც), დაზიანებულა და მათ თავდაპირველი ფუნქცია დაუკარგავს, მაგრამ ერთხანს მათ სხვა დანიშნულებით იყენებდნენ: აუზის მოლესილი იატაკი ჩატეხილია და მის სამხრეთ კედელში გაჭრილია კარი, საიდანაც სამსაფეხურიანი კიბით ჩადიოდნენ ტაძრის ნანგრევებით ნახევრად შევსებულ ყოფილ ცისტერნაში (ტაბ. XII 1). ცისტერნაშივე მოწყობილ მეორე სათავსოში მოხვედრა შეიძლებოდა ცისტერნის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარით. ცისტერნასა და მთავარი ტაძრის ნარტექსს შორის მოქცეული სათავსი მარანი უნდა ყოფილიყო (ტაბ. I 1).

ტაძრის სამხრეთით და აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე XIV-XV სს-ში სამარხები ჩნდება. გარდაცვლილ მონაზონს, როგორც წესი, ატანდნენ მოჭიქულ ჯამს. მონაზვნების საფლავების გარდა აქ საერო პირების, მათ შორის, ქალისა და ბავშვის სამარხებიც აღმოჩნდა (ტაბ. I 1).

ტაძრის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლე-

თით მიმდებარე ფართობზე გაითხარა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები (ტაბ. I 1, XIII). ისინი ამ ტერიტორიაზე გვიან, XVIII-XIX სს-ში ჩნდებიან. მაშინ, როცა მონასტერი უკვე დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებდა. აქვე ჩნდება შესაბამისი პერიოდის რამდენიმე სამარხი. აღსანიშნავია, რომ როგორც ნაგებობის კედლებში, ისე სამარხებში ფიქსირდება ტაძრის მშენებლობაში გამოყენებული კირქვის, შირიმისა თუ ზღვის ქვიშაქვის გათლილი ქვები, რომელთაგან ზოგიერთზე კირხსნარის კვალიცაა შემორჩენილი. უდავოა, ეს ქვები ტაძრის უკვე დანგრეული კედლებიდან მომდინარეობენ.

მონასტრის გათხრების პროცესში ნივთიერი არქეოლოგიური მასალაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ამოდიოდა. მასალაში ჭარბობს კერამიკული ჭურჭელი, მათ შორის მოჭიქულიც, მაგრამ გვაქვს ძვლის, ქვისა და ლითონის ნივთებიც (მაგ. ბრინჯაოს საცეცხლური და ჯვარი) და XIII-XIV სს-ის ვერცხლის კვიპროსული მონეტები. არ შეიძლება არ აღინიშნოს სეფისკვერის კერამიკული საბეჭდავისა და ქვის სამელნის აღმოჩენა (ტაბ. XIV).

მოჭიქული კერამიკული ჯამების, სასმისებისა და დოქების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი, კვიპროსული ნაწარმია (ტაბ. XV) და, ძირითადად, XII-XVI სს-ით თარიღდება[28]. თუმცა გვაქვს უფრო ადრეული ნაწარმიც, რომელთა ნაწილი, შესაძლებელია, კონტინენტიდან შემოტანილი იყოს. მაგრამ ეს შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს ისევე, როგორც მოუჭიქავი კერამიკა, რომელთა შორის ერთი ნამდვილად იმპორტული (ბიზანტიური) ამფორის ფრაგმენტია (ტაბ. XVI 5).

ტაბ. XVI. ღვთისმშობლის სახ. ტაძრის გათხრებისას აღმოჩენილი სადა კერამიკული ნაწარმი.

გაოცებას იწვევს მინის ნაწარმის სიუხვე. არაფერი რომ ვთქვათ სარკმლის მინისა და საეკლესიო ლამპრების ნატეხების დიდ რაოდენობაზე, რაც გასაგებია მონასტრისათვის, მინის სუფრის ჭურჭლის საკმაოდ ბევრი ნატეხიც აღმოჩნდა აქ. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XV-XVI სს-ის ვენეციური მინის მოოქრული და მინანქრით მოხატული სასმისები და ე.წ. „პილიგრიმის ფლაკონები“ (ტაბ. XIV)[29].

ღალიას მონასტრის არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ნაგებობების ზემომოტანილი აღწერილობიდანაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ მონასტერი მისი არსებობის მანძილზე მრავალჯერ აშენდა და გადაკეთდა. მოხერხდა სამონასტრო ნაგებობების მშენებლობის 6 ეტაპის გამოყოფა და მათი თანამიმდევრობის დადგენა.

I ეტაპი. შენდება ტრიკონქი – ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომლის დასავლეთი მკლავი თავდაპირველად, შესაძლებელია, უფრო გრძელი იყო.

II ეტაპი. შენდება დარბაზული ტიპის სამლოცველო – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ჩრდილოეთიდან ეკვრის ტრიკონქის ჩრდილო აფსიდის დასავლეთ

28 ΠΑΠΑΝΙΚΟΛΑ-ΜΠΑΚΙΡΤΖΗ, 1996;

29 შესადარებლად იხ.: Beakers ##156-159 და Pilgrim flask #163 კატალოგში: Venice and the Islamic World 828-1797. The Metropolitan Museum of Art, New York, March 27-July 8, 2007.

ტაბ. XVII. 1. ღვთისმშობლის სახ. ტაძარი გათხრების შემდეგ. ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. XVII. 2. იგივე. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

ნაწილს და დასავლეთი მკლავის ჩრდილო კედელს. წმ. გიორგის სამლოცველო თავ - დაპირველად სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა ტრიკონქს.

III ეტაპი. წმ. გიორგის ეკლესიას დასავლე - თიდან ადგამენ ორსართულიან ნაგებობას, შესაძლებელია სამრეკლოს, რომლის ჯვრუ- ლი თაღით დახურული პირველი სართული წმ. გიორგის ეკლესიის პორტიკად იქცევა. ამავე დროს ხელახლა შენდება მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავი და იცვლება წმ. გიორგის ეკლესიის გადახურვის სის- ტემა: დარბაზის კუთხეებში შენდება ბურ- ჯები, რომლებზე გადაყვანილ თაღებს აყრდნობენ გუმბათს. ამ გადაკეთების შე- დეგად ამოიქოლა წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი კარი.

სამივე ამ ეტაპის მშენებლობა ხორციელდ- ება კირის დულაბში ჩაფლული ტეხილი ქვით.

IV ეტაპი. ტრიკონქს უშენდება პასტოფო- რიუმები – ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ადგამენ მინაშენებს და მინაშენებისა და ტრიკონ- ქის აღმოსავლეთი აფსიდის შეხვედრის ადგილებზე შენდება კონტრფორსები ტაძრის მორყეული აფსიდის გასამაგრებლად. ხე- ლახლა შენდება მთავარი ტაძრის იმ დროი- სათვის, ალბათ, დანგრეული დასავლეთი მკლავი და პორტიკი – მძლავრ ბურჯებზე დაყრდნობილი, ფართო და მაღალი თაღით დასავლეთისკენ გახსნილი საზეიმო კარიბ - ჭე. ღვთისმშობლის ტაძარი დასრულებულ სახეს იღებს.

ეს მშენებლობა თლილი ქვით და აგურით ხორციელდება. იმავე დროს გაჰყავთ წყალ- სადენი და აშენებენ ცისტერნას, მარმარი- ლოს ფილებს აფენენ მთავარი ტაძრის, მისი ნარტექსისა და წმ. გიორგის ეკლესიის იატაკებზე.

V ეტაპი. ტრიკონქის სამხრეთ აფსიდას მი- ადგეს ჯვრული თაღით დახურული ოთხ- ბურჯიანი პორტიკი, ხოლო მონასტრის დასავლეთ ბოლოში აშენდა რამდენიმე ნა- გებობა. ამ მშენებლობაში იყენებენ ზღვის სანაპიროდან ამოზიდულ ქვიშაქვას.

VI ეტაპი. ტრიკონქის დასავლეთ მკლავსა და ნარტექსს სამხრეთიდან მიადგეს ორი სათავსო, რომლებიც დასავლეთიდან ეკვრის სამხრეთის ოთხბურჯიან პორტიკს. დაზია- ნებული (ალბათ, მიწისძვრისაგან) ცისტერ- ნა ნაწილობრივ ამოავსეს და იქ ორი სათავსო მოაწყვეს. ოთხივე სათავსოს სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ამის შემდეგ მონასტერს მისი არსებობის ბოლომდე აღარაფერი შემატებია. მონას- ტრის მიტოვებისა და დანგრევის შემდეგ, არა უადრეს XVIII საუკუნისა, შესაძლებე- ლია, უფრო გვიანაც, ვიღაცას მონასტრის

სამხრეთი პორტიკი და პასტოფორიუმი საცხოვრებლად გამოუყენებია: თიხის ხსნარზე ნაწყობი ყორე ქვის კედლებით ამოუშენებია ღიობები და ყოფილ პასტოფორიუმში ბუხარიც მოუწყია.

რაც შეეხება საკუთრივ მონასტრის მშენებლობის ეტაპების ქრონოლოგიას, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობის მეხუთე ეტაპი XIII ს-ის ბოლოს, ან ცოტა უფრო ადრე უნდა განხორციელებულიყო, რამდენადაც ამ ეტაპზე აშენებულ ერთ-ერთ ბურჯზე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის წარწერებია ამოკვეთილი; ხოლო, თუ კი ეს ასეა, მაშინ ღალიას მონასტრის მშენებლობის მეექვსე ეტაპი XIV-XV სს-ით უნდა დათარიღდეს, ხოლო მშენებლობა-გადაკეთების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მდიდრული მეოთხე ეტაპი დარწმუნებით შეიძლება დავუკავშიროთ საქართველოში თამარის (1184-1207) მეფობის ხანას ანუ XII-XIII საუკუნეთა მიჯნას. შესაბამისად, მონასტრის მშენებლობის პირველი სამი ეტაპი XII ს-ს და უფრო ადრეულ ხანას უნდა მიეკუთვნოს, პირველი ეტაპი კი X ს-ის 70-იან წლებს: ზევით უკვე ითქვა, რომ მონასტერი, როგორც ჩანს, 980 წელს უკვე არსებობდა.

ღალიის მონასტრის ბერ-მონაზონთა საძვალე მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ორასი მეტრის მანძილზე მდებარე წმ. ნიკოლოზის დარბაზული ეკლესიის (11x4მ) ქვეშ არსებული კრიპტაა (ტაბ. XIX). ეს სწორკუთხა გეგმარების სათავსი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა, მიწისქვეშა ნაგებობაა, იგი კლდეში ამოკაფულ ღრმულშია ჩაშენებული და ცილინდრული კამარით იყო გადახურული. კრიპტის ინტერიერი, 1 მეტრის სიმაღლის კედლებით ექვს სწორკუთხა მონაკვეთადაა დაყოფილი, რომელთაგან დასავლეთით მდებარე ოთხი მონაკვეთი – თანაბარი, კვადრატული გეგმარების სათავსები – საძვალეებია (ტაბ. II 1). აღმოსავლეთით, კრიპტის სამხრეთ კედელთან

ტაბ. XVIII. 1. 2. ღვთისმშობლის სახ. ტაძარი გათხრების შემდეგ. ზედხედი.

განსასვენებელია (215x55x100სმ) მოწყობილი. იგი ერთი მიცვალებულისთვისაა განკუთვნილი. აქ მიცვალებული რამდენიმე წლით იკრძალებოდა და გარკვეული დროის შემდეგ ძვლები საძვალეში გადაჰქონდათ. კრიპტას შესასვლელი დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა.

კრიპტის ზევით მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელი სამლოცველოა. ეს დარბაზული ეკლესიის ნანგრევი ნახევარწრიული შვერილი აფსიდით ბოლოვდება, მასში შესასვლელი კარი სამხრეთ კედელში იყო დატანებული.

ღალიას წმ. ნიკოლოზის მსგავსი ორსარ-

ტაბ. XIX. 1.

ტაბ. XIX. 2.

ტაბ. XIX. 3.

ტაბ. XIX. 1-3. წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესია გათხრების შემდეგ.

თულიანი ეკვდერები საქართველოში მრავლადაა შემორჩენილი: ნეკრესი[30], ჯვრის მცირე ეკლესია[31], ოთხთა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სამლოცველო[32], ამავე მონასტრის ზედა (არსენისეული) ეკლესია[33], წუნდა[34] და მრავალი სხვ. ორსართულიანი საძვალე-სამლოცველო კვიპროსის თურქულ ნაწილში, აფსინთიოტისის მონასტერშიც მდებარეობს, მაგრამ ამ კუნძულზე მსგავსი სხვა ნაგებობა ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით უცნობია. ამგვარი ორსართულიანი ეკვდერები – საძვალე-სამლოცველოები მრავლად შენდებოდა ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდ მონასტრებში. XI-XII სს-ის ტიპიკონებით საძვალე-სამლოცველოებს ხშირად მონასტრის გალავანს მიღმა აგებდნენ[35] ისე, როგორც ეს ღალიაშია, სადაც საძვალე-სამლოცველო მონასტრიდან ორასი მეტრითაა დაშორებული. სამონასტრო ნაგებობებს დაცილებული ორსართულიანი საძვალე-სამლოცველოა ბულგარეთში მდებარე პეტრიწონის ქართველთა მონასტრის (1083 წ.) კრიპტაც, რომლის პირველ სართულზე, ღალიის კრიპტის მსგავსად, კედლებით გამოყოფილი საძვალეებია, მეორეზე კი სამლოცველოა გამართული[36].

ღალიის კრიპტა-სამლოცველოს მშენებლობის ეტაპები ასეთია: თავდაპირველად, X ს-ის მიწურულს ან XI ს-ის დასაწყისში კრიპტა გაუმართავთ და იგი სავარაუდოდ ხის ორკალთა სახურავით დაუბურავთ. გარკვეული დროის შემდგომ ამ სათავსს თაღოვან-კამაროვანი გადახურვა გაუკეთეს და ზემოდან წმ. ნიკოლოზის ეკლესია დააშენეს.

როგორც აღვნიშნეთ, კრიპტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა განსასვენებელი, რომელშიც ბერები იკრძალებოდნენ (ტაბ. II 1, XIX 2). გარკვეული დროის შემდეგ ხდებოდა მათი ძვლების გადასვენება კრიპტის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში გამართულ კვადრატული გეგმის ოთხ საძვალეში, სადაც 90-მდე მიცვალებულის ძვლები დაფიქსირდა. ოთხიდან ორი საძვალე ამოვსების შემდგომ კირხსნარით გადაულესავთ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საძვალეში გამოვლინდა ძლიერი ხანძრის კვალი.

წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის გათხრებისას გამოვლენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალის თარიღი XI-XVI სს-ით განისაზღვრება (ტაბ. XX), რაც იმაზე მეტყველებს, რომ კრიპტა მონასტრის დაარსებისთანავე ან ოდნავ მოგვიანებით ჩნდება, ხოლო მისი ფუნქციონირება მონასტერთან ერთად, XVI ს-ის 70-ანი წლების შემდგომ უნდა შეწყვეტილიყო. გარდა მოჭიქული და სადა კერამიკული ნაწარმისა, საძვალეებში აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდები, მინის სანელსაცხე-

30 Чубинашвили, 1959, 40-43;
31 Чубинашвили, 1948, ტაბ. 35;
32 ჯობაძე, 2006, 196;
33 მარსაგიშვილი, 1999, 89-95;
34 ქარუმიძე, 2000, 167;
35 Petit 1908, 61;
36 Бакалова, 1977, 34-36;

ბლისა და სასმისის ნატეხები, სპილენძის, ძვლისა და სადაფის გულსაკიდი ჯვრები (ტაბ. XX 15-21). არქეოლოგიური მასალის საინტერესო ჯგუფს შეადგენს ნიკიფორე III ბოტინატის (1078-1081) (ტაბ. XX 9-12), მანუელ I-ისა (1143-1180) (ტაბ. XX 13) და კუნძულის ლუზინიანი მმართველის XIII-XIV სს-ის (ტაბ. XX 14) ვერცხლისა და სპილენძის მონეტები.

ექსპედიციამ შეისწავლა მარტომყოფელი ბერის სენაკი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კმ დაშორებული. ორი სათავსოსაგან შედგენილი სენაკი ხევის ჩრდილოეთი ფერდის კლდოვან რელიეფზეა გამართული (ტაბ. II 3, XXI 1, 2). სენაკში შესასვლელი სამხრეთით მდებარე სათავსოს სამხრეთ კედელში უნდა ყოფილიყო. კედლის ეს ნაწილი ამჟამად მთლიანად ხევშია ჩაქცეული. დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს მთელ სიგრძეზე გაუყვება კლდეში ნაკვეთი საფეხური – ტახტი. ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია თაღოვანი ნიში (ტაბ. XXI 1). სათავსოს სიმაღლე სავარაუდოდ 2-2,1 მ უნდა ყოფილიყო.

პირველი სათავსოს ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში მეორე სათავსოში – სამლოცველოში გასასვლელი 1 მ სიგანის კარია. სამლოცველო წრიული გეგმის, 3 მ დიამეტრის მქონე ბუნებრივი ეხია, რომელსაც ეტყობა შემდგომი გადაკეთების კვალი (ტაბ. XXI 2). მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკიდან 110 სმ სიმაღლეზე გამოკვეთილია 1 მ სიმაღლის, 80 სმ სიგანისა და 15-20 სმ სიღრმის კირხსნარით შელესილი და მოლურჯო-მონაცრისფრო საღებავით შეღებილი თაღოვანი ნიში. სათავსოს დიდ ნაწილს კლდოვანი, შესაძლოა გუმბათისებური გადახურვა ჰქონდა. სამლოცველოს სავარაუდო სიმაღლე 2,2-2,3 მ უნდა ყოფილიყო.

სენაკის გათხრებისას არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა, გარდა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი მოზრდილი ჭურჭლის



ტაბ. XX. წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესიის საძვალეებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

რამდენიმე ნატეხისა, რომლის მსგავსი ნიმუშები გამოვლენილია ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გათხრების დროს. ტაძარში და სენაკში აღმოჩენილი იდენტური არქეოლოგიური მასალა ორივე ნაგებობის თანადროული ფუნქციონირების დამადასტურებელია. სწორედ ამ ნაგებობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი XI ს-ის მიწურულისა თუ XII ს-ის დასაწყისის ფსალმუნის მინაწერში, სადაც ღალიას მონასტრის ბერი აღნიშნავდა, რომ მან ეს ფსალმუნი თარგმნა „კვიპრეს ქართველთა მონასტერსა ჟალიას, არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორ მონასტრისაგან“[37].

მონასტრის სამეურნეო ნაგებობას წარმოადგენდა წისქვილი, რომელიც მთავარი ტაძრის ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთით

37 ქრონიკები, 1892, 128.

ტაბ. XXI. 1. მარტომყოფელი ბერის სენაკის პირველი სათავსო.

ტაბ. XXI. 2. სენაკის სამლოცველო.

ორასიოდე მ-ით დაშორებულ ღალიას ხევში, მის მარცხენა ფერდზეა გამართული. საინტერესოა ადგილობრივ მცხოვრებლებში შემორჩენილი ლეგენდა ამ წისქვილის შესახებ: წისქვილი, თურმე, მხოლოდ მონასტრის საფქვავს ფქვავდა და თავისით ჩერდებოდა, როგორც კი სხვისი კუთვნილი მარცვლეული აღმოჩნდებოდა ხვიმირში.

ამ გადმოცემის თანახმად, უდავოა, რომ წისქვილი ქართული მონასტრის კუთვნილება იყო. წისქვილისაგან შემორჩენილია ქვითკირის მასიური და მყარად ნაგები ორმხრივ შელესილი 6,5 მ სიგრძის ბელღარი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართება (ტაბ. II 2, V). შემდგომ მკვეთრად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მთავრდება ფართო წრიული აუზით, რომლის ცენტრში გამართულია კარგად გათლილი ქვებით ამოშენებული 65 სმ დიამეტრისა და დაახლ. 7-8 მ სიმაღლის, შიგნიდან გულდასმით ნალესი ცილინდრული ფორმის ვერტიკალური ღარი. ღარის დიდი ნაწილი ამჟამად დანგრეულია. ღარიდან წყალი ვარდებოდა სწორკუთხა მოყვანილობის ასევე ქვითკირით ნაშენ 3,3 მ სიგანისა და 2,5 მ სიმაღლის ნაგებობაში, საიდანაც წყალი უფრო მცირე დიამეტრის მქონე დამრეც ღარში მიედინებოდა და მაღალი წნევით ეცემოდა ვერტიკალურ ბორბალზე, რომელიც დოლაბს ატრიალებდა. ნაგებობა, სადაც თავის დროზე დოლაბები იყო გამართული, დღეისათვის აღარაა შემორჩენილი. ღალიას მონასტრის მგავსი წისქვილები კვიპროსში ბოლო ხანებამდე არსებობდა. ანალოგიური კონსტრუქციის ნაგებობა თანამედროვე სოფ. ღალიაშიც გვხვდება.

წისქვილის არსებობა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მონასტერი მოზრდილ მამულებსაც ფლობდა და მათზე მნიშვნელოვანი ოდენობის ჭირნახულიც მოჰყავდათ. სხვა შემთხვევაში ანუ მცირე შემოსავლის პირობებში იქ წისქვილის აგება ალბათ აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ასეთია მოკლედ კვიპროსზე ღალიას ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. სხვადასხვა სანგრძლივობის ექვსი საველე კამპანიის შედეგად თითქმის სრულად გაითხარა მონასტრის შემადგენელი ყველა ნაგებობა: ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიები, მარტომყოფელი ბერის სენაკი და მონასტრის კუთვნილი წისქვილი. გათხრებმა გამოავლინა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მნიშვნელოვანი წყაროა შუასაუკუნეების ქართულ-კვიპროსული ურთიერთობების კვლევისათვის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უცხოეთში არსებულ ქართულ ძეგლებს შორის ღალიას მონასტერი დღეისათვის ყველაზე საფუძვლიანადაა შესწავლილი. ■

ციტირებული ლიტერატურის სია:

ავალიშვილი 1967 – ავალიშვილი გ. მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1967.

ამირანაშვილი 1963 – ამირანაშვილი შ. საუკუნეები მეტყველებენ, გაზ. კომუნისტი, №9(12521), 11.I.1963.

ალექსიძე და სხვ. 2005 – ალექსიძე ზ., შანიძე მ., ხევსურიანი ლ., ქავთარია მ. ახალი აღმოჩენები სინას მთაზე. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კატალოგი, ათენი, 2005.

გაბაშვილი 1956 – ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1956.

გიგინეიშვილი 1963 – გიგინეიშვილი ო. კვალი კვიპროსისაკენ მიდის, გაზ. კომუნისტი, №5(12517), 6.I.1963.

ინგოროყვა 1954 – ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.

ლაჭყეპიანი 2009 – ლაჭყეპიანი ს. ქართული დიასპორა და ქართული ეკლესია კვიპროსზე. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი (მასალები), გვ. 415-422.

ლაჭყეპიანი 2009ა – ლაჭყეპიანი ს. ღალიის მონასტერი და ქართველები კვიპროსულ ისტორიოგრაფიაში. – ანალები №5, 2009, გვ. 242-260.

ლეონიძე 1963 – ლეონიძე გ. შევკრიბოთ ქართული ეტრატის დაფანტული ფურცლები, გაზ. კომუნისტი, №13(12525), 16.I.1963.

მარსაგიშვილი 1999 – მარსაგიშვილი გ. ოთხთა ეკლესიის მონასტრის ზედა (არსენისეული) ეკლესია, შ.ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, V, 1999, გვ. 89-95.

უცნობი 1988 – უცნობი ავტორი. ნიკოლოზ დვალის წამება. – ქართული მწერლობა, ტ. V, თბილისი, 1988, გვ. 326-328.

ფერაძე, ლაჭყეპიანი 2009 – დეკანოზი ზაქარია ფერაძე, სოფიო ლაჭყეპიანი, კარონოს წმიდა საბასა და ლაკრონას ღვთისმშობლის სახელობის მონასტრები. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი (მასალები), გვ. 402-405.

ქარუმიძე – ქარუმიძე თ. წუნდა, შ.ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, VII, 2001 გვ. 165-179.

ქც 1955 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 353.

ქც 1959 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 91.

ქრონიკები 1892 – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფილისი, 1892, გვ. 128, 130.

შანიძე 1971 – შანიძე მ. ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის – ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბილისი, 1971.

ცერაძე 2002 – ცერაძე თ. ერთი ფაქტი ქართული სამწიგნობრო კერათა ურთიერთობების ისტორიიდან. – ანიმკი: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2002, გვ. 246-262.

ჯავახიშვილი 1973 – ჯავახიშვილი ი. კვიპროსში თვისტომთა ნატერფალზე, გაზ. წიგნის სამყარო, №2, 24.I.1973.

ჯავახიშვილი 1973ა – ჯავახიშვილი ი. ნანგრევები უხმობენ ... გაზ. კომუნისტი, №25(15542), 30.I.1973.

ჯავახიშვილი 1973ბ – ჯავახიშვილი ი. კვიპროსში თვისტომთა ნატერფალზე, გაზ. წიგნის სამყარო, №3, 14.II.1973.

ჯობაძე 1987 – ჯობაძე ვ. შენიშვნები კვიპროსზე ქართული მონასტრის ჟალიას (ღალიას) შესახებ. – მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1987, გვ. 167-179.

ჯობაძე 2006 – ჯობაძე ვ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2006.

Gagoshidze 2009 – Gagoshidze G. Georgian Monastery in Gialia (Cyprus). -Vakhtang Beridze 1st International Symposium of Georgian Culture, Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. June 21-29, 2008. Georgia, Tbilisi, 2009, გვ. 254, 255.

Djobadze 1984 – Djobadze W. Observations on the Georgian Monastery of Yalia (Galia) in Cyprus. – Oriens Christianus, band 68, 1984, გვ. 196-209.

Metealf 2006 – Metealf D.M. The Silver Coinage of Cyprus, Nicosia, 2006.

Petit 1908 – Petit L. Typicon du monastére de la Kosmosotira prés d'Aenos (1152), известия Русского археологического института в Константинополе, т. XIII, 1908.

Salia 1963 – Salia N. Interessantes decouvertes. – Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, vol. XV-XVI (No 43-44), Paris, 1963, გვ. 82-87.

Гигинеишвили 1962 – Гигинеишвили Отар. Кипрские находки, газ. Вечерний Тбилиси, 28.XI.1962.

Чубинашвили 1948 – Чубинашвили Г. Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948.

Чубинашвили 1959 – Чубинашвили Г. Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959.

Бакалова 1977 – Бакалова Е. Бачковската Костница, София, 1977.

ΠΑΠΑΝΙΚΟΛΑ-ΜΠΑΚΙΡΤΖΗ 1996 – ΔΗΜΗΤΡΑ ΠΑΠΑΝΙΚΟΛΑ-ΜΠΑΚΙΡΤΖΗ, ΜΕΣΑΙΩΝΙΚΗ ΕΦΙΑΛΩΜΕΝΗ ΚΕΡΑΜΙΚΗ ΤΗΣ ΚΥΠΡΟΥ ΤΑ ΕΡΓΑΣΤΗΡΙΑ ΠΑΦΟΥ ΚΑΙ ΛΑΠΗΘΟΥ, ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, 1996.

THE SUMMARY

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT GHALIA
MOTHER OF GOD MONASTERY- CYPRUS (2006-2010 FIELD SEASONS)

JULON GAGOSHIDZE • DAVID MINDORASHVILI • GIORGI GAGOSHIDZE

The long-standing interest of Georgian scholars towards the Georgian monastery of Ghalia located on Cyprus constantly increasing from the 60-es of the last century was to some extent satisfied by Georgian scientist Mr. Vakhtang Jobadze, citizen of the USA, who was first to come across the ruins of the monastery in 1981.

The idea of archaeological research of the monastery was articulated in June 2001, during the visit of His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II on Cyprus. The host-country gladly accepted this proposal and Georgian National Museum organized archaeological expedition that undertook six consequential field excavation rounds throughout the period of 2006-2010, two of which were carried out in 2007. Excavations of 2006-2007 and 2010 were headed by J. Gagoshidze, while field activities in 2008 and 2009 were lead by D. Mindorashvili.

Ghalia Mother of God Monastery is located in the extreme western part of the island, in a distance of 9 km East of the shore of Khrisokhu bay, in hillocky area, some 5 km from the village oh Ghailia, at an altitude of 280 m above the sea level, on the right bank of the little stream that is namesake of the village (Tab. I, 2).

Georgian annals mention the monastery for several times. Earliest reference comes on the turn of the 11-12-th centuries, while the latest one is related to the events that took place in the 14-th century. One document completed by the Vatican representative in 1306 proves presence of Georgian community at Ghalia. The document clams that the head of the congregation was Georgian. The year of 1460 is date of the last mentioning of the monastery. The excavations have revealed that no traces of monastic life can be seen beyond the 16-th century. However presence of Georgian community in the monastery till the very end of its existence has been proved absolutely positive. The glazed bowel found within the ruins of the monastery with Georgian inscription "SHEMETSIE" on its bottom that means "grant me support" indicates that Georgians were there till the very day of abolition of the monastery.

Most probably the monastery was founded in the 10-th century, under the patronage of the rulers of Tao-Klarjeti – rapidly rising country by those times. Tri-conch configuration was the most appreciated architectural shape there throughout the 9-10-th centuries and the central building of the monastery – Mother of God church – that is the earliest of all other buildings as well – is the only structure heaving that type of configuration all over the Cyprus. As for the building technique it entirely follows local traditions. Obviously the customers – congregation of Georgian monks contracted building of the church of traditional for them shape

to local constructors. Central structure of the tri-conch monastery is an elongated (13.5 X 9.5 m) building with the configuration (tab. I.1). Transition of the sub-dome rectangle into the dome circle has been provided through the pendentives. The church had two entrances – one cut through the western wall and another – through the southern apse. Floor was paved with white marble slabs. The church body is built with rubble stones submerged into the lime mortar, except the western wall made of neatly hewn stone cubs. The whole structure is foundation-free.

The church interior was fully adorned with mural painting (Tab. VII, 3.4). It seems that the exterior was painted as well – some traces of wall painting are still noticeable on the surface of the northern wall of the tri-conch. A painted cross can be seen on the exterior of northern apse. Obviously the painting was performed by the experienced Byzantine artist of Comnenus times, in the 12-th century. A small chapel (7.5 x4.5) with apse most probably devoted to St. George is attached to the church from the North (tab. IX). This supposition is backed by several Georgian inscriptions on frescos mentioning St. George (tab. X), as well as by St. George fresco right of the chapel entrance (tab. X 1)where the saint is depicted on the stallion spearing the dragon. This structure was attached to the already build main church. Several Georgian inscriptions performed in uncial letters curved on stone slabs were found in ruins (tab. X 2), coupled with the China ink uncial letter inscription on the wall plaster in the interior that represents perfect sample of Georgian calligraphic art (tab. X 4).

A vaulted portico has been attached to southern apse of Mother of God church the two southern columns of which were visible prior to commencement of excavations. One of them bears inscriptions in Georgian (tab. IV1).The inscriptions date the portico sometime by the turn of the13-14-th centuries or perhaps even by slightly earlier times. Clay pipeline entering this safe heaven from the east was supplying the monastery with potable water (tab. I, 1, XII 5). A rather large water reservoir-cistern (10X3x6) excavated in the south-western corner of the monastery complex (tab. XII 2) was definitely related with the clay pipeline. The reservoir is primary compared to the pipe-work and most probably was constructed sometime in the turn of the 12-13-th centuries the latest.

Several pits with hydraulic plaster applied on their walls being actively utilized during the earlier periods of the monastery existance were found during the excavations. They were used as the potable water storing vessels accumulated during the winter rainfalls (tab. I, 1, XII 6). Following construction of the cistern/reservoir and provision of the clay pipeline those pits had lost their initial destination and were used as refusal ditches.
On the final stage of the existence of the monastery destination of the cistern was altered (tab. XII I). In the 14-15-th centuries the area southwards and eastwards of the main church was used as a cemetery. Apart of monk graves several laymen, basically women and underage children were buried there as well (tab. XII I).
Remains of several residential and auxiliary structures dated by the 18-19-th centuries were excavated on the areas adjoining to the main church from the south and south-west (tab. I 1,XIII). They were built long after the monastery had ceased its existence.

Ceramics make the majority of archaeological finds, however several bone, stone and metal things were discovered as well, coupled with glassware, Cyprian silver coins of the 13-14-th sentries, communion bread clay forms/seals, a stone inkpot, etc. (tab. XIV, XV).

The crypt arranged under St. Nickolas single-nave church (11x4 m) built some 200 meters north-eastwards of the main church was the main ossuary of the local community. A chapel for remembrance services was arranged over the crypt. (tab. II, 1; XIX).

Material coming from the crypt is basically represented by ceramics of 12-14-th centuries (tab. XX). There are several samples of pottery produced in the 15-th and first half of the 16-th century (tab. XX 8) as well. This indicates that the crypt and the monastery were abandoned simultaneously, after the 70-es of the 16-th century. Apart of clay shreds several belt badges, glass cosmetic trays, drinking cups, copper, bone and nacre crosses (tab. XX, 15-21) and currency coined under the Byzantine Emperors Nickiphoros III Votaniatos (1078-1081) (tab. XX, 9-12.), Manoilos I Comnenus (1143-1180) (tab. XX, 13.) and the Lusignan rulers of the island (tab. XX, 14.) were found.

A cell used by the hermit monk located in a distance of 1 km eastwards of the monastery complex was studied within the scope of expiation activities. It contains two rooms one of which is the round-in-shape rock-cut prayer space (tab. II 3, XXI 1,2). A postscript made under on of the psalms of the Psalm Book copied in the turn of the 11-12-th centuries reads about this very cell, where certain monk of the Ghalia community states that this particular psalm was copies in the cell located in a distance of "two millions" from the monastery.

A watermill located in Galia River Gorge, some 200 meters south-westwards of the monastery is the only auxiliary economic structure used by the congregation (tab. II, 2, V). There is the legend told by the locals that the mill was grinding the monastery grain only and if others would try to use the mill it would spotted instantly.

These are the basic findings of researches of the Georgian monastery complex of Ghalia on Cyprus. The excavations have revealed numerous and various material, valuable for detailed study of Georgian-Cyprian relations during the Middle Ages. ■

თანამშრომლობა ევროსაბჭოსთან

რუსუდან მირზიკაშვილი, თათია ღვინერია

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ თხოვნით მიმართა ევროპის საბჭოს, დახმარება გაეწია კონფლიქტის რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შეფასებასა და მონიტორინგში. აღნიშნული მიმართვის შედეგად 2008 წლის ოქტომბერში ევროპის საბჭომ მოავლინა ექსპერტთა მისია, რომელმაც ადგილზე შეაფასა ვითარება. ვიზიტის შედეგად, ევროპის საბჭოს უშუალო ინიციატივითა და ხელშეწყობით, საქართველოს მხარესთან ერთად შემუშავდა ინტეგრირებული საპილოტო პროექტი "კონფლიქტის შემდგომი გადაუდებელი ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტში თემებისა და კულტურული გარემოს სოციალური და ეკონომიკური რევიტალიზაციის მიზნით".

პროექტის მართვისა და ინსტიტუციონალური კოორდინაციის მიზნით ჩამოყალიბდა სამინისტროთაშორისო კომისია და მართვის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ რეგიონის რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული სახელმწიფო უწყებები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. ასევე ჩამოყალიბდა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი, რომელიც მუშაობს ევროპის საბჭოს ექსპერტებთან ერთად. 2009 წელს პროექტის ტექნიკური მხარდაჭერა დაევალა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

პროექტის ამოცანად განისაზღვრა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების უზრუნველყოფა დეტალური გეგმებით და სტრატეგიით, რომელთა საფუძველზეც უნდა წარიმართოს კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესი.

პროექტი მოიცავს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე მთლიანად კულტურული გარემოს მდგომარეობის შეფასებას და რეაბილიტაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ მითითებული საჭიროებების გათვალისწინებით, გამოიყო პროექტის სამი დამოუკიდებელი და, ამასთან ურთიერთშემავსებელი კომპონენტი:

1. კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფლების აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესის სამოქმედო პრინციპების შემუშავება;
2. ნიქოზის მონასტრისა და სოფ. ზემო ნიქოზის რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება;
3. გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი და რეგიონალური მდგრადი განვითარების პროგრამის შემუშავება.

I კომპონენტი. "კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფ - ლების აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესის სამოქმედო პრინციპები".

"კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფლების აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესის სამოქმედო პრინციპები" წარმოადგენს სახელმძღ-

ბორისო

ვანელო დოკუმენტს, რომლის მიზანია წარმოაჩინოს რეგიონის მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მისი როლი ადგილობრივი თემების ცხოვრებაში, მისი დაცვის საჭიროებები და ის დამახასიათებელი ელემენტები, რისი გათვალისწინებითაც უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა და მოხდეს საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობა.

დოკუმენტში მოცემულია დეტალური რეკომენდაციები ადგილობრივი სოფლების ტრადიციული ყოფისა და ისტორიული განაშენიანების აღდგენისა და შენარჩუნებისთვის, ასევე კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის გამოყენებით რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყ - რელი პირობების შექმნისათვის.

დოკუმენტი შეიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას ადგილობრივი მოსახლეობისა და იმ საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან სოფლების რეკონსტრუქციის პროცესში.
პროექტის განსახორციელებლად შეირჩა კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებით გამორჩე - ული ორი სოფელი – ტყვიავი და მერეთი, რომელთა შესწავლის შედეგადაც განისაზღვრა:

- განაშენიანებული გარემოს ტრადიციული მახასიათებელები;
- კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტები და მათზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების სახეობები;
- რეკომენდაციები რეგიონის რევიტალიზაციის მიზნით ჩასატარებელი ქმედებების და განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ.

II. კომპონენტი. "ნიქოზის მონასტრისა და სოფ. ზემო ნიქოზის რეაბილიტაციის გეგმა".

აღნიშნული კომპონენტი მიზნად ისახავდა სოფელ ზემო ნიქოზის ისტორიული განაშენიანებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, პირველ რიგში, ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის ინტეგრირებული რეაბილიტაციის წინადადების შემუშავებას.

კომპონენტის ამოცანად განისაზღვრა წინასწარი კვლევისა და კონკრეტული შეთავაზებების მომზადება სოფელ ზემო ნიქოზისა და ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული ნაგებობების შეფასებისა და რეაბილიტაციისათვის.

აღნიშნული ძეგლების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის წარმოჩენას და მის უკეთ ჩართვას ადგილობრივი თემის ცხოვრებაში, ადგილობრივი გარემოს რევიტალიზაციას და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

კომპონენტის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაო:

- მთელი სოფლის განაშენიანების, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არსებული მდგომარეობის იდენტიფიკაცია; მათი სამომავლო განვითარების პოტენციალის კვლევა და გამოვლენა;
- ნიქოზის მონასტრის ისტორიული ნაგებობების წინასწარი ტექნიკური შეფასება მათი სამომავლო რეაბილიტაციის მიზნით;
- სოფლის ურბანული ქსოვილის ტრადიციული მახასიათებლებისა და არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებების გამოვლენა.
- სოფელში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათ გადასაწყვეტად კონკრეტული შეთავაზებების მომზადება;
- სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის განსახორციელებელი ქმედებების შეთავაზებების შემუშავება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

- ნიქოზის მონასტრის წინასწარი ტექნიკური შეფასება;
- ნიქოზის მონასტრის შესაძლებლობათა კვლევა;
- სოფ. ზემო ნიქოზის შესაძლებლობათა კვლევა და რეაბილიტაციის სახელმძღვანელო გეგმა.

III. კომპონენტი. "გორის მუნიციპალიტეტის მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამა".

კომპონენტის მიზნად დასახულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური პოტენციალის შეფასება და რეგიონის კულტურული და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით საშუალო და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

ამგვარი სტრატეგიის შემუშავებამ ხელი უნდა შეუწყოს ტერიტორიის კულტურული თვითმყოფადობის ამაღლებას, მოსახლეობის სამეწარმეო უნარიანობისა და ინიციატივების ზრდას; მიგრაციისა და დეპოპულაციის შემცირებას; საინვესტიციო პროექტების შემუშავებას და მოსახლეობის დასაქმებას; თანამშრომლობის განმტკიცებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას და არასამთავრობო სექტორს შორის.

კომპონენტის ამოცანებად ეტაპობრივად განისაზღვრა:

- არსებული მდგომარეობის კომპლექსური შეფასება;
- რეგიონის კულტურულ და ბუნებრივ რესურსების გათვალისწინებით საშუალო და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება;
- განხორციელების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება.

2009 წელს განხორციელდა პროექტის პირველი ეტაპი – გორის მუნიციპალიტეტის რესურსების კომპლექსური შეფასება-დიაგნოზი ხუთი მთავარი მიმართულების მიხედვით:

- ეკონომიკური განვითარება;
- სოციალური განვითარება;
- გარემოს დაცვა;
- სივრცითი მოწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი.

კვლევა წარიმართა ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით. მოეწყო მოსახლეობის გამოკითხვა, შეხვედრები და დისკუსიები სპეციალისტებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, მომზადდა შესაბამისი საილუსტრაციო მასალა.

კვლევის შედეგად მოხდა სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა. საფრთხეებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაცია და ტერიტორიის წინაშე მდგარი გამოწვევების გამოვლენა-შეფასება.

შემუშავებული დიაგნოზის საფუძველზე 2010 წელს ევროპის საბჭოს ექსპერტების დახმარებით მომზადდა გორის მუნიციპალიტეტის მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმა.

თითოეული კომპონენტის ფარგლებში შემუშავდა კონკრეტული საპროექტო წინადადებები პოტენციური დონორებისათვის, რის მიხედვითაც შესაძლებელია ცალკეული ქმედებების განხორციელება, როგორც უშუალოდ კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის მხრივ. პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები წარედგინა დონორ ორგანიზაციებს და პროექტის მართვის სამინისტროთაშორისო კომისიას.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტმა ხელი შეუწყო მოსახლეობაში ადგილობრივი მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერებას. სოფლის სკოლებში უფროსკლასელთათვის ჩატარებულმა ლექციებმა და სატელევიზიო გადაცემებმა საპილოტო სოფლებისა და მთლიანად რეგიონის მოსახლეობას გააცნო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ძირითადი პრინციპები. ■

THE SUMMARY

COOPERATION WITH COUNCIL OF EUROPE

RUSUDAN MIRZIKASHVILI • TATIA GHVINERIA

After the August 2008 conflict in cooperation with the Georgian authorities the Council of Europe initiated and facilitated the elaboration of the pilot project "Post Conflict Immediate Actions for Social and cultural Revitalization of the Communities and Cultural Environment in Gori Municipality (Georgia)".

The aim of the project was to supply the central and local government as well as international organizations with the detailed plans, guidelines and strategies that should direct the post-conflict rehabilitation of the region.

Taking into due consideration the guiding principles of the Council of Europe in the field of cultural heritage as well as the needs indicated by the Georgian government the three independent but complementary components were set up in scopes of the project:

- Elaboration of the Guidelines for Repair and Reconstruction Process of the Villages in the Conflict Zone Adjacent Area;
- Elaboration of the Plan for the Rehabilitation of the Nikozi Monastery and the Village of Zemo Nikozi;
- Elaboration of the Local and Regional Sustainable Development Program of the Gori municipality;

The technical support of the project was commissioned to the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. As a result of the project, thanks to the committment and efforts of the Georgian and international experts the following documents have been developed:

- Preliminary Technical Assessment;
- Guidelines for Repair and Reconstruction Process of the Villages in the Conflict Zone Adjacent Area;
- Feasibility Study of the Nikozi Monastery;
- Reference Plan for the Rehabilitation of the Village of Zemo Nikozi;
- Local and Regional Sustainable Development Plan for the Municipality of Gori.

The documents were disaminated to the potential donor organizations and national and local state institutions with a view to future implementation of the recommendations and actions proposed within the documents.

The project also contributed to raising awareness of the local communities on the diverce values of the cultural heritage of their region. The lectures for the local school children and the TV coverage gave the opportunity to inform wider audience in the villages and the whole region. ■

ბაგრატის ტაძრის
სრული აღდგენის საკითხისათვის

გია ჭანიშვილი

ზოგადი მოსაზრებები და რეკომენდაციები

ბაგრატის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების შედევრია, ამასთან იგი UNESCO-ს მიერ 1994წ. შეყვანილია მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში და მიჩნეულია შუა საუკუნეების მსოფლიო ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად. ბაგრატის ტაძარი, თავის დროზე საქართველოს სარწმუნოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების სიმბოლოც იყო. მას ეს მისია არც დღეს დაუკარგავს. ამიტომ ამ ძეგლის აღდგენა, წმინდა არქიტექტურული ასპექტის გარდა, მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე ქართული სახელმწიფოსთვისაც. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ძეგლის აღდგენის პროცესში საერთაშორისო კანონმდებლობასთან ერთად (რადგან იგი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი) ქართული სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებაც.

ბრეზა

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ისტორიულ ნაგებობათა რეკონსტრუქცია გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სრულყოფილ და დეტალურ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ყოველგვარი კონიუნქტურული მოსაზრებების გამორიცხვით. ამიტომ ტაძრის სრული აღდგენის გადაწყვეტილება საერთაშორისო და საქართველოს ექსპერტთა და საზოგადოების შეთან- ხმების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. საპროექტო დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს საერთაშორისო და საქართველოს ექსპერტებს და საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად განიხილოს UNESCO-ის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა.

ჩვენი მთავარი მიზანი კი, სრული აღდგენის პროექტის შემუშავების დროს, არის ამ ნაგებობის თავდაპირველი სახის ზედმიწევნით სრულად დადგენა, მეცნიერულად გამართულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და ამ დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოჩენა.

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ბაგრატის ტაძარი შევიდა 1990-იან წლებში იმ სახით, როგორც იგი იყო აღდგენილი მანამდე მიმდინარე 40-წლიანი სარესტავრაციო პროცესის შედეგად. ამიტომ ჩვენ არ შევუდგებით ამ პროცესის სრულ რევიზიას. თუმცა აუცილებლია ამ პროცესის სრულყოფილი შესწავლა, რათა ვიხელმძღვანელოთ მისი მეთოდისა და შედეგების რაციონალური მარცვლებით და რაიმე ხარვეზის შემთხვევაში აღარ გავიმეოროთ იგი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აქამდე (2000-იან წლებამდე) რესტავრაციის მიზანი არ ყოფილა ტაძრის სრული აღდგენა, თუმცა

ნაგებობის აღდგენის პროცესში, ისტორიულ-არქიტექტურული და მეთოდოლოგიური კვლევების დროს ისწრაფოდნენ ტაძრის სრული თავდაპირველი სახის დადგენას.

აქამდე არსებული სარესტავრაციო საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო რუინირებული ძეგლის გაწმენდა, ნგრევის პროცესის შეჩერება და ნაგებობის ძირითადი მოცულობების (როგორც ფასადების, ასევე ინტერიერის) წარმოჩენა. ბაგრატის ტაძრის რესტავრატორის ვ. ცინცაძის სიტყვებით: „ ...თავდაპირველი სივრცის გამომჟღავნება იმ ზომამდე, რომ აღდგენილმა ნაწილმა ნაგებობის ინტერიერის მხატვრული არსის აღქმის საშუალება მოგვცეს“.
შედეგად ჩვენ მივიღეთ თითქმის ბოლომდე აღდგენილი კედლები, ტრიკონქის აბსიდები კონქებითურთ, ნაწილობრივ გუმბათქვეშა სვეტები და ბოლომდე აღდგენილი კარიბჭეები ჩრდილო-აღმოსავლეთ კოშკურა ნაგებობასთან ერთად.
თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღდგენილი კედლები და კონსტრუქციული ელემენტები არ იყო გათვლილი დიდ დატვირთვაზე ვინაიდან, ამ რესტავრაციის დროს არ იყო გათვალისწინებული ტაძრის სრული აღდგენა.

ამიტომ მნიშვნელოვანი იყო მთელი ნაგებობის და მისი აღდგენილი ნაწილების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, მათი მდგრადობის დადგენა და ტაძრის სრული აღდგენის პროექტის შემუშავებასთან მიმართებაში სამოქმედო გეგმის დასახვა.

პროექტირების I ეტაპზე შედგა ტაძრის სააღრიცხვო ბარათი. ასევე ჩატარდა სახელოვნებათმცოდნეო კვლევა იგი მოიცავდა:

- ისტორიული წყაროების სრულყოფილი მოძიების შედეგად ტაძრის მშენებლობის მოკლე ისტორიას და სამშენებლო ფენების განსაზღვრას;

- ტაძრის აღწერას და მოკლე სტილისტურ ანალიზს;
- ტაძრის ნგრევის, დაზიანების, გამაგრებისა და აღდგენის ისტორიის ნუსხას (წლების მიხედვით) სარესტავრაციო სამუშაოების სრული საილუსტრაციო მასალით;
- ნაგებობის აღნუსხვის და შესწავლის ისტორიას XX საუკუნემდე და XX საუკუნეში;
- არსებულ გრაფიკულ და ფოტო-დოკუმენტაციას და ბიბლიოგრაფიას;
- ასევე წინასწარ რეკომენდაციებს, რომ მოგვეპოვებია უტყუარი მონაცემები ტაძრის თავდაპირველი სახის დასადგენად, ისტორიული წყაროებისა და ტაძრის შემორჩენილ კედლებზე არსებული, არქეოლოგიურად გამოვლენილი და ჩამოცვენილი არქიტექტურული დეტალების იდენტიფიკაციის საშუალებით, ხოლო ის მონაცემები, რაც საბოლოოდ იყო დაკარგული, დაგვედგინა პროპორციული ანალიზისა და ანალოგიების მოშველიებით.

პროექტირების II ეტაპზე კი ტაძრის თავდაპირველი სახის დადგენის პროცესში, შევეცადეთ დეტალურად გაგვეანალიზებინა ტაძარზე დასამატებელი გამოკლებული მოცულობის და არქიტექტურული ელემენტების შესაბამისობა ტაძრის თავდაპირველ არქიტექტურულ სახესთან.

ეს ანალიზი ეყრდნობა სარესტავრაციო ჯგუფის მიერ შესრულებულ ტაძრის სრულყოფილ ანაზომს, არქიტექტორ-რესტავრატორ ი. გრემელაშვილის მიერ შესრულებულ არქიტექტურულ ნაგებობათა ზოგად მეტროლოგიურ კვლევას, ბაგრატის ტაძრის და მისი თანადროული არქიტექტურული ძეგლების პროპორციულ კვლევას, ანალოგიების მოძიებას და I ეტაპზე წარმოებული სხვა კვლევის შედეგებს.

მიგვაჩნია, რომ ყველა ეს კვლევა უნდა ემსახურებოდეს ერთ მიზანს – გამოვლინდეს ბაგრატის ტაძრის თავდაპირველი სახე. რადგან მისი სრული აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალურად იქნება დადგენილი ტაძრის თავდაპირველი სახე, როგორც საფასადო, ასევე ინტერიერის სტრუქტურისა. ამის განხორციელება კი შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული კვლევების შედეგების გამოყენებით.

ისტორიულ-არქიტექტურული ასპექტები

ჩატარებული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევები და არსებული მასალა საშუალებას იძლევა, დადგინდეს ტაძრის ფასადების, ინტერიერის, კამარებისა და გუმბათის (სარკმელთა რაოდენობა) გამოკლებული ნაწილების სტრუქტურა და გარკვეული სასიმაღლო დონეები. თუმცა ტაძრის გადახურვის და გუმბათის ყველა კვანძის და დეკორის სრულად დადგენა ვერ ხერხდება და ამ ამოცანის გადაწყვეტა ეფუძნება პროპორციულ ანალიზსა და ანალოგიებს.

ვიდრე კონკრეტულად გადავიდოდეთ იმ წერილობით და მატერიალურ მონაცემთა აღწერაზე, რისი გამოყენებითაც ჩვენ საშუალება გვაქვს, დავადგინოთ ტაძრის თავდაპირველი სახე, აუცილებლადაა გა-

სათვალისწინებელი შემდეგი გარემოებანი. არქიტექტურულ ნაგებობათა ზოგადი მეტროლოგიური და პროპორციული კვლევა, სხვა ქართულ ძეგლებთან ერთად, ძირითადად ჩატარებულია ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ძეგლებზე – ოშკზე, იშხანზე, ხახულზე და სხვ. ამ კვლევების შედეგების ჩართვა კი, რომელიმე დანგრეული ძეგლის თავდაპირველი სახის დადგენის პროცესში, იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს მეთოდოლოგიურად გამართლებული თუ აღსადგენი ძეგლი ისტორიულ-ქრონოლოგიური თუ მხატვრულ-არქიტექტურული პარამეტრებით ამ ნაგებობათა რიგში დგას. ამ შემთხვევაში ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვრულ სხეულს მკვეთრად განსაზღვრული ადგილი უკავია საკვლევი ეპოქის ქართულ ხუროთმოძღვრებაში და ამდენად, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამ ტაძარზეც გავავრცელოთ ის ზოგადი არქიტექტურული პრინციპები, რაც დამახასიათებელია ქართული საკულტო არქიტექტურისათვის.

ვინაიდან, ბაგრატის ტაძრის მაშენებელი ბაგრატ III ტაოელ ბაგრატიონთა სამეფო სახლის უშუალო მემკვიდრე იყო და, ბუნებრივია, რომ აფხაზეთში დამკვიდრების შემდეგ, მისი სამეფო კარის ირგვლივ თავს მოიყრიდა ტაოდან მასთან ერთად გადმოსული ინტელექტუალური საზოგადოება, რომელთა შორის აუცილებლად იქნებოდნენ ტაო-კლარჯეთის ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული სკოლის წარმომადგენლები. ეს რომ ასეა, აშკარად ჩანს აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს იმ პერიოდის ხუროთმოძღვრულ ნაგებობებში („კაცხი“, „ნიკორწმინდა“, „ეხვევი“). ამ სკოლის შემოქმედების ანარეკლი ვლინდება აფხაზეთისთვის შორეულ, ჰერეთის ხუროთმოძღვრებაშიც და უკვე მთელ საქართველოში დომინირებს. თუმცა ადგილობრივი „აფხაზური“, „კახური“ და ცენტრალური ქართლის ხუროთმოძღვრული სკოლები მას აზავებენ საკუთარი ტრადიციებით. ეს ტრადიციები ერთი ძირიდან არის ამოსული, მათ ერთი და იგივე მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებები აქვთ და ერთი ფსიქიკური ცნობიერების მატარებელი ხალხის მიერაა ნასაზრდოები.

ამავე დროს ბაგრატის ტაძარი თანადროული მსოფლიოს მოწინავე არქიტექტურული სკოლების რიგში დგას და მათთან ერთად არის ჩართული არქიტექტურის განვითარების ტენდენციებში.

ბაგრატის ტაძარი კომპოზიციურად ტრიკონქია. XI საუკუნიდან ბერძნულ მონასტერთა ტაძრების უმრავლესობა ტრიკონ-

ქებია. საქართველოში კი ბაგრატის ტაძრის მშენებელი ფაქტობრივად ამთავრებს ტრიკონქის თემის დამუშავებას ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

ოდნავ მოგვიანებით აგებულ ალავერდში ამ თემის განვითარების მხრივ აღარაფერი ხდება. თემა უკვე აღარ არის აქტუალური და ყურადღება სხვა მხრივ მახვილდება. ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარი აერთიანებს ტაძრის ცენტრალურ სივრცეს. გვერდითი მაღალი აბსიდები ერთიან ორგანიზმად არის წარმოჩენილი გუმბათქვეშა სტრუქტურაში. ტრიკონქის თემისთვის აქ უკვე მოძებნილია ქართული ხუროთმოძღვრების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე სახე და დამორჩილებულია მის მხატვრულ-ესთეტიკურ თვითშეგნებას. ამგვარად, ამ ტიპის ძირითად კონცეფციასთან შერწყმულია ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების და სამშენებლო ხელოვნების ტრადიციული ნიშნებიც.

ამასთან, ბაგრატის ხუროთმოძღვრულ სხეულში ნათლად აისახა მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ხუროთმოძღვრული ტრადიცია და ის სტილისტური ცვლილებებიც ტექტონიკასა და დეკორში, რამაც I და II ათასწლეულების მიჯნაზე იჩინა თავი ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

ტაძარი შეიცავს ქართული საკულტო არქიტექტურის ხელმეორე აღორძინების ხანის დასაწყისის, XსაუკუნისI კლასიკის ძირითად ხუროთმოძღვრულ სივრცობრივ კონცეფციებს, მხატვრულ-სტილისტურ ნიშნებს და სამშენებლო ხერხებს და ამასთან მის ხუროთმოძღვრულ სხეულში ნათლად იკვეთება ახალი არქიტექტურული აზროვნების – ცხოველხატული სტილის ნიშნებიც.

ამ დროს სტილის განვითარება ისე ჩქარია, რომ მშენებლობის თავდაპირველი სტილისტური ჩანაფიქრი მშენებლობის დასრულებამდე ძველდება და მშენებლობის პროცესშივე ხდება ნაგებობის სტილისტური კორექტირება, რის გამოც ტაძრის

აღმოსავლეთი ფასადის ზოგადი ასახულობა და დეკორაციული მორთულობა განსხვავებულია ტაძრის დანარჩენი ნაწილებისგან.

ასევე სახეცვლილი უნდა ყოფილიყო გუმბათის სახე ახალ სტილისტურ მოთხოვნათა შესაბამისად, რაც საბუთდება გუმბათის შემორჩენილი არქიტექტურული ელემენტების ფრაგმენტებით.

აღსანიშნავია, რომ ტაძარში და მის გარშემო ჩატარებული უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ ადგილას უფრო ადრეული ნაგებობებიც არის დაფიქსირებული. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ შემთხვევაში ნათელი ხდება ის გეგმარებითი ნიუანსები, რაც დამახასიათებელია ბაგრატის ტაძრისათვის. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ბაგრატის ტაძრის ძირითადი მოცულობის კედლების ნაწილი უფრო ადრეულ ნაგებობათა კედლებზეა აღმართული, ხოლო ინტერიერის ზოგ მონაკვეთში ამ ძველ ნაგებობათა კედლებიც კი არის გამოყენებული (ჩრდილოეთ ნავის დასავლეთი კუთხის ოთახი, პატრონიკეზე ასასვლელი კიბე). ამ გარემოებებით ნათელი ხდება ის ერთგვარი ასიმეტრიულობა, რაც ჩანს ბაგრატის გეგმარებაში (ჩრდილოეთი ნავი განიერია სამხრეთ ნავზე. დასავლეთი შესასვლელის ღერძი გადაწეულია სამხრეთისკენ. ტაძრის ძირითადი სამხრეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი განიერია სხვა დანარჩენზე. დავიწროებულია ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთი კედელი).

ამ მონაცემებით ჩანს, რომ ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარი შეზღუდული იყო მოქმედებაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი ახერხებს ეს ყოველივე საზიანოდ არ

აისახოს ნაგებობის სტრუქტურაზე და შემოქმედებითად ახორციელებს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს.

წერილობითი და მატერიალური მონაცემები ბაგრატის ტაძრის თავდაპირველი სახის დასადგენად

ბაგრატის ტაძარი ისტორიულ-ქრონოლოგიური თუ მხატვრულ-არქიტექტურული პარამეტრებით თანადროულ მნიშვნელოვან ნაგებობათა რიგში დგას და ამდენად, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ამ ტაძარზეც გავავრცელოთ ის ზოგადი არქიტექტურული პრინციპები, რაც დამახასიათებელია ქართული საკულტო არქიტექტურისათვის.

ცალ-ცალკე განვიხილოთ ტაძრის ძირითადი კვანძების აღდგენის საკითხები:

ძირითადი საკითხია გუმბათის თემა

გუმბათის თავდაპირველი სახის დასადგენად არსებობს, როგორც ისტორიული ცნობები, ასევე კონსტრუქციული ელემენტები, დეკორაციული მორთულობის ფრაგმენტები და პროპორციული კვლევის შედეგები.

წერილობითი წყარო – ალექსანდრე იევლევის ჩანაწერი, 1650-1652 წწ.
„ქუთაისის იმ დიდ ციხე-გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია – ერთგუმბათიანი, საუცხოოდ აგებული. გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექვსმეტ წახნაგად. საყდარი დიდი თლილი ქვებით არის აგებული, საჟენიანით და ზოგჯერ მეტი სიდიდის. ამ საკრებულო ტაძრის საერთო გარე წრის ზომა ოთხმოცდაექვსი „დიდი საჟენია“.

მატერიალური წყარო – ძირს ჩამოცვენილ კონსტრუქციულ ელემენტებსა და არქიტექტურულ დეტალებს შორის აღმოჩნდა გუმბათის დეტალები. მათ შორის სარკმლის მოჩარჩოების შეწყვილებული ლილვის თაღის და გვერდის ნაწილები, ბაზები და კაპიტელები. ასევე, გუმბათის ყელის წიბოთა ჩამკეტი ქვა, შესაბამისი გრადუსით მიმართული გვერდებით. გუმბათის ლავგარდანის ქვა ორ გლუვ ლილვს შორის მოქცეული რელიეფურკვეთილობიანი შეზნექილი სიბრტყით და სარკმლის წირთხლის ქვა სრული სისქით.

გუმბათის ყელის ძირითადი პარამეტრები დადგინდა ჯერ კიდევ რესტავრატორ ვ. ცინცაძის დროს. უკანასკნელ ხანს გამოვლენილ არქიტექტურულ ელემენტთა და პროპორციული კვლევის შედეგად კი დაზუსტდა ეს პარამეტრები და გამყარდა არგუმენტირების ხარისხი.

ნაგებობაზე შემორჩენილი და გუმბათის ძირს ჩამოცვენილი კონსტრუქციული ელემენტები და არქიტექტურული დეტალები საშუალებას იძლევა, დადგინდეს გუმბათის ყელის ქვედა სასიმაღლო დონე, მისი თექვსმეტწახნაგა ფორმა და თექვსმეტსარკმლიანობა. ასევე გუმბათის ყელის სიგანე, სარკმელთა მოჩარჩოების სახე თაღოვანი შეწყვილებული ლილვებით, ბაზისებით და კაპიტელებით, გუმბათის ლავგარდანის პროფილი და ზომა.
არ არის დადგენილი სარკმელთა და მოჩარჩოების ზუსტი სიმაღლე. ამ მონაცემთა დადგენა შესაძლებელია თანადროული ძეგლების პროპორციული ანალიზით.
ქართული საკულტო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლები აგებულია საერთო კანონზომიერებით, რაც გამოიხატება ნაგებობათა მასების სხვადასხვა ნაწილების ურთიერთპროპორციულობაში. ეს კანონზომიერება ნათლად ჩანს იმ ძეგლებზე, რომლებიც გუმბათიანად თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. და საგულისხმოა, რომ ეს კანონზომიერება ვრცელდება, როგორც ბაგრატის პერიოდის ძეგლებზე – ოშკზე, იშხანზე (გუმბათი), ხახულზე – X-XI საუკუნეები, ასევე მომდევნო ხანის ნაგებობებზეც – საფარა, ზარზმა XIV საუკუნე.
იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია გუმბათის ყელის ქვედა დონე, შესაძლებელია ზოგადი მეტროლოგიური და თანადროული ძეგლების პროპორციული კვლევის გამოყენებით დადგინდეს გუმბათის ყელის სიმაღლე და მასში ჩაეწეროს გამოვლენილი არქიტექტურული დეტალების საშუალებით შედგენილი თექვსმეტწახნაგიანი გუმბათის ყელის სქემა, თაღოვანი ლილვებით მოჩარჩოებული თექვსმეტი სარკმლით.

ეს მოცემულობა შეიძლება დასაბუთდეს მეტროლოგიური და პროპორციული კვლევებით, აქამდე ცნობილი და ამ პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილი, საკულტო ნაგებობათა გეგმისა და მასების სივრცეში დაკვალვის რამდენიმე ძველი წესით. კერძოდ:

ნაგებობის ძირითადი მასების თანაბარი ვერტიკალური დანაწევრება, რაც გამოიხატება გუმბათის ყელისა და ძირითადი კორპუსის ურთიერთპროპორციულობაში;

ნაგებობის ფასადების დაკვალვის წესი, მოკლე ფასადის ქვედა კუთხეებიდან აღმართული სხივებით და მათი გადაკვეთის წერტილიდან შემოხაზული წრეწირის დანაყოფი პროპორციული სამკუთხედებით;

საზომი ერთეულების უნიფიცირებული მოდულების ათობითი სისტემის გამოყენება, როგორც ნაგებობათა სხვა ნაწილების, ასევე გუმბათის პროპორციების შემუშავებისას;

ნაგებობათა ფასადების სიგანისა და სიგრძის ურთიერთპროპორციულობა გუმბათის ყელის ზედა ნიშნულისა და ნაგებობის საერთო სიმაღლესთან მიმართებაში;

მეტროლოგიის და პროპორციების ეს ცოდნა და მისი ხუროთმოძღვრებაში გამოყენება ნათლად არის ასახული ბაგრატის ტაძრის თანადროულ, უკლებლივ ყველა მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ნაგებობაში,

ინტერიერი, დასავლეთი ნაწილი აღდგენამდე.

აღდგენის შემდეგ.

როგორებიცაა ოშკი, იშხანი, ხახული და ასევე, მომდევნო ეპოქის ძეგლებშიც – გელათის მთავარი ტაძარი, საფარა, ზარზმა. აქედან გამომდინარე, ამ სისტემების გამოყენება ბაგრატის ტაძრის გამოკლებული ნაწილების თავდაპირველი სახის დასადგენად მეცნიერულად გამართლებულად მიგვაჩნია.

ინტერიერი

ინტერიერის აღდგენის მთავარი საკითხია პატრონიკეს სტრუქტურისა და მხატვრული სახის დადგენა. რა მონაცემები არსებობს პატრონიკეს თავდაპირველი სახის დასადგენად?

წერილობითი წყარო – ალექსანდრე იევლევის ჩანაწერი, 1650-1652 წწ.

„საყდარში მრგვლად თლილი რვა სვეტია. საყდარში ამ სვეტებზე აქეთ-იქით გვერდებზე, თაღებს ქვემოთ კამარებია (პატრონიკე) შესანიშნავად გაკეთებული. ამ კამარებზე ასავალი შიგნიდან, საყდარში არის. გვიამბეს, რომ როცა დღესასწაულია და მეფე-დედოფალი მწუხრს, ცისკარს და წირვას ესწრება, მაშინ დედოფალი, სხვა დიდებულთა მეუღლეებითურთ, ამ კამარებზე იმყოფება. დედოფალს გალობა ესმის, იქ მყოფთ ყველას ხედავს, მაგრამ ხალხი მას ვერ დაინახავს“.

მატერიალური წყარო:

- შემორჩენილია პატრონიკეს გეგმარება. პატრონიკეს ანაბეჭდი შემორჩენილია ინტერიერის კედლებზეც;
- შემორჩენილია პატრონიკეს ძირს ჩამოცვენილი კონსტრუქციული ელემენტები და არქიტექტურული დეტალები.

ამ მონაცემებით დგინდება, რომ პატრონიკე მოიცავდა ტაძრის დასავლეთ ნაწილს – დასავლეთ მკლავის ბოლოს და ჩრდილო და სამხრეთ ნავებს. აღსანიშნავია, რომ პატრონიკეს ჩრდილოეთი ნაწილი განიერია სამხრეთისაზე.

ტაძრის ინტერიერის სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე ნათლად ჩანს პატრონიკეს სასიმაღლო დონე და სართულშუა გადახურვის სისქე.

შემორჩენილია სამხრეთ და ჩრდილოეთ ნავების I და II სართულების კამარებისა და თაღების ნაწილის ნაშთები (დგინდება კამარათა და თაღების მრუდი, სამხრეთ და ჩრდილო ნავების შიდა კედლების სიგანე).

ჩრდილოეთ ნავის I სართულზე შემორჩენილია კედელი, რომელზეც მოწყობილია პატრონიკში ასასვლელი ქვის საფეხურებიანი კიბე. კიბის თავზე ჩრდ. ფასადზე გაჭრილია მრგვალი სარკმელი;

ჩრდ. ნავის კუთხის ოთახი პატრონიკეს ქვემოთ ამოშენებულია და მასში დატანილი იყო კარი დასავლეთ მკლავიდან. კარის ფორმა არ არის დადგენილი.

ჩრდ. ნავის ინტერიერის ჩრდ. კედელზე შემორჩენილი 2 პილასტრის არსებობა განაპირობებს სამ სივრცით მონაკვეთს და შესაბამისად პატრონიკეს II სართულზე, კონსტრუქციული ლოგიკიდან გამომდინარე, თითქმის უცილობლად სავარაუდოა სამი თაღის არსებობა ტაძრის დასავლეთ მკლავისკენ. ნავების ქვედა ნაწილის გამყოფი თაღები კი დგინდება ნაგებობის კედლებში შემორჩენილი კონსტრუქციული ელემენტების ნაშთებით ან მათი ბუდეებით.

ასე მაგალითად, შესაძლებელია ჩრდილოეთ ნავის, დასავლეთ ცენტრალური

მკლავისგან გამყოფი კედლის თაღის დასავლეთ კონსოლის სასიმაღლო დონის დადგენა, რადგან ამ კონსოლოს ბუდე შემორჩენილია ინტერიერის დასავლეთ კედელში, ხოლო ჩრდილოეთ ნავის მომდევნო თაღის ზედა სასიმაღლო დონე კი დგინდება ჩრდილოეთ ნავის გადამხურავი ნახევარწრიული კამარის ქვედა ნიშნულით. თვით ეს კამარა და მისი საბჯენი თაღები კი ინტერიერის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი თაღის კონსოლით.

სავარაუდოა, რომ დასავლეთი პატრონიკე ორ მრგვალ სვეტის მომცველ სამთაღედს უნდა ეფუძნებოდეს, რადგან იევლევის ცნობაში მოხსენიებული რვა მრგვალი სვეტიდან ექვსი დგას გუმბათის ქვეშ და დასავლეთ ნავში. ამასთან, ანალოგიების გათვალისწინებით თანადროულ ძეგლების პატრონიკეებიც ამ მონაკვეთებში ორ-ორ სვეტზე გადაყვანილ სამთაღედზეა შემომდგარი (ოთხთა ეკლესია, პარხალი, ალავერდი).

კიდევ ერთი გამოკლებული ელემენტია პასტოფორიების – სამკვეთლოსა და სადიაკვნეს დასავლეთი კედლები და მათი ასახულობა. პასტოფორიების მეორე სართული დასავლეთისკენ გახსნილი უნდა ყოფილიყო ორთაღედით, რაც საბუთდება გრძივ კედლებზე შემორჩენილ კონსოლებითა და თაღების საწყისებით. შემორჩენილია, ასევე, ძირს ჩამოცვენილი თაღების სვეტის ფრაგმენტი და კაპიტელი.

გუმბათქვეშა სისტემის სასიმაღლო დონეების დადგენა შესაძლებელია ჩრდილოეთ მკლავის შემორჩენილი სასიმაღლო დონეების მიხედვით. გუმბათქვეშა სვეტების პროპორციები და გუმბათის ყელის შიდა რადიუსი სრულ შესაბამისობაში მოდის მოდულურ ათობით სისტემასთან.

გუმბათი ისტორიული ცნობის მიხედვით (XVIIს.) სპილენძით იყო გადახურული, თუმცა ტაძრის ნანგრევებში მრავლად იყო შემორჩენილი ჭიქურით დაფარული კრამიტი და ანტეფიქსები, ამიტომ სარწმუნოა, რომ ტაძარი კრამიტით ყოფილიყო დაბურული.

ამგვარად, აქ წარმოდგენილია ბაგრატის ტაძრის თავდაპირველი სახის დასაბუთება ისტორიული, ძეგლზე არსებული და მოძიებული არქიტექტურული დეტალების და პროპორციული ანალიზის მოშველიებით. ■

ბაგრატის ტაძრის საკურთხეველი

THE SUMMARY

BAGRATI CATHEDRAL

GIA CHANISHVILI

The Bagrati Cathedral being considered as one of the most significant architectural monument of the Christian World was inscribed in the UNESCO World Heritage List in 1994. For that particular moment the monuments has been inscribed in the "as built" actual state including all interventions carried out in the scope of restoration activities that, with variable intensity, had been implemented during the previous 40 years.

Those restorations executed in the second half of the 20-th century were aimed at cleaning of the monument's structural units of all loose parts, removing of derbies and extra soil from the entire territory, stopping of destructive processes and consolidation of structural remains and better understanding of specifications of their external and internal parts. As a result, for the early nineties of the last century walls were almost totally restored, coupled with tri-conch apses with conchs and partially restored sub-dome columns. As for the porches and north-western tower-like structure, all of them were fully reconstructed either.

The design of full-scale restoration of Bagrati cathedral has been worked out with the view of reconstruction of the monument to its initial state through strict adherence to the scientifically justified methodology utilized for the most accurate detection of every project detail and provision of free public access to the whole amount of the documentation and drawings.

As for the implementation of the proposed project, it should only be carried out if the consent between the international and national experts and broad public is reached. The related documentation should be submitted to all stakeholders and be considered by the UNESCO World Heritage Centre and World Heritage Committee.

Through the process of detection of the initial shape and configuration of the monument all the project team members were involved in the studies of compatibility of the missing parts of the monument that are to be added to its existing remains with the expected initial architectural shape of the structure.

The process of analyses has been based upon the data obtained through the comprehensive and detailed measuring of the remaining parts of the structure carried out by the group of restorers and on findings of general metrological research of look-alike architectural monuments conducted by the chief architect- restorer I. Gremelashvili. Besides the aforementioned studies proportions between the integral elements of several other monuments contemporaneous to Bagrati Cathedral were calculated as well. Results of the detailed research of the remaining original parts of the structure as well as of those found during the excavations, or simply of fallen down segments, were also used. Outcomes of desktop activities, comparative studies and historical data analyze results were utilizes as well, coupled with the conclusions of other researches undertaken in the related fields.

The Project Group frankly thinks that all the outcomes of the aforementioned researches and studies should be directed towards the supreme goal – cognition and detection of the initial shape and configuration of Bagrati Cathedral. One thing is absolutely clear – full scale restoration of the monument will be possible only if initial features of the structure are detected and defined closest to their original state. This is true regarding both the façade and the interior of the cathedral. Achievement of this goal is possible only if every activity is based on the scientific research results. ■

გელათის სამონასტრო კომპლექსი

რეაბილიტაციის პროექტი

კახა ტრაპაიძე

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით შესრულდა საქართველოსა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – **გელათის სამონასტრო კომპლექსის** რეაბილიტაციის პროექტი.

პროექტი მიმოიხილავს კომპლექსთან დაკავშირებულ პრობლემატიკას და წარმოგვიდგენს მასზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებულ კონცეფციას კომპლექსთან და მისი რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებით. ამ ხედვის ჩამოყალიბებაში პროფესიონალთა რამდენიმე დიდი ჯგუფი მუშაობდა, შესაბამისად, პროექტი მოიცავს კომპლექსური ძეგლის რეაბილიტაციის თით - ქმის ყველა ძირითად ასპექტს და რამდენიმე მიმართულებით ვითარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემისადმი მიდგომა, რაც აირჩია მასზე მომუშავე ჯგუფმა, გარკვეულწილად სიახლეა პოსტსაბჭოთა საქართველოს სინამდვილეში და გულისხმობს კომპლექსური ძეგლის სრული რეაბილიტაციის ფორმატის ჩამოყალიბებას მისი შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით.

გელათის სამონასტრო კომპლექსი დასავლეთ საქართველოში ქალაქ ქუთაისის მახლობ-


ᲠᲩᲔᲗᲘᲡ

გელათის აკადემია რესტავრაციამდე

ლად, მაღალი მთის ფერდზე მდებარეობს. კომპლექსი დაარსებულა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ XII საუკუნეში.

სამონასტრო კომპლექსი და მიმდებარე ტერიტორია მოიცავს 2 ჰა-ს.

ვრცელი გალავნით შემოსაზღვრულ გელათის მონასტერში ღვთისმშობლის შობის (1106წ.), წმინდა გიორგისა (XIIIს.) და წმინდა ნიკოლოზის (XIIIს.) სამი ეკლესია დგას. ეზოს დასავლეთ ნაწილში სამრეკლოსა (XIIIს.) და აკადემიის (XIIს.) შენობებია, მონასტერი ასევე XVIII-XX საუკუნეების დასაწყისის რამდენიმე სახლს ითვლის. გალავანს ორი კარიბჭე აქვს. სამხრეთით მდებარე კარიბჭე უძველესია. მასში დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა დევს, ხის დიდ არქიტრავზე კი დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) მიერ განჯის ციხიდან წამოღებული ნაალაფარი რკინის კარია ჩამოკიდული. მონასტრის აღმოსავლეთი კარიბჭე, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს, XVII საუკუნეშია გაჭრილი.

ძეგლის მნიშვნელობა

გელათის სამონასტრო კომპლექსი საქართველოსა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. 1994 წელს იგი შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. საქართველოს ისტორიაში გელათის სამონასტრო კომპლექსს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გააჩნია: ისტორიულად იგი იყო არა მხოლოდ სასულიერო, არამედ მნიშვნელოვანი საერო, საგანამანთლებლო-სამეცნიერო კერა. აქ ფუნქციონირებდა ერთ-ერთი ძლიერი საგანმანათლებლო კერა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ იმდროინდელ წინა აზიაში. გელათის აკადემიაში ისწავლებოდა თეოლოგიური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც. მონასტრის განვითარება ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ამიტომ დღემდე გელათის მონასტერი საქართველოს მოსახლეობისათვის სახელმწიფოებრიობასთან, ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ აღმავლობასთან ასოცირდება. გელათის მონასტერი სამეფო სახლის საკუთრება და საძვალე იყო, აქ დავით აღმაშენებლის შემდგომ ერთიანი საქართველოს თითქმის ყველა მეფეა დაკრძალული. დღეს კომპლექსი ერთ-ერთი ყველაზე ავთენტური ძეგლია საქართველოში.

საუკუნეების მანძილზე ბუნებრივი მოვლენებისა თუ საბრძოლო მოქმედებების გამო სამონასტრო კომპლექსი დაზიანდა და დღის წესრიგში დადგა მისი კონსერვაცია-რეაბილიტაციის საკითხი. ამასთან, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, XX საუკუნის 90-იან წლებში კომპლექსში განახლდა სამონასტრო ცხოვრება, რასაც სასულიერო პირებისა და მრევლის მოზღვავება მოჰყვა, ამავდროულად აქ ინტენსიური ტურისტული ნაკადი მოძრაობს. თუმცა არც სამონასტრო კომპლექსი და არც მისი ინფრასტრუქტურა ამ რაოდენობის დამთვალირებელთა მისაღებად მზად არ არის. შესაბამისად, აუცილებელი გახდა კომპლექსური ძეგლის რეაბილიტაციისა და მისი ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხი, რაც გახლდათ ჩვენი პროქტის ამოცანა. კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის მომზადებისას, მასზე მომუშავე ჯგუფის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რასაკვირ-

ველია, ითვალისწინებდა ძეგლის უნიკალურობის ფაქტორს. წარმოდგენილ პროექტში შემოთავაზებულია კომპლექსის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი, რაც ითვალისწინებს როგორც უშუალოდ კომპლექსის საზღვრებში არსებული ნაგებობების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, ასევე კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტს.

პროექტის ნოვაციად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამოცანის მასშტაბიდან გამომდინარე, მასში მონაწილეობდა სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალთა საქართველოს სინამდვილეში უპრეცედენტოდ დიდი ჯგუფი და მოიცავდა ძეგლის რეაბილიტაციის პროექტის ყველა ასპექტს.

გელათის აკადემია რესტავრაციის შემდეგ

სამონასტრო კომპლექსს რამდენიმე ძირითადი პრობლემა გააჩნია:

- ქვის კონსერვაციის პრობლემა;
- უნიკალური კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის პრობლემა;
- ნაგებობებიდან წყლის გადაყვანის პრობლემა, რაც პრაქტიკულად კომპლექსის ყველა ნაგებობისათვის აქტუალურია: ამ შემთხვევაში არსებობს როგორც უშუალოდ სახურავებიდან წყლის გადაყვანის, ასევე ასხლეტილი შხეფების პრობლემაც. წყალი აზიანებს ნაგებობის ყველა სეგმენტს და პრობლემას უქმნის როგორც ექსტერიერს, ასევე კომპლექსის უნიკალურ კედლის მხატვრობას;
- XX საუკუნის 60-იან წლებში ძეგლზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები: მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსის სამონასტრო ნაგებობებს არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონსტრუქციული პრობლემები, მათ მთავარ პრობლემად რჩება ამ რესტავრაციის დროს არჩეული (დღემდე არსებული) გადახურვის მეთოდი (შენობის სახურავი ამჟამად თუნუქითაა გადაწყვეტილი. ფურცლოვანი თუნუქი დაკრულია ხის შელარტყვაზე და ხის ცილინდრული ღეროებით გამოყვანილია ლორფინების იმიტაცია). აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ზიანდება გუმბათის ყელი იმ ნაწილში, რომელიც ნავებსა და ტრომპებზე არის დაყრდნობილი;
- ინფრასტრუქტურის არარსებობა: მარშრუტების, საინფორმაციო დაფების, გზამკვლევების, უსაფრთხოების სისტემების, უნარშეზღუდულთა გადაადგილების სტრუქტურების, მცირე სავაჭრო და დასასვენებელი სივრცეების, პირველადი დახმარების პუნქტების და ა.შ. არარსებობა;
- ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკის პერმანენტული გადაადგილება;
- საინჟინრო კომუნიკაციების არარსებობა.

* * *

პროექტზე მუშაობისას მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტორი, რომ მიუხედავად საქართველოში გელათის სამონასტრო კომპლექსის პოპულარობისა, თითქმის არ აღმოჩნდა მასალა (გარდა სამეცნიერო კვლევისა), რომელსაც შესაძლოა დაყრდნობოდა რეაბილიტაციის პროექტი. ამიტომ სამუშაო ჯგუფს მოუხდა პრაქტიკულად ყველა მონაცემის შექმნა.

პროექტის ფარგლებში შესრულდა კომპლექსთან დაკავშირებული საარქივო მასალის მოძიება, შესწავლა, სისტემატიზაცია. მომზადდა კომპლექსის სრული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ

დაზიანებათა აღნიშვნით. აღნიშნულ პროცესში ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაკუთრებული ეფექტი იქნა მიღწეული. კომპლექსის უმთავრესი ნაგებობის – ღვთისმშობლის შობის ტაძრის სირთულის გათვალისწინებით, მისი აზომვა მოხდა გერმანელი და ესპანელი სპეციალისტების (პროფ. უვე ლოიხტმანი, ანაბელ გონსალესი) მიერ უახლესი მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომელთაც არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების ახალი, მაქსიმალურად დეტალიზებული ფორმატი შემოგვთავაზეს.

მომზადდა სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა და რეკომენდაციები, როგორც ზოგადად სამონასტრო კომპლექსის, ასევე გელათის სამონასტრო კომპლექსის უნიკალური კედლის მხატვრობის შესახებ. გელათის კომპლექსის მოხატულობა შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის განსაკუთრებული ძეგლია, რომელიც თითქმის სრულად მოიცავს ქართული კედლის მხატვრობის განვითარების ეტაპებსა და ისტორიას. გაკეთდა ამ მხატვრობის დაზიანებათა ანალიზი, შეფასება, შესაბამისი რეკომენდაციების დართვით. კედლის მხატვრობის კვლევის თვალსაზრისით გელათს სრულიად გამორჩეული მნიშვნელობა აქვს, რადგან საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მხატვრობის იკონოგრაფიულ თუ მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში XII საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკურთხევლის კონქის მოზაიკას (XIIს.).

პროექტის ფარგლებში კომპლქსის ტერიტორაზე ჩატარდა დამატებითი არქეოლოგიური კვლევა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილმა ახალმა მოცულობებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა კონსერვაცია-რესტავრაციის პროექტში. აქვე აღმოჩნდა ძველი გადახურვის ელემენტები – მოჭიქული კრამიტის სახით, რაც კომპლექსის გადახურვის კონცეფციის ამოსავალ წერტილად იქცა. მოჭიქული კრამიტით ტაძრების სახურავის მოწყობა ახასიათებდა იმდროინდელ ქართულ ხუროთმოძღვრებას. დღემდე შემორჩენილი ანალოგიური გადახურვაა თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ძეგლებზე: იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი.

კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის შესახებ ჩატარდა სრული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და მომზადდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები. გაკეთდა ათეულობით არქეოლოგიური და გეოლოგიური შურფი, შესწავლილ იქნა გრუნტი, ქანები, ჩატარდა წყლის ქიმიური ანალიზი.

ჩატარდა კომპლექსის საინჟინრო-კონსტრუქციული ექსპერტიზა, მომზადდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები, რაც საფუძვლად დაედო რეაბილიტაციის პროექტს.

რამდენადაც კომპლექსის რეაბილიტაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების რეგულირებასთან, საქართველოს სინამდვილეში ნოვაციად უნდა ჩაითვალოს მსგავსი ტიპის დოკუმენტში სამართლებრივი საკითხების რეგულირებისათვის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული დასკვნისა და რეკომენდაციების არსებობა, რომელიც მომზადდა საკადასტრო მონაცემებზე დაყრდნობით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული არ იყო გამიჯნული კერძო და სახელმწფო საკუთრების ფარგლები, ასევე არ იყო დადგენილი საეკლესიო საკუთრების ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმდა საკონსიტიტუციო შეთანხმება, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა ეკლესიის უფლებები საეკლესიო დანიშნულების ძეგლებზე, აუცილებელი იყო, ისტორიული და საეკლესიო მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი ზუსტი საზღვრების ჩამოყალიბება. ასევე მნიშვნელოვანი იყო სარეაბილიტაციო და დაცვით არეალში არსებული კერძო საკუთრების განსაზღვრა და ზუსტი ფარგლების დადგენა, ვინაიდან რეაბილიტაციის პროცესს არ შეელახა კერძო მესაკუთრეთა ინტერესები. ასევე მომზადდა რეკომენდაციები კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული შეუსაბამო ნაგებობების და იმ ობიექტების დემონტაჟის თაობაზე, რომლებიც არღვევენ ძეგლის ავთენტურობას. ეს რეკომენდაციები შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებულ პრინციპებს და არ ლახავს მესაკუთრეთა ინტერესებს.

ინფრასტრუქტურა

წარმოდგენილ პროექტში კომპლექსის თითოეული ძეგლისათვის შეიქმნა კონსერვაციარეაბილიტაციის ინდივიდუალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი ავთენტურობის დაცვას და გააზრებულია ძეგლის ფუნქციონალური დატვირთვის გათვალისწინებით.

აქცენტები გაკეთდა როგორც უშუალოდ რესტავრაციის პროექტზე, ასევე ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურის შექმნაზე, რომელიც თანამედროვე პირობებში კომპლექსური ძეგლის გამართულად ფუნქციონირებას და მისი მართვის მოქნილ მოდელს უზრუნველყოფდა.

ინფრასტრუქტურა დაკომპლექტდა ძეგლის ინტერსებისა და მისი აღქმის არეალის გათვალისწინებით იმგვარად, რომ იგი ყოფილიყო მაქსიმალურად ეფექტური, კომპლექსის დამთვალირებელთა მოთხოვნილებებზე ადაპტირებული და ამავდროულად, ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის აღქმის არეალში ჩართული.

რამდენადაც გელათის კომპლექსს მრავალფუნქციური დატვირთვა გააჩნია, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მარშრუტების ეფექტურად და რაციონალურად გადანაწილება. ინფრასტრუქტურის წარმოდგენილ პროექტში სამოძრაო მარშრუტები ახლებურადაა გააზრებული და მაქსიმალურად ითვალისწინებს



ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტი

კომპლექსის დამთვალიერებელთა ყველა ჯგუფის ინტერესს (ტურისტები, მოსწავლეები, მრევლი, კომპლექსში მოღვაწე სასულიერო პირები, კომპლექსში არსებული სასულიერო აკადემიის სტუდენტები და პედაგოგები).

შემოთავაზებულ პროექტში შეცვლილია ძირითადი სამოძრაო მარშრუტი და ეყრდნობა ისტორიულ მარშრუტს – კომპლექსში სამხრეთის კარიბჭიდან მეფე დავით აღმაშენებლის საფლავის გავლით მოხვედრის შესაძლებლობას.

სამუშაო ჯგუფი მიიჩნევდა, რომ კომპლექსთან დაკავშირებულ ლეგენდათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სწორედ ლეგენდა დავით აღმაშენებლის ანდერძთან დაკავშირებით და რომ ეს ლეგენდა ერთი-ორად მიმზიდველს ხდის გელათის სამონასტრო კომპლექსს დამთვალიერებლებისთვის. შესაბამისად, ერთ-ერთი აქცენტი სწორედ ამ ფაქტორზე უნდა გამახვილებულიყო და აღმაშენებლის საფლავის ქვისათვის შესაბამისი დაცვის მაქსიმალური რეჟიმის შექმნის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა სწორედ ტრადიციული მარშრუტით კომპლექსში შესვლა. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით (რამდენადაც სამხრეთის კარიბჭე დღეს სამლოცველოდაა ქცეული), მოგვიწია მარშრუტის ტრანსფორმაცია. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში ძირითადი მარშრუტი მაინც სამხრეთის მხრიდან, სამხრეთის კარიბჭის გვერდით გადის, რაც ამ აქცენტის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.

მონასტრის დატვირთული სასულიერო ფუნქციის, ასევე სხვადასხვა ტიპის დამთვალიერებელთა ინტერესების გათვალისწინებით დაპროექტდა ახალი მოცულობები: სასულიერეო პირთა საცხოვრებელი სეგმენტი, მონასტრის სტუმართა საცხოვრებელი ფართი, ზონა მონასტრის სამეურნეო საქმიანობისათვის, დასასვენებელი სეგმენტები, რომლებიც ასევე მოიცავს საინფორმაციო სეგმენტს, მცირე სავაჭრო და კვების ობიექტებს, ტურისტული თავშეყრის ზონებს, სარეკრეაციო ზონებს.

მონასტრის სტუმართა და დამთვალირებელთა სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და ხელახლა დაპროექტდა სატრანსპორტო საშუალებების გასაჩერებელი სეგმენტი სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტისათვის. დაპროექტდა სამოძრაო ბილიკები უნარშეზღუდულთათვის როგორც კომპლექსის შიგნით, ასევე ახალი ინფრასტრუქტურის შიგნით.

აქცენტი გაკეთდა საინფორმაციო სეგმენტზე: საინფორმაციო დაფები, გზამკვლევები უზრუნველყოფენ დამთვალირებელთა მაქსიმალურ ინფორმირებას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესულ ძეგლზე.

მნიშვნელოვანი სიახლეა ასევე დაცვა-უსაფრთხოების სისტემა: დაპროექტებული უსაფრთხოების სისტემა მორგებულია კომპლექსის სპეციფიკაზე და ითვალისწინებს როგორც კომპლექსის სამონასტრო ფუნქციას, ასევე ტურისტული ნაკადების ინტენსიობას და ამავდროულად იგი კომპლექსის ორგანულ ნაწილად აღიქმება.

პროექტირებისას განსაზღვრულ იქნა ექსტრემალური სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა (საევაკუაციო გეგმის ჩათვლით).

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა კომპლექსის სრული რეაბილიტაციის პროექტის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს:

- კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული თითოეული ობიექტის რეაბილიტაციის პროექტი;
- გელათის კედლის მხატვრობის დაზიანებათა პირველადი შეფასება, რეკომენდაციები დიაგნოსტიკის მეთოდიკისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ;
- ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირების გეგმა;
- კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის გენერალური გეგმა;
- კომპლექსის საინჟინრო კომუნიკაციების (ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, კანალიზაცია, გათბობა-ვენტილაცია, სუსტი დენები, სანიაღვრე სისტემა) პროექტი – ნახაზები, სქემები;
- კომპლექსის შიდა და გარე-განათების პროექტი;
- უსაფრთხოების სისტემების პროექტი;
- მარშრუტების კეთილმოწყობის პროექტი;
- დენდროლოგიური პროექტი;
- კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული თანამედროვე შენობების რეკონსტრუქციის პროექტი;
- კომპლექსის გალავანში ჩადგმული შენობის ტერიტორიის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტი;
- მცირე არქიტექტურული ფორმებისა და კეთილმოწყობის ელემენტების პროექტები;
- ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა.

* * *

წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება: კომპლექსში შემავალი თითოეული ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კომპლექსის თითოეული ნაგებობის სახურავის ავთენტური მასალით შეცვლა, კომპლექსის საინჟინრო კომუნიკაციების შეცვლა, კომპლექსის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა – შემოთავაზებული გენერალური გეგმის შესაბამისად, რაც სამონასტრო კომპლექსის არა მხოლოდ ოპტიმალურ რეჟიმში ფუნქციონირების, არამედ მისი სამომავლო განვითარების საფუძველი იქნება.

გელათის მონასტერი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია

გელათის სამონასტრო კომპლესის რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისად, სარეაბილიტაციო სამუშაოები 2010 წელსაც გაგრძელდა. კერძოდ, დასრულდა კომპლექსის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეების რეაბილიტაცია.

განსაკუთრებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული კომპლექსის სამხრეთის კარიბჭის – დავითის კარიბჭის აღდგენა. ძეგლის გახსნამ გამოავლინა სერიოზული კონსტრუქციული პრობლემები და სრულიად უცნობი არქეოლოგიური ფენები, რამაც გამოიწვია კარიბჭის პროექტის სერიოზული კორექტირება და რეაბილიტაციის პროექტში ახალი არქეოლოგიური ფენის ჩართვის აუცილებლობა.

2010 წელსვე გაკეთდა სამრეკლოს რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ პილოტ-პროექტის სახით სამრეკლო გადაიხურება მოჭიქული კრამიტით, რომლის ტრადიციული მეთოდებით წარმოების აღორძინება ქართველი სპეციალისტების მიერ, ერთგვარი წინაპირობაა 2011 წელს დაგეგმილი ძირითადი ტაძრების სარესტავრაციოდ. ■

THE SUMMARY

PROJECT FOR THE REHABILITATION OF GELATI MONASTERY

KAKHA TRAPAIDZE



The paper deals with the project for the rehabilitation of Gelati Monastery, one of the most significant monuments of Georgian and world cultural heritage. The project was commissioned in 2008 by the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia.

The paper briefly outlines the issues relating to the monastery and the restoration/rehabilitation philosophy developed by a project team, which was staffed by a large number of professionals. The project elaborated entails all aspects essential for an integrated rehabilitation and develops along several lines.

It is noteworthy that the approach chosen by the team was innovative in the reality of post-Soviet Georgia as it implied the development of an integrated rehabilitation scheme with a view to ensuring the future sustainability and vitality of the site. ■

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი

ქართული ინტელექტუალური საგანძური

ქეთევან ასათიანი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება 700-ზე მეტ ხელნაწერ წიგნს ინახავს. იგი ერთ-ერთი უმთავრესია საქართველოში არსებულ ხელნაწერ კოლექციათა შორის. ის მისი თავმოყრის დღიდან არის მკვლევართა და ქართული კულტურის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ.

კოლექციის ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება X-XX საუკუნეებით, დაცულია როგორც ქაღალდის, ისე ეტრატის უძვირფასესი ხელნაწერები, მაღალი მხატვრული დონით შესრულებული მინიატურებითა და უძველესი ტრადიციების მატარებელი კალიგრაფიული სკოლებით, განსაკუთრებულად ღირებული ყდებითა და მრავლისმთქმელი და მრავლისმომცემი ანდერძ-მინაწერებით.

ქუთაისში დაცული მანუსკრიპტები გადაწერილი, მოხატული და მოჭედილია საუკეთესო – ცნობილი თუ უცნობი ოსტატების

ოთხთავი ჭედური ყდით. 1581 წ.

მიერ და ხშირად დაკავშირებულია საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის, ასევე ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ყველაზე ცნობილ სახელებთან.

კოლექცია მოიცავს ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებებს, წარმოდგენილია სასულიერო და საერო მწერლობის თითქმის ყველა ჟანრი – ბიბლიოლოგია, ასკეტიკა-მისტიკა, ჰომილეტიკა, ჰაგიოგრაფია, ისტორიოგრაფია...

ხელნაწერები წარმოდგენილია როგორც კოდექსების, ისე გრაგნილების სახითაც შესრულებული ასომთავრული, ნუსხური და მხედრული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუშებით.

აქ არის როგორც საქართველოში შექმნილი და შეკვეთილი, ისე მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ქართულ კულტურულ კერაზე გადაწერილ-მოკაზმული ხელნაწერები.

პირველად ქუთაისის ხელნაწერთა კოლექცია აღწერა კორნელი კეკელიძემ 1912 წელს (ნაშრომი არ არის გამოქვეყნებული), ხოლო მეორედ ე. ნიკოლაძემ კორნელი კეკელიძის რედაქტორობით (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1953).

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ხელნაწერები ძირითადად გელათის წიგნთსაცავიდან არის გადმოსული, თუმცა მრავლადაა სხვა ცენტრებიდან შემოსული მასალაც. მას ერ-

ოთხთავი, მე-12 საუკუნე

თიორად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ აქ დაცულია ქართულ ხელნაწერთა სივრცეში ყველაზე ძველი შრე – სამოციქულო-სახარება (X ს. K 176), დაბადების ერთი ფ. (X ს. 671), სახარების ერთი ფ. (X ს. 954)... თითოეული ეს ხელნაწერი შესრულებულია ასომთავრულით, ეტრატზე, ყავისფერი მელნით და რედაქციული თვალსაზრისითაც საინტერესო შედეგებს უჩვენებს.

ერთ-ერთი უმთავრესი საგანძური, რომელიც ამ ფონდშია დაცული, არის მეტაფრასების კრებულები. სიტყვა „მეტაფრასი" ადრე არსებული კიმენის საფუძველზე შექმნილ და შემდგომ გადაკეთებულ ტექსტს აღნიშნავს.

ბიზანტიურ ლიტერატურაში კარგად იყო ცნობილი სვიმეონ მეტაფრასტი და მისი გადამეტაფრასებული ჰაგიოგრაფიული კრებულები. ეს ტექსტები მოიცავდა ზამთრის თვეების საკითხავებს. სამწუხაროდ, სვიმეონმა ვერ მოასწრო მთელი წლის საკითხავების გადამუშავება, ვინაიდან გარდაიცვალა და ე.წ. ზაფხულის თვეების საკითხავები მას გაუკეთებელი დარჩა. XX საუკუნემდე მიჩნეული იყო, რომ ზაფხულის თვის მეტაფრასები აღარ იყო შექმნილი, თუმცა, კორნელი კეკელიძემ, ქუთაისში დაცული მეტაფრასებისა და მათი ანდერძ-მინაწერების საფუძველზე დაადგინა, რომ ბერძნულ ენაზე არსებობდა ზაფხულის თვის მეტაფრასების საკითხავებიც, რომლებიც გადაამუშავა სვიმეონ ლოღოთეტმა. საქმე ის არის, რომ ამ ტექსტების დიდი ნაწილი არსებობს მხოლოდ ქართულად და მხოლოდ ქუთაისის მუზეუმშია დაცული. გარდა იმისა, რომ გადარჩა უშუალოდ ტექსტები, რომელთა არსებობა ბერძნულად არავინ იცოდა, ამავე ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახა მეტაფრასტის სახელიც, რომელმაც ეს სამუშაოები შეასრულა – იოანე ქსიფილინოსი. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ქართული და ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის შესწავლა შეუძლებელია ქართული თარგმანების გათვალისწინების გარეშე და ამაში პირველ რიგში სწორედ ქუთაისური მეტაფრასები იგულისხმება.

კორნელი კეკელიძემ იოანე ქსიფილინოსის გადამეტაფრასებულის სახელით ცნობილი ზაფხულის თვის საკითხავები, დემეტრე I-ის (1125-1156) დროს გელათის ლიტერატურულ სკოლაში თარგმნილად მიიჩნია.

განსაკუთრებულია ქუთაისის მუზეუმი ასევე დოგმატიკურ-პოლემიკური ჟანრის ხელნაწერების თვალსაზრისითაც. დოგმატიკურ-პოელმიკურ თხზულებებში ისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები. ქუთაისში დაცულია "დოგმატიკონის" შემცველი მანუსკრიპტები, რომლებიც არსენ იყალთო - ელის ამ თხზულების დადგენისათვის ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს (K 15, K 23, K 24). საინერესეო ის გადაკვეთები, რომლებიც აქვს ქუთაისის მუზეუმში დაცულ მასალას ათონის ქართველთა სავანესთან. X საუკუნეში გადაწერილი „სახარება–სამოციქულო" (K 176), შესრულებულია ზაქარია მამადმთავრის (ბანელის) დაკვეთით, ზაქარია ბანელის სახელი კი პირდაპირაა დაკავშირებული ექვთიმე ათონელის თარგმანების გადაწერასა და გავრცელებასთან.

ქუთაისის მუზეუმში ინახება „დიდი სვინაქსარის" გიორგი მთაწმინდელის თარგმანი.

სვინაქსარი არის მთელი წლის კალენდარი წმინდანების მოკლე ცხოვრებებით. სვინაქსარს თავიდანვე უწოდებდნენ ეკლესიის საფუძველს და ღვთისმსახურებისას ის ერთ-ერთი უმთავრესი წიგნი იყო. სვინაქსრის უამრავი ნუსხები არის დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფთან დგას, თუმცა ქუთაისში დაცული ნუსხა სრულიად განსხვავებულია ყველა სხვა ნუსხისაგან არქიტექტონიკით და ასევე იმით, რომ ეს არის ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც სათაურშივე მიუთითებს გიორგის თარგმანის ერთ-ერთ წყაროს (სტუდიურ ტიპიკონს, K655, XV-XVI სს.).

სრულიად უნიკალურია ქუთაისის მხარეთმცოდნეობით მუზეუმი ე.წ. ბაღვაშების ხელნაწერებითაც. მაღალი ხარისხი, განსაკუთრებული თემატიკა, ავთენტური როგორც ფურცლები, ისე ყდა, განუმეორებელი ისტორია, რომელიც ამ ხელნაწერებს ლოკალური მნიშვნელობის ფარგლებს ძლიერ აცილებს. ამ ეროვნული მნიშვნელობის ხელნაწერებში, განსაკუთრებული დატვირთვის, უიშვიათესი ისტორიის, ტრაგიკული ინფორმაციის, საქართველოს ისტორიის ერთი ურთულესი ფურცელია გადაშლილი.

იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს თავის განმარტებები (K19 (1047 წ.), K20 (1048 წ.), K21 (1053 წ.) სამივე გადაწერილია აწყურის მონასტერში გაბრიელ გადამწერის მიერ. ამ ხელნაწერების დამკვეთი ერისთავთერისთავი ლიპარიტია. ეს ის ლიპარიტ ბაღვაშია, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიაში სამწუხაროდ ცნობილი კონფლიქტი მეფე ბაგრატთან. სავარაუდოდ, სამივე ხელნაწერის ბოლოში სხვა ხელით მიწერილი ანდერძები, რომლებსაც ანტონი ლიპარიტყოფილი წერს, სწორედ ამ ქართველი დიდებულის ავტოგრაფი უნდა იყოს. იშვიათია ხელნაწერი, რომელიც საკუთარი და მით უფრო შემკობილი ყდით არის შემორჩენილი. სამივე ხელნაწერი იმ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის.

მინიატურები, თავსამკაულები, საზედაო ასოებით საუცხოოდ გაწყობილი ხელნაწერები XI საუკუნიდანაა და ფონდის საკმაო ნაწილს შეადგენს (სახარებები, ლიტურგიკული ჟანრის ნუსხები, საერო თხზულებები...).

გარდა სასულიერო ხასიათის თხზულებებისა, ქუთაისის მუზეუმი მდიდარია საერო თხზულებებით. აქ არის "ვეფხისტყაოსნების" განსაკუთრებული სიმრავლე, რომელთაგან ყველაზე ძველი XVII საუკუნისაა. ცალკე მსჯელობის საგანია სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონის საავტორო ვარიანტი, ავტოგრაფი. ასევე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი მართლაც რომ განსაკუთრებულია საკუთარი ხელნაწერული ფონდით. აქ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესია წარმოდგენილი და არის უშრეტი წყარო ქართველ და არა მხოლოდ ქართველ მკვლევართათვის. ■

ოთხთავი, მე-12 საუკუნე

THE SUMMARY

KUTAISI MUSEUM

KETEVAN ASATIANI



More then seven hundred pieces of manuscripts are deposited within the Section of Manuscripts of Kutaisi State Historical Museum. They are outstanding and unique both for their visual values (part of them have embossed covers, their majority is richly illustrated and adorned with finest uncial letters) and their contents. The collection includes distinctive original works of ancient Georgian authors as well as perfect translations – orthodox catechisms, several lists of credendum, full version of the Commentaries to the Gospel of St. Mathew completed by John the Chrysostom, several relatively late handwritten copies of Rusraveli's "The Knight in the Panther's Skin", an original signature of Sulkhan-Saba Orbeliani and many other. These manuscripts created thanks to the generous donations of Georgian Kings and noblemen are priceless treasure for either national or foreign scholars interested in the history and culture of our country. ■

გონიოს მუზეუმის ექსპოზიცია

ირმა დოლიძე

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი 1994 წელს დაარსდა, მალევე შეიქმნა მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია და ამ პერიოდიდან დაწყებული სისტემატურად მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები (გონიოს ციხისა და მისი მიდამოების შესწავლა 1961 წელს დაიწყო). შედეგად კი მუზეუმის ფონდებში თავი მოიყარა არქეოლოგიური მასალის მდიდარმა კოლექციამ. მისი უდიდესი ნაწილი გონიოს ციხესა და მიმდებარე ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

მუზეუმის ფონდებში ამჟამად 25 600 ექსპონატია დაცული. საგამოფენო სივრცის უქონლობის გამო ექსპონატები არ გამოფენილა (ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე ნიმუში გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებიდან) და, შესაბამისად, უცნობი იყო საზოგადოებისათვის.

2008 წლიდან გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია. 2009-2010 წლების განმავლობაში სააგენტოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის ფარგლებში კომპლექსურად განხორციელდა გონიო-აფსაროსის ციხის კვლევისა და რეაბილიტაციის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები: ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, ციხის შიდა ტერიტორიაზე არსებული შენობა გადაკეთდა სამუზეუმო სივრცედ, სადაც პირველად გამოიფინა წლების განმავლობაში მუზეუმის ფონდებში დაცული ექსპონატები, მომზადდა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის პროექტი.

მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია 4,75 ჰა ფართობს მოიცავს. არქიტექტურული ნაგებობის პარალელურად, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ეპოქის კულტურულ ფენებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ქუჩების, საცხოვრებელი ნაგებობების, აბანოების და სხვა შენობათა ნაშთები. მათი გაცნობა დამთვალიერებელს კომპლექსის ტერიტორიაზე შეუძლია,

ათასწლეულების ისტორიის (ძვ. წ. II ათასწლეულიდან XIX საუკუნის ჩათვლით) ერთიანი გაცოცხლებული სურათის კი გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ახალ საექსპოზიციო სივრცეში. ექსპოზიცია მომზადდა და განხორციელდა სააგენტოს მოძრავ ძეგლთა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის (ირმა დოლიძე, ნინო ვაჩეიშვილი, მაია ყვირალაშვილი, გვანცა გეგეჭკორი) მიერ გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალსა (მმართველი შოთა მამულაძე) და შპს კს მოდელ სტუდიოსთან ერთად. 2010 წლის 24 აგვისტოს გაიხსნა გონიოს კოლექციის პირველი ექსპოზიცია ახალ სამუზეუმო სივრცეში.

საგამოფენო დარბაზის ინტერიერი (128 კვ.მ) ექსპონატებისთვის საგანგებო დიზაინით შესრულებული სტენდების გარდა, მოიცავს წიგნებისა და სუვენირებისთვის განკუთვნილ კუთხეს, სადაც ტურისტს, ინფორმაციის მიღებასთან ერთად, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გამოცემული უახლესი პუბლიკაციების შეძენაც შეუძლია.

ახალ სამუზეუმო სივრცეში წარმოდგენილი არტეფაქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალაა (ლითონის, კერამიკის, ქვის, მინის, ფაიფურის ნიმუშები), დამთვალიერებლისთვის მისი სრულად წარმოჩენის მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური და ინფორმაციული მასალა: წერილობითი წყაროები, დოკუმენტები, გათხრების შედეგად აღმოჩენილი, დაზიანებული თუ ფრაგმენტულად შემორჩენილი, ნიმუშების რეკონსტრუქციები, ჩანახატები, მათი აღმოჩენის ამსახველი ფოტოები და ა.შ.

გონიო-აფსაროსის მრავალსაუკუნოვანი ისტორია არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებული ქრონოლოგიური პერიოდების თანამიმდევრული ჩვენების პრინციპით აიგო. ამავდროულად, მათ განმასხვავებელ და საერთო თავისებურებებზე აქცენტით.

დარბაზში შესული დამთვალიერებლის მოძრაობა ექსპოზიციის „მარშრუტის“ მიხედვით მარცხენა მხრიდან იწყება და პირველი ინფორმაცია, რომელიც მას მიეწოდება გონიო-აფსაროსის ციხის ზოგადი ისტორიაა (II ათასწლეულში გონიო კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი კერაა; ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ჩნდება პირველი სამოსახლოები, ახ.წ. I საუკუნეში აფსაროსის ციხეს რომაელები აგებენ და IV საუკუნემდე აქ მათი კოჰორტები დგას. VI საუკუნიდან ციხეში ბიზანტიელები, XVI საუკუნიდან კი ოსმალთა გარნიზონია). კომპლექსის ანოტირებულ ფოტოკოლაჟთან მოცემულია ინფორმაცია ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – მატათას შესახებ, რომლიც ანდრია პირველწოდებულთან და სვიმეონ კანანელთან ერთად საქართველოში იმყოფებოდა და ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, აჭარაში აღესრულა. მოციქულის სავარუდო საფლავიც მუზეუმის შესასვლელთანაა.

განსაკუთრებული ადგილი ექსპოზიციაში ეთმობა ახ.წ. IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილ საგზაო რუკას, რომელზეც აფსაროსის სახელწოდებასთან ერთად, ციხის სქემატური გამოსახულებაა დატანილი. ასევე, ინფორმაციას გონიო-აფსაროსის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერთა შესახებ. მათ შორის ჰენრიხ შლიმანზე, რომელიც გონიოს ციხის შესწავლით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდა, ასევე ნიკო მარსა და თეოდორ უსპენსკიზე.

გონიოს ისტორიის ვიზუალური თხრობა მუზეუმში დაცული და საგამოფენო სივრცეში პრეზენტირებული უძველესი ექსპონატებით იწყება. გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ცულები, სეგმენტური იარაღი, წიდები, მეტალურგიის განვითარებაზე რომ მეტყველებს, გონიოს მიმდებარე ტერიტორიაზეა გამოვლენილი. ბრინჯაოს ეს ნივთები ადგილობრივადაა დამზადებული, ამიტომ მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია. გონიოს ექსპოზიციაში წარმოდგენილი კოლხური ცულების ნაწილი (7 ექსპონატი) აღმოჩენილია 2008 წელს სოფ. საღორეთში, განძის სახით შემთხვევით მოპოვებული ეს უძველესი ნიმუშები ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ბრინჯაოს მეტალურგიას რკინის მეტალურგიის საილუსტრაციო მასალა ენაცვლება. გონიოს მახლობლად ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრის არსებობაზე მეტყველებს აქ წარმოდგენილი სხვადასხვა ზომის რკინის წიდები, საბერველის კერამიკული მილის ფრაგმენტები და სხვ.

გონიოს ტერიტორიაზე გამოვლენილი დიუნური ნასახლარები ძვ. წ. I ათასწლეულში (ძვ.წ. VIII-VII სს.) ამ ტერიტორიაზე აქტიური ცხოვრების მატერიალურად დადასტურებული კვალია. ნასახლარში აღმოჩენილი რიტუალური სადგარით, სარიტუალო კვერის საცხობი ჭურჭლის ფრაგმენტებით და იმდროინდელი ყოფის ამსახველი სხვა ნივთებით.

ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდების და წარსულის „გაცოცხლების“ მიზნით ექსპოზიციაში საგანგებოდ იქნა მოწყობილი ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებული სამარხის იმიტაცია. აღმოჩენის ფოტოებსა და შესაბამისი ანოტაციის ფონზე, ბავშვის სამარხში ნაპოვნი ნივთები (გიშრისა და პასტის მძივები, ბრინჯაოს სხივანა საყურე და სამაჯურები, მცირე ზომის თიხის კოლხური ჭურჭელი) ისევე განლაგდა ქვიშის საფუძველზე, როგორც ეს გათხრების დროს აღმოაჩინეს არქეოლოგებმა.

ელინისტურ ხანას ეკუთვნის გონიოს მუზეუმში ექსპონირებული, კომპლექსის სამხრეთ კარიბჭესა და ცენტრალურ უბანში გამოვლენილი, მრავალფეროვანი კერამიკული ჭურჭელი.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ექსპოზიციაში I-III საუკუნეებით დათარიღებულ ექსპონატებს, რომელთა შორისაა ე.წ. ზანაქი-

1 ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, „მეცნიერება“, თბილისი, 1980 წ. გვ.10.

ძეების განძი მცენარეული ორნამენტით შემკული ოქროს დიადემით, კაპანდიბის სამარხეული ინვენტარი და გონიოში აღმოჩენილი სამკაულები – გემებიანი ბეჭდები, ოქროს საყურეები, მძივები.

ამ პერიოდის აფსაროსის ისტორიის წარმოსაჩენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „გონიოს განძის“ ჩვენებას, რომლის შემადგენლობაშიც 36 სხვადასხვა სახეობის მაღალი ოსტატობით შესრულებული ოქროს ძვირფასი თვლებით შემკული ნივთია. II-III საუკუნეებით დათარიღებული ოქროს ნივთების ეს უმდიდრესი კოლექცია ლითონის ჭურჭელში განძის სახით იყო ჩალაგებული. იგი შემთხვევით, საავტომობილი გზის გაფართოების დროს აღმოაჩინეს (1974 წ.).[1] გონიოს განძი აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილებაა და ამჟამად საქართველოს ბანკში ინახება. მისი ასლები ასევე იქნება ექსპონირებული ახალ სამუზეუმო სივრცეში.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა გონიოს ციხეში მცხოვრებ რომაელ ლეგიონერთა ყოფის ამსახველი ექსპოზიცია (სამედიცინო დანიშნულების ნივთები, სამზარეულოს ინვენტარი, სამკაულები, მცირე პლასტიკის ნიმუშები). ეს ნაკეთობები ძირითადად რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრიდან შემოდიოდა. მათ შორის ყურადღებას იქცევს ტერაკოტის თავი, ტიპური რომაელის რეალისტურად შესრულებული სახის ნაკვთებით. ასევე, მცირე პლასტიკის ნიმუში - სერაპისის ქანდაკება. გონიოში აღმოჩენილია ერთ-ერთი საკულტო ნაგებობა, რომელიც სავარაუდოდ სერაპისის სამლოცველო-საკურთხევლადაა მოაზრებული. იგი ლეგიონერთა მფარველი ღვთაებაა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომის იმპერიის პერიოდში. აქვეა სერაპისის გამოსახულებიანი მონეტა და სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, რაც უმთავრესად ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ასევეა პრეზენტირებული რომის იმპერიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული ამფორები, რომლებიც იმ დროისათვის სითხისა და მარცვლეულის გადაზიდვის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა. მათ შორისაა ადგილობრივი წარმოების ამფორებიც.

გონიოს ციხისა და ნაქალაქარის გათხრების დროს აღმოჩენილი სამშენებლო ხელოვნების ამსახველი სხვადასხვა პერიოდის მასალა აფსაროსის სამშენებლო კერამიკის ცალკე ჯგუფს ქმნის (გამომწვარი აგური, კრამიტი, დეკორატიული აგური), ამიტომ ორიგინალური დიზაინით მომზადებულ საექსპოზიციო მოედანზე ისინი კრამიტის, კერამიკული მილებისა და სხვადასხვა პერიოდის კულტურულ ფენებში გამოვლენილ ქვის ჭურვებთან ერთადაა ექსპონირებული.

რომაელ ლეგიონერთა ყოფის ამსახველ მასალებთან ერთად მუზეუმში გამოფენილია ციხის დასავლეთის კედელთან, საცხოვრებელი სახლის გათხრების დროს გამოვლენილი იშვიათი ექსპონატებიც. ამფორებით სავსე სათავსი მარცვლეულის შესანახად იყო გამიზნული. ხანძრის დროს შენობა განადგურდა. საუკუნეების შემდეგ კი არქეოლოგებმა სხვა მასალასთან ერთად 49 სახეობის მარცვლეულის ნაშთს მიაკვლიეს. ექსპოზიციაში ამფორებისა და კერამიკის ნიმუშებთან ერთად ექსპონირებულია აქ აღმოჩენილი, I-II საუკუნეებით დათარიღებული, ხორბალიც.

ახ.წ. IV საუკუნეში რომაელები აფსაროსის ციხეს ტოვებენ. ცხოვრების გამოცოცხლება აქ VI საუკუნის II ნახევრიდან იწყ¬ება. ციხის გათხრებისას გამოვლენილი ადრეული შუასაუკუნეებით დათარიღებული სამეურნეო დანიშნულების იმპორტული და ადგილობრივი კერამიკა (VI-VII სს.) გრაფიკული რეკონსტრუქციებისა და შესაბამისი ანოტაციებითაა წარმოდგენილი.

გონიო-აფსაროსის მუზეუმის ფონდებიდან გამოირჩევა მონეტებისა და მინის ნაწარმის კოლექცია. აქ აღმოჩენილი მონეტების რაოდენობა ორასს აღემატება. კოლექცია ექსპონირებულია რუკის ფონზე, რომელზეც ყველა ის ქალაქი და ცენტრია დატანილი, სადაც

მოჭრილი მონეტები გონიოში აღმოაჩინეს. ამით ცხადი ხდება თუ რა მასშტაბურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო ჩართული გონიო-აფსაროსი. სპექტრი მრავალფეროვანია. ასე მაგ. ქ. ლუგდენუმი გალია (დღ. საფრანგეთი), ბოსფორის სამეფო, იუდეა, ანტიოქია (სირია), პონტოს სამეფო, ეფესო, კესარია, რომი, სინოპი, ტრაპეზუნტი, თესალონიკი. რამდენიმე ნიმუში ბიზანტიური, ოსმალური და ევროპული წარმომავლობისაა, მათ შორისაა პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-ის სახელით მოჭრილი მონეტები (XVI-XVII სს.) და ვენეციური დუკატი (XVI-XVIII სს.). მონეტების კოლექციასთან ერთად წარმოდგენილია ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად გონიოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა პერიოდის (I-III სს.; VI ს.; XVI-XVIII სს.) მინის ორიგინალური ნიმუშებიც. აქვე აღვნიშნავთ, რომ გონიოს განძის, მონეტებისა და მინის ნაწარმის კოლექციათა პრეზენტირებას გამოფენაზე საექსპოზიციო სტენდების განსხვავებული დიზაინიც გამოარჩევს.

მუზეუმის ფონდებში მრავლადაა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ექსპონატები (ქვევრები, ხელადები, სადა და მრავალფრად მოჭიქული ჯამები, სასმისები და ა.შ). მათი დიდი ნაწილი განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება, თუმცა ციხის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე ადრეული ხანის (II-III სს.) მარანსაც მიაკვლიეს. მეღვინეობის ამ ტრადიციული დარგის ამსახველ (I-XVIII სს.) ექსპოზიციას გონიოს მუზეუმის არქეოლოგიურ გამოფენაზე ერთი სტენდი ეთმობა.

გვიანი შუა საუკუნეების გონიოს ციხის დრამატული ისტორიის (XVI საუკუნის II ნახევარიდან გონიოს ციხეში ოსმალები დგანან) საილუსტრაციოდ ექსპოზიციაში სხვადასხვა ტიპის მასლაა ექსპონირებული. მათ შორის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობები, საბრძოლო იარაღი. ასევე, გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა, ქაშანურის ჭურჭელი, ჩიბუხები, რომლებიც თურქეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში მზადდებოდა და გონიოში იმპორტის სახით შემოდიოდა.

ქრონოლოგიური პრინციპიდან გამომდინარე, საექსპოზიციო მარშრუტი XIX საუკუნის მასალების ექსპონირებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გონიო-აფსაროსის წარსულის ერთ-ერთი უმთავრესი ეპიზოდი, რომელიც

არგონავტების მითს უკავშირდება და ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ექსპოზიციაში დამოუკიდებელი სეგმენტის სახითაა გამოყოფილი.

სტეფანე ბიზანტიელის, არტემიდორე ეფესელის, არიანეს და სხვათა ცნობებით, აფსაროსის სახელწოდება არგონავტების აია-კოლხეთში ლაშქრობას, მათ მიერ აიეტის ვაჟის აფსირტეს მოკვლას და აქვე დაკრძალვას უკავშირდება.[2] საგულისხმო ცნობებს გონიო-აფსაროსის შესახებ გვაწვდის ახ. წ. VI საუკუნის ავტორი პროკოფი კესარიელი – „ის ძველად აფსურტად იწოდებოდა, მას კაცის სახელი დაერქვა ერთი შემთხვევის გამო: ამბობენ, რომ აფსურტე მოკლულ იქმნა მედეას და იასონის ვერაგობის წყალობით და ამის გამო ამ ადგილმა მიირქვა მისი სახელი. ის ხომ ამ ადგილას მოკვდა და მისგან იწოდა ასე. მაგრამ ძალიან დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ადამიანთა ურიცხვ ცვლასთან დაკავშირებით შეირყვნა იმ გარემოებათა ვითარება, რომელთაგან ეს სახელი მომდინარეობს და ახლა ამნაირად გადასხვაფერდა იმ ადგილის სახელწოდება. ამ აფსურტეს საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის, ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქიდან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა.“[3]

დღეისათვის გონიო-აფსაროსის ტერიტორიის მხოლოდ რამდენიმე პროცენტია არქეოლოგიურად შესწავლილი. ამიტომ უღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევითი სამუშაოების ინტენსიურ გაგრძელებას. საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ჩართვას გონიოს უძვლესი ფენების, მათ შორის პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი „თეატრითა და იპოდრომით“ შემკული აფსაროსის, გამოვლენასა და შესწავლაში. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებული მასალების პრეზენტირებით სრულდება გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის კოლექციის ექსპოზიცია ახალ სამუზეუმო სივრცეში. ■

2 იგივე, გვ. 6;
3 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ), ტ.II, თბილისი, 1934 წ. გვ. 94-95.

THE SUMMARY

EXPOSITION IN GONIO MUSEUM

IRMA DOLIDZE

Gonio-Apsarus Archaeological-Architectural Museum-Reserve that deposits the huge collection of 26 600 things was established in 1994. It was because of lack of the exhibition space that almost all items of the considerable collection, besides only some of the exhibits presented in Batumi State Museum, were stored, thus being totally inaccessible and unknown for the broad public.

Since the late 2008 the Museum-Reserve has become the structural unit of the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia. Within the scope of the State Programme for Preservation of Cultural Heritage for the years of 2009 and 2010 several activities towards study and rehabilitation of Gonio-Apsarus fortress were planned and implemented by the Agency. Particularly, archeological excavations were carried out; project documentation for the arrangement of infrastructure on the territory of the museum-reserve was designed and a building located inside the fortress was reconstructed into the exhibition hall where all the most valuable artifacts kept in the museum stores until then were exhibited and became accessible for all. The exhibition has been planed and prepared by the staff of the Moveable Monuments and Museum Collections Management Unit of the National Agency in close cooperation with the staff of the museum-reserve and Model Studio Ltd. On 24-th of August, 2010 the first exhibition was officially opened in the newly refurbished exhibition hall of the Museum-Reserve.

The Museum-Reserve covers the area of 4,75 hectares, where the ground abounds of the ancient remains and artifacts. Paved walkways, remains of residential and public structures and bathhouses were revealed within the several cultural layers excavated on the territory of the fortress. All those remains are easily available for the tourists who will be kindly guided by local docents on the fortress territory, while the well arranged and informative indoor exhibition revives long history of the area from the II Millennium BC till the late XIX c AD.

The exhibition hall is 128 m^2 in total. Apart of the showcases, boards and interpretative and explanatory images and texts it contains an information and marketing corner, where all are welcome to get information fliers considered useful and interesting for the visitors and purchase the latest booklets and other high quality publications about Georgia's cultural heritage.

The exhibition has been enriched by several visual and information material: documents, photos reflecting moments of discovery of the exhibits and of other remains found within the fortress, several reconstructions and sketches. All of them are of the great help for effective presentation of the exhibited material.

The exhibition reveals the centuries-long history of Gonio-Apsarus. It has been arranged chronologically, where material related to different historical periods is set in the consecutive order, highlighting the specifications and particularities of each of the period. However, the earliest stages of the history of Gonio-Apsarus are closely linked with the myth of Argonaut always being the point of particular interest. That is why the mythical events of Argonauts are presented as a separate segment of the exhibition.

In should be noted, that only very small part of the Museum-Reserve has yet been studied archaeologically. Commencement of systematic and intense excavations of the area with possible involvement of foreign specialists and experts has always been the topical issue. Material reflecting activities in that field concludes the first exposition of Gonio collection arranged in the new exhibition hall of the Museum-Reserve. ■

კულტურული მემკვიდრეობის საიტების მართვის მოდელი

ნოქალაქევის არქიტექტურულ არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მენეჯმენტ-გეგმა

ირმა დოლიძე

საქართველოს უმდიდრესი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა ათასწლეულებს ითვლის. მისი დაცვა-შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა ფართომასშტაბიან, კომპლექსურ და პერმანენტულ ღონისძიებებს საჭიროებს, რაც სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული პოლიტიკის არსებობას და მის გეგმაზომიერ განხორციელებას მოითხოვს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა 2004 წლიდან, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით ამუშავდა "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა". იგი დღემდე ემსახურება აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, კულტურული მემკვიდრეობის განვითარების ხელშეწყობას, დაცვასა და პოპულარიზაციას. ამ პერიოდიდან მოყოლებული დაიწყო კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ძეგლთა დაცვის სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია (უძრავი და მოძრავი ძეგლები, მუზეუმები, დაცვითი ზონები და ა. შ.); კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი; კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია; დასავლური გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება; ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი და შესწავლა.

პროგრამული მიმართულებების გაფართოვებამ დღის წესრიგში დააყენა მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის საჭიროება, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შექმნას (2008 წ.). იგი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ გამტარებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამას და თითქმის სრულად მოიცავს ქვეყნის მატერიალური კულტურის ყველა სფეროს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო რამდენიმე მუზეუმთან[1] ერთად აერთიანებს ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა მუზეუმ-ნაკრძალს.[2]

ნოქალაქევი, ციხის ფრაგმენტი

1 მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სტეფანწმინდის ისტორიული მუზე;

2 პეტრა-ციხის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ -ნაკრძალი, ექვთიმე თაყაიშვილის სახ. გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, პარმენ ზაქარაიას სახ. ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი.

ციხე-სიმაგრის შიდა ეზოს ხედი

მზეუმ-ნაკრძალები კულტურული მემკვიდ-რეობის სფეროს ცალკე ჯგუფს ქმნიან. ისინი საკუთარ თავში აერთიანებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების მრავალფეროვან სპექტრს: არქეოლოგიური ძეგლები, არქიტექტურული ძეგლები და კომპლექსები (საკულტო, საერო, საფორტი-ფიკაციო), მუზეუმები, მათში დაცული ასეულ-ათასობით ექსპონატით და ა.შ.

ზემოჩამოთვლილ კომპონენტებს მოიცავს თითქმის ყველა მუზეუმ-ნაკრძალი. შესაბამი-სად, მათი დაცვისა და მართვის საკითხები კომპლექსურ და ინტეგრირებულ გააზრებას საჭიროებენ. აღნიშნული მიდგომის უმთავ-რესი მიზანი მუზეუმ-ნაკრძალის განვითარებაა. მუზეუმ-ნაკრძალების ფუნქცია მათს დაქვემ-დებარებაში არსებული კულტურული მემკ-ვიდრეობის საიტების დაცვა, შესწავლა, პრე-ზენტირება, პოპულარიზაცია, საგანმანათ-ლებლო პროგრამების შემუშავება და ახალ-გაზრდა თაობის დაინტერესებაა. მათი პასუ-ხისმგებლობა, ასევე, ვრცელდება მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო არეალში არსებული ძეგლების მონიტორინგზე, მდგომარეობის შეფასებასა და დოკუმენტირებაზე. აქედან გამომდინარე, მუზეუმ-ნაკრძალები მათი სა-მოქმედო არეალებით, ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს მოიცავენ.

ამდენად, ეს არ არის კლასიკური გაგებით ტი-პური მუზეუმი ან კლასიკური გაგებით ძეგლ-თა კომპლექსი. მუზეუმ-ნაკრძალები კომპლექ-სური საიტებია. შესაბამისად, მათი მართვა დაცვის ღონისძიებათა თანამიმდევრულ, უწ-ყვეტ პროცესს უნდა მოიცავდეს, როგორიცაა ტიპოლოგიურად განსხვავებული ძეგლების (უძრავი, მოძრავი) დაცვა-კონსერვაცია, მათი ექსპონირება-პრეზენტირება, მონიტორინგი, ატრიბუცია-დოკუმენტირება, საგანმანათ-ლებლო პროგრამების შემუშავება, ინფრასტ-რუქტურის შექმნა, პოპულარიზაცია. ამიტომ მუზეუმ–ნაკრძალების მართვის თანამედ-როვე სისტემის ჩამოყალიბება, მათი გამარ-თული ფუნქციონირების გრძელვადიანი პერსპექტივით, აქტუალურ საკითხად რჩება.

2009 წლის 3 ივლისს საქართველოს კულტუ-რული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ საა-გენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდ-რეობის დირექტორატს – რიკსანტეკვარენს – შორის გაფორმებული ხელშეკრულების სა-ფუძველზე განისაზღვრა თანამშრომლობის რამდენიმე მიმართულება, რომელთა შორის უმთავრესი – ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძა-ლის მართვის გეგმის შემუშავება იყო. იგი საპროგრამო უნდა გახდეს საქართველოში არსებული სხვა მუზეუმ-ნაკრძალებისა თუ კომპლექსებისათვის.

2009 წლის ოქტომბერში შედგა ნორვეგიელი ექსპერტების: ანნა-სოფია ჰიგენის (დოქტო-რი, დელეგაციის ხელმძღვანელი, ოსთფოლდის

მხარის კულტურული მემკვიდრეობის საკონსულოს ხელმძღვანელი), კნუტ ჰელსკოგის (დოქტორი, ტრომსოს მუზეუმისა და უნივერსიტეტის პროფესორი), კარინ ტანსემის (ალტას მუზეუმის კურატორი), პირველი მისია ნოქალაქევში, რომლის მიზანი იყო ნოქალაქევისათვის მენეჯმენტის გეგმის მოდელის შემუშავება და სამომავლო პროექტების განსაზღვრა.

სამზღუდე ქონგურებით

რატომ ნოქალაქევის არქიტექტურულ–არქეოლოგიური მუზეუმ–ნაკრძალი?

ანტიკური ხანისა და ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ძველ ქალაქებს (ნაქალაქარებს) შორის ნოქალაქევი ერთადერთია, სადაც ქალაქის დაგეგმარების, კომპოზიციური გადაწყვეტის სრული სურათია შენარჩუნებული, აღნიშნული ეპოქის ქალაქისათვის დამახასიათებელი გალავნებით, სასახლეებით, ეკლესიებით, გვირაბებით, აბანოებითა და ა.შ.

სენაკის რაიონში, სოფელ ნოქალაქევში მდებარე ნაქალაქარი – ნოქალაქევი-არქეოპოლისი – თავისი მასშტაბიდან და საქალაქო ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, უანალოგოა იმ დროის კავკასიაში. ნოქალაქევის ნაქალაქარი, რომელიც 20 ჰა. რთულ რელიეფზეა გაშენებული, IV –VIII საუკუნეების ეგრისის (დასავლეთ საქართველო) სამეფოს დედაქალაქი იყო.

ქალაქი მრავლგზისაა გადამწვარი და დანგრეული. შესაბამისად, მოღწეულია ნაგებობათა მხოლოდ ნაწილი[3]. მიუხედავად ამისა, ნაქალაქარის სტრუქტურა მკაფიოდ იკითხება. იგი სამი ნაწილისაგან შედგებოდა: მთავარი – ქალაქის ქვედა ნაწილი (აქ ცხოვრობდნენ მეფე–დიდებულები, სამღვდელო პირები და ა.შ.), მონაკვეთი ფერდობზე – სავარაუდოდ, გარნიზონისათვის და მესამე ნაწილი – მაღალი მთის პლატოზე მოთავსებული შიდაციხე, ციტადელი, აკროპოლისი.

აქ თვალწინ იშლება ეგრისის მეფეთა IV-V-VI საუკუნეებში აგებული ორ და სამსართულიან სასახლეთა და უძველეს ბაზილიკათა (ორი დარბაზული, ორი სამნავიანი – IV-VI საუკუნეები) ნაშთები VI საუკუნის ორმოცმოწამეთას ეკლესიის გვერდით, რომელშიც XVI-XVII საუკუნეთა კედლის მოხატულობასთან ერთად, მშენებლობის თანადროული ანიკონური მხატვრობაცაა შემორჩენილი.

3
1. პირველი სასახლე, IV ს. (სამხრეთით, კოშკის სიახლოვეს);.
2. ეგრისის მეფეთა მეორე სასახლე, V ს. (ორსართულიანი ნაგებობა, შემორჩენილია საძირკვლის დონეზე);
3. ეგრისის მეფეთა სასახლე, VI ს. დასაწყისი (სამსართულიანი ნაგებობა, შემორჩენილია ნანგრევების სახით);
4. ბაზილიკა, IV ს. (შემორჩენილია აფსიდი, მიწის დონიდან 50 სმ. სიმაღლეზე);
5. სამნავიანი ბაზილიკა, V ს. შუა ხანები (შემორჩენილია მიწის დონიდან 0,5-1 მ. სიმაღლეზე);
6. ორმოცმოწამეთა ეკლესია, VI ს.;
7. დარბაზული ეკლესია, VI ს. (შემორჩენილია საძირკვლის დონეზე);
8. დარბაზული ეკლესია, VI ს. ნაქალაქარის ქვედა ტერასის ჩრდ. მონაკვეთი (შემორჩენილია საძირკვლის დონეზე);
9. მეფეთა უბნის ჭიშკრის კოშკი (თავდაპირველად ორსართულიანი. შემორჩენილია კოშკის პირველი სართული თაღოვანი ჭიშკრით);
10. სამეფო აბანო, გვიანანტიკური ხანის რომაული ტიპის აბანო;
11. სამოქალაქო აბანო, გვიანანტიკური ხანის რომაული ტიპის აბანო (შემორჩენილია დაზიანებული და ფრაგმენტული სახით);
12. წყალსაცავი, IV-VI სს., ნაქალაქარის ქვედა ტერასა;
13. ქალაქის სათავდაცვო კედლები კოშკებით (შემორჩენილია განსხვავებული სიმაღლით);
14. კარიბჭე (აღმოსავლეთის მხრიდან გალავანში);
15. კლდეში გაჭრილი გვირაბი (მდინარე ტეხურაზე), ქალაქის დასავლეთ კიდეზე;
16. შიდაციხე – ციტადელი კოშკებით;
17. დარბაზული ეკლესია ციტადელის ცენტრში, V-VI სს. (რესტავრირებულია);
18. ოდა-სახლი, XIX ს. დასავლეთ საქართველოსთვის ტიპური ხის საცხოვრებელი სახლი;
19. მუზეუმი.

ორმოცმოწამეთა ეკლესია, დასავლეთის ფასადი. მე-6 საუკუნის ბაზილიკის ნაშთები

ნოქალაქევის კომპლექსში არსებული რომაული ტიპის გვიანანტიკური ხანის სამეფო და სამოქალაქო აბანოები დღესაც ნათლად მეტყველებენ ქალაქის ყოფითი კულტურის მაღალ დონეზე. ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე მოწყობილი IV-VI საუკუნეების წყალსაცავით, დასავლეთ კიდეზე, მდინარისკენ მიმავალი, კლდეში გაჭრილი გვირაბით, რომელიც წყლის ფარულად ამოტანის შესაძლებლობას ქმნიდა. საინჟინრო ნაგებობის ეს გამორჩეული ნიმუში კამაროვანი გადახურვითა და ფართო კიბეებით დღემდე სრულადაა შემორჩენილი.

ქალაქს გარს აკრავს სათავდაცვო კედლები, 70 მეტრის ინტერვალით განლაგებული კოშკებით. გალავნის უძველესი ფენა III-IV საუკუნეებს განეკუთვნება, სამხრეთით და აღმოსავლეთით პარალელურად მიმავალი სამი სათავდაცვო კედლით, კოშკებიანი ციტადელითა და ჭიშკრებით.

1979 წლიდან ნოქალაქევის კომპლექსი არქიტექტურულ–არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალია. ათწლეულების განმავლობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალა, რომელიც იქვე არსებულ მუზეუმშია დაცული, ნათელ წარმოდგენას ქმნის საქართველოს ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის წარსულზე.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი კულტურული მემკვიდრეობის ტიპოლოგიურად მრავალფეროვანი ნიმუშების გარდა, ყველა იმ ნიშანს ატარებს, რომელიც მეტ-ნაკლებად სახასიათოა საქართველოს დანარჩენი მუზეუმ–ნაკრძალებისთვის.

საიტების მართვის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მართვის გეგმები ინდივიდუალურად მუშავდება ცალკეული მუზეუმ-ნაკრძალისათვის, მაგრამ ზოგადად, მუზეუმ-ნაკრძალების პოტენციური შესაძლებლობებისა და პრობლემატიკის იდენტურობის გათვალისწინებით, ისინი რეგიონალური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენენ.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მართვის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მენეჯმენტ-გეგმის საფუძველი დროში გაწერილი ქმედებების ერთობლიობაა, რომლებიც შესაბამისი სამოქმედო გეგმების დეტალური დამუშავების საფუძველზე განხორციელდება. კერძოდ, დოკუმენტაციისა და კონსერვაციის სამოქმედო გეგმა (კომპლექსის დაცვისა და კონსერვაციის სრული დოკუმენტაცია, ძეგლების მდგომარეობის შეფასება, კონსერვაციის დოკუმენტაციაზე დაფუძნებული რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროგრამის შემუშავება), მენეჯმენტის, მონიტორინგისა და დაცვის სამოქმედო გეგმა (მწვანე საფარის მენეჯმენტი, დაცვისა და ესთეტური პრობლემა), მონიტორინგის რეჟიმის დამყარება (ვიზიტორების ქცევის, ძეგლთა ნანგრევების, მწვანე საფარის კონტროლი და სხვ.). განათლების, ტურიზმის და პრეზენტირების სამოქმედო გეგმა (ვიზიტორთა ბილიკების –

მარშრუტების განსაზღვრა, ხის ტრადიციული ოდა-სახლის რეაბილიტაცია და მისი ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრად გადაქცევა, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ადგილობრივი პროდუქციის შექმნა-რეალიზაციის ხელშეწყობა, ნოქალაქევის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული გამოცემებისა და დოკუმენტური ფილმების მომზადება).

ნოქალაქევის კომპლექსის მენეჯმენტ-გეგმის შემუშავებასთან ერთად ქართულ-ნორვეგიული თანამშრომლობის ფარგლებში ეწყობა საიტის პრეზენტირების ვორქშოფი, რომელიც ნოქალაქევის მაგალითზე ძეგლის წარმოჩენის, ინტერპრეტაციისა და საიტ-პრეზენტირების გამოცდილების გაზიარებას და ამ უმნიშვნელოვანესი კომპლექსური არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსისათვის პრეზენტირების მოდელის შექმნას გულისხმობს. ასევე, დაგეგმილია ქვის კონსერვაციის ვორქშოფი, რომელსაც ნოქალაქევის მუზეუმ–ნაკრძალში მდებარე V-VI საუკუნეების სამეფო აბანოს მაგალითზე ნორვეგიელი ექსპერტები განახორციელებენ. კომპლექსში შემავალი ძეგლები ადგილობრივი ქვითა და კირხსნარითაა ნაგები. მათი კონსერვაცია XX საუკუნის 80-იან წლებში ცემენტის გამოყენებით გაკეთდა (უმთავრესად, ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე), რაც ვიზუალური მხარის გარდა, მათი დაზიანების მასტიმულირებელ ფაქტორად იქცა, ამიტომ ვორქშოფის იდეა კირხსნარით კონსერვაციისაკენ მიბრუნებაა.

მუზეუმ–ნაკრძალის განუყოფელი ნაწილია მუზეუმი, სადაც დაცულია ნოქალაქევის ტერიტორიაზე გამოვლენილი უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა (3 330 ექსპონატი). ექსპონატების ქრონოლგია ძვ.წ. II ათასწლეულიდან ახ.წ. XVIII საუკუნემდე პერიოდს მოიცავს (1973 წლიდან არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ათასობით არტეფაქტი დაცულია ნოქალაქევის მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში). 1988 წელს გახსნილი ექსპოზიცია დღემდე ფუნქციონირებს, ამიტომ ნოქალაქევის საიტის მართვის გეგმის ნაწილად იაზრება მუზეუმის რეკონსტრუქცია და რეექსპოზიცია, შენობის გაფართოებითა და ახალი სივრცეების დამატებით. გასათვალისწინებელია, რომ ნოქალაქევის მუზეუმი ვრცელი კომპლექსის ნაწილია, ამიტომ მისი კავშირი საიტის უძრავ ძეგლებთან ორგანული უნდა იყოს.

ნოქალაქევის მუზეუმ–ნაკრძალის მართვისა და განვითარების გეგმა, რომელზეც მუშაობა, ნორვეგიელ ექსპერტებთან ერთად, 2011 წელს დასრულდება, პირველი პრეცენდენტი იქნება კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური საიტებისათვის საქართველოში[4]. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით 2009–2010 წლებში, სხვადასხვა მუზეუმ-ნაკრძალებში, განხორციელდა რიგი პროექტები, რომლებიც მართვის გეგმის ცალკეულ კომპონენტებს შეადგენენ. კერძოდ, მომზადდა ინფრასტრუქტურის პროექტები უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალისათვის, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალისა და პეტრა-ციხის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალისათვის. ამჟამად მიმდინარეობს მათი განხორციელების სამუშაოები. გონიოს მუზეუმ-ნაკრძალში შეიქმნა ახალი სამუზეუმო სივრცე და პირველად მოეწყო მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციების მუდმივი ექსპოზიცია. ცალკეული პროექტები განხორციელდა დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში – საინფორმაციო სივრცისა და "საბავშვო არქეოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამის ამუშავებით. დაგეგმილია არმაზციხის არქეოლოგიური საიტის კონსერვაცია, რომელიც აშშ-ს ელჩის პროგრამის – "კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის" – ფარგლებში განხორციელდება. გამოიცა ვარძიის, მცხეთისა და უფლისციხის მუზეუმ-

მდ. ტეხურასკენ ჩამავალი გვირაბი

ნაკრძალების გზამკვლევები, მიმდინარეობს მუზეუმ-ნაკრძალებში დაცული კოლექციების რეინვენტარიზაციის პროცესი, მათი მდგომარეობის ფიქსაციითა და ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში გადატანით, რომელიც თავს მოიყრის კულტურული მემკვიდრეობის ერთიან მონაცემთა ბაზაში.

ცხადია, ყველა ეს მიმართულება მნიშვნელოვანია მუზეუმ-ნაკრძალების სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და მომავალი განვითარებისთვის, მაგრამ უმნიშვნელოვანესი, როგორც მუზეუმ–ნაკრძალის, ისე მუზეუმ–ნაკრძალების გაერთიანებული სისტემისათვის, მართვის მოქნილი და თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაა.

საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა რეალურად ფლობს იმ რესურსს, რომლის შესაბამისი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მასტიმულირებელი და მნიშვნელოვნად ხელშემწყობი ფაქტორი გახდება. ■

4 ნოქალაქევის არქიტექტურულ–არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მართვის გეგმის მოსამზადებლად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროს სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებით დაკომპლექტდა.

THE SUMMARY

THE MODEL FOR CULTURAL HERITAGE SITE MANAGEMENT
NOKALAKEVI MUSEUM –RESERVE MANAGEMENT PLAN

IRMA DOLIDZE

Museum-reserves constitute special group of cultural heritage usually including archeological sites, architectural monuments, religious, secular and defensive complexes and museums with both stored and exhibited thousands of artifacts. Preservation, research, presentation, as well as attraction of the new generation, are the main functions of the museum-reserves.

Each of the museum-reserve is also responsible for monitoring, assessment of the state of conservation and registration of monuments within the area of their responsibility. In the long run, museum-reserves cover the most part of the country. Therefore, development of flexible system of their management is one of the crucial tasks of the moment.

Since 2009, National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia in the framework of Norwegian-Georgian Collaboration has initiated the project for elaboration of the comprehensive management plan of Nokalakevi Architectural-Archaeological Museum- Reserve. The proposed plan strives for promotion, conservation and development of unique cultural heritage located within the site. It also aims at enhancement of management mechanisms, facilitation of tourism and establishment of an up-to-date informational/educational network. Finally, the Plan will serve as a model for creating of the management plans for other museum-reserves and complexes located in Georgia.

According to the general principles of site management, the Management Plans to be elaborated separately for each of the museum-reserves are perceived to become easily compatible integral parts and key instruments for any regional development initiative.

Nokalakevi Museum-Reserve Management Plan being focused on improvement of the site management system is a document where each of the planned action is arranged in time-space order. It contains sections as follows: Documentation and Conservation Action Plan (documentation of state of conservation and maintenance of the site, assessment of monuments safety (fell out stones and other threats), on the bases of conservation documentation that include elaborated conservation and rehabilitation programs); Management, Monitoring and Maintenance Action Plan (vegetation management (vegetation as a preservation and an aesthetic concern), that envisages creation of the monitoring regime (including observation over the visitors' behavior, control of ruined walls, vegetation, etc.); and Presentation, Education, Information and Tourism Action Plan (definition of on-site visitor's routs/walkways, rehabilitation of traditional wooden house and development as a visitors' information centre, development of educational programs, support for souvenir and other traditional product manufacture for sale, and of publication of scientific-popular literature and production of documentary and short films on Nokalakevi).

The museum is the integral part of the museum-reserve. Rich collection of artifacts (about 3 330 pieces) discovered during archaeological excavations in Nokalakevi is preserved here. Chronologically the collection covers the period from the Second Millennium BC till the eighteenth century AD (Many of the artifacts discovered here since1973 when the archaeological excavations were renewed are preserved in Nokalakevi museum and Georgian National Museum). Exhibition opened here in 1988 is still displayed. Therefore, reconstruction of the museum and creation of the new exhibition there is one of the essential parts of the proposed Management Plan.

Nokalakevi Management Plan that is to be completed in 2011 will hopefully become an widely recognized persuasive document for the management of cultural heritage sites in Georgia. ■

ოშკის ტაძარი
მოსაზრებები გეგმარებითი კონცეფციის შესახებ

ივანე გრემელაშვილი

ჯერ კიდევ ბაგრატის ტაძრის მეცნიერული დაცვის კონცეფ - ციაზე მუშაობისას, დავიწყეთ იმ ტრადიციებისა და მეთოდების კვლევა, რომელიც გამოიყენებოდა თანადროული, მსგავსი ტიპის ტაძრების პროექტირება-მშენებლობისას.

2003-2009 წლებში ბაგრატის, იშხნის, ხახულისა და ოშკის ტაძრების საარქივო მასალებზე მუშაობამ და საველე ექსპედიციებმა საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ამ ძეგლებზე გამოყენებული საზომი ერთეულები და პროპორციული სქემები.

2010 წლის გაზაფხულზე, ოშკის ტაძარზე შესრულებული ლაზერული სკანირება დაგვეხმარა, სანტიმეტრის სიზუსტით გვემსჯელა ნაგებობის პარამეტრებზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პროპორციული და მეტროლოგიური კვლევის დროს.[1]

მიღებული ანაზომების ანალიზმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა წინა წლებში ჩატარებული კვლევების სისწორეში – ხახულის, იშხანისა და ოშკის შესწავლამ განაპირობა ბაგრატის ტაძრის ძირითადი სტრუქტურული სქემების დადგენა.

ოშკი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

განსაკუთრებული ყურადღება იმთავითვე ოშკის ტაძარს დავუთმეთ, ბაგრატის ტაძართან მისი აგების თარიღისა და მხატვრულ-სტილისტური სიახლოვის გამო.

ოშკის მეტროლოგიურმა კვლევამ, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ აქ გამოყენებულია საზომი ერთეული – მოდული, სიდიდით – 0,27მ. ნაგებობის გეგმაზე მკაფიოდ იკითხება საზომი ერთეულის ათობითი სისტემით გამოყენება: გეგმაში გრძივი ღერძი 150 ერთეულს ანუ 40,5 მეტრს, განივი კი 100 მოდულურ ერთეულს – 27,0 მეტრს უდრის; 8,10 მეტრს ანუ 30 ერთეულს უდრის დასავლეთი მკლავის და გუმბათის ყელის თაროკარნიზის სიგანე ინტერიერში; დასავლეთი მკლავის პილასტრების სიგანე 0,54მ – 2 ერთეულის ტოლია; საფეხურის სიგანე 0,27 მ – 1 ერთეულისა, ხოლო კედლის სისქე 1,08 მ ტოლია და 4 მოდულურ ერთეულს უდრის. ეს საზომი ერთეულია გამოყენებული რუსი მეცნიერის ბ. რიბაკოვის მიერ შესწავლილი კიევ-პეჩერის მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გეგმარებისას[2]

1 ექსპედიცია მოეწყო საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; სამუშაოების შემსრულებლები: შპს "რესტავრატორები & კომპანია", გენ. დირექტორი ი. გრემელაშვილი /პროექტის ხელმძღვანელი/, ასოციაცია "ინჟინრული აზრი", პრეზიდენტი მ. ლეკვეიშვილი

2 В. А. Рыбаков – Русские системы мер длины XI –XV в.в. стр.79 - 81. "Наибольший интерес представляет сказание Киево-Печерского патерика о постройке в 1073 г. Знаменитой Великой лаврской Успенской церкви. Церковь строилась цареградскими греками, но место и даже основная мера были указаны князем Святославом Ярославичем, выбравшим в качестве меры золотой пояс, украденный. Согласно легенде варягом Шимонов с одного распятия. Размеры будущей церкви были определены так: «Размерив поясом тем златым 20 локтей в ширину, и 30 в длину, а 30 в высоту".
Ширина = 20 локтям = 21м • Длина = 30 локтям = 33 м • 50 локтям = 54 м • Отсюда 1 локоть = 108 см
В дальнейшем, во избежание путаницы, я буду условно называть эту меру в 108 см "Печерским поясом".

ოშკის ეკლესიამ თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე, მკაფიოდ იკითხება ნაგებობის გეგმარებითი სტრუქტურა, არქიტექტურული ფორმების მკაფიო მოხაზულობა, თუმცა კითხვებს ბადებს ნაგებობის ცალკეული კვანძების გეომეტრიული უზუსტობა და ურთიერთშეუთავსებლობა – ჩვენ ეს მშენებლობის თანმხლებ დარღვევად მივიჩნიეთ, ამიტომ ამოცანად დავისახეთ, აღგვედგინა პროექტის თავდაპირველი ვერსია.

ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის ტრადიციების და არქიტექტურული ლოგიკის საფუძველზე დაყრდნობით, ვფიქრობთ იკვეთება შემდეგი:

1. ტაძრების გეგმარებისას ძირითადი აქცენტი გუმბათქვეშა კვადრატზე კეთდება, როგორც ნაგებობის განმსაზღვრელ ბირთვზე. პირველ მონახაზს კი დასავლეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთგადამკვეთი ღერძები წარმოადგენენ. ტაძრის ინტერიერის განივი და გრძივი ღერძების სიდიდეების შეფარდება ტოლია 2:3, რაც ამ დროის ნაგებობათა გეგმარებისთვის ძალზე გავრცელებულ პროპორციას წარმოადგენდა, მაგალითად: ხახული, ალავერდი, მოგვიანებით გელათი და ასე შემდეგ.

შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ოშკის გეგმაზე ურთიერთგადამკვეთი ღერძები არ დაემთხვა ათობითი ათვლის კოორდინატებს(სურ. 1).



1

2. ამან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აქ 0,27 მეტრიანი საზომი ერთეულის – M-ის პარალელურად სხვა საზომი ერთეულიც გამოიყენებოდა. ეს ერთეული, დიქოტომიურად დაყოფილი იმავე ზომის 2,70 მ ხელსაწყოს ნაირსახეობა, 1/16-0,16875 მეტრიანი სიდიდის აღმოჩნდა (შემდგომში ამ საზომ ერთეულებს – 0,27მ-ს M-ით, ხოლო 0,16875 მ-ს – m-ით აღვნიშნავთ) (სურ. 2.).

ამ ორი საზომი ხელსაწყოს დანაყოფების შეფარდება 16:10 წარმოადგენს, რაც "ოქროს კვეთასთან" მიახლოებული პროპორციაა. შემდგომა კვლევამ ნათელი მოჰფინა ოსტა-



3

ოშკი, სამხრეთ-დასავლეთის კარიბჭე

ტის მიერ ამ ხერხის გამოყენების მიზანს – ტაძრის სივრცეთა განაწილების ერთ-ერთ ძირითად პროპორციად ის 5:3 ირჩევს და კორდინატთა ცენტრსაც ამ პრინციპით მონიშნავს. აქვეა მონიშნული გუმბათქვეშა კვადრატის პარამეტრები, რომელიც გრძივი ღერძის მეოთხედს 60მ-ს უდრის(სურ. 3).

3. კოორდინატთა ცენტრიდან, განივ და გრძივ ღერძებზე, ათი დიქოტომიური მონაკვეთის მ-ის სიდიდით მოინიშნება სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფსიდები. მთლიან სამხრეთ-ჩრდილოეთ ღერძთან შედარებით ეს 8:5 პროპორციულ თანაფარდობას წარმოადგენს, ხოლო აფსიდებს შორის მანძილის შეფარდება გუმბათქვეშა კვადრატის სიდიდესთან 5:3 პროპორციული თანაფარდობის ტოლია. ასეთივე შეფარდებაა დასავლეთის მკლავის სიღრმესა და სიგანეს შორის. ყველა შემთხვევაში, საქმე გვაქვს „ოქროს კვეთასთან“ მიახლოებულ პროპორციულ სიდიდესთან(სურ. 4).



4

ამ შეფარდებებს დღეს, „ფიბონაჩის რიგის“ სიდიდეებად მოიხსენიებენ. ჩვენ განგებ არ ვხმარობთ ამ ტერმინს, ვინაიდან ეს აღმოჩენა ოშკის აგებიდან, თითქმის 130 წლის შემდეგ – 1202 წელს ფიქსირდება.

4. ხუროთმოძღვარი თორმეტსარკმლიანი გუმბათის ყელის სარკმლებზე გამავალ სხივებზე კრავს ტაძრის გეგმის კომპოზიციას და დაკვალვის კოორდინატებიც მყარ ათობით ათვლას ექვემდებარება. სამხრეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მკლავების დაწყვილებულ პასტოფორიუმებს შორის მანძილი დიქოტომიური დაყოფის მ-ის 80 ერთეულს უდრის, რაც აგრეთვე ათობითი ათვლის 50-ის ტოლია(სურ. 5).



2



5. ოშკის ტაძრის ინტერიერისა და ექსტერიერის მასები სრული ჰარმონიითაა გააზრებული – განივი ღერძის, უფრო სწორად, ამ წრეში ჩახაზული კვადრატის გვერდების ტოლია ტაძრის გარე მასები – მისი მკლავის სიგანეები. გუმბათქვეშა საბჯენ თაღებს შორის მანძილის ანუ გუმბათის თარო-კარნიზის დიამეტრის ტოლია სამკუთხა ნიშებს შორის მანძილი. ის ათობითი დაყოფის M-ის 30 ერთეულს უდრის(სურ. 6).



6. ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ დაუკავშირა ოსტატმა ინტერიერის და ფასადის ძირითადი კომპონენტები, აქვე გაგაცნობთ მკლავების ზედა რეგისტრების თარაზული ზომების წარმოშობის საკითხს. მკლავის პარამეტრები საბჯენ თაღებთანაა დაკავშირებული და ათობითი დაყოფის M-ის 40 ერთეულს უდრის(სურ. 7).



4, 5, 6 პარაგრაფებიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ წინასწარ გააზრებული კონცეპტუალური სქემა ანუ საზომ ერთეულთა M და m შეფარდება საშუალებას აძლევს ხუროთმოძღვარს დიქოტომიურ ბადეზე ააგოს ტაძრის ძირითადი მასები დამრგვალებული ათობითი თვლის M პარამეტრებით.

7. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განივი ღერძის წრეში ჩახაზული კვადრატის მიხედვით, ტაძრის მკლავების სიგანეებია მონიშნული და იგი განივი ღერძის 100M-ის ტოლია. ფასადის აგების დროს ოსტატი ინარჩუნებს ამ პროპორციებს, აღმოსავლეთის მკლავის პარამეტრებს ზემოხსენებული კვადრატის ფარგლებში აქცევს – სიგანის ტოლია სიმაღლეც. იმავე კვადრატის დიაგონალის მეშვეობით მონიშნავს გუმბათის ყელის სიმაღლეს, რომელიც ტაძრის ინტერიერის განივი ღერძის ტოლია და ასევე უდრის ათობითი დაყოფის M-ის 100 ერთეულს. აქაც ნაცადი, ჯერ კიდევ ძველ ბერძენთათვის ცნობილი, არქიტექტურული ხერხი, დახვეწილი პროპორციული შეფარდებაა გამოყენებული – ეს გახლავთ კვადრატის გვერდის შეფარდება დიაგონალთან – 1:√2. [3] საგულისხმო აქცენტია გაკეთებული აღმოსავლეთი მკლავის აღმოსავლეთ ფასადზე. ზემოხსენებული კვადრატის ცენტრზე გავლებულ თარაზულ ხაზზეა მონიშნული სამკუთხა ნიშის თაღის ქუსლები(სურ. 8).

8



ტაძრის ძირითადი კორპუსის და გუმბათის ყელის ურთიერთპროპორციულობის სამკუთხედები დეკაგონის შემადგენელ სხივებს წარმოადგენს. ამ სხივებით მონიშნული მკლავის

3 Д. Кембридж – Динамическая симметрия в архитектуре; издательство всесоюзной академии архитектуры; Москва 1936г., стр. 30.

ზედა რეგისტრის სიგანე და მისი კალთები ასევე ემთხვევა დეკაგონის გეომეტრიულ მონახაზს. აქვე დავძენთ, რომ დეკაგონის გამოყენების უტყუარ საბუთს წარმოადგენს აღმოსავლეთი მკლავის აღმოსავლეთი ფასადის ზედა და ქვედა რეგისტრების კალთების დახ - რა – იგი ზუსტად 36 გრადუსის ტოლია, ხოლო ფრონტონის კუთხის გაშლა 108 გრადუსს უდ- რის (სურ. 8-9).

ძალზე საინტერესო დეტალი ახლავს დასავ- ლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის ფასადებს, მათი ცენტრალური სარკმლების თაღები ძი- რითადი კორპუსის ფასადებს 3:5 შეფარდე- ბით ყოფს.


9

8. აქვე წარმოგიდგენთ დეკაგონის ერთ თვი- სებათაგანს და მისი გამოყენების მაგალითებს ტაძრის ცალკეული ფრაგმენტების გეგმარე- ბისას.

როგორც ცნობილია, დეკაგონის რადიუსის შეფარდება მის წახნაგთან "ოქროს კვეთის" შეფარდებას წარმოადგენს KA/AC=1.618, ასე- თივე თანაფარდობისაა AE/AD (სურ. 10).

10


ფასადის აგების დროსაც ხუროთმოძღვარი მკლავის ზედა რეგისტრის კალთის შეფარდე- ბას მის სიგანესთან "ოქროს კვეთის" პრინ- ციპით აგებს(სურ. 11).


11


12

დეკაგონის კოორდინატთა ბადეზეა აგებული მკლავის ზედა რეგისტრის კარნიზიც(სურ 12).

9. ბოლოს წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ აღდგე- ნილი ოშკის ტაძრის გეგმისა და ლაზერული ანაზომის შეთავსებას, რაც ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, ჩვენს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ტაძარი წინასწარი კონ- ცეპტუალური გადაწყვეტის საფუძველზე, მოდულურ კოორდინატთა ზუსტ ბადეზეა დაგეგმარებული, მშენებლობა კი მის ზო- გიერთ მონაკვეთში მცირეოდენი ცდომილე- ბითაა წარმოებული, რაც ამ გენიალური ქმნი- ლების შემოქმედებითი პროცესის მაჯისცე- მას გვაგრძნობინებს(სურ. 13).


13

დასკვნა – ხუროთმოძღვრული ხელოვნების სათავეებიდან ოსტატები განუწყვეტლივ ეძებ- დნენ აღქმისთვის შთამბეჭდავ ფორმებს – ორ- განიზებულ, მოწესრიგებულ სტრუქტურებს. ძველი ოსტატები დარწმუნდნენ, რომ მხო- ლოდ შემოქმედებითი ინტუიციით ვერ შექმნი- დნენ ჭეშმარიტად სრულყოფილ ნაწარმოე- ბებს, გაჩნდა პროპორციების მათემატიკური, გეომეტრიული, ფილოსოფიური კონცეფციები – ფორმებსა და პროპორციებს თვით ადამიანის აგებულებაში ეძებდნენ... აქედან გამომდი- ნარე საზომი ერთეულებიც სხვადასხვა ეპო- ქასა თუ ხალხში სხვადასხვა სიდიდის, მაგრამ ანთროპომეტრიული წარმოშობისა იყო. პრო- პორციულ სისტემებსა და რიცხვებს, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე "ღვთაებრივს" უწოდებდნენ, მაგიურ მნიშვნელობას ანი- ჭებდნენ. ეს კანონები და რიცხვები ბუნებაში არსებულ პროპორციებს ასახავდნენ.

შემდგომში მეცნიერთა და ხუროთმოძღვართა მრავალი ნაშრომი მიეძღვნა თვით სამყაროში არსებულ პროპორციულ კანონზომიერებათა სისტემების კვლევას. გამოყენებული სქემე- ბის განმარტებისთვის, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება ერთი აბზაცის მოხმობა ანტიკური ხანის რომაელი არქიტექტორისა და თეორე- ტიკოსის ვიტრუვიუსის ნაშრომიდან – "ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ" – სადაც ის ნაგებობის შიდა სივრცეზე საუბრობს.[4]

ოშკის შემოქმედი უთუოდ იცნობდა იმ დროის- თვის ხუროთმოძღვრებაში დაუნჯებულ ფუნ- დამენტურ პრინციპებს, საინჟინრო და სამ- შენებლო მიღწევებს და გეგმარების გრაფი- კულ ხერხებს.

წარმოდგენილი მასალა მხოლოდ დასაწყისია კვლევისა, რაც ვფიქრობთ, შემდგომში უკეთ გაგვაცნობს ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღ - ვრული სკოლის ესთეტიკას, იდეათა ხორცშეს- ხმის თეორიულ და ტექნიკურ არსენალს. ■



ბიბლიოგრაფია:

1 ეზეკიელის წიგნი ძველი ქართული ვერსიები – გამომცემლობა "მეცნიერება" თბილისი 1976წ.
2 პროკოპი კესარიელი – შენობათა შესახებ – საქ. მეცნიერებათა აკადემია – თბილისი 2006წ.
3 დიმიტრი თუმანიშვილი – "სიმბოლურობა შუა საუკუნეების ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში" – წერილები, ნარკვევები – გამომცემლობა "წმინდა ნინო" – თბილისი 2001წ.
4 ვახტანგ ჯობაძე – ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში – თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა 2006 წ.
5 Вахтанг Беридзе – Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры – издательство "Мецниереба" Тбилиси 1981г.
6 Марк Витрувий Поллион – Об архитектуре – десять книг – социально-экономическое издательство Ленинград 1936г.
7 Д. Хембидж – Динамическая симметрия в архитектуре – издательство всесоюзной академии архитектуры – Москва 1936г.
8 Э. Мёссель – Пропорции в Античности и в Средние века – издательство всесоюзной академии архитектуры – Москва 1936г.
9 Генри Дж. Коуэн – Мастера строительного искусства – стройиздат – Москва 1982г.
10 Киево-печерский патерик
11 Н. Брунов – Пропорции античной и средневековой архитектуры – издательство всесоюзной академии архитектуры – Москва 1935г.
12 Б. А. Рыбаков – Русские системы мер длины XI-XV вв.
13 П. А. Раппопорт – "ЗАКЛАДКА И РАЗБИВКА ЗДАНИЯ" "золотое сечение" – Строительное производство Древней Руси (X-XIII вв.) – Наука, СПБ, 1994г.

4 Марк Витрувий Поллион – Об архитектуре – десять книг 1936г. Ст.161;
"Что касается собственно атриумов, в тесном смысле слова, то их соотношения в ширину и в длину принимают троякие формы: пропорция первого рода состоит в том, что ширине отдается три пятых делений длины. При втором роде пропорций ширине предоставляется две трети длины. Третий род пропорций получается следующим образом: ширина превращается в стороны квадрата, диагональ которого определяет длину атриума".

THE SUMMARY

OSHKI CATHEDRAL

IVANE GREMELASHVILI

From the very first stages of development of architecture into the separate branch of art and knowledge all artists had constantly been striving for creation of the organized and arranged in order structures – the most impressive and original forms of perception.

Even all ancient masters came across the understanding that only creative intuition hardly was enough for creation of perfect samples and masterpieces of art. Several mathematical, geometric and philosophic concepts of proportions and ratio were composed; Human body was considered as the original source for all perfect forms and stainless proportions and that's why all units of measure no matter how different for each epoch and in each nation, had one common feature – all they were of anthropometric origins. All systems of proportion and all numbers were attributed to the divine spheres and were considered as bearers of magic meanings reflecting natural and comic order and proportions.

Many original works of scholars, scientists and architects have been devoted to the researches of appropriateness within the systems of proportions existing in the world and in the universe. For understanding of the utilized schemes please let me refer to one paragraph of the famous work "Ten Books on Architecture" of the Ancient Roman architect Marcus Vitruvius Pollio: "Regarding the atriums in the narrower sense of the word, their width and length ratio may be arranger in threefold shape, the first of which is the proportion when the width is three-fifths of its length; the second possible proportion is when the width is two-thirds of the length. The third possible ratio is attained when the width collides with the sides of square the diagonal line of which corresponds with the atrium length."

The architect of Oshki cathedral was for sure well aware of all fundamental principles known in architecture coupled with all long-trusted and newest achievements in engineering and construction art and by all means was highly skillful in all means of drawing graphical sketches and layouts.

The proposed material is only the outset of the in-depth research the ultimate findings of which will be highly helpful in understanding of aesthetics dominant in Tao-Klarjeti architectural tradition and of technical means utilized there for implementation of theoretical knowledge accumulated in this particular Architectural School. ■

წარმატებულ რესტავრატორთა
დაჯილდოება

2009 წლის 28 დეკემბერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ძეგლთა რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით გაწეული ღვაწლისათვის რესტავრატორები **მალაქია დვალი, გურამ ჭეიშვილი, ჯემალ ცუხიშვილი, გოგოთურ მისრიაშვილი** და კონსტრუქტორი **გიორგი გორდელაძე** დააჯილდოვა. თითოეულ მათგანს საპატიო სიგელი და ფულადი პრემია გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახლადგახსნილ საგამოფენო სივრცეში გაიმართა. ღონისძიება, გარდა დაჯილდოებისა, რესტავრაცია-რეაბილიტაციის სფეროში ბოლო წლებში გაწეული სამუშაოების ერთგვარი ანგარიშიც გახლდათ. ■

THE SUMMARY

REWARDING OF THE ADVANCED RESTORERS

The 28-th of December, 2009 was a memorable day for the staff of the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia, when the Director General of the Agency, Mr. Nikoloz Vacheishvili handed awards to the distinguished personalities – matured professionals for their enormous input in the field of restoration of the monuments of cultural heritage of Georgia. Namely the restorers **Mr. Malakia Dvali, Guram Cheishvili, Jemal Khutsishvili, Gogotur Misriashvili** and the engineer-constructor **Mr. Giorgi Gordeladze** were awarded the honorary certificates and lump sum prizes.

The ceremony was held in the newly opened exhibition area of the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia. Besides the solemnity of the event it was a sort of the reporting for the activities carried out in the recent years in the field of restoration and rehabilitation on the monuments of cultural heritage. ■

სააგენტოს
ახალი გამოცემები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია წარმოადგენს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაბეჭდად მომზადდა და გამოიცა კატალოგი, "ელენე ახვლედიანი – სურათები კერძო კოლექციებიდან", გზამკვლევი – ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შესახებ, ალბომი – ძეგლთა რეაბილიტაცია საქართველოში. დაიბეჭდა წიგნი ოშკის ტაძრის შესახებ. უკანასკნელ წლებში უკვე მეორედ გამოიცა ალბომები: „პეტრე ოცხელი 1907-1937." და "თბილისის ხიბლი" (სადარბაზოები). ამ გამოცემებში ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის უახლესი შედეგები და მასალებია წარმოდგენილი.





ელენე ახვლედიანი (1901-1975)

წინამდებარე წიგნი დიდი ქართველი მხატვრის განსხვავებულ, სრულიად ახალ, კიდევ უფრო მრავალმხრივ და მრავალფეროვან მხატვრულ სამყაროს წარმოგვიდგენს. ელენე ახვლედიანზე ბევრი დაწერილა და გამოცემულა, მაგრამ "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებ - ში სულ ახლახანს შეკრებილმა ნამუშევრებმა კერძო კოლექციებში მიკვლეული, დღემდე უცნობი, შედევრები გამოავლინა. წიგნში შესული მასალა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ახალი ქართული – ტრადიციული და ამასთან ნოვატორული – ხელოვნების ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას.

გზამკვლევი ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შესახებ

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი ასპინძის რაიონის კიდურა დასავლეთ მონაკვეთს მოიცავს (ისტორიული ქვემო ჯავახეთი) და მტკვრის ულამაზესი ხეობის გასწვრივ 30 კმ-ზეა გადაჭიმული – ხერთვისის ციხიდან ოლოდას მონასტრის ჩათვლით (საქართველო-თურქეთის საზღვარი). უნიკალური და განუმეორებელი რელიეფის მქონე ხეობა განსაკუთრებულად მდიდარია სიძველეებით. ძალიან დიდია ამ მცირე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ქრონოლოგიური და თემატური დიაპაზონი: ნაქალაქარები, ნასოფლარები, ნამოსახლარები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, სტელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები, საირიგაციო და წყალგაყვანილობის სისტემები, აბანოები, ქარვასლები, კლდეში ნაკვეთი მონასტრები და საცხოვრისები. წინამდებარე გზამკვლევი საუკეთესო საჩუქარია მკითხველისათვის კულტურული მემკვიდრეობის ამ უნიკალური ნიმუშების უკეთ გაცნობის კუთხით.

ძეგლთა რეაბილიტაცია საქართველოში

წინამდებარე გამოცემა 2005-2009 წლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე განხორციელებული პროექტების ნაწილს ასახავს. ალბომში თავმოყრილია საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში რეაბილიტირებული ძეგლების რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდგომი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია რესტავრაციის პროცესიც.

ოშკი

წიგნი თურქეთის რესპუბლიკაში მდებარე ერთ-ერთ საოცრებას – ოშკის ტაძარს – ეძღვნება. სხვადასხვა ქვეყნებში ,,ქართული კვალის" აღრიცხვის, კვლევისა და კონსერვაციარესტავრაციის მიმართულებით, უკანასკნელ წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. 2008 წელს, თურქ კოლეგებთან ერთად, საქართველოსა და თურქეთში პასპორტიზაცია-ფიქსაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოხერხდა ოშკის ტაძრის კონსტრუქციული და საინჟინრო ასპექტების კვლევა. რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლის ფიზიკური გადარჩენისათვის მომზადდა იურიდიული საფუძველიც. მნიშვნელოვანია, რომ უკვე რეალური ხდება ტაო-კლარჯეთის ძეგლთა რესტავრაციის განხორციელებაც. წინამდებარე გამოცემა მკითხველს საშუალებას აძლევს სამუშაოს მიმდინარეობას მიადევნოს თვალი. წიგნი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის გადაუდებლობას, ასევე ოშკის ტაძრის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დიდ საგანძურში.

პეტრე ოცხელი (1907-1937)

პეტრე ოცხელი ქართველი ერის უდიდესი მემკვიდრეობა და თავისი მნიშვნელიბით მსოფლიო რანგის მოვლენაა. წინამდებარე ალბომი სრულად წარმოაჩენს მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აქ თავმოყრილია მისი ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნამუშევარი. წიგნს თან ერთვის შესავალი, ანოტაციები და სამეცნიერო აპარატი.

მკითხველის მოთხოვნით, ალბომი ამ უკანასკნელ წლებში უკვე მეორედ გამოდის. (პირველად კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის მიერ მხატვრის საიუბილეოდ მომზადებული გამოფენის დროს, 2007 წელს, გამოიცა).

თბილისის ხიბლი (სადარბაზოები)

გამოცემა 2006-2007 წლებში ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში ისტორიული ქალაქების – თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის – დაფარვითი ინვენტარიზაციის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადდა. გეგმაზომიერმა სააღრიცხვო და კვლევითმა სამუშაოებმა აჩვენა, თუ რა მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი ურბანული მემკვიდრეობა, რა ნაირგვარი და ღირებულია მისი მხატვრული ნიმუშები (ფასადები, ჭედურობა, მოხატული სადარბაზოები, ხის მხატვრული დამუშავება თუ სხვა). წარმოდგენილი მასალის პოპულარიზაციის მიზნით, წიგნი ამ უკანასკნელ წლენში უკვე მეორედ გამოდის (ც. კილაძე, მ. მექმარიაშვილი, თ. გერსამია, თბილისური სადარბაზოები, 2008წ).

დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გზამკვლევი

ქ. მცხეთის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მომზადდა და გამოიცა დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გზამკვლევი. გზამკვლევში გაერთიანდა მასალები (ტექსტუალური, ფოტო, გრფიკული სქემები, რეკონსტრუქციები), რომლებიც მოიცავს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებულ და მუზეუმში დაცულ წინაქრისტიანულ თუ ქრისტიანობის დროინდელი პერიოდის ძეგლებს: სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარი, არმაზციხე-ბაგინეთი, არმაზისხევის აბანო, არქეოლოგიური გათხრების შედეგდ მოპოვებული მასალები, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, სამთავროს მონასტერი და ა.შ.

გზამკვლევში მკითხველი ქ. მცხეთის ისტორიასა და მნიშვნელოვანებას ქრონოლოგიური მიმდევრობით ეცნობა – წარმართული ხანიდან ქრისტიანობამდე. გზამკვლევი უხვადაა ილუსტრირებული; თითოეულ ფოტოს თან ერთვის მცირე ანოტაციები.

ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛ-ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲘ

„უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის" გზამკლევში წარმოდგენილია ტექსტური და ვიზუალური ინფორმაცია კლდეში ნაკვეთი ანტიკური ქალაქის შესახებ. გზამკვლევი უხვადაა ილუსტრირებული უახლესი ფერადი ფოტომასალით. ამ მასალების საფუძველზე მკითხველის თვალწინ იშლება გრანდიოზული კომპლექსი – კლდეში ნაკვეთი ქუჩები, კლდოვანი, დეკორირებული დარბაზები, სხვადასვა დანიშნულების გამოქვაბულები, მოედნები, სამეურნეო სათავსები, გვირაბი, IX-X საუკუნეების ბაზილიკა, მუზეუმის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მუშაობის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ექსპონატები.

გამოცემა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც კონკრეტულად უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის, ასევე ზოგადად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

მომზადდა და გამოიცა წიგნი "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები". წიგნში საუბარია საქართველოს ისტორიულ

ძეგლებზე და იგი მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვისაა გამიზნული. თბილისში, ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭასა და სამეგრელოში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ მკითხველი არაერთ უახლეს და დღემდე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ინფორმაციას გაეცნობა. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული ბოლო დროს გადაღებული ფერადი ფოტოებით. ■

THE SUMMARY

AGENCY PUBLICATIONS

Promotion of cultural heritage of Georgia has initially been one of the highest priorities of the National Agency for Preservation of Cultural Heritage of Georgia. Preparation and consequential edition of particular publications is considered to be one of the key means towards the achievement of this goal. Hence, within the scope of the State Program for Preservation of Cultural Heritage several publications were carried out that are as follows: a catalogue –"Elene Akhvlediani in Private Collections"; guide-books "Vardzia Historical-Architectural Museum-Reserve", "Didi Mtskheta Historical Archeological Museum-Reserve" and "Uplistsikhe Historical-Architectural Museum-Reserve", albums – "Rehabilitation of Monuments of Cultural Heritage in Georgia" and "Monuments of Cultural Heritage in Georgia". A book about Oshki Cathedral was published as well. As for the albums "Petre Otskheli 1907-1937" and "Charm of Old Tbilisi (Entrance Halls)", they were published repeatedly. All these publications reveal the latest findings in the field of cultural heritage. ■

შემდეგ ნომერში:

1910-20-იანი წლების
კულტურული ცხოვრება თბილისში

ხონის წმ. გიორგის ტაძრის
საეკლესიო საგანძურის
ისტორიისათვის XIX საუკუნეში

ბავშვები ხატავენ ფიროსმანს,
თბილისის სამხატვრო სასწავლებელი

...

ISSN 1987-6351
9 771987 635004